ავთანდილ ნიკოლეიშვილი

თეძოები დღითიღე

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2010

UDC (უაკ) 821.353.1:821.512.161-94
6-63

რედაქტორები:

პროფესორი ვახტანგ ამაღლობელი

პროფესორი ლუკა დვალიშვილი

წიგნი გამოდის ქუთაისის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით.

გარეკანის პირველ გვერდზე იშხნის მონასტერი და კაპადოკია,
ბოლო გვერდზე — სტამბოლი, სულთან ახმედის მეჩეთი.

ISBN 978-9941-0-2724-6

შინაარსი

ავტორისაგან 5

სტამბოლის ქართული სავანე 7

თურქეთში — ჩვენებურებთან 139

ტრაპიზონში 154

ფაცელ ქართველებთან 158

ამასია 162

დუზჯელ ქართველებთან 172

ხენდეკში 178

სტამბოლში 181

ბურსასა და ინეგოლში 191

წარსულიდან აწმყოში დაბრუნება 206

სტუმრად თურქ მეგობრებთან 212

ანკარიდან კაბადოკიამდე 229

სტამბოლის გავლით — ეგვიპტეში 259

ტაო-კლარჯეთის ქართული ფესვები 279

რეზიუმე თურქულ ენაზე 293

ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ბიოგრაფიული მონაცემები თურქულ ენაზე 304

ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ბიოგრაფიული მონაცემები ქართულ ენაზე 305

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნი, რომელიც თურქეთში საქმიანი ვიზიტების, სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებათა და ტურისტულ მოგზაურობათა შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე დაიწერა, წლების განმავლობაში იქმნებოდა. მასში შეტანილი წერილები შინაარსობრივად სამ ნაწილად შეიძლება დავაჯგუფოთ: პირველი, თურქეთში არსებული ქართული კერების ისტორიის ამსახველი ნარკვევები, რომლებშიც მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობითაა წარმოჩენილი ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც ჩვენი სულიერი კულტურის ხსენებულმა ცენტრებმა, პირველ ყოვლისა კი სტამბოლის ქართულმა სავანემ, შეასრულა საქართველოს ისტორიაში.

წერილების მეორე ნაწილში ის საქმიანი ურთიერთობანია ასახული, რომლებიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ჩემი მუშაობის პერიოდში (1996-2005 წწ.) დამყარდა ჩვენი ქალაქისა და თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის.

წიგნში შეტანილი წერილების მესამე ნაწილში კი ის შთაბეჭდილებანია გადმოცემული, რომლებიც თურქეთში სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებებსა და ტურისტულ მოგზაურობებში ყოფნის დროს იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან და თურქ მეგობრებთან გამართულ მრავალრიცხოვან შეხვედრათა შედეგად აღიბეჭდა წარუშლელ მოგონებებად ჩემს ცნობიერებაში. ამ შეხვედრათაგან პირველ ყოვლისა ღრმად ემოციური ის ურთიერთობები მინდა გამოვყო, რომელნიც ისტორიულ ავბედობათა გამო მშობლიურ ქართულ წიაღს საუკუნეების წინათ მოწყვეტილ ჩვენებურთა შთამომავლებთან მქონდა თურქეთის არაერთ ქალაქსა თუ სოფელში.

ამ შეხვედრების დროს ჩვენებურების უდიდესი ნაწილის მიერ ემოციური სიმძაფრით გამოვლენილმა ნოსტალგიამ მათი ისტორიული სამშობლოსა და ქართული ფესვებისადმი კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა იმაში, რომ ამ ადამიანების ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად და განსამტკიცებლად აქტიური ბრძოლა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად უნდა იყოს ქცეული და მყარად დამკვიდრებული.

იმის ნათელსაყოფად, ეს ბრძოლა მყარ საფუძველს რომ არაა მოკლებული და ყალბ ილუზიურ იმედებზე დაფუძნებული, აქ ოსმალეთის იმპერიის მიერ ოთხი საუკუნის განმავლობაში მიტაცებული ქართული რეგიონების განსათავისუფლებლად თავგანწირვით მებრძოლი და შთამომავლობისგან ეროვნულ გმირად და წმინდანად შერაცხული სელიმ ხიმშიაშვილის სტამბოლში მცხოვრები შთამომავლის – მელაათ ხიმშიაშვილის ის ლექსი მინდა გავიხსენო, რომელშიც მისი და მისი წინაპრების ისტორიული სამშობლოს მონატრებით გამოწვეული მძაფრი ნოსტალგია სულის შემძვრელი და ცრემლის მომგვრელი გულწრფელობით ამგვარადაა გამოხატული (ციტირებულია თეიმურაზ კომახიძის წიგნიდან – „დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფბეგ ხიმშიაშვილი," ბათუმი, 2002 წ. გვ. 377):

მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მიწავ ჭირნახულო,
თეთრ სიზმარში დანახულო, იქნებ ვეღარც გინახულო.
ვეფერები სხალთას, თაგოს, მანდ დარჩენა მიქადაგოს,
მშობელ მიწამ წამლად მარგოს, უცხოეთში არ დამკარგოს.
ფიქრის ფრთებით გადავსერავ ნიგაზეულს, სარიჩაირს,
ვკოცნი მიწას მონატრებულს, წყაროს, ყვავილს მრავალნაირს.
სტამბულს შუქი ეფინება, ჩემს თვალებს კი ბინდი აკრავს,
გულით როდი მეღიმება ამდენი ხნის ნაღველნაკრავს.
სამოცდაათს მივაღწიე, შენთან ყოფნა გულით მწადის,
შენს ნატერაში გავათიე შვიდჯერ ათი წელიწადი...
რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად ჩამომღვენთო,
ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მიწა წამახურო,
რომ მშობლიურ აჭარაში ჩემი სული სანთლად ენთოს...
დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის კალთაზე დახატულო,
ჩემთვის ტაძრად შენახულო, მენატრები, ჩემო ხულო!..

იმედი მაქვს, წინამდებარე წიგნი შეძლებისდაგვარად შეუწყობს ხელს როგორც ჩვენებურებთან ამ ბოლო დროს სასიკეთოდ გააქტიურებულ ურთიერთობათა შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას, ისე თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს საქართველოსა და თურქეთს შორის დღევანდელ ეტაპზე მყარად დამკვიდრებული მეგობრობისა და კეთილმეზობლობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეშიც.

ქუთაისი, 2010 წლის 10 აგვისტო

სტამბოლის ქართული სავანე

ქართველი ემიგრანტების ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალების მოძიებისა და შესწავლის დროს, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ჩემი ყურადღება იმ ფაქტმაც მიიქცია, რომ უშუალოდ ევროპასა და ამერიკაში წასვლამდე და დამკვიდრებამდე ჩვენი ემიგრაციის ბევრმა წარმომადგენელმა თავი გარკვეული დროის განმავლობაში სტამბოლს, კერძოდ კი იქ არსებულ ქართულ სავანეს, შეაფარა. დროთა განმავლობაში ხსენებული სავანისადმი ინტერესი იმდენად გამიძლიერდა, რომ გადავწყვიტე, არა მარტო უბრალოდ მომეძიებინა მასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალები და პუბლიკაციები, არამედ იმ დიდმნიშვნელოვანი როლის გარკვევაც მეცადა ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც სტამბოლში არსებულმა ქართული კულტურის ცენტრმა შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში.

სტამბოლის ქართული საღვთისმსახურებლო კომპლექსი, რომლის ბაზაზეც ქართული სავანის სახელით ცნობილი ზემოთ ხსენებული კულტურის ცენტრი არსებობდა, სასულიერო დანიშნულების მქონე სამი უმთავრესი დაწესებულებისაგან შედგებოდა: კათოლიკური ეკლესიისაგან და მამათა და დედათა მონასტრებისაგან. სტამბოლში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა სარწმუნოებრივი და მეტად ნაყოფიერი მამულიშვილური საქმიანობა, რომელსაც განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ჰქონდა შეძენილი XIX საუკუნის ბოლო ოთხ ათწლეულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, იმთავითვე მოექცა იმ პერიოდის ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სწორედ ამ ყურადღების ნათელ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის პუბლიკაციები, რომლებიც ხსენებული სავანის შესახებ გამოქვეყნდა საკმაოდ მრავლად მაშინდელ პრესაში.

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიისა და იქ მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ღვაწლის შესწავლის თვალსაზრისით იმხანად

ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ზაქარია ჭიჭინაძემ შეასრულა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გამოცემულ მის წიგნებში მეტად საინტერესოდაა წარმოჩენილი ის დიდი დამსახურება, რომელიც სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერში მოღვაწე მამულიშვილებს მიუძღვით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

სტამბოლის ქართული სავანის, საერთოდ, თურქეთსა და მის მთავარ ქალაქში მცხოვრებ ქართველთა შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ევგენი დალეჯიო დ'ალესიო თავის წიგნში „ქართველები კონსტანტინეპოლში" (აღნიშნული წიგნის ქართული თარგმანი პირველად 1921 წელს დაიბეჭდა კონსტანტინეპოლის ქართული სავანის სტამბაში. განმეორებით კი იგი გურამ შარაძემ გამოსცა 1990 წელს).

მეოცეს საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ეს იტალიელი სწავლული და მოგზაური საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული პიროვნება იყო. ჩვენი ქვეყნისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა მან ბევრი რამით გამოხატა. კერძოდ, 1918 წელს, როდესაც საქართველოს დიპლომატიური მისია კონსტანტინეპოლში ჩავიდა, იქ მყოფი დალეჯიო ამ მისიის მდივანი გამხდარა, საქართველოს ქვეშევრდომობა მიუღია, ჩვენს ქვეყანაში უმოგზაურებია, ქართული ენა შეუსწავლია და მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში ჩვენი ხალხის ინტერესების აქტიურად დამცველი პიროვნება გამხდარა.

ზემოთ ხსენებული წიგნიც, რომელიც სტამბოლის სავანის მღვდელმსახურს — შალვა ვარდიძეს უთარგმნია და გამოუცია სტამბოლშივე 1921 წელს, საქართველოსადმი დალეჯიოს უდიდესი სიყვარულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, იმჟამინდელი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების ზეგავლენით, ქართული ემიგრანტული ცენტრებისადმი, მათ შორის სტამბოლის ქართული სავანისადმი, ადრინდელი ინტერესი საგრძნობლად კლებულობს და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მასალები ძირითადად მხოლოდ უცხოეთში გამოცემულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება.

საბედნიეროდ, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენი საზოგადოების ინტერესი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მა-

მულიშვილების მოღვაწეობისა და მათ მიერ შექმნილი ქართული კულტურის კერებისადმი თანდათანობით ძლიერდება და ფართო მასშტაბების მომცველი მოვლენა ხდება, რაც პირდაპირი შედეგია ჩვენს ქვეყანაში იმ დროიდან დაწყებული და ფართოდ აღზევებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ამ პროცესმა კეთილისმყოფელი ზეგავლენა, ბუნებრივია, ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძიებაზეც მოახდინა და ბევრი მათგანის მეცნიერული დაინტერესების საგნად ქართველ ემიგრანტთა მანამდე მიჩქმალული მამულიშვილური ღვაწლის სათანადოდ წარმოჩენა იქცა.

ხსენებული საკითხის შესწავლის დროს, უცხოეთში არსებულ ქართული კულტურის კერებსა და იქ მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ეროვნულ დამსახურებაზე მსჯელობისას, მკვლევართა ყურადღების ცენტრში სტამბოლის ქართული სავანეც მოექცა სავსებით ბუნებრივად. ამ თვალსაზრისით ხსენებული საკითხით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საგულისხმო მასალას გაეცნობა შოთა ლომსაძისა და გურამ შარაძის იმ ნაშრომებში, რომლებიც მათ სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრისა და იქ მოღვაწე ქართველი მამულიშვილების შესახებ გამოაქვეყნეს.

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიის შესწავლისა და იქ დაცული უმდიდრესი მასალების აღნუსხვა-კატალოგიზაციის საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს შუშანა ფუტკარაძეს. თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ქართული მეტყველების, ფოლკლორისა და ეროვნული ადათ-ტრადიციების შესწავლასთან ერთად, ქალბატონი შუშანა ორ ათწლეულზე მეტია სწავლობს და აღნუსხავს სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ მასალებს, რითაც ძალზე რთულ და შრომატევად საქმეს აკეთებს.

და მაინც, მიუხედავად დღემდე შესრულებული ამგვარი სამუშაოებისა, ქართული კულტურის სტამბოლური ცენტრის ისტორიისა და იქ მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ეროვნული ღვაწლის შესწავლა და სათანადოდ დაფასება სამომავლოდ გასაკეთებელი საქმეა, იმდენად დიდი და მასშტაბური საქმე, რომ ამ მიზნის მისაღწევად ფაქტობრივად მრავალდარგოვან სპეციალისტთა მთელი ჯგუფის შექმნაა საჭირო.

სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებით არსებული ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაციის მოძიებისა და საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ პირველი, რაც გავაკეთე, იმ ადამიანებთან დაკავშირება იყო, ვინც ამ სავანესთან მისასვლელი გზის გაკვალვაში დამეხმარებოდა. ამ საქმის გაკეთება კი, ბუნებრივია, პირველ რიგში ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის მეშვეობით უნდა მეცადა. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ერთმანეთთან პიროვნული ურთიერთობა არასდროს გვქონია, დაუსწრებლად, პროფესიულ დონეზე, ერთიმეორეს მაინც კარგად ვიცნობდით, რის გამოც ერთობლივი სამოქმედო პროგრამის შემუშვების დროს არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. ქალბატონი შუშანა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ჩემს წინადადებას, ერთობლივი ძალებით მოგვეხერხებინა სტამბოლის ქართულ სავანეში სამეცნიერო მივლინებით გამგზავრება.

საწყის ეტაპზევე თანამშრომლობა შევთავაზე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს, რომელიც რამდენჯერმე შეხვდა ქალბატონ შუშანას და ჩვენი სამომავლო სამეცნიერო მუშაობის დეტალებზე შეუთანხმდა.

გარდა იმისა, რომ სტამბოლში წასასვლელად და იქაურ ქართულ სავანეში მუშაობის უფლების მისაღებად სათანადო ოფიციალური ნებათვა გვჭირდებოდა, უმთავრესი პრობლემა მაინც ხსენებულ სამეცნიერო მივლინებასთან დაკავშირებით საჭირო თანხების მოძიება იყო. ამ საქმის მოსაგვარებლად მე და ტარიელ ფუტკარაძემ თხოვნით უპირველეს ყოვლისა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ონიანს მივმართეთ და საფუძვლიანად გავაცნოთ ჩვენი მიზნები და ის დიდი სამეცნიერო შედეგები, რაც ამ მივლინებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ბატონმა გიორგი ონიანმა და ჩვენი უნივერსიტეტის კანცლერმა პროფესორმა ზაზა სოხაძემ არა მარტო თავად გამოთქვეს უყოყმანო თანხმობა სტამბოლში სამეცნიერო მივლინებასთან დაკავშირებული თანხების გამოყოფის თაობაზე, არამედ ბათუმის უნივერსიტეტის რექტორსაც დაუკავშირდნენ და შეთანხმდნენ, რომ ჩვენთან ერთად სტამბოლში ქალბატონი შუშანა ფუტკარაძეც წამოვიდოდა.

ამასობაში სტამბოლთან გამართულმა სატელეფონო საუბრებმაც და მიმოწერამაც გამოიღო შედეგი და ქართული სავანისა და იქ დაცული საგანძურის დღევანდელმა მომვლელ-ჭირისუფალმა ბატონმა სიმონ ზაზაძემ მზადყოფნა გამოთქვა, ჩვენი დელეგაცია მიეღო და სათანადო დახმარება გაეწია იქ არსებული მასალების გაცნობის საქმეში.

სტამბოლში წასვლასთან დაკავშირებით ბატონ სიმონ ზაზაძისაგან თანხმობის მიღება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში ქალბატონი შუშანაც შედიოდა, მისთვის კარგად ნაცნობი და დიდად პატივსაცემი ის პიროვნება, რომელიც უკვე რამდენჯერმე იმყოფებოდა სტამბოლის ქართულ სავანეში იქ დაცული მასალების აღნუსხვა-კატალოგიზების მიზნით.

ის განსაკუთრებული სიფრთხილე და მზრუნველობა, რასაც ბატონი სიმონ ზაზაძე, მისი მეუღლე და შვილი იჩენენ სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული მასალების გადასარჩენად, მეტად საჭირო და უცილებელი რამ რომ არის, ამაში ამ უდიდესი ეროვნული საგანძურის უბრალო ნახვითაც დარწმუნდება აქ მოსული ადამიანი. ყველაფერი, რისი მოგროვებაც კი შეიძლებოდა (ხელნაწერები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ხატები, ნახატები, საეკლესიო ნივთები და ა. შ.), სავანის დღევანდელმა ჭირისუფლებმა სიყვარულითა და რუდუნებით მოაგროვეს, ყუთებში ჩაალაგეს, წარსულში მონასტრის კუთვნილ ეზოში მათ მიერვე აგებული კოლეჯის ერთ დიდ ოთახში მოათავსეს, სპეციალური დაცვის პულტზე აიყვანეს და საიმედოდ აქვთ შენახული.

ჩვენდამი პატივისცემა ბატონმა სიმონმა და მისმა ვაჟმა იმითაც გამოხატეს, რომ ამ საგანძურის ნახვის შესაძლებლობა მოგვცეს. ოთახში შესულები უდიდესი ინტერესითა და შინაგანი მღელვარებით ვათვალიერებდით ასეულობით ყუთს (700-800 ერთეულს, თუ მეტს არა), რომლებშიც ზემოთ ხსენებული ფასეულობანია საიმედოდ დაცული.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერი ალექსანდრე მანველიშვილი, რომელიც 1930 წელს პირადადაც ცხოვრობდა სტამბოლის ქართულ სავანეში, იქაური წიგნთსაცავის შესახებ ასეთ რაიმეს

წერს: „ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო წიგნი ჰქონდათ. მათ შორის ხელნაწერებიც. მაგალითად, მათ ჰქონდათ საბა-სულხან ორბელიანის „ლექსიკონის“ რამდენიმე ხელნაწერი, მისი „ევროპაში მოგზაურობა“ და სხვა. აქვე გავიცანი პირველად ვახტანგის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი.“

ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის ინფორმაციით, სტამბოლის სიძველეთსაცავში დაცული დოკუმენტების რაოდენობა 83 000 ერთეულზე მეტია. ხელნაწერთა და გამოცემათა უდიდესი ნაწილი (80 პროცენტზე მეტი) ქართულენოვანია, დანარჩენი კი ლათინურ, ფრანგულ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე (სულ — 17 ენაზე) არის შესრულებული. სავანის არქივის უნიკალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იქ ადრინდელ საუკუნეებში გამოცემული წიგნებიც ყოფილა დაცული. მათგან ყველაზე ძველი 1523 წელს ლათინურ ენაზე დაბეჭდილი სახარებაა.

გარდა სასულიერო (ქრისტიანული) შინაარსის გამოცემებისა, წიგნთსაცავში ასევე საკმაოდ მრავლად გვხვდება სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცები, ქართველი ემიგრანტების მიერ ევროპასა და ამერიკაში დაბეჭდილი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, მონასტრის არქივში ძველი ქართული ხელნაწერებიც ყოფილა დაცული.

კერძოდ, სავანის წიგნთსაცავში უნდა ინახებოდეს ხელნაწერი სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი წიგნისა — „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც ჩვენამდე არასრული სახითაა მოღწეული. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით ალ. ბარამიძის წერილში „ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნები“ (2, 126. აქაც და ქვემოთაც პირველი რიცხვი აღნიშნავს გამოყენებული ლიტერატურის სიაში შეტანილი წიგნის რიგით ნომერს, მეორე — მითითებულ გვერდს). ალ. ბარამიძის თქმით, გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში თურქეთში ხანგრძლივი დროით სამეცნიერო მივლინებაში მყოფმა სერგი ჯიქიამ თურმე მას აცნობა, რომ სტამბოლის ქართული მონასტრის ძმობის წევრებს თურმე სულხანის ხსენებული ნაწარმოების გამოცემა წამოუწყიათ. მათ, — განაგრძობს მკვლევარი ამბის თხრობას, — „უკვე დაებეჭდათ წიგ-

ნის სამი თაბახი, მაგრამ თხზულების დასაწყისი იმ ნაკლული ხელნაწერის მიხედვით აეწყოთ, რომელიც ხელთ ჰქონდათ. გამომცემლებს სერგისთვის გადაუციათ წიგნის დაბეჭდილი თაბახები და უთხოვიათ მისი შედარება თბილისის ნუსხებთან... ჩამოტანილი ანაბეჭდების თბილისურ ხელნაწერებთან შეჯერება სერგი ჯიქიამ მე მთხოვა... მართლაც, ჩვენს ნუსხებში უფრო ვრცელი ტექსტი აღმოჩნდა. გადმოვწერე და სტამბოლში გასაგზავნად გავამზადე. უნდა წაეღო კათოლიკე პატრ ვარდიძეს. ამ დროს ის დააპატიმრეს და საქმე ჩაიშალა. ფოსტით გაგზავნას მოვერიდეთ. ანაბეჭდები მე დამრჩა. არ ვიცი, რა ბედი ეწია წიგნის გამოცემას. ამის შესახებ ვუამბე წიგნის ფანატიკურად მოყვარულს და თვითონ სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამომცემლობის ხელმძღვანელს სიმონ ხუნდაძეს. მთხოვა მისთვის მეთხოვებინა ანაბეჭდები... აბა, უარს როგორ ვეტყოდი! 1933 წლის აგვისტოში სიმონ ხუნდაძე უეცრად გარდაიცვალა. შემოდგომაზე მისი ბიბლიოთეკა საგულდაგულოდ გადავჩხრიკეთ მე, მისმა მეუღლემ და შვილებმა. წიგნები არსად აღმოჩნდა, დაიკარგა."

სავანის არქივში ასევე უნდა ინახებოდეს 1914-1916 წლებში თურქეთში არსებული ქართული ლეგიონის არქივიც.

„ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" I ტომში (62, 65) გ. შარაძე იმ გარემოებასაც საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ჟენევაში გამოცემული ქართული ჟურნალის — „თავისუფალი საქართველოს" 1914 წლის IV ნომერი, რომელიც სხვაგან არსადაა დაცული, სწორედ სტამბოლის სავანის წიგნთსაცავში აღმოაჩინა და ჩამოუტანა მას პროფ. შ. ფუტკარაძემ.

ასე რომ, წინასწარ იმის თქმა, სტამბოლის საგანძურის გულდასმით შესწავლის დროს რა სასიამოვნო სიურპრიზებს უნდა ელოდოს კაცი, ფაქტობრივად, შეუძლებელი რამ არის.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი ეროვნული მნიშვნელობით, ქართული კულტურის ხსენებული ცენტრი XIX-XX საუკუნეებში საზღვარგარეთ არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ რელიგიურ, კულტურულ და საგანმანთლებლო კერას წარმოადგენდა. პირობითად თუ ვიტყვით, გარკვეულწილად, იგი იმავე როლისა და მიზანდასახულობის მქონე ქართულ მამულადაც შეიძლება იქნეს

მიჩნეული, რა მნიშვნელობაც ჰქონდა თავის დროზე ლევილის ქართულ კერას ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის.

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნული მნიშვნელობის ამგვარი შეფასების დროს არავითარ გადაჭარბება-გაზვიადებას რომ არა აქვს ადგილი, ეს იქ დაცული იმ მასალებითაც უკამათოდ შეიძლება დადასტურდეს, რაც უკვე ცნობილია და ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად აქ მინდა სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცულ შთაბეჭდილებათა წიგნიდან ის ჩანაწერები გავიხსენო, ხსენებული სავანის ეროვნული როლის შესაფასებლად რომ გაუკეთებიათ იქ სტუმრობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ისეთ დიდ მამულიშვილებს, როგორებიც იყვნენ: მიხაკო წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, ვიქტორ ნოზაძე, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ყაზბეგი, გრიგოლ დიასამიძე... მათი ერთსულოვანი აზრით, სტამბოლის ქართული სავანე ეს არის „საქართველოს დიდება, ეროვნული სულის საუნჯე, სამშობლოსათვის დევნილ ნამდვილ მამულიშვილთა თავშესაფარი;“ „ქართული კულტურის სამოთხის კუთხე უცხოეთში;“ „საქართველოს წმინდა სავანე, წმინდა ტაძარი;“ „საქართველოს ლამპარი უცხოეთში;“ „სიმბოლო ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა;“ „შორეულ სტამბოლში ვარსკვლავი საქართველოსი;“ „ოსმალეთის ზღვა უდაბნოში ჩანერგილი საქართველოს ოაზისი“ (54, 26). ემიგრანტმა გრიგოლ თუმანიშვილმა კი სავანის როლი და ადგილი ჩვენი ერის ისტორიაში პოეტური ფორმით შემდეგნაირად შეაფასა:

ქართველთა შორის ამაყო, ჩვენო იმედო სახლო,
უმანკოთ ჩასახებულო, მფარველო ჩვენი ერისო,
შენ შეგთხოვ თვალცრემლიანი, მეოხევ ქართველებისო.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილს, რომელიც სტამბოლის სავანეს 1919 წლის 16 თებერვალს წვევია, თავისი აღფრთოვანება მას ამ სიტყვებით გამოუხატავს: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოს და ქართველი ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ.“

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნული როლის წარმოჩენამ და შეფასებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მას შემდეგ შეიძ-

ინა, რაც იგი სამშობლოდან სამუდამო ემიგრაციაში გახიზვნის პირველ თვეებში ერთადერთ საიმედო თავშესაფრად იქცა როგორც ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრებისათვის, ისე მშობლიურ ფესვებს იძულებით მოწყვეტილი ათეულობით სხვა ქართველი პატრიოტისათვის. ნათქვამის დასტურად აქ, ვფიქრობ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეთაურის — ვალიკო ჯუღელის იმ ჩანაწერის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელიც მას 1921 წლის ცხრა მაისს გაუკეთებია სავანის შთაბეჭდილებათა წიგნში:

„საქართველოში ოცდაერთი საუკეთესო ამხანაგის გამგზავრების დღეს, იმ სულიერ მარტოობაში, რომელსაც ჩვენ — ბოლშევიკებისაგან დევნილნი — ვგრძნობთ უცხოეთში, ეს მონასტერი იყო ჩვენი თავშესაფარი... ამხანაგები მიემგზავრებიან საქართველოს თავისუფლების აღსადგენად... ისინი ბრძოლაში მიდიან, მე კი ჯერ აქ ვრჩები ძალების მოსაკრებად“ (54, 28).

გარდა საქართველოდან ჩასული ქართველი მამულიშვილებისა და ჩვენი ემიგრანტი თანამემამულეებისა, სტამბოლის სავანეს თურქეთში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც სტუმრობდნენ ხოლმე ძალზე ხშირად. მათ შორის ყოფილან: მარშალი შაქირ-ფაშა ერთგულაშვილი (ახალციხელი); რიზა-ფაშა ათაბეგიშვილი — 1909 წლისთვის ოსმალეთის საზღვაო მინისტრი (ართვინელი); ისმაილ ელიაშვილი, მსაჯული ოსმალეთის მთავარ კომიტეტში (ქობულეთელი); თავდგირიძეები — ოსმან-ფაშა და ალი-ფაშა; შტაბის გენერალი მაჰმუდ-ფაშა; მედინის გუბერნატორი ბაჰრი-ფაშა; სენატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ხასან-ფეჰმი-ფაშა (მარადიდელი); ხასან-ფეჰმი ირემაძე — ოსმალეთის მთავარი მუფთი, სახელმწიფო საბჭოს წევრი მთიანი აჭარიდან და მრავალი სხვა (54, 19).

ვფიქრობ, თუნდაც ყოველივე ზემოთქმულიც კი სავსებით საკმარისია იმ დიდ ეროვნულ-პატრიოტულ საქმიანობაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად, რასაც სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ქართველი მამულიშვილები ეწეოდნენ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავიანთი დიდმნიშვნელოვანი როლით ქართული კულ-

ტურის ამ უცხოურ კერაში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები ღირსეული გამგრძელებელნი აღმოჩნდნენ იმ დიდი ეროვნულ-სარწმუნოებრივი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი ტრადიციებისა, რომელთაც შუა საუკუნეებში საზღვარგარეთ საკმაოდ მრავლად არსებულ ქართულ მონასტრებში ბერ-მონაზვნებად აღკვეცილი ჩვენი თანამემამულენი ამკვიდრებდნენ თავიანთი ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად.

* * *

როგორც ითქვა, სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესია არა მარტო ქრისტიანული რელიგიის საზღვარგარეთულ ცენტრს წარმოადგენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ ეროვნული სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს კერასაც. აქ მოღვაწე სასულიერო პირები თავიანთ უმთავრეს მოვალეობად თვლიდნენ საღვთისმსახურებლო საქმიანობა სისხლხორცეულად შეეთავსებინათ აქტიურ შემოქმედებით, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული სულიერი კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ კათოლიკეთა საქმიანობის წარმმართველი უმთავრესი ცენტრი ჩვენი ქვეყნისაგან საკმაოდ შორს, რომში, მდებარეობდა, ქართველი კათოლიკე სასულიერო პირების უდიდესი ნაწილის საღვთისმსახურებლო მოღვაწეობას მათ რელიგიურ საქმიანობასთან განუყოფელად შესისხლხორცებული პატრიოტული მიზანსწრაფვაც ედო მკვიდრ საფუძვლად. ნათქვამის დასტურად აქ თუნდაც მარტო იმ უმნიშვნელოვანესი მამულიშვილური ღვაწლის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანსა და მიხეილ თამარაშვილს მიუძღვით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ეს ყველაფერი მე აქ კიდევ ერთხელ იმიტომაც გავიხსენე, რომ აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს მინდა სათანადო წარმოდგენა შევუქმნა იმ დიდ საქმიანობაზე, რომელსაც ქართველ კათოლიკეთა კონსტანტინეპოლის (დღევანდელი სტამბოლის) ქართულ ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირები ეწეოდნენ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. როგორც ჩვენთვის ხელმისაწ-

ვდომი დოკუმენტური მასალებითაც ეჭვმიუტანლად დასტურდება, ხსენებული სასულიერო დაწესებულება, მოყოლებული XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე, ქართული ემიგრანტული კულტურის საკმაოდ მძლავრ კერას წარმოადგენდა და იქ მოღვაწე ღვთისმსახურთა აქტიური ძალისხმევის შედეგად არაერთ ქართულ ოცნებას შეუსხამს ფრთები რეალურად.

შოთა ლომსაძის შეფასებით, ქართული კულტურის სტამბოლური კერა, მსგავსად XIX საუკუნეში ვენეციასა (იტალია) და მონტობანში (საფრანგეთში) არსებული მსგავსი კერებისა, „წარმოადგენდნენ სინას, ათონის, ჯვრისა და სხვა ძველი კულტურული ცენტრების დაგვიანებულსა და ფერშეცვლილ გამოძახილს, რომელთა მოღვაწეობის მთელი შინაარსი ევროპულ კულტურასთან დაახლოება იყო. თუ შუა საუკუნეებში საქართველოს გარეთ დაარსებული ეს მონასტრები (კულტურის კერები) ფეოდალური საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ძლიერების გამოხატულება იყო, XIX საუკუნის ევროპაში დაარსებული ქართველ კათოლიკეთა აღნიშნული კულტურის კერები უფლებადაკარგული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სუსტი ილუზია გახლდათ. ფერიქოვის ამ ცენტრში მცხოვრები ქართული კოლონიის წევრები და გზად გავლილი მეცნიერები, სტუდენტები, მოგზაურები, ვაჭრები და სხვები ყოველთვის ქმნიდნენ ერთიანობის მომხიბვლელ ატმოსფეროს და კულტურული მოღვაწეობის გეგმებს ადგენდნენ“ (35, 187).

იმის ნათელსაყოფად, სტამბოლის სავანეში მოღვაწე სასულიერო პირები მხოლოდ რელიგიური ინტერესებით რომ არ იყვნენ შემოფარგლულნი და თავიანთი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად სხვა სარწმუნოებრივ აღმსარებლობათა მიმდევარ თანამემამულეებთანაც ცდილობდნენ აქტიური ურთიერთობების დამყარებას, შ. ლომსაძეს ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული მ. თამარაშვილის პირადი ფონდიდან იმ წერილის ფრაგმენტიც აქვს დამოწმებული, რომელიც სავანის ერთ-ერთ მღვდელმსახურს — სტეფანე გიორგიძეს (დასახელებული გვარი ცალკეულ შემთხვევებში გიორგაძის ფორმითაცაა ნახმარი) გაუგზავნია მიხეილ თამარაშვილისთვის: „შეიტყობდით, რომ აქ აზნაურ ვლადიმერ წერეთელმა მოისურვა საჯარო ამხანაგობის დაწესება. აგერ ერთი წელიწადი იქ-

ნება, აქ ჩვენი ახალციხელები ყველა ჩაეწერნენ და აგრეთვე ბევრი ქართველი მაჰმადიანიც. ამან ჩვენ კათოლიკებს ჯერეთ ეს სიკეთე მოუტანა, რომ კვირაობით დუქნებს აღარ აღებენ. აქ ჩვენს მონასტერში ერთი ოთახიც მათთვის მიცემულია და ქართული პატარა ბიბლიოთეკაც აქვს, ამ დროს რომ ჰქონდეთ შემთხვევა შეკრებისა და თან ღვთის სიტყვის თქმისა. მენაც მოვიწვიე ყველა ქართველ ქრისტიანი თვეში ერთხელ ერთ კვირას ქართული ქადაგებისათვის თუ მამანი და თუ დედანი და ჯერჯერობით აგერ მეოთხე თვეა ესწრებიან ქადაგებას. და აქ ქართველ თათრებმაც დაიწყეს მოსვლა. ასე რომ, აქ არც ერთს წაეკრება ფეხი ქვაზე, რადგან სამი რიგნი არიან: ,,კათოლიკენი, არა კათოლიკენი და მაჰმადიანნი“ (35, 187).

სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურთა მიერ გატარებული ამგვარი პოლიტიკის შედეგად, რეალურად „ხორციელდებოდა ეროვნული შეკავშირების ლოზუნგი. რელიგიითა და გამოვლილი ისტორიული უბედურებით ერთიმეორეს დაცილებული ქართველობა თითქოს ერთიანდებოდა. ფერიქოვში დამყარებული ამგვარი ურთიერთობის მნახველ დომინიკე მუღაშაშვილს მართლაც უფლება ჰქონდა ეთქვა: „მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ და ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შვილი ქართველთ გვაროვნებისა ისევ ერთ ხეზე ყოფილა დამყნილი და თავის ფესვებს არ მოშორებია“ (35, 188).

დამოწმებულ წერილში მოწვდილ ინფორმაციაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ალიოზ ბათმანიშვილის მიერ ივანე გვარამიძისათვის 1930 წელს გაგზავნილი ეს ბარათიც თვალნათლივ ადასტურებს: „მაისის 24-ს ფერიკვევის (ფერიქოის — ნ. ბ.) ჩვენს მონასტერში პროჩესიანი იყო: პ. ალფონსმა იქადაგა. ხალხის სიმრავლეზე რაღა ვსთქვა: ჩვენი პატარა საყდარი გაჭედილი იყო და გარეთაც ორი ყანა სულ დაფარული: ევროპელებს, თათრებს, სომხებს, ყველა თესლებს თავი აქ მოეყარათ. კონსტანტინეპოლში რაც ქართველები იყვნენ, ქართველ მონასტრის დღესასწაულობას დიდის სიამოვნებით დაესწრნენ. თითქმის ყველანი ახალციხის მაზრიდან არიან“ (3, 34).

ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთმანეთთან ამდაგვარად დაახლოების საქმეში ქართული კათოლიკური ეკლესიის როლი კიდევ უფრო მეტად იზრდება თურქეთის 1908-1909 წლების რევო-

ლუციის შედეგად. ამ რევოლუციამ მაჰმადიან ქართველებს ადრინდელთან შედარებით გაცილებით მეტი შესაძლებლობა მისცათ იმისა, თავიანთი ქართველობის გამხელისა უკვე რომ არ შეშინებოდათ და შედარებით თავისუფლად მისულიყვნენ ეკლესიაში თავიანთ მოძმეებთან შესახვედრად. მაგალითად, ერთ-ერთი მაჰმადიანი ქართველის თქმით, თუ იგი ადრე იქ აღნიშნული მიზნით მეტისმეტად ჩუმად, ღამით, მიდიოდა, ჯაშუშებს რომ არ დაენახათ, ახლა მას ამის შიში უკვე აღარ ჰქონდა (15).

გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის ინფორმაციით კი იმჟამინდელ სტამბოლში იმ ქართველთა რაოდენობა, რომელთაც „ოსმალეთის ძველი რეჟიმის წყალობით აქამომდე თავის ეროვნული ვინაობა დაფარული ჰქონდათ, საკმაოდ დიდი ყოფილა. ეხლა კი, როცა სტამბოლში თავისუფალი პოლიტიკური ჰაერი გაჩნდა, ქართველებსაც გაუბედიათ და ეროვნულ კულტურულ ინტერესების ნიადაგზე ერთად მოგროვება განუზრახავთ. პირველი სერიოზული გამოხატულება სტამბოლელ ქართველების ეროვნულ აღორძინებისა არის ქართული ბიბლიოთეკის დაარსება თვით სტამბოლში“ (12).

როგორც იმდროინდელ ქართულ პრესაში დაბეჭდილი მასალებიდანაც ნათლად ჩანს, იქაურ მაჰმადიან ქართველთა დათრგუნული ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლების საქმეში უმთავრეს როლს უპირველეს ყოვლისა სწორედ სტამბოლის ქართული სავანე ასრულებდა. მაგალითად, 1912 წლის 20 მაისს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილში დ. ჩიქოვანი წერდა: „აქ თუ არსებობს საზოგადოება, მხოლოდ მონასტრის გარშემო. მონასტერია ბუდე ყოველი საზოგადოებრიობისა ქართველთა შორის. ამიტომ გარემოებამ მათ არგუნა დიდი როლი: შეერთება ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებისა. აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ ქართველობა უეჭველად იწევს გაერთიანებისაკენ. აგერ ორი თვეა დაიწყო კრებები და კომისიების მუშაობა. ჰსურთ დააარსონ კულტურული საზოგადოება ამ სახელით: „ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება.“ ამის თაობაზე მრავალი კრებები იყო მოწვეული, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა წოდების ქართველები: მოხელენი, ვაჭრები, მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებელნი, მხედრები, ფაშები და სხვა. უკანასკნელ კრებას დაესწრო 120 მაჰ-

მადიანი. წესდება უკვე შემუშავებულია და მალე დამფუძნებელი კრებაც იქნება მოწვეული. სტამბოლის გარეთაც გაიგეს და მრავლიდან მოუვიდათ მოლოცვა და სურვილი წევრობისა.“

სტამბოლის ქართული სავანის როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ასეთ მაღალ შეფასებას ძველი და ახალი დროის სხვა მკვლევარებიც აძლევენ. მაგალითად, მიხეილ სვანიძის აზრით, „სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესია, სასწავლებელი, სტამბა ასრულებდნენ ქართული კულტურის კერის ფუნქციას. აქ ხდებოდა ქართველების სულიერი და კულტურული აღზრდა. ფერი-ქოის სკოლამ ბევრი სასიქადულო მამულიშვილი გამოზარდა“ (48, 42).

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნულ-კულტურული როლის შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დალეჯიო დ'ალესიოს მიერ გამოთქმული მოსაზრებანი. სავანის გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დალეჯიო, პირველ ყოვლისა, იმაში ხედავდა, რომ იქ მოღვაწე სასულიერო პირებმა იგი „უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაქმნეს, სადაც მუდამ არა მარტო მრავალ ქართველ ახალგაზრდამ შეაფარა თავი, არამედ მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც კი, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა. ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას“ (59, 31).

ასე რომ, დ'ალესიოს შეფასებით, ფერი-ქოის (სხვადასხვა ავტორი ამ სახელს ზოგჯერ ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ფორმით ხმარობს) „სავანე არ არის მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ მასთანვე ერთად პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ერთი მეორესთან შეკავშირებულნი არიან. ამ სავანის კათოლიკე მღვდლები,... განმსჭვალულნი დიდებული მომავლის რწმენით საქართველოს თავისუფლებისათვის, პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ამათი სასყიდელი მხოლოდ ის იქნება, რომ თავისუფალმა საქართველომ და ქართველმა მოღვაწეებმა მისცენ მათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარ გარედ უფრო მეტი ზნეობრივი დახმარება და ყოველ გვარი საშუალებ, რათა უფრო

ფართე ფარგლებში შესძლონ მათ მოღვაწეობა საქართველოში და ქართველ ხალხში“ (59, 34).

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის სავანის ეროვნულ-პატრიოტული როლის ამგვარ შეფასებათა გვერდით, თუმცა ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც, დროდადრო ისეთი შეფასებანიც გვხვდება ხოლმე, რომელთა ავტორებიც სავანის მღვდელმსახურებს ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასა და რომის პაპისადმი მეტისმეტ ერთგულებაში დებდნენ ბრალს. ნათქვამის დასტურად აქ იასე რაჭველის იმ წერილის ფრაგმენტს დავიმოწმებ, რომელიც მას სტამბოლში ცხოვრების დროს, 1887 წლის 1 დეკემბერს, დაუწერია.

განსხვავებით ამავე ავტორის სხვა პუბლიკაციებისაგან, სადაც იგი აღფრთოვანებით საუბრობს სტამბოლის ქართულ სავანეზე, როგორც ეროვნული კულტურის მძლავრ უცხოურ კერაზე, ხსენებულ წერილში სტამბოლელ მღვდელ-მსახურთა მოღვაწეობა უკვე მკვეთრად ნეგატიურადაა შეფასებული. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად მოვიშველიებ ფრაგმენტებს ხსენებული წერილიდან: „...კათოლიკების იდეალი მხოლოდ რომის პაპის კეთილდღეობაზე არის დამყარებული და თუ ის ღმერთმა უცოცხლათ, ამათ მეტი რაღა უნდათ. სამშობლო ქვეყანა ან მისი დედაენა და ან ქართველების პატრიოტობა მათ სრულებით არ ესაჭიროებათ და არც თავს იტკენენ ასეთი სულელობისათვის... ახლა სათათრეთში ერთი მონასტერია, რომელშიც სამოცამდის კაცი ცხოვრობს... ძალიან კარგად ცხოვრობენ, მეტადრე სასულიერო წოდება...

მორწმუნე კათოლიკეს მოვალეობა და აღთქმა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველივე უნდა შეიძულოს წმინდა პაპის მეტი და არავითარი საქმე არ უნდა დაზოგოს პაპის სასიამოვნოდ... მე რომ მკითხოთ, ისიც მიკვირს, რომ ხანდახან ქართულს ლაპარაკობენ მეთქი. ერთ ადგილას წამომცდა, რაზედაც მიპასუხეს — ქართულს მიტომ ურევენ ხანდახან, რომ ამით როგორმე მოიზიდონ საქართველოს ხალხი... აქ ყმაწვილები ჩამოჰყავთ პატარები, ყველას მაშინვე აკათოლიკებენ, ასწავლიან ჯერ მარტო ფრანგულს და შემდეგ იტალიურს და სულ სხვა ყმაწვილი იზრდება, სამშობლო ქვეყანა სრულებით ავიწყდება და რა თავის დედაენას ავიწყებენ ძალით, ამი-

ტომ ვერც სხვა ენებს სწავლობენ ხეირიანად და რჩება, ამრიგად, ან მღვდლად და ან ძმად (მორჩილად) მის სიცოცხლეში“ (3, 75-78).

როგორც ითქვა, იასე რაჭველის დამოწმებული წერილის სულისკვეთება და მასში გადმოცემული ინფორმაცია სავანის ეროვნული როლის შეფასების საკითხში არა თუ სხვა ავტორების თვალსაზრისს ეწინააღმდეგება პრინციპულად, არამედ სხვადასხვა დროს თავად მის მიერვე გამოთქმულ მოსაზრებებსაც. ეს კი სავსებით ლოგიკურად ქმნის საფუძველს საიმისოდ, ხსენებულ წერილში გამოთქმული თვალსაზრისი ტენდენციური განსჯის შედეგად რომ მივიჩნიოთ.

სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებით ასევე უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართული წარმომავლობის თურქი მწერალი ისმაილ ყარაც (შავიშვილი). ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს მისი მონათხრობიდან:

„ისტანბულში ერთ ადგილსა შიშლი ჰქვია. შიშლიში არი ეკლესია. მე ამ დრობამდი გაგონილი მქონდა, რომ სულ ქართველი ფაფაზები (მღვდლები — ა. ნ.) იყვნენ იქა. ბოლოჯერ იყო ფაფაზი, ერქუა სახელი ფოლი (მღვდელი — ა. ნ.), გუარი არ ვიცი. კედლებზე ქართულ ასოებით ახლაც ჩაწერილია. ის გარდაცვლილია ახლა... ჩუენ ამ წელში გვითხრეს, რომ ეს ეკლესია აღარ არი, სინაგოგა გავხადეთო, არც ქართუელებისა არი, იტალიელებისა გავხადეთო. ზუელათ ქართუელებისთვინ დამწუარი კაცი იყო აჰმედ ოზქანი (მელაშვილი). მაგან უთხრა თავრობასა, რომ ეს ქართული ეკლესია არი, ჩუენ ქართუელი ვართ, ჩუენნა მოგვეცით ესა, ჩუენნა ვუპატრონოთო. ერთი საზოგადოება გავაწყოთ, იმ საზოგადოებამ ამ საქმეს შეხედოსო. საქმე სასამართლოში შევდა. კაცებსა დოუზახეს. უთხრეს, რომე ესა იტალიის ეკლესიებში შედისო, იმათნა მოქვცენ იზნიო (ნებართვა — ა. ნ.)... მარა შიგან ყუელამფერი ქართული იყო“ (55, 237).

ი. შავიშვილის მონათხრობის მიხედვით, იმ დროისათვის ეკლესია უკვე დაკეტილი ყოფილა და მას თურქეთის პოლიცია იცავდა. დამოწმებულ მონათხრობში მწერალი ერთ სრულიად ახალ ინფორმაციასაც გვაწვდის იმის შესახებ, რომ ხსენებულ ეკლესიაში დამწვარი სინაგოგის გადატანის მცდელობასაც ჰქონია ადგილი. კერძოდ, მას საკუთარი თვალით უნახავს, ეკლესიაში სპეციალურად მიყვანილი მოსწავლეები როგორი მონდომებით ცდილობდნენ მისი კედლებიდან ქრისტიანული და ქართული ნაკვალევის წაშლას.

თუმცა, ამგვარ მცდელობათა მიუხედავად, ი. შავიშვილი იქვე იმასაც აღნიშნავდა დარწმუნებით, რომ ეკლესიიდან ქართული კვალის ბოლომდე წაშლა მაინც ვერაფრით მოხერხდებოდა და იქ მისული კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ სინამდვილეში ეს შენობა ეკლესიას წარმოადგენდა და არა სინაგოგას.

ი. შავიშვილის მონათხრობი საინტერესო იმითაცაა, რომ მწერალი სტამბოლის ქართულ ეკლესიაში არსებული ეროვნული საგანძურის შესახებაც გვესაუბრება. კერძოდ, ეკლესიაში მისულს, მას საკუთარი თვალით უნახავს, რომ „შიგან ბევრი ქართული წიგნი იყო.“

მწერლის ინფორმაციით, სტამბოლის ქართული ეკლესია სასტუმროს მოვალეობასაც ასრულებდა ხოლმე. მისი თქმით, „ზედა ყათში (სართულში — ა. ნ.) ჲურთსავეთ (სამშობლოსავით — ა. ნ.) მორთული ქონდენ, აწვენდენ მოსულ სტუმარსა“ (55, 238).

ი. შავიშვილის მონათხრობში იმ პრაქტიკული პატრიოტული საქმიანობის შესახებაცაა კონკრეტული საუბარი, რასაც სტამბოლის ქართულ ეკლესიაში მოღვაწე მღვდლები ეწეოდნენ რეალურად. კერძოდ, ამ ეკლესიის უკანასკნელი მღვდელმსახურის მოღვაწეობას მწერალი ასეთ შეფასებას აძლევს: „ახლა ერზრუმის მუფთი (მაჰმადიანთა უმაღლესი სასულიერო პირი — ა. ნ.) არი ნური ჲაზარ (მწერალი), მანატბელი ჯიჯანიძე. მეგე იმ ფოლსა (მღვდელსა — ა. ნ.) უკითხვებია. ეკლესიის ერთ ემეში მუუცემია ჲურთი (საერთო საცხოვრებელი — ა. ნ.), მეგ დაშველებია ზალიან... ზალიან დიდი პატრონი ყავდენ ჩუენებურებსა ეს ფოლი... მაგათ თქუეს, რომ ამ ეკლესიაში ქართული წიგნებიაო. ფოლსა ქართული ანბანიც უსწავლებია ამათთვინა. მახსოვს, ნური ჲაზარმა თქუა, ისტანბულში გურჯი ფაფაზების (მღვდლების — ა. ნ.) უფალი გარდაიცვალაო. ღალიბა (როგორც ჩანს — ა. ნ.) ის ფოლი იყო“ (55, 238).

„ამათ რომ ვიგონებ, ჩემი თავი მემლექეთში მგონია, თუალში მაფრინდება ჩემი შოლტიჴევიო“, — სევდანარევი ემოციით ამბობს სტამბოლის ქართული ეკლესიისა და იქ მოღვაწე ქართველი მღვდლების შესახებ საუბრის ბოლოს ისმაილ შავიშვილი და ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თავის სისხლხორცეულ სიახლოვეს ქართულ ფესვებთან.

* * *

XIX საუკუნეში სტამბოლში ქართული კათოლიკური ეკლესიების გახსნა ორმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა განაპირობა არსებითად: ერთის მხრივ, იმან, რომ მსოფლიოს უდიდეს სავაჭრო ცენტრად ქცეულ ამ ქალაქში იმხანად საკმაოდ ბევრი კათოლიკე ქართველი ცხოვრობდა — ძირითადად სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული, და მეორე, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ დევნილ-შევიწროებულ ქართველ კათოლიკე მღვდელმსახურთა იძულებითი იმიგრაციით სამშობლოდან.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნიდან, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის დროიდან, ხელისუფლებამ მიზანმიმართულად დაიწყო ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის მოსახლეობის გამაჰმადიანების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი. იმის გამო, რომ თავიანთი კოლონიური პოლიტიკის გატარების გზაზე ოსმალეთის ხელისუფლების მესვეურები ყველაზე დიდ დაბრკოლებად მართლმადიდებლურ რელიგიას მიიჩნევდნენ, „ახალციხის საფაშოში მართლმადიდებლობა შეუწყნარებელ რელიგიად გამოცხადდა, კათოლიკე მისიონრები კი განდევნეს“ (5, 48).

შექმნილი ურთულესი მდგომარეობის გამო წინაპართა რელიგიურ აღმსარებლობას ჩამოშორებული ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო, ნაწილმა კი კათოლიკური სარწმუნოების მიღება არჩია. კათოლიკური სარწმუნოებისადმი მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილის ამგვარი დამოკიდებულება ორი უმთავრესი ფაქტორით იყო არსებითად განპირობებული: პირველი, იმით, რომ სარწმუნოების იძულებითი გამოცვლის მიუხედავად, ისინი მაინც რჩებოდნენ ქრისტიანებად და მეორე, ოსმალეთის იმჟამინდელი ხელისუფლება კათოლიკური რელიგიური აღმსარებლობის მიმდევართა მიმართ ისეთ მტრულ დამოკიდებულებას არ იჩენდა, როგორსაც მართლმადიდებლებისადმი.

ამისდა მიუხედავად, ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები გაკათოლიკების შემდეგ სხვა, არანაკლებ მწვავე, პრობლემის წინაშეც დადგნენ: იმის გამო, რომ „ოსმალეთის მთავრობა მტრის თვალით უყურებდა ლათინურსა და ქართულ წირვა-ლოცვას“(52,

37), ჩვენი გაკათოლიკებული თანამემამულენი იძულებული გახდნენ, რელიგიური რწმენის შენარჩუნების მიზნით სომხურ კათოლიკურ ტიპიკონზე გადასულიყვნენ, გვარები სომხურ ყაიდაზე გადაეკეთებინათ და ფორმალურად გასომხებულიყვნენ.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ქართული კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მიხეილ თამარაშვილი: „რადგან ოსმალეთმა XVI საუკუნეშივე მოუსპო გზა ევროპელ მისიონერებს, უმწყემსოდ დატოვებულ სამცხის ქართველ კათოლიკეებსაც იგივე შავი დღე დაადგათ, ხოლო მათმა მცირე რიცხვმა შეინარჩუნა უკვე მიღებული კათოლიკე სარწმუნოება სომხის ტიპიკონის მიღებით. რადგან ამ დროს ოსმალეთი სომხობას ისე არ აწუხებდა, როგორც სხვა ტომის ქრისტიანებს, სომხური ტიპიკონის მიღება დიდად შეეწია ქართველ კათოლიკეებს, რომლებიც დაიხსნა არა მარტო სიკვდილისაგან, არამედ სხვა ბევრნაირი შეწუხებისგანაც. ამ გარემოების წყალობით ისინი შეუერთდნენ სომხის ტომის კათოლიკეებს არა მარტო სარწმუნოებით, არამედ ენობრივადაც, რადგან მათსავით უშიშრად ყოფილიყვნენ გამძვინვარებულის ოსმალეთის ხელში. ვერც გაბედეს შემდეგში ქართული ტიპიკონის მიღება, რადგან მათ მტარვალი პატრონისაგან მოელოდათ ან სიკვდილი ან გამაჰმადიანება“ (20, 411).

ქართველ კათოლიკეებთან მიმართებით ზემოთ არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გართულდა ოსმალეთის უღლისაგან სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლებისა და ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში რუსეთის იმპერიული მმართველობის დამყარების შემდეგ. რუსული ხელისუფლების მესვეურები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, ქართველი კათოლიკეები ქართულ ტიპიკონზე რომ არ გადასულიყვნენ. ამ საქმეში მათ აქტიურ თანამდგომელებად იმხანად სომეხი კათოლიკეებიც იქცნენ, რომლებიც „იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ აცხადებდნენ, ქართველები არასოდეს ყოფილან კათოლიკეებიო, კათოლიკები მხოლოდ სომხები არიანო“ (45, 86).

სამწუხაროდ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ეს ბრძოლა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მიერ 1886 წელს მიღებული იმ დადგენილებით დაგვირგვინდა, რომელიც უკვე ოფიციალურად კრძალავდა „ქართული ენით სარგებლობას კათოლიკუ-

რი ღვთისმსახურების შესრულების დროს; ამიერიდან აღარ შეიძლებოდა არც ქადაგება და არც საჯაროდ ლოცვა ნაციონალურ ენაზე. 1893 წელს მან (იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ — ა. ნ.) ქართველებს ჩამოართვა ძველი ეკლესია თბილისში და სომხებს გადასცა იგი; მხოლოდ პაპის ხელისუფლების ენერგიული მოქმედების შედეგად ეკლესია დაუბრუნდა ქართველებს“ (45, 87). მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ამგვარი აკრძალვა-შევიწროების გამო ქართველი კათოლიკეები იძულებული ხდებოდნენ, ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში ღვთისმსახურება ძირითადად სომხურ ენაზე რომ შეესრულებინათ.

სამცხე-საათაბაგოს ქართველ კათოლიკეთა დიდ ნაწილში სომხური ენის პრიორიტეტული როლის დამკვიდრებას ხელი იმ პოლიტიკამაც შეუწყო, რომელსაც რომის პაპის მიერ წარმოგზავნილ კათოლიკე მისიონერთა მიმართ ატარებდა რუსეთის ხელისუფლება რეგიონში. კერძოდ, 1845 წელს რუსეთის მთავრობამ ჯაშუშობის საბაბით საქართველოდან განდევნა ლათინი კათოლიკე პატრები, რასაც ახალციხის ლათინური რიტის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ლათინურ ენაზე წირვა-ლოცვის გაუქმებაც მოჰყვა. იმის გამო, რომ ქართველ კათოლიკეებს ქართული ტიპიკონი არ ჰქონდათ დამტკიცებული, რუსეთის ხელისუფლებამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში მხარი წირვა-ლოცვის სომხურ ენაზე შემოღებას დაუჭირა (5, 54).

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქართველ კათოლიკე მღვდელმსახურთა ერთმა ნაწილმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში დარჩენას ევროპის კათოლიკურ ცენტრებში, მათ შორის კონსტანტინეპოლში, წასვლა და იქ მოღვაწეობა არჩია. მათ შორის იყო პეტრე ხარისჭირაშვილიც — სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობის დამაარსებელი. რომის კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს ხელისუფლებასთან ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგად, პ. ხარისჭირაშვილმა საბოლოოდ დასახულ მიზანს მიაღწია და 1859 წლის 7 მაისს პაპის ხელმოწერით გამოცემული მანიფესტით, „სტამბულში აკრედიტებული ლათინური მონასტრების ხარჯზე სტამბულის გარეუბანში, ფერიქოვს, გამოყოფილიყო ადგილი ქართული კოლონიის დასაარსებლად. ამავე დროს, ვატიკანმა სცნო ქართულენოვანი

ტიპიკონი და დაუმტკიცა იგი კონსტანტინოპოლში ახლადშექმნილ ქართველთა ძმობას“ (34, 60).

კათოლიკური ეკლესიის ცნობილი ფრანგი მკვლევარი რემონ ჟანენი 1924 წელს პარიზში გამოცემულ თავის წიგნში „საქართველო“ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში დაარსებული ქართული კათოლიკური ეკლესიის მიზანდასახულობას შემდეგნაირად ხსნის და განმარტავს: „თავისი თანამოძმე კათოლიკებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ახალციხელმა მღვდელმა მამა პეტრე ხარისჭარაშვილმა კონსტანტინოპოლში დააარსა უმანკოების კონგრეგაცია. ახალი რელიგიური კერა დაფუძნდა ფერიქოვის უბანში, სადაც ააგეს ლურდის ღვთისმშობლის ეკლესია და სადაც ხშირად მოდიოდნენ მლოცველები. საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული სამღვდელოების შექმნა, რომელიც შესძლებდა წარმატებით ემოღვაწა საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად“ (45, 87-88).

რ. ჟანენის წიგნი უაღრესად მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ მისი ავტორი სტამბოლის სავანეში ენობრივი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებაც გვაწვდის მეტად საინტერესო ინფორმაციას. კერძოდ, ფრანგი მკვლევარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რომის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას სტამბოლის ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარების უფლება ოფიციალურად ჯერაც არ ჰქონდა გაცემული, „მღვდლები წირვას ქართულად აღავლენდნენ, ნათლობას ასრულებდნენ ქართული ტიპიკონით, მაგრამ ყველანი ლათინურ მესას წარმოთქვამენ, გარდა ერთი მოხუცისა, რომელიც ქართულად აღავლენს ლოცვას. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახლანდელ წინამძღვარს აქვს მიცემული უფლება, ზოგჯერ, ზოგიერთი დღესასწაულის დროს, მესა შეასრულოს ნაციონალური ტიპიკონით“ (45, 88).

დამოწმებულ ფრაგმენტში გამოთქმული თვალსაზრისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიაში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარების შესახებ ინფორმაციას უცხოელი მკვლევარი გვაწვდის, რაც აღნიშნული ფაქტის სისწორეს კიდევ უფრო მეტად ხდის უეჭველს.

რ. ჟანენის ხსენებული წიგნი უაღრესად მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ ავტორი სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ქართველ მღვდელმსახურთა რაოდენობასთან და მათ საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებითაც გვაწვდის ზუსტ ცნობებს. კერძოდ, 1914 წლის დასაწყისისათვის „კონგრეგაციაში ყოფილა 19 მღვდელი, მათგან 7 საქართველოში მოღვაწეობდა მისიონერად, 2 მორჩილი ძმა, 7 მორჩილი, 2 მაძიებელი მორჩილი ძმა და 14 კავკასიელი ყმაწვილი სემინარისტი. ფერიქოვის მონასტრის გარდა, კონგრეგაციას კონსტანტინოპოლში ფაფასქუფრუს უბანში აქვს აგრეთვე ფრანგული ენის სასწავლებელი. ამასთანავე, მამა ხარისჭარაშვილმა უმანკოების კონგრეგაციის მფარველობით ქალთა ერთობა ანუ დედათა სავანე დააარსა, რომელიც ფერიქოვშივეა. კონგრეგაციას აქვს, აგრეთვე, ერთი ფრანგული სკოლა დარდანელში და მეორე საქართველოში. მთლიანად აქ 15-20 მონაზონია“ (45, 88).

თავისი მრავალმხრივი და მეტად წარმატებული სასულიერო და საზოგადოებრივ-მამულიშვილური მოღვაწეობით პეტრე ხარისჭირაშვილმა (ზოგან მისი გვარი ხარისჭარაშვილის ფორმითაცაა მოხსენიებული) გამორჩეულად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

თანამედროვეთა მიერვე გიორგი მთაწმინდელად სახელდებული ეს დიდი მამულიშვილი დაიბადა 1818 წელს თურქეთის მიერ დაპყრობილ ახალციხეში (გარდა 1818 წლისა, პ. ხარისჭირაშვილის დაბადების თარიღად სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი თარიღებიცაა დასახელებული: 1804, 1814 და 1819 წლები). აქვე მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება.

ახალციხის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ, პ. ხარისჭირაშვილს სწავლა ალექსანდროპოლის (დღევანდელი გიუმრის) სასულიერო სასწავლებელში გაუგრძელებია. ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, ეს სასწავლებელი „სომეხ კათოლიკეთა მოძღვართა აღმზრდელათ იყო.“ მიუხედავად იმისა, რომ ამ სასწავლებელში „მთელი აზიის კათოლიკეთა მოძღვრებს ზრდიდნენ“, მათ შორის ქართველებსაც, სწავლება იქ „სომეხ კათოლიკების ტიბიკონით“ მიმდინარეობდა. გულსატკენი ამ შემთხვევაში ისიც იყო, რომ სას-

წავლებელში სომხურის გვერდით თურმე ყველა ძირითადი აღმოსავლური და ევროპული ენა ისწავლებოდა, გარდა ქართულისა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქართული წერა-კითხვა პ. ხარისჭირაშვილმა ახალციხეში სწავლის პერიოდშივე შეისწავლა ოჯახში ხელნაწერი ანბანის საშუალებით. ალექსანდროპოლში ყოფნის დროს კი მშობლიური ენით მისმა დაინტერესებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა.

ალექსანდროპოლის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, პ. ხარისჭირაშვილი პეტერბურგში მიემგზავრება, სადაც 1842 წელს, 24 წლის ასაკში, მღვდლად აკურთხეს. 1857 წელს, ხანმოკლე დროით, იგი ჯერ კონსტანტინეპოლში წავიდა, მერე პალესტინაში გაემგზავრა, ბოლოს კი იტალიაში, კერძოდ, ვენეციაში, ჩავიდა და იქაურ სომეხ კათოლიკეებთან ერთად აქტიურ სასულიერო და ეროვნულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. დიდ ნიჭიერებასთან, დაუცხრომელ ენერგიასთან და პიროვნულ აქტიურობასთან ერთად, მის წარმატებულ საქმიანობას ევროპული ენების ზედმიწევნით ცოდნაც არსებითად უწყობდა ხელს. კერძოდ, მშობლიური ენის გარდა, მას თურმე შესანიშნავად ცოდნია ლათინური, გერმანული, იტალიური, ფრანგული, თურქული, ბერძნული, პოლონური და სომხური ენები.

ვენეციაში ყოფნის პერიოდში პ. ხარისჭირაშვილს განსაკუთრებული ინტერესი გამოუჩენია სასტამბო საქმის შესწავლისადმი, რაც შემდგომში დიდად გამოადგა კონსტანტინეპოლსა და მონტობანში ქართული სტამბების დასაარსებლად.

პ. ხარისჭირაშვილმა თავისი მასშტაბური და თავდადებული სასულიერო მოღვაწეობის ძირითად მიზანსწრაფვად არა მარტო რელიგიური რწმენის განმტკიცება დაისახა, არამედ მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ქართველობის ეროვნული ცნობიერების გაღვივებაცა და შემდგომი განმტკიცებაც. სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის დაარსების უმთავრეს მიზანს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ საქმის გაკეთება რომ წარმოადგენდა, ამის დასტურად აქ თუნდაც ამ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი: როცა თურმე მის მიერ დაარსებულ ეკლესიაში მან „პირველად შეასრულა ქართულ ენაზე გალობა, ძმობის ყველა წევრებს ცრემლი მოერია. მათ დაი-

ჩოქეს პეტრეს წინ და მისი ჯანმრთელობა შესთხოვეს მაცხოვარს“ (34, 71).

პ. ხარისჭირაშვილის ცხოვრებაში თვისებრივად სრულიად ახალი, უმნიშვნელოვანესი, ეტაპი 1859 წლიდან, კონსტანტინეპოლში მისი დამკვიდრების დროიდან, იწყება. რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა ხელშეწყობითა და მისი უდიდესი პიროვნული ძალისხმევის შედეგად, აქ დაფუძნებული ქართული მონასტერი არა მარტო ქართველ კათოლიკეთა ღვთისმსახურების ფართოდ პოპულარულ კერად იქცა, არამედ უცხოეთში მდებარე ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრადაც.

ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკლესიასთან ერთად, პ. ხარისჭირაშვილმა იქ ქართული სასწავლებელიცა და სტამბაც გახსნა, რითაც ხანგრძლივი დროის მანძილზე სარგებლობდნენ როგორც სტამბოლში მცხოვრები ქართველები, ისე საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან იქ საგანგებოდ ჩასული ჩვენი თანამემამულეებიც. ქართულ სავანედ წოდებული ამ მონასტრის ეროვნულ როლსა და მნიშვნელობას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში, პეტრე ხარისჭირაშვილის გარდა, სხვა თვალსაჩინო ქართველი ღვთისმსახურებიც ეწეოდნენ მეტად ნაყოფიერ სასულიერო და მამულიშვილურ მოღვაწეობას (მაგალითად, მიქელ თარხნიშვილი, მიხეილ თამარაშვილი, შალვა ვარდიძე, ეთიოპიაში (აბისინიაში) მოღვაწე ექიმი პეტრე მერაბიშვილი, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) და სხვები.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ალბათ სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სტამბოლის ქართული ეკლესია იქაური ქართველებისთვის არა მარტო სალოცავ დანესებულებად იქცა, არამედ იმ ადგილადაც, რომელიც მათ, გარკვეულწილად, ისტორიული სამშობლოს მაგივრობასაც უწევდათ და მშობლიური წიაღისაგან განშორების შედეგად გაჩენილ ტკივილს უამებდათ.

ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს თქმით, უმთავრესი მიზანი, რომელიც პ. ხარისჭირაშვილმა და მის მიერ სტამბოლში დაფუძნებულმა ქართულმა სასულიერო საზოგადოებამ მათი საქმიანობის საფუძველთა საფუძვლად აქციეს, იყო „ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურუ-

ლად.“ მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზემოთქმულის გამო ისინი „ხშირად სასტიკად შევიწროებულნი იყვნენ ყველასაგან და ყოველნაირად“ და არც იმისთვის ჰქონდათ „საკმარისი ნივთიერი საშუალება, თავიანი მოქმედებისათვის უფრო ფართო ხასიათი რომ მიეცათ“, პ. ხარისჭირაშვილმა და მისი ძმობის წევრებმა მაინც შეძლეს ბევრი დიდმნიშვნელოვანი საქმის გაკეთება (59, 31).

1859 წელს, რომის პაპისაგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, პ. ხარისჭირაშვილმა სტამბოლის განაპირა უბან ფერი-ქოიში, რომელიც დღეს ქალაქის ცენტრალურ უბანს წარმოადგენს და შიშლისა და ბომონტის დასახლებათა შესაყართან მდებარეობს, საკმაოდ დიდი მიწის ნაკვეთი შეიძინა, სადაც 1861 წელს ქართული კათოლიკური ეკლესია ააგო.

ხსენებული მამულის შეძენაში თავდაპირველად მას ვიღაც უცნობი ქართველი ქველმოქმედი დახმარებია, რომელსაც ქართული ეკლესიის ასაგებად თავისი ფულით 1230 არშინი მიწის ნაკვეთი შეუძენია. პ. ხარისჭირაშვილის აქტიურობის შედეგად, იმ ქველმოქმედის საქციელისათვის მალე სხვა ქართველ მორწმუნეებსაც მიუბაძავთ, რის საფუძველზეც ეკლესიის კუთვნილი მიწის ფართობის ოდენობა საბოლოოდ სამჯერ გაზრდილა.

სტამბოლის ქართულ ეკლესიასთან პ. ხარისჭირაშვილმა მამათა და დედათა მონასტრებიც დააარსა, სადაც ქართველი კათოლიკე ბერ-მონაზვნები ცხოვრობდნენ და აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

სტამბოლის ქართული მონასტრის უძრავ-მოძრავი ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით მომავალში ყოველგვარი გაუგებრობა რომ ყოფილიყო გამორიცხული, პ. ხარისჭირაშვილი წერილობითი ფორმით შედგენილი თავისი ანდერძით შთამომავლობას ხაზგასმით განუმარტავს იმ ფაქტს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ სავანის ადგილ-მამულისა და მთელი ქონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი კონკრეტულად რომელიმე პიროვნება კი არ ხდებოდა, არამედ თურქეთში მცხოვრები ყველა ქართველი კათოლიკე.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტისა და საზოგადო მოღვაწის — რაფიელ ინგილოს (ივანიცკის) ინფორმაციით, იმ დროს, როცა პ. ხარისჭირაშვილი ხსენებული საეკლესიო და სამონასტრო

კომპლექსის მშენებლობას შეუდგა, „ძველი ანაფორის ჯიბეში მას მხოლოდ საქართველოდან ჩამოყოლილი რამდენიმე სპილენძის ხურდა ედო, მაგრამ თან ახლდა უფრო მეტი რამ, ვიდრე ფული — შეურყეველი ნებისყოფა და დაუღალავი ენერგია! კონსტანტინეპოლელ სომხებისა და უცხოელების დახმარებით პ. ხარისჭირაშვილმა შეიძინა თვალსაჩინო ზომის უძრავი ქონება და ასე დაწყებულ საქმეს მიჰყვა ბოლომდის, ვიდრე არ ააგო ეკლესია, საცხოვრებელი ბინები და სკოლისა და სხვა საჭიროებისათვის გამოსადეგი შენობები. სულ მცირე დროში მონასტერი გადიდდა, გაფართოვდა და მრევლიც შეიძინა“ (26).

დამოწმებული ფრაგმენტი მნიშვნელოვანი იმითიცა, რომ რ. ინგილო ერთ ახალ, სხვა ავტორთაგან ყურადღებამიუქცეველ, მომენტსაც უსვამს ხაზს — უცხოელთა ფინანსურ წვლილს მონასტრისათვის საჭირო მიწების შეძენის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ქონება მამა პეტრეს ძირითადად ქართველ ქველმოქმედთა ფინანსური დახმარებით შეუძენია, ირკვევა, რომ ამ საქმეში მას გარკვეულწილად უცხოელებიც დახმარებიან.

როგორც ცნობილია, ეს მოსაზრება რ. ინგილომ სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თავის იმ წერილში („სტამბოლის სავანის ავ-კარგი“) გამოთქვა, რომელსაც ვრცელი საპასუხო პუბლიკაციით გამოეხმაურა ამ სავანის მღვდელ-მონაზონი შალვა ვარდიძე. იმის გამო, რომ იგი რ. ინგილოს მიერ ზემოთქმულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისს უკომენტაროდ ტოვებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული მოსაზრება სიმართლეს შეეფერება და უცხოელებმა მართლაც შეიტანეს გარკვეული წვლილი მონასტრის უძრავი ქონების შეძენის საქმეში. ეს რომ სიმართლე არ ყოფილიყო, შ. ვარდიძე თავის პოლემიკურ სტატიაში ამის თაობაზე უსათუოდ იტყოდა რაიმეს.

კონსტანტინეპოლის ქართული საეკლესიო კერის მშენებლობის პირველი ეტაპი 1861 წელს დამთავრდა. ეს სასულიერო კომპლექსი თავდაპირველად ორი უმთავრესი ნაწილისაგან შედგებოდა — ეკლესიისაგან და მამათა მონასტრისაგან.

როგორც გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1931 წლის 64-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სტამბოლის ქართული ეკ-

ლესიის მღვდელ-მონაზონი შალვა ვარდიძე წერს, ხსენებული საეკლესიო კომპლექსის აგების მიზნით, პ. ხარისჭირაშვილი სტამბოლში 1859 წლის მაისში ჩასულა ვენეციიდან. ასეთ დიდ რელიგიურ და ეროვნულ საქმეს შეჭიდებულ მამა პეტრეს, შ. ვარდიძის ინფორმაციით, სულ მალე „სამი სხვა მოწაფეც მიმატებია: იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე და სტეფანე გიორგაძე.

კათოლიკური ეკლესიის პროპაგანდის უფროსმა კარდინალმა ბარნაბომ დააკმაყოფილა 1860 წლის 16 ნოემბერს რომში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ გაგზავნილი თხოვნა და 1861 წლის 15 იანვარს სტამბოლში პაპის დელეგატს — მონსინიოს ბრუნიონის წერილობით აცნობა, იურიდიული არსებობის უფლება მიენიჭებინა ქართველი მღვდლის მიერ შექმნილი ახალი საზოგადოებისათვის. „ამ დროს მამა პეტრეს 300 ფრანკი (150 მან.) ჰქონდა სალაროში. ამ იურიდიულ არსებობას ვერ მიიღებდა მ. პეტრეს ახალი პატარა საზოგადოება, მას რომ არ ჰქონოდა სამონასტრო არქივი. არქივიდან სჩანს, რომ ერთ კეთილ-მყოფელს შეეწირა 1230 არშინი მიწა ბინის და სამლოცველოს აღსაშენებლად. ერთი ძირითადი ეკლესიური კანონია, რომელიც მხედველობაში უნდა იქონიოს მკითხველმა: ყოველივე სასულიერო საზოგადოების წევრის შეძენილი კოლექტიურათ თუ პიროვნულათ საზოგადოებას ანუ კოლექტივს ეკუთვნის. მ. პეტრემ თავისი მოწაფეებითურთ, თავის საზოგადოებისათვის სამჯერ მეტი მიწა შეიძინა ფულით თავიანთი ბინის აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამის შემდეგ მ. პეტრემ, როგორც დამწყებმა და უფროსმა, ყოველი გაუგებრობის ასაშორებლად, 4 თიბათვეს, 1863 წელს დასწერა პირველი ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „... (ფრანგულიდან სიტყვასიტყვით თარგმანი ჩვენია) მონასტერი და სამლოცველო თავიანთი მიწებითა, აგრეთვე შემოსავალი მათი, და ყველა ქონილი უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთაც შევიძენ ჩემს ცხოვრებაში, და რომლებიც დარჩებიან ჩემი სიკვდილის შემდეგ, მიეკუთვნებიან ყველა ზემოთხსენებულ ბერებს, კათოლიკე ქართველებს, მონათა უმანკოთ ჩასახულის“ (61, 47).

ხსენებული ანდერძის მერე, 1863 წლის 26 ივნისს, გაგზავნილი თხოვნის პასუხად, რომმა 1864 წლის 30 იანვარს გამოგზავნილი წერილით ქართველ სასულიერო პირთა საზოგადოებას „ეპარქიულ

დამტკიცების შემდეგ თავისი პირველი საფეხურის დამტკიცება მიანიჭა“ (61, 47).

როგორც შ. ვარდიძის პუბლიკაციიდან ჩანს, ანალოგიური მზრუნველობა მას მონაზონთა სავანის დასაარსებლადაც გამოუჩენია, რის თაობაზეც რომთან მიწერ-მოწერა 1866 წლიდან უწარმოებია. ამ საქმის მოსაგვარებლად მას უფრო მეტი შრომა დასჭირვებია, მაგრამ მიზნისათვის მაინც მიუღწევია და „1869-ში უკვე კაი ჯგუფია სამოლაზნო ქართველ მანდილოსნებისა... მოლოზნების იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებული იქმნა 9 მკათათვეს 1871 წ.“

აღნიშნულ საქმეთა განხორციელების დროს პ. ხარისჭირაშვილს თავისი ძმობის წევრებიც აქტიურად ედგნენ გვერდით. ეს ტრადიცია მონასტრის ძმობის წევრებმა მისი გარდაცვალების შემდეგაც გააგრძეს წარმატებით. კერძოდ, მათ ძალზე ბევრი რამ გააკეთეს სავანის მატერიალური ბაზის კიდევ უფრო მეტად გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით წარმატებული იყო XIX საუკუნის 90-იანი წლები, როცა აგებულ იქნა ოთხსართულიანი კაპიტალური შენობა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მონასტერთან არსებულ სტამბას. ამ საქმეთა უმთავრესი ინიციატორი სავანის იმჟამინდელი წინამძღვარი ალფონს ხითარიშვილი ყოფილა. ზემოთ ხსენებული ახალი შენობის აგების შემდეგ, მას ჯერ ახალი საბეჭდი მანქანა ჩამოუტანია მონტობანიდან და მონასტერთან არსებული ქართული სტამბის ტექნიკური რეკონსტრუქცია მოუხდენია, შემდეგ კი ეკლესიისთვის კიდევ ერთი ახალი შენობა მიუშენებია. აი, რას წერდა იგი ყოველივე ამასთან დაკავშირებით რომში მყოფ მ. თამარაშვილს სტამბოლიდან 1901 წლის 31 აგვისტოს:

„აგერ ახლა ვასრულებ ეკლესიის შენობასა, რომელიც არის შესანიშნავი და ყველა პატრიოტულ ისტორიების ნიშნებითაც შემკული. მთავარ ტრაპეტზედ ვსვამ ორ ძეგლსა წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. ნინასი, ზედ გამოხატული აქვს საქართველოს ღერბი და ლურდის ტრაპეზქვეშ აწერია ქართულ მხედრული ასოებითა: მარიამ ღვთისმშობელო, საქართველოს მოციქულო, მეოხეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა.“

ეკლესიის აგება დამჯდარა 150 ათასი ყურუში, მაგრამ ეს „პირველი ეკლესიაა სათათრეთშიდ... აქვს მაღალი გოთიკური სამრეკლო და დიდებული შესასვლელი, რომლისაც კურთხევას ვაპირებ მოსასულელ თვეში.“ ამ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ა. ხითარიშვილი დაბეჯითებით თხოვს მ. თამარაშვილს: „ჩამოდი, მიგიღებ კარგად. მობრძანდი შენ მონასტერში, რადგან მარტო შენზედ მაქვს იმედი, რომ ჩემს მოხუცებულობაში მანუგეშებ და ჩემს შემდგომაც მიიღებ წინამძღვრობასა და ააყვავებ ამა გვარისა უკვდავებასა განათლების წყაროსა.“ მაგრამ, როგორც ცნობილია, მ. თამარაშვილმა მის უფროს მეგობარსა და სულიერ ძმას თხოვნა ვერ შეუსრულა და კვლავაც რომში დარჩა, სადაც დაიღუპა კიდეც 1911 წელს (50, 170).

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ წირვა-ლოცვა იქ ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით, სტამბოლელი ქართველი კათოლიკენი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე მესხეთ-ჯავახეთში მცხოვრები კათოლიკეები, რომლებიც იმხანად სომხურ ეკლესიას იყვნენ დაქვემდებარებულნი, რის გამოც აქაურ ეკლესიებში წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე ტარდებოდა.

როგორც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან ნათლად ჩანს, სტამბოლის ეკლესიაში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარების უფლებას პ. ხარისჭირაშვილმა კათოლიკური ეკლესიის მესვეურებთან ხანგრძლივ და საგანგებო მოლაპარაკებათა შედეგად მიაღწია. მაგალითად, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ 1878 წლის 24-ე ნომერში: „სტამბოლიდამ მოსულმა პირმა გვითხრა ჩვენ, რომ მ. ხარიჩარიანთი დიდი ხანია სცდილობდა რომშიო, რომ ფრანგის პატრებს ქართული წირვის ნება მიეცესთო. აქამდისინ სომხის კათოლიკების უმაღლესი სასულიერო მთავრობა ნებას არ აძლევდაო, რომ სადმე საქართველოში ქართულად ეწირათ. მხოლოთ საღამოს ლოცვის უფლება ჰქონდათ. დღეს კი სტამბოლშიც ქართულად სწირავენო.“

სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიაში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარების ფაქტს სხვა პუბლიკაციებშიც ესმება ხაზი. მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ 1897 წლის პირველი ივნისის ნომერში გა-

მოქვეყნებულ სტატიაში — „წერილი კონსტანტინოპოლიდან“ იასე რაჭველი მკითხველს აუწყებდა: „31 მაისს ლიტანიობა იყო ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. წირვა იყო ქართულად და ლათინურად.“ ავტორის თქმით, ეკლესიაში შეკრებილ მრევლზე თურმე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მონასტრის სკოლის მოსწავლეების ქართული გალობის მოსმენას. მათ უმეტესობას მესხები წარმოადგენდნენ. ი. რაჭველის ინფორმაციით, „ყოველ დიდ დღესასწაულის დღეს ეს პაწაწინა ჩიტუნიები მშვენივრად ახერხებდნენ და დღესასწაულს ქართულად ულოცავდნენ თავიანთ წინამძღვარს.“

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სტამბოლის სავანეში წირვა-ლოცვა ყოველთვის ქართულად ტარდებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ ყოფილა. როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებით ირკვევა, ეკლესიის მღვდელ-მსახურნი ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას ძირითადად სადღესასწაულო დღეებში აღავლენდნენ. მაგალითად, „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „სტამბოლის ქართველობა“ წერილის ავტორი ვინმე ფარსმანი წერს: „ახალი წელიწადი ძველი სტილით და წმინდა ნინოობა ახალი სტილით იდღესასწაულა სტამბოლელმა ქართველობამ 1/14 იანვარს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც წირვა-ლოცვა მუდამ ლათინურად სრულდება. ამ დღეს ქართულად სწირეს. მწირველი იყო ქართულ წესზე ნაკურთხი კათოლიკე მღვდელი მამია ანდრია წინამძღვრიშვილი... მშვენიერმა გალობამ, ოთხ ხმაზე შეწყობილმა, და წირვამ ცრემლით ატირა ხალხი, მოკლებული ამგვარ ნუგეშს შინ და გარეთ.“

* * *

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლელი ქართველები არც ერთ საეკლესიო დღესასწაულს არ ტოვებდნენ უყურადღებოდ, განსაკუთრებული სიყვარულით ისინი მაინც მარიამობასა და ნინოობას აღნიშნავდნენ ხოლმე.

მარიამობის დღესასწაულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტი სძენდა, რომ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზე იყო აგებული და ჩვე-

ნი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმშობლობის დღესასწაული ფაქტობრივად მთელი მაისის თვის განმავლობაში გრძელდებოდა, „თავისი გრანდიოზულობით ყველაზე მეტად პირველი და ბოლო დღე გამოირჩეოდა — პირველი მაისი, როგორც თამარობა (თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული) და ოცდათერთმეტი მაისი, როგორც დამაგვირგვინებელი ლიტანიობა. საინტერესოა, რომ ლიტანიობას არც ერთი სხვა ქრისტიანული მონასტერი ამ დღეს არ იხდიდა. ეს აქ ქართველ კათოლიკეთა ერთგვარი პრიორიტეტი იყო. ლიტანიობის დღესასწაულს აუარებელი ხალხი ესწრებოდა, ქართველი და არაქართველი, ქრისტიანი და მაჰმადიანი. მაისში მონასტერი და მისი მიდამოები სადღესასწაულოდ იყო მორთული. როგორც წესი, გალავნის ორივე შესასვლელს ალამაზებდნენ ვარდებითა და ფერად-ფერადი დროშებით“ (35, 178).

სტამბოლის ქართულ სავანეში გამართულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ინფორმაციები დროდადრო ქართულ პრესაშიც ქვეყნდებოდა ხოლმე. მაგალითად, გაზეთ „იევრიის“ კორესპონდენტი 1897 წელს ჩატარებულ მარიამობის დღესასწაულს, რომელსაც თავად ისიც დასწრებია, ასეთნაირ შეფასებას აძლევს: „პატრი სტეფანე გიორგაძის განკარგულებით, ერთ ამ კარ-შესავალთაგანს ქართულის ასოებით ჰქონდა გაკეთებული წარწერა და მეორეს ლათინურად. აქ ამ დღეს ფრიალებდა ყველა სახელმწიფოს ბაირაღი, რაც კიდევ მეტ სიდიადეს აძლევდა დღესასწაულს. მონასტერში გალობდნენ ქართულად და ლათინურად, ხოლო მოსწავლენი დღესასწაულს ქართულად ულოცავდნენ თავიანთ წინამძღვარს“ (24).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მარიამობის დღესასწაულს კიდევ უფრო პოპულარულსა და მასშტაბურს ხდიდა ის ფაქტიც, რომ ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზე აგებულ ეკლესიაში ამ ეკლესიის დამაარსებელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა ლურდიდან სპეციალურად „ჩამოატანინა ღვთისმშობლის ქანდაკება და ამ ახალი მონასტრის სამლოცველოში დაადგმევინა. ღირსი პატრისა და მისი შვილების ღვთისმოსაობას მალე უხვად მიეგო საზღაური. ლურდის ღვთისმშობელმა არ დააყოვნა ძლიერებისა და კეთილის-

ყოფის გარდმოვლენა, რაც დამტკიცდა სასწაულებით, რომელიც ერთიმეორეს მოჰყვა ფერი-კეუის ამ მოკრძალებულ სამლოცველოში, განსაკუთრებით, 1880 წლიდან 1884 წლამდე" (21, 728).

ქალაქი ლურდი, საიდანაც სტამბოლის ქართულ ეკლესიაში პ. ხარისჭირაშვილმა ღვთისმშობლის ქანდაკება ჩამოატანინა, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ეს პატარა ქალაქი მთელს ქრისტიანულ სამყაროში იმითაა განთქმული, რომ იქ არსებულ მღვიმეში 1858 წელს 14 წლის გოგონას — ბერნადეტე სოუბიროს, რომელიც შემდგომში წმინდა ბერნადეტე გახდა, მარიამ ღვთისმშობელი გამოეცხადა. ამავე მღვიმეში არის წყაროც, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, სასწაულებს ახდენს და დაავადებულ ადამიანებს კურნავს. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ხსენებულ მღვიმეს ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი სტუმრობს.

მ. თამარაშვილის გადმოცემით, მსგავს სასწაულებს ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკება სტამბოლის ქართულ ეკლესიაში გადმოტანის შემდეგაც ხშირად ახდენდა ხოლმე. ეს ამბავი ხალხში იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ მონასტერში უამრავი ადამიანი მოდიოდა, მათ შორის, მართლმადიდებლებიცა და მაჰმადიანებიც, ხატის სასწაულმოქმედი მადლი პირადად მათაც რომ ეგრძნოთ. ეს გარემოება კი თურმე სხვა ეკლესიების მესვეურთა უკმაყოფილებას იწვევდა. ეკლესიაში მომსვლელთა რაოდენობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ღამით კარების დაკეტვასაც კი ძლივ-ძლივობით ახერხებდნენ.

აი, რას წერს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი: „სასწაულებრივმა განკურნებამ როგორც სულიერმა, ასევე ხორციელმა, აქ მთელი კონსტანტინოპოლი და მისი შემოგარენი მიიზიდა. სამლოცველოს ყველა ჯგურის იმდენი მორწმუნე, განსაკუთრებით მაჰმადიანი და ბერძენი მოაწყდა, შიგ შეღწევა ერთობ ძნელდებოდა. ათასობით მორწმუნე განთიადისას იწყებდა დინებას და მათი სვლა უწყვეტად გრძელდებოდა საღამომდე. ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, სამლოცველოში აღარ შეეშვათ სალოცავად მოსულნი, რადგან ღამე დგებოდა. ძალზე ამაღელვებელი და ნამდვილად უჩვეული სანახავი იყო, როგორ ლოცულობდა სხვადასხვა ერის ეს უთვალავი შვილი უბიწო ღვთისმშობელ მარიამის წი-

ნაშე, თითოეული თავისებურად და თავისი სარწმუნოების წეს-ჩვეულებების მიხედვით. ო, რა ღვთისმოსაობით სვამდნენ ისინი ლურდის წყალს.“ მორწმუნეებს ხატის სასწაულმოქმედი ძალისადმი რწმენას ის ფაქტიც უძლიერებდათ, რომ, მსგავსად ლურდის მღვიმისა, სასწაულმოქმედი წყარო მონასტრის შენობაშიც გამოედინებოდა. სამწუხაროდ, წყაროს დებეტის გაზრდის მიზნით გასულ საუკუნის შუა ხანებში, საგანგებო გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ, წყარო მთლიანად დაშრა.

როგორც სათანადო მასალების გაცნობით დასტურდება, სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის ასეთ პოპულარობას სხვა რელიგიური ცენტრების მესვეურთა მკვეთრი გაღიზიანება და უკმაყოფილება გამოუწვევია. მ. თამარაშვილის ინფორმაციით, მათგან განსაკუთრებული აგრესიულობით თურმე ბერძენულ ეკლესიათა სტამბოლელი ეპისკოპოსები გამოირჩეოდნენ, რომელთაც „განგაში ატეხეს, მრევლმა არ მიგვატოვოსო, და მორწმუნენი რომ თავისკენ მიებრუნებინათ, ყველანაირი საშუალება გამოიყენეს, ჩაგონება იქნებოდა ეს, თუ მუქარა, ეკლესიიდან გაძევება თუ საჯაროდ გაკილვა. რა ნახეს, ამაოდ დაშვრნენ, დაიმუქრნენ, ქართველი პატრების ეკლესიას გადავწვავთ და ძირფესვიანად დავანგრევთო. ამის გამო პატრები იძულებულნი გახდნენ, ტაძრის ირგვლივ დღე და ღამე მცველები ჰყოლოდათ. ასე გრძელდებოდა 6 თვეზე მეტ ხანს, ვიდრე ტაძარს მოულოდნელად თავს არ დაესხნენ ბოროტგანმზრახველნი... მაგრამ ყველა ფანდი უმწეო გამოდგა სასწაულების წინაშე, რასაც წმინდა ქალწული მოჰმადლიდა ყველას, ვინც მას შესთხოვდა“ (21, 728-732).

მ. თამარაშვილის მიერ აღნიშნული ბოროტმოქმედება სტამბოლის ქართულ სავანეში 1893 წლის 2 თებერვალს მომხდარა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ 1893 წლის 9 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში: დასახელებული წლის „2 თებერვალს ვიღაც ბოროტმოქმედმა გასძარცვა აქ ქართველ კათოლიკეთა სავანე. ქურდი წინა დღითვე შეიპარა თურმე სავანეში, მიიმალა სადღაც ყურე-კუნჭულში და როცა კარგად დაღამდა და ბერებმა დაიძინეს, შესულა ეკლესიაში, დაუწვავს ჩარჩო ღვთისმშობლის ძეგლისა, გაუტეხია კლიტე და, რაც კი რამ ძვირფასი ნივთი და ოქრო ყოფილა,

ყოველივე წაუღია, ხელი არ უხლია მხოლოდ ვერცხლეულისათვის. პირველად ეს ამბავი გაიგო თურმე მონასტრის ერთმა მორჩილმა და მაშინვე შეატყობინა მონასტრის წინამძღვარს ალ. ხითარიშვილს... წინამძღვარმა ეს ამბავი აცნობა საფრანგეთის საელჩოს და ხონთქარს. ქურდს პოლიცია დაეძებს და რამდენიმე საეჭვო კაცი კიდეც შეიპყრო."

იმავე ამბავს მკითხველს სტამბოლიდან იასე რაჭველიც აუწყებდა „მწყემსის" 1894 წლის მე-18 ნომერში გამოქვეყნებული წერილით. ავტორის ინფორმაციით, ხსენებული ქურდობის ჩადენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქურდს სტამბოლის კათოლიკე ეპისკოპოსისთვის ასეთი თხოვნით მიუმართავს: „შემიწყალეთ, წმინდაო მამავო, მაპატიეთ შეცოდებანი, ყველა მოპარულს უკანვე დავაბრუნებ, თუ მაპატიებთო."

ეპისკოპოსმა აპატია, მაგრამ მთავრობამ დასაჯა ქურდი. ქურდმა მოინანია: „ამ საქმის ჩადენის შემდეგ ვერც დღე და ვერც ღამე თავისუფლად ვერ დავიძინე და ვერ მოვისვენე, სანამ მონსინიორს (ეპისკოპოსს — ა. ნ.) გამოუცხადებდი, სიზმრები მაღრჩობდაო." დანაშაულში თურმე სულ ოთხი კაცი იღებდა მონაწილეობას — უშუალოდ ქურდობის ჩამდენი პირი, რომელსაც ერთი წლით ციხე მიესაჯა და სამი მისი დამხმარე, რომელთაც ოთხ-ოთხი თვით პატიმრობა შეუფარდეს.

სტამბოლის ქართული სავანის პრესტიჟის შესაბღალად და მისი მატერიალური ქონების ხელში ჩასაგდებად XIX საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ბრძოლა შემდგომშიც გაგრძელებულა. მაგალითად, 1911 წელს სტამბოლის კათოლიკე ეპისკოპოსმა სარდმა, რომის კათოლოკური ეკლესიის ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება ეკლესიაში წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარების აკრძალვისა და იქ არსებულ სასწავლებელთა დახურვის შესახებ და მოინდომა, მონასტრის მთელი მატერიალური სიმდიდრე მიესაკუთრებინა. ამ ამბით აღშფოთებულმა ბერ-მონაზვნებმა სარდს რომის პაპთან უჩივლეს და მონასტერი განადგურებას გადაარჩინეს (35, 18).

* * *

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტამბოლის ქართულ სავანეში გამართულ საეკლესიო დღესასწაულთაგან მარიამობის გარდა განსაკუთრებული პოპულარობით ნინოობის დღესასწაულიც სარგებლობდა. წმინდა ნინოსადმი სტამბოლელ ქართველთა ასეთი გამორჩეული სიყვარული და პატივისცემა, პირველ ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებელ-გამავრცელებელი ეს წმინდანი ჩვენი ქვეყნის მფარველადაცაა მიჩნეული, რასაც ეკლესიაში არსებული წმინდა ნინოს ხატქანდაკებისთვის გაკეთებული ქართული წარწერითაც ესმება ხაზი: „წმიდაო ნინო, საქართველოს მფარველო, ევედრე ჩვენთვის!“

ტრადიციად დამკვიდრებული ნინოობის დღესასწაული ყოველი წლის 14 იანვარს (ახალი სტილით) აღინიშნებოდა. გარდა კათოლიკეებისა, ამ დღესასწაულს თურმე მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ქართველებიც ესწრებოდნენ ხოლმე. ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულს, რომელიც 1909 წლის 14 იანვარს გამართულა, „დროების“ კორესპონდენტიც დასწრებია. მისი ინფორმაციით, ქართულ ენაზე ჩატარებულ საზეიმო მღვდელმსახურებას უამრავი ხალხი დასწრებია.

წირვის დამთავრების შემდეგ კი „ქართველთა ერთობის“ დაფუძნებისადმი მიძღვნილი პირველი ოფიციალური შეკრებაც გამართულა. კრება გაუხსნია და დამსწრეთათვის ნინოობის დღესასწაული და ახალი წელი მიულოცნია ხსენებული „ერთობის“ შექმნის ინიციატორს — ვლადიმერ წერეთელს, რომელსაც სხდომის მონაწილეებისთვის გაუცვნია ახლად დაფუძნებული საზოგადოების მიზანი და როლი ქართველთა შეკავშირების საქმეში.

შემდეგ კი, თავისი გამოსვლის ბოლოს, ვ. წერეთელს უთქვამს: „დღეს უკვე დაბადებულია ჩვენი ერთობა და ამიერიდან ნუღარც მოიშლება იგი!“ მაგრამ რომ უფრო ნაყოფიერი იყოს მისი არსებობა, საჭიროა ბიბლიოთეკასთან ერთად დავაარსოთ სალარო, საიდანაც დახმარება მიეცემა სტამბოლში მყოფ უმწეოდ დარჩენილ და გაჭირვებულ ქართველთ... მეორეც, მოგეხსენებათ, სტამბოლში მცირე არის ქართველთა რიცხვი. იმათში ბევრია ქართველთა ერთობის მომხრე და მსურველი. ჩვენ შეგვიძლია იმათთან ერთად შევადგინოთ დიდი საზოგადოება. ამოვირჩევთ კაცებს ყველა ჩვენ საერთო

საქმეთა ხელმძღვანელ-მმართველებად და ამით ნიადაგი მიეცემა ჩვენს საუკეთესო მომავალს.“

შეკრებაზე გამოსულმა პატრმა მერაბმა „ქართველთა ერთობას“ თურმე „დიდი ხნის ნატრული“ საზოგადოება უწოდა.

საზოგადოებას ჰქონია საკუთარი დროშა ლურჯი და მწვანე ფერისა. „ლურჯი იყო ნატვრისა და ქრისტიანობის ფერი, მწვანე კი იმედისა და მაჰმადიანობისა“ (3, 35). „ქართველთა ერთობის“ შეკრების ადგილს ძირითადად სავანე წარმოადგენდა.

ზემოთ დასახელებული დღესასწაული გამონაკლისი მოვლენა რომ არ ყოფილა და ნინოობის დღისადმი მიძღვნილი მსგავსი საზეიმო წირვა-ლოცვების ჩატარება ტრადიციად რომ იყო დამკვიდრებული, ამის დასტურად აქ „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებული ზემოთ უკვე მოხსენიებული ფარსმანის პუბლიკაციაც მინდა გავიხსენო. წერილის ავტორი, რომელიც პირადად დასწრებია 1911 წელს სტამბოლის ქართულ სავანეში გამართულ ნინოობის დღესასწაულს, შემდეგნაირად აღწერს იმჟამად იქ არსებულ მდგომარეობას: „ამ დღეს ეკლესიის ტრაპეზის თავზე აღმართული იყო წმინდა ნინოს დიდი ხატი. ქართული სიმღერები საოცრად იგალობა საეკლესიო გუნდმა, რომელსაც ლოტბარობდა იტალიიდან ახლად დაბრუნებული კონსტანტინე საფარაშვილი... ქართველები შორეულ კონსტანტინოპოლში თავიანთ მშობლიურ ენაზე სწირავდნენ და სიხარულით სტიროდნენ“ (51).

როგორც დამოწმებული მაგალითებითაც თვალნათლივ ჩანს, ნინოობისა და მსგავსი საეკლესიო დღესასწაულების ჩატარების უმთავრესი მიზანი სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებში არა მარტო რელიგიური რწმენის გაძლიერება იყო, არამედ ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებაც. აღნიშნულ მოვლენას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ მსგავს ღონისძიებებს კათოლიკეებთან ერთად სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მიმდევარი ქართველებიც საკმაოდ მრავლად ესწრებოდნენ.

სტამბოლის სავანეში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა ამგვარი საქმიანობის მკვიდრ საფუძვლად ქცეული ეროვნულ-პატრიოტული მიზანსწრაფვის არსი პ. ხარისჭირაშვილმა ერთგან შემ-

დეგნაირად გამოხატა: „რადგან დიდად მიგვაჩნია საქართველო და გვქონდა ნატვრა მისდამი სამსახურის ჩვენისა, ყოველნაირი მძიმე შრომა თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას და მის მომავალ ახალ თაობასაც შემწეობა სწავლაში და მეცნიერებაში.“

* * *

შალვა ვარდიძის ინიციატივით, სტამბოლის სავანეში 1911 წელს ქართული კლუბიც გახსნილა, სადაც ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. კლუბის გახსნის შესახებ შ. ვარდიძეს დაინტერესებული პირებისათვის გაზეთების მეშვეობით უცნობებია და ისინი, განურჩევლად მათი სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა, მონასტერთან არსებულ ქართულ სასწავლებელში მიუწვევია. ასე შექმნილა ქართული კლუბი, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, თურმე სისტემატურად მართავდა ხალხმრავალ შეკრებებს. ასეთი კრებები, რომელთაც ჩვეულებრივ 150 ქართველზე მეტი ესწრებოდა ხოლმე, სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა თავშეყრის ადგილად ყოფილა ქცეული. კერძოდ, დალეჯიოს ინფორმაციით, აქ იკრიბებოდნენ ფაშები, გენერლები, ოფიცრები, ვექილები, ექიმები, ვაჭრები, მოხელეები და სტუდენტები. „ყოველი კრება ქართული სიტყვებითა და სიმღერებით იხსნებოდა და იმ სახითვე მთავრდებოდა. შეიმუშავეს წესდება, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაამტკიცა“ (59, 16).

ქართული კლუბის შექმნის ამბავი არა მარტო სტამბოლში, არამედ მთელ თურქეთშიც ფართოდ რომ გახმაურებულა, ამის დასტურად დალეჯიოს კონკრეტული ფაქტებიც მოჰყავს. კერძოდ, მონასტერში თურმე ხშირად მიდიოდა მუსულმან ქართველთა აღფრთოვანების გამომხატველი წერილები ანატოლიიდან, მაკედონიიდან და თურქეთის სხვა კუთხეებიდან. ამ წერილების ავტორები შალვა ვარდიძეს თხოვდნენ, გაეგზავნა მათთვის ქართული კლუბის თურქულად გადათარგმნილი წესდება და ქართული წიგნები, რათა მათაც მისცემოდათ შესაძლებლობა ქართული ენის შესწავლისა და ხსენებული კლუბის წევრად გახდომისა.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლსა და მთელ თურქეთში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობდა, დალეჯიო მათ შესახებ საუბრის დროს გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მათმა დიდმა ნაწილმა არა თუ ქართული წერა-კითხვა, ქართულად საუბარიც კი არ იცოდა. მისი შეფასებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მუსულმან ქართველებში, რომელთაც „ეროვნული შეგნება საერთოდ არ ჰქონდათ განვითარებული“ (59, 14).

ასეთ ვითარებაში სტამბოლის ქართული სავანის ბერ-მონაზონთა მიერ გაჩაღებულ საგანმანთლებლო მოღვაწეობას უდიდესი პატრიოტული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი საქმიანობის შესახებ საუბრის დროს იტალიელი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ამახვილებს, რომ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირების ძალისხმევით ეროვნული გადაგვარების გზაზე დამდგარი ბევრი ქართველი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ნიადაგს და აღიდგინა ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად დათრგუნული ეროვნული ცნობიერება.

ნათქვამის დასტურად იგი იმ ქართველ კათოლიკეებს ასახელებს, რომელთაც „თავიანთი ქართველობა უარჰყვეს და თავიანთი თავი სომხებად აღიარეს.“ ბევრმა მათგანმა „თვით თავიანთი გვაროვნობის სახელწოდებაც დაივიწყა. ამ გადაგვარებულთა შორის შედარებით ცოტანი არიან, რომელთაც თავიანთი გვარი მაინც კიდევ ახსოვთ... მაგრამ მაინც დღეს თავიანთ თავს ქართველებად აღარ აღიარებენ“ (59, 20-21).

ამ გულსატკენი მდგომარეობიდან დალეჯიო ერთადერთ გამოსავალს ხედავს — „ქართველმა საზოგადოებამ მეტი პრაქტიკული ყურადღება მიაპყროს არა მარტო ოსმალეთის და კონსტანტინეპოლის ქართველ მუსულმანებს, არამედ თვით ქართველ ქრისტიანებსაც, რომელთაც არავითარი კულტურული დაწესებულება არა აქვთ, სადაც თავისუფლად შეეძლოთ ყოველი რწმენის და მისწრაფების ქართველთ მისვლა და პრაქტიკულად მუშაობა.“

სტამბოლის ქართული სავანის უმთავრეს მნიშვნელობას ევგენი დალეჯიო დ'ალესიო იმაში ხედავდა, რომ მას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს როლი უნდა შეესრულებინა არა მარტო კათოლიკე ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში, არამედ

მშობლიურ ქართულ ფესვებს მოწყვეტილი გამუსულმანებული ქართველების ეროვნული ცნობიერების აღდგენაშიც.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ყოველივე ამის შესახებ ესოდენი გულისტკივილითა და გულშემატკივრობით ქართველი კაცი კი არ წერს, არამედ ის უცხოელი, რომელმაც ღრმად და ობიექტური სიმართლით გაიაზრა ჩვენი ეროვნული ისტორიული ბედუკუღმართობის ტრაგიკული შედეგები და აქტიურად ცადა რეალური დახმარება გაეწია ქართველებისათვის ამ მდგომარეობის გამოსასწორებელ გზათა მოძებნაში.

დალეჯიო უდიდესი კმაყოფილებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში „ყოველგვარი საქართველოს მოგაგონებთ; აქ მოსული ქართველი სტუმარი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულის და თავის თავის უარის-ყოფის იმ ღრმა რწმენას, რომლითაც ეს თანამემამულენი აქ ცხოვრობენ, ნათესავ-მეგობრებს, ქართველებს და სამშობლოს მიწა-წყალს დაშორებულნი. ეს სავანე იზიდავს ქართველს იმიტომაც, რომ შიგ ნახავს ბევრ საგანს, რომელიც მოაგონებს საქართველოს ხალხის წარსულს თავისი სიძლიერის და სისუსტის ხანებით და აღუძრავს მომავალ არსებობის ძალას.“

ამ ამბით გულწრფელად გახარებული იტალიელი სწავლული კონსტანტინეპოლის ქართული სავანის ეროვნული მისიის ამგვარ დახასიათებასა და შეფასებას ემოციური პათეტიკის გამომხატველი ამ სიტყვებით აგვირგვინებს: „უცხოეთში გადმტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და აქ ნახავ შენ თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილობიან დახვედრას; მალე იგრძნობ, თვალით ნახავ არა მარტო შიგ მცხოვრებ ქართველების სახეზე შენი ქვეყნის და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. აი, აქ არის სულ უბრალოდ დახატული ქართველ წმინდანთა და მეფეთა ხატები და სამეფო გვარის ღერბი, საპატიო ადგილასაა თამარ მეფე, გამომხატველი ქართველი ერის სიძლიერე-აღორძინებისა და დიდი კულტურისა და მის გვერდით დავით მეფე, სურათი წარსული დი-

დებისა. აქვეა მგოსანი მესხი შოთა რუსთაველი, მისნი მიმდევარნი და გიორგი სააკაძე“ (59, 32).

დალეჯიოს ინფორმაციით, XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში თურმე თორმეტი ქართველი მღვდელი და ექვსი ძმა ეწეოდა სასულიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. აქვე არსებულ დედათა მონასტერში კი ოცდაორი მონაზონი ყოფილა დამკვიდრებული. იტალიელი ავტორის თქმით, „ამ ორივე საზოგადოების წევრები თითქმის ყველანი მესხეთიდან იყვნენ და ერთი მეორის ნათესავნი“ (59, 30).

იტალიელი ავტორის თქმით, ქართველი მღვდლების ღვთისმსახურების წყალობით, სტამბოლის ქართული ეკლესია „იმდენად ყოფილა სახელგანთქმული ოსმალეთის ძველი იმპერიის ფარგლებში“, რომ იქ „ყოველი გვარის ხალხი და ხშირად სხვა და სხვა სარწმუნოებისაც დაიარებოდა.“

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იტალიელი სწავლული სავსებით მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „ფერიკვეის სავანე მარტო სასულიერო დაწესებულება კი არ იყო, არამედ მასთან ერთად პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ერთი მეორის შემაკავშირებელნი არიან.“

* * *

გარდა ფერი-ქოის საეკლესიო კომპლექსისა, ქართული უბნები და კათოლიკური ეკლესიები სტამბოლის სხვა უბნებშიც საკმაოდ მრავლად არსებულა. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა წმინდა პეტრეს სახელობის ქართული ეკლესია გალათაში, უბანში, რომელსაც თავად თურქებმა გურჯი-კაპუ (ქართული კარი) უწოდეს. დალეჯიოს თქმით, „ძველათ ამ უბანში ქართველები ცხოვრობდნენ. მხოლოდ დღეს კი კავკასიის ტომებიდან ლაზების და აფხაზების მეტი არავინ არის. აქ მაინც შეხვდებით ქართული ენის მცოდნეს“ (59, 17). გურჯი-კაპუში ქართველების ცხოვრების დამადასტურებელ არგუმენტად დალეჯიო იქ არსებულ ქართულ სასაფლაოსაც ასახელებს, სადაც მის დრომდეც საკმაოდ მრავლად არსებულა ქართულწარწერიანი საფლავის ქვები.

ქართველების საცხოვრებელ უბანთა შორის ყოფილა აგრთვე ვეზირ-ხანიც, რომლის მკვიდრი ქართველები ძირითადად თურმე წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ. სტამბოლის ამ უბანში მდებარე „იენი ჯამეს (ახალი მეჩეთის) მარჯვნივ, სადაც თითქმის ასი წელიწადია რაც ქართველებს თავიანთი პატარ-პატარა სავაჭრო დუქნები ჰქონდათ, დალეჯიოს თქმით, მის დროს უკვე ერთის მეტი აღარ იყო“ (59, 17). იენი ჯამეს სტამბოლში ქართველთა ერთ-ერთ ძირითად საცხოვრებელ უბნად მიიჩნევდა აგრეთვე ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ გამოქვეყნებული წერილის სტამბოლელი ავტორიც. მისი თქმით, ეს ადგილი „ქართველთა ბუდეს წარმოადგენდა ძველი ძველათვე“ (75, 17). აქ ქართველებს შეძენილი ჰქონიათ სავაჭრო და სასტუმრო სახლები (ოდები).

თავიანთი განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილები ქართველებს ტაქსიმის ძველ უბანშიც ჰქონიათ. აქვე ყოფილა მათი სასაფლაოც. დალეჯიო გულისტკივილით აუწყებს მკითხველს იმ ფაქტს, რომ სასაფლაოს ქართულწარწერებიანი ქვების ერთი ნაწილი „სომხებმა გაალალეს და მოიხმარეს თავიანთი საავადმყოფოს შენობისათვის, რომელიც ამ ადგილის პირდაპირ (იგულისხმება ტაქსიმის სასაფლაო — ა. ნ.) მდებარეობდა“ (59, 17).

ნათქვამისთავის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით იტალიელი ავტორი იქვე ცნობილი მწიგნობრისა და კათოლიკე ბერის — ივანე გვარამაძის ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერსაც იშველიებს: „ამ საფლავის ქვების გარდა, კიდევ არის ორასზედ მეტი გადაზიდული კათოლიკე სომეხთა, წმინდა იაკობის ეკლესიაში. თითქმის ყველა ქვები ეკლესიის შენობაში იხმარეს და დანარჩენი იმავე ეკლესიაში იატაკად დააგეს. ამ ქვებზე ყველა წარწერები მეტი სიარულით თითქმის ერთიან წაშლილია, მხოლოდ იმდენად ეტყობა, რომ გაირჩევა ქართული ნაწერი.“

დალეჯიოს მტკიცებით, „ქართული ძველი სავანის ნაადგილევი არის ფიალი ფაშის მეჩეთიც. ეს მეჩეთი არის ბეუკ-ფიალიაში, კასიმ-ფაშის უბანში, რომელიც მდებარეობს პერის დასავლეთ ნაწილში და ოქროს რქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.“ გადმოცემის მიხედვით, ფიალი ფაშა წარმოშობით ქართველი ყოფილა და მის მიერვე აგებული მეჩეთის ეზოშია დაკრძალული. ქართველ მღვდლებს სას-

წავლებლები და ეკლესიები ჰქონიათ აგრეთვე ვეზირხანში, პერას უბანსა და პაპას-კვერში.

მ. თამარაშვილის გადმოცემით, ქართული უბნები ასევე უნდა არსებულიყო ჰრომანას ხევში, სოსთენესა და ანასტაზიას რაიონებშიც. ქართული სკოლები კი, ფერი-ქოიში მდებარე ქართული მონასტრის გარდა, უსკუდარსა და იენიშარშიც ყოფილა გახსნილი.

სამწუხაროდ, ჟამთა სვლამ სტამბოლში არსებული ქართული უბნებისა და ეკლესია-მონასტრების ნაკვალევი თითქმის მთლიანად წაშალა. „გადარჩა მხოლოდ ფერი-ქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკითა და სიძველეთსაცავით. ეს სავანე, საყდარი, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მესამედში გადაიქცა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურისა და განათლების ცენტრად, მათი ერთიანობისა და ძმობის ტაძრად, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა მშობლიურ კერად. აქაურმა მღვდელმა მერაბმა საყდარში დააარსა ურთიერთდახმარების საზოგადოება ოსმალეთში მცხოვრებ ქართველთათვის, სარწმუნოების განურჩევლად. ამ საქმეში მას ფინანსურად ეხმარებოდა თავისი ძმა _ აბაშეთის (აბისინიის) იმპერატორის მანელიქ მეორის პირადი ექიმი, ამ მონასტერში აღზრდილი პეტრე მერაბიშვილი. 1894 წელს აშენებულ მონასტრის ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე, მათ მოწყობილი ჰქონდათ სასტუმრო სტამბოლში ჩასული უბინაო, ხელმოკლე ქართველებისათვის“ (57).

* * *

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტამბოლის ქართული ეკლესია ფერი-ქოის სახელით ცნობილ უბაში მდებარეობს და ქართულად ანგელოსთა სოფელს (უბანს) ნიშნავს. ხსენებული სახელწოდების შინაარსობრივმა მნიშვნელობამ კაცს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც შეუქმნას, თითქოს იმ ადგილის სახელი, სადაც ხსენებული მონასტერი მდებარეობს, სპეციალურადაც კი იყოს შერჩეული.

იმ დროს, როდესაც კონსტანტინეპოლის სავანე აშენდა, ეს უბანი ქალაქის განაპირა რაიონს წარმოადგენდა, დღეს კი იგი სტამბოლის ერთ-ერთი ცენტრალური რაიონია.

თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის ფონდმა, რომელიც 2000 წელს ჩამოყალიბდა სტამბოლში, სხვა მნიშვნელოვან საქმეებთან ერთად, ხსენებული სავანის მოვლა-პატრონობაზეც დაიწყო ზრუნვა. კერძოდ, მისი მიწვევითა და დაფინანსებით, სტამბოლის ქართულ მონასტერში დაცული მასალების შესასწავლად მათ საქართველოდან 15 თვით მიიწვიეს ქართველ მეცნიერთა ჯგუფი პროფ. შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით.

ქართული მონასტრით ფონდის ხელმძღვანელობის ამგვარი დაინტერესება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი თავკაცები ქართული წარმომავლობის თურქი მოქალაქეები არიან.

როგორც შ. ფუტკარაძის წერილებიდან ვგებულობთ, მიუხედავად თავდაუზოგავი და ინტენსიური მუშაობისა, სამეცნიერო დელეგაციის წევრებმა მათთვის განკუთვნილ დროში სტამბოლის წიგნთსაცავში დაცული მასალების მხოლოდ ნაწილობრივი დამუშავება მოასწრეს. მეტი სიზუსტისათვის დავიმოწმებ ფრაგმენტს შ. ფუტკარაძის ერთ-ერთი სტატიიდან: „შევისწავლეთ 5 ოთახში განთავსებული ლიტერატურა. აღვრიცხეთ 51 ათასი ერთეული (წიგნი, ბროშურა, ჟურნალი, გაზეთი, საარქივო მასალა). აქ დაცული წიგნების ასაკი იწყება 1523 წლიდან. აქვეა დაცული უძველესი, 1629 წლის ქართული ნაბეჭდი წიგნი. არის ხელნაწერებიც, მიმოწერის ბარათები, ფოტომასალა, ემიგრანტული ლიტერატურა. წიგნები და ჟურნალ-გათეზები 17 ენაზეა გამოცემული. საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა გახლავთ“ (57).

მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებულ ფრაგმენტში მოხსენიებული მასალების დიდი ნაწილი ჯერჯერობით უცნობია და ხელმიუწვდომელი დაინტერსებულ პირთათვის, მკითხველი მაინც უყოყმანოდ დამეთანხმება იმაში, რაოდენ ძვირფასი და ფასდაუდებელი მნიშვნელობისაც იქნება ისინი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესასწავლად.

ბევრ სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალასთან ერთად, მონასტრის წიგნთსაცავში შ. ფუტკარაძემ იპოვა და ზემოხსენებულ წერილში მთლიანი სახით გამოაქვეყნა ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო დოკუმენტი — მონასტრის წინამძღვრის (მართალია, მისი გვარი დოკუმენტში დასახელებული არ არის, მაგრამ, რადგანაც

მონასტრის წინამძღვარი იმხანად პიო ბალიძე იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული დოკუმენტი სწორედ მისი დაწერილია) იმ მოსხენებითი ბარათის ასლი, რომელიც მას 1949 წლის 28 აპრილს გამოუგზავნია თბილისში ერთ-ერთი იმდროინდელი მაღალჩინოსნის — ვინმე სანდრო სააკაშვილისათვის. აღნიშნული მოხსენებითი ბარათის დაწერის საფუძველი ის ფაქტი გამხდარა, რომ სტამბოლში მყოფი სააკაშვილი ქართველთა მონასტერსაც წვევია სტუმრად.

ამ ამბით გახარებულ მონასტრის წინამძღვარს მოგვიანებით სპეციალური მოხსენებითი ბარათი გაუგზავნია ქართველი ჩინოსნისათვის და იმის იმედით, რომ საქართველოს ხელისუფლება დახმარებას აღმოუჩენდათ, მისთვის მონასტერში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებაც მიუწოდებია კონკრეტული ინფორმაცია.

აღნიშნული მოხსენებითი ბარათისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი უშუალოდ ამ მონასტერში მოღვაწე პიროვნების მიერაა დაწერილი, რაც მის მიერ მოწვდილ ცნობებს მეტ დამაჯერებლობას სძენს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა და ამ ბარათიდანაც თვალნათლივ ჩანს, გარდა ხსენებული მონასტრისა, ქართველ კათოლიკეებს ეკლესიები არა მარტო სტამბოლის სხვა უბნებშიც ჰქონიათ აგებული, არამედ თურქეთის სხვა ქალაქებშიც. მისი თქმით, რაც პეტრე ხარისჭირაშვილის „ნაოცნებარმა ფრთები შეისხა“ და კონსტანტინეპოლის ხსენებული მონასტერი აშენდა, მათმა „ძმობამ საკმაო ძალა მოიკრიბა და ოსმალეთის სხვადასხვა ადგილას სამუშაო პუნქტები გაიჩინა. კესარიაში და თრაქიაში ორი მისია მოაწყო. ძმობის მოღვაწეობამ სახელი განსაკუთრებით სტამბოლში გაითქვა, ქალაქის სხვადასხვა უბანში გაიდგა ფესვები: უსკუდარში ააგო სამრევლო ეკლესია და სადგური ბინა; პერაზე, ფაფას-კვეპრის უბანში ვაჟებისათვის დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა და მასთან ერთად ქართულ ტიპიკონზე მოწყობილი პატარა სალოცავი მოაწყო სტამბოლში მყოფ ქართველთავის.“

ასეთი ფართო სასულიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა სტამბოლში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეებს, სამწუხაროდ, 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, გაუგრძელებიათ. ამ ომის დაწყების შემდეგ კი იძულებული გამხდარან, ქვეყანასა და მსოფლიოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებისთვის ანგა-

რიში გაეწიათ და საქმიანობის მასშტაბები შეემცირებინათ. მონასტრის წინამძღვრის თქმით, ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა მათი „ამდენი წლის ნაშრომ-ნაღვაწიც თან გაიყოლა... საბრალო ძმობა დაემორჩილა თავის მწარე ბედსა."

მონასტრის სასულიერო პირებმა შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად თავის დროზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთანაც ცადეს დაკავშირება, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ: მართალია, „მთავრობა სიტყვით ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდა ძმობას, საქმით კი არა ფერი ჩანდა. დამარცხებული მენშევიკები მონასტრის კარებს რომ მოადგნენ, სინანულს მიეცნენ და გაიძახოდნენ: „რა დაგვიჯდებოდა, ამ მონასტრისათვის რო ღირსეული დახმარება გაგვეწიაო?!"

აუწყებდა რა ყოველივე ზემოთქმულს ქართველ მაღალჩინოსანს, მონასტრის წინამძღვარი იმედს გამოთქვამდა, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება მაინც გამოიჩენდა სათანადო გულისხმიერებას და სტამბოლის ქართულ სავანეს, რომელიც „უცხოეთში დაცულ პატარა საქართველოს" წარმოადგენდა, მზრუნველობას არ მოაკლებდა, დაიცავდა და უპატრონებდა. იმისათვის, რომ მკითხველმა უფრო ღრმად და ნათლად გაიაზროს ყოველივე ზემოთქმულის არსი, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული მოხსენებითი ბარათიდან:

„... სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ თბილისი ჩვენს მდგომარეობაში შევა და ჯეროვან ყურადღებას მოგვაქცევენ. ვართ უცხო ქვეყანაში უპატრონოთ დარჩენილნი. ჩვენ ვართ განწირულნი ერისთვისა და სამშობლოსთვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადაგვირაზა; მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცვეს; ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს?!..

კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი თავშესაფარი ყოველი ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენის და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება, ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქმნეს."

სამწუხაროდ, მონასტრის წინამღძვრის მოხსენებით ბარათს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია და საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას, მკითხველისათვის ადვილად გასაგები მიზეზების გამო, სტამბოლის ქართული სავანის მიმართ არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია.

გულსატკენი ისიც არის, რომ ვითარება არსებითად არც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში შეცვლილა და სტამბოლში არსებული ეს „პატარა საქართველო“ კვლავაც მომავალში ელის ჭეშმარიტ პატრონსა და ჭირისუფალს.

* * *

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტამბოლის ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი არა მარტო ღვთისმსახურება იყო, არამედ აქტიური ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობაც. საამისო ტრადიციას ხსენებულ მონასტერში საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, პეტრე ხარისჭირაშვილმა ჩაუყარა. თანამედროვეთა ცნობით, იგი განსაკუთრებულ მზურნველობას იჩენდა კონსტანტინეპოლსა და, საერთოდ, მთელს თურქეთში მცხოვრები იმ ქართველების მიმართ, რომელნიც ეროვნულადაც და სარწმუნოებრივადაც იყვნენ მოწყვეტილნი მშობლიურ ქართულ წიაღს. პატრიოტული ენთუზიაზმით გულანთებული ეს უპრეტენზიო მამულიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მისი და მისნაირი მონდომების მქონე ადამიანთა მცდელობა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა და საბოლოოდ ისტორიული ბედუკუღმართობის მსხვერპლად ქცეული ჩვენი თანამემამულეების გულშიც გაღვივდებოდა ქართული სული და თვითშეგნება.

ამ დიდი მიზანსწრაფვის რეალურად განხორციელებას იგი იმითაც ცდილობდა, რომ სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი არაერთი ტყვე ქართველი გამოიხსნა საკუთარი ფულით და დააბრუნა სამშობლოში.

იმისათვის, რომ თანამემამულეებისთვის მეტი მატერიალური დახმარების გაწევის შესაძლებლობა ჰქონოდა, პ. ხარისჭირაშვილს სტამბოლში სავაჭრო ამხანაგობის დაფუძნებაც განუზრახავს. იგი

ღრმად ყოფილა დარწმუნებული იმაში, რომ მსგავსი ორგანიზაციების შექმნით ქართველი ხალხი ევროპული ვაჭრობის წესსა და გამოცდილებას შეიძენდა და კიდევ უფრო მეტად წავიდოდა წინ.

სავაჭრო ამხანაგობის მიერ შეგროვებული საქველმოქმედო თანხა ძმობის საერთო ფონდში გადადიოდა და სხვადასხვა საჭიროებებს ხმარდებოდა. შ. ლომსაძის გაანგარიშებით, „1900 წლისათვის ამხანაგობის განკარგულებაში ყოფილა 5 დუქანი და სხვა სავაჭრო, რომლის წლიური შემოსავალი უდრიდა 4 000 მანეთზე მეტს. 1900 წლისათვის ძმობას ბანკში დაბანდებული ჰქონდა 45 000 მანეთი. გარდა ამისა, ძმობას ჰქონდა ძროხების პატარა ფერმაც, სადაც საჭირო იყო დაქირავებული მუშახელი“ (35, 167).

სტამბოლის ქართული სავაჭრო ამხანაგობის შემოსავლებთან და მათ ხარჯვასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებულ ვინმე ფარსმანის წერილში — „სტამბოლის ქართველობა.“ ავტორის ცნობით, „სტამბოლის ქართული საზოგადოების მოღვაწეობა თან და თან იმაგრებდა ფეხს და წინ მიდიოდა. აქ არსებულ დამხმარე კასას საანგარიშო წელს (იგულისხმება 1910 წელი — ა. ნ.) შემოსავალი 696 პიასტრი ჰქონდა, გასავალი 792 პიასტრი. ზედმეტი ხარჯი წავიდა სამშობლოდან მიღებული წიგნების დახსნა-გამოტანაზე და ხელმოკლე გაჭირვებულ პირთა შემწეობაზე.“

სტამბოლის ქართული სავანის შემოსავლებს, გარკვეულწილად, საქართველოდან ცალკეულ პიროვნებათაგან მიღებული ფულადი და სხვადასხვა სახის მატერიალური შეწირულობებიც ზრდიდა. მაგალითად, 1916 წლის 22 ივნისს ახალციხეში გარდაცვლილ მღვდელ პავლე ყალაიჯიშვილს სავანისათვის 10 000 მანეთი უანდერძებია (31, 26).

სავანის ფინანსური შემოსავლების მასაზრდოებელ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს მღვდელმსახურების შედეგად მიღებული თანხაც შეადგენდა. ამ თანხის რაოდენობას არსებითად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ სტამბოლის ქართული ეკლესიის მრევლი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა. მაგალითად, „სახალხო გაზეთის“ სტამბოლელი კორესპონდენტის ცნობით, „1890-90-იან წლებში სტამბოლის არც ერთ სამლოცველოს იმდენი მრევლი არ ესწრებოდა, რამდენიც ქართულ მონასტერს“ (51).

სტამბოლის ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა ცდილობდა კავშირი დაემყარებინა საქართველოში არსებულ ანალოგიურ ამხანაგობებთან და მათი დახმარებით ევროპაში ჩვენი ქვეყნიდანაც გაეტანა გასაყიდად იქ დამზადებული პროდუქცია. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, „პ. ხარისჭირაშვილი უკანასკნელ დროებში სულ ამაზე ოცნებობდა, სულ ამაზე ფიქრობდა, რომ ქართველ გვარს ამ გზით მაინც გაუწიოს სამსახური, მაგრამ იგი ამის განხორციელებას ვერ მოესწრო“ (69, 83).

XIX საუკუნის 90-იან წლებში ეკლესიის გვერდით, მონასტერში მოღვაწე ბერებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და სტამბოლში სტუმრად ჩასული ქართველების მისაღებად, ოთხსართულიანი კაპიტალური შენობაც იქნა აგებული. მისი პირველი სართული სტამბას ჰქონია დათმობილი. მეორე და მესამე სართულებზე ბერების საცხოვრებელი „კელიები“ ყოფილა განთავსებული (სულ ოცი ოთახი თავთავისი სველი წერტილებით), მეოთხე სართულის ათი ოთახი კი კარგად მოწყობილ სასტუმროს წარმოადგენდა.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში მონასტრის ზემოთხსენებულ შენობაში სტამბოლის სავანის ახლანდელ ჭირისუფალსა და მომვლელს — ბატონ სიმონ ზაზაძეს თურქეთში საქართველოს საკონსულოს გახსნაც დაუპირებია, რაზეც გამსახურდიაც ყოფილა თანახმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში იმხანად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო განზრახვა განზრახვად დარჩა და მისი რეალურად განხორციელება ვერ მოხერხდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარე ეს კაპიტალური შენობა სათანადო სარემონტო სამუშაოების შესრულების შემდეგ მართლაც საუკეთესო ნაგებობად იქცევა, ამის გაკეთება ნამდვილად დიდი საქმე იქნება.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის იმ მესვეურთაგან, რომელთაც სავანის სამომავლო ბედის გარკვევასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა რეალურად ხელეწიფებოდათ და ხელეწიფებათ, ჯერჯერობით არავინ დაინტერესებულა.

ხსენებული შენობის მესამე სართულზე ყოფილა განთავსებული არქივი და ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა 1908 წელს გაუხსნიათ და

მისთვის აკაკი წერეთლის სახელი მიუნიჭებიათ. როგორც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, სავანის მღვდელ-მსახურებს ქართული ბიბლიოთეკის გახსნა მანამდეც უცდიათ, მაგრამ ამის რეალურად გაკეთება 1908 წლამდე ვერ მოუხერხებიათ.

მაგალითად, გაზეთ „კვალის“ 1895 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ვინმე ემმა მკითხველს იმ სიძნელეთა შესახებ ესაუბრება, რაც სტამბოლელ მღვდელმსახურებს მათი მიზნის პრაქტიკულ განხორციელებაში უშლიდათ ხელს. „აქ, სტამბოლში, ყოველ ნაირი და თითქმის ყველა ენაზე მოიპოვება: შკოლა, თეატრი, წიგნთ-საცავი, ბიბლიოთეკა, კლუბი, ამხანაგობა და სხვ. ქართულად კი სრულებით ვერას შეხვდებით. ქართველზე უარეს მდგომარეობაში აქ სტამბოლში მაინც არავინ მოიძებნება... აგერ ერთ წელზე მეტია, რაც მე მოვიწადინე აქ ერთი პატარა ბიბლიოთეკა დამეარსებინა, მცირეოდენი ქართულ-რუსული წიგნები შევიძინე კიდეც, ასე ასი ცალი სხვა-და-სხვა წიგნები უკვე მაქვს, ძრიელ მოწადინებული ვიყავი გამეფართოებია, ყველა ჩვენი ქართული გამოცემები — ჟურნალ-გაზეთები და ორი-სამი რუსულიც გამოვიწერე, მხოლოდ თანაგრძნობა აქაურ ქართველთა შორის მაინც ვერ მოვიპოვე. სომხურს უფრო ხალისით კითხულობენ, ვიდრე ქართულს.“

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, წერილის ავტორი მკითხველს იქვე იმასაც აუწყებს, რომ იგი უკან დახევას მაინც არ აპირებდა და ყველაფერს გააკეთებდა ქართული ბიბლიოთეკის დასაარსებლად. ამ მიზნის მისაღწევად ის დაბეჯითებით თხოვდა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურებს, თუ მთლად უფასოდ არა, „ნახევარ ფასში მაინც“ მიეცათ მისთვის მათი გამოცემები.

როგორც ხსენებული პუბლიკაციიდან ვგებულობთ, წერილის ავტორს, ბიბლიოთეკის დაარსებასთან ერთად, საკვირაო ჟურნალის გამოცემაც ჰქონია განზრახული ქართულ ენაზე. მისი თქმით, ამით მას სურდა, ის სტამბოლელი ქართველები, რომელთაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდნენ, მშობლიურ ენაზე გაცნობოდნენ როგორც იქაურ, ისე საქართველოს ამბებს.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირები ფიზიკურად იყვნენ განშორებულნი საქართველოს, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, არა მარტო თავად რომ არ მოწყვეტოდნენ მშობლიურ ფესვებს, არამედ სამშობლოს გარეთ მცხოვრები ქართველებიც. ამ მიზნით სავანის მღვდელმსახურნი სისტემატურად ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად გამოხმაურებოდნენ ყველა იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, რაც იმჟამად ხდებოდა საქართველოში. სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის იუბილე, რომელიც მათ პოეტურ ასპარეზზე აკაკი წერეთლის გამოსვლის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართეს სავანეში.

სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურთა განსაკუთრებულად პატივისმცემლური დამოკიდებულება აკაკისადმი იმ ფაქტითაც ყოფილა განპირობებული, რომ, როგორც სათანადო მემუარული ლიტერატურიდან ნათლად ჩანს, მსგავს კეთილგანწყობილებასა და ყურადღებას სტამბოლელი ბერ-მონაზვნებისადმი თურმე თავად პოეტიც იჩენდა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პოეტის მეგობარი ივანე ელიაშვილი.

კერძოდ, თავის მოგონებაში იგი წერს: „როცა დიდი უფულობა დაუდგებოდა, აკაკი დაიწყებდა ბავშვივით ჟინიანობას, მიზეზიანობას. ყველაფერში დამნაშავე იყო ქართველი ინტელიგენცია, რომელსაც „სურს მისი სიკვდილი და ამიტომ არა თუ ხელს არ უწყობს გაჭირვების დროს, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ ცდილობს დაიმშეს და მოკვდეს.“.. მაშინ მოუვიდოდა ოსმალეთში გადასახლების ჟინი. რა უნდა გააკეთო-მეთქი ოსმალეთში, რომ შევეკითხე, მიპასუხა: იქ, სტამბოლში, არის წმ. მარინეს მონასტერი (იგულისხმება ქართული კათოლიკური ეკლესია — ა. ნ.), რომელშიც მოღვაწეობენ ქართველი კათოლიკე ბერ-მონაზვნები. მივალ იმათთან, იქ წყნარად და დამშვიდებით ერთიორად ნაყოფიერად ვიმუშავებ, დარწმუნებული, რომ ბერები მამაშვილურად მომივლიანო. გაჩნდებოდა საიდანმე თუნდაც ცოტაოდენი ფული თუ არა, ოსმალეთზე ფიქრიც გაქრებოდა და ბავშვური უხიაგობაც“ (37, 143).

როგორც ცნობილია, 1909 წელს ა. წერეთელი პარიზში გაემგზავრა

სამკურნალოდ. იმის გამო, რომ საფრანგეთში გემით მიმავალ პოეტს გზად სტამბოლშიც მოუწევდა გავლა, სავანის მღვდელმსახურებმა გადაწყვიტეს შემთხვევით ესარგებლათ და თავად პოეტის უშუალო მონაწილეობით გაემართათ მისი საიუბილეო საღამო. სამწუხაროდ, პარიზში დაგვიანებით გამგზავრების გამო, სტამბოლში დაგეგმილ საიუბილეო საღამოზე დასწრება აკაკიმ იმხანად ვერ შეძლო. ამისდა მიუხედავად, სავანეში 1909 წლის 26 აპრილს თავად პოეტის მონაწილეობის გარეშეც აღნიშნეს დიდი ზარ-ზეიმით სამწერლო ასპარეზზე აკაკის გამოსვლის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. საიუბილეო საღამოს უამრავი ქართველობა დასწრებია — ქრისტიანებიცა და მაჰმადიანებიც. იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესაც. მაგალითად, „დროებაში“ გაზეთის სტამბოლელმა კორესპონდენტმა ქართველიშვილმა აღნიშნული მოვლენა შემდეგნაირად გააშუქა:

„ვინც 26 აპრილს ფერი-ქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო, იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე. მონასტრის უმცროს ძმების ხელით მშვენივრად იყო მორთული საკმაოდ მოზრდილი ზალა და სურათი აკაკისა. სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: „აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი.“.. ორ საათზე ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავისი ოჯახებით. დაესწრო სხვათა შორის სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით დაძევებული და დღეს აქ მყოფი რუსული გაზეთების კორესპონდენტი ი. ამირაჯიბი. მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენდა სასიამოვნოდ, მაჰმადიანი ქართველებიც. მართალია, რიცხვით მცირე იყვნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ეს მხოლოდ შემთხვევის გამო იყო. გული მწყდება, რომ ბევრი პატივსაცემი მაჰმადიანი ქართველი უკვდავებასავით ელოდა ამ დღეს, მაგრამ ვინ იცის სამსახურმა ვის რა საქმე გაუჩინა... სამ საათზე პარაკლისი გადაიხადა მონასტრის უფროსის მოადგილემ, პატრი სტეფანე გიორგაძემ ქართული საგალობელით და თვითონვე პირველმა წარმოსთქვა სიტყვა, ძღვნილი აკაკისადმი. იასე რაჭველმა წაიკითხა დაბეჭდილი ბიოგრაფია აკაკისა რამდენიმე მისის ლექსით და თავის მიერ დაწერილი სიტყვა აკაკიზე, საიუბილეო კომიტეტის

თავმჯდომარემ ვლ. წერეთელმა ილაპარაკა სხვა და სხვა იუბილესთან შესაფერ საგნებზე. შემდეგ მონასტრის ეზოში დამსწრეთ საერთო სურათი გადაიღეს. ნამდვილი ლხინი გაიმართა ბიბლიოთეკის გახსნაზე. დაათვალიერეს წიგნების შკაფი, რომლის თავთ ჰშვენოდა საქართველოს ღერბი, ხოლო რაც ზედმეტი წიგნი იყო, იქვე დაურიგდა, ვისაც შეხვდა“ (11).

საიუბილეო საღამოს შეფასების დროს წერილის ავტორი პატრიოტული მღელვარებით იხსენებს იმ სურათს, „როდესაც ერთ სახლში, ერთის ჭერქვეშ, აკაკის სურათის წინ“ ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები და ერთიმეორის ამბებს კითხულობდნენ. „ქართველ კათოლიკეთა პატრები კი, რომელნიც გადამახინჯებულს ბერულს ფორმალისტობას არ მისდევდნენ და თავიანთი ნათელის სახით ეს შეკრებილობა დაამშვენეს, ხალხში ჩადგნენ, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, და აკაკის დღეობა ერთი-ორად საგულისხმო გახადეს.“

მართალია, სტამბოლის ქართულ სავანეში გამართულ ზემოთ აღნიშნულ საიუბილეო საღამოს თავად აკაკი ვერ დაესწრო, მაგრამ 1909 წლის ივლისის მეორე ნახევარში პარიზში სამკურნალოდ მიმავალმა პოეტმა მაინც შეძლო იქაურ ქართველებთან შეხვედრის გამართვა. როგორც ცნობილია, ხსენებული წლის 14 ივლისს აკაკი სტამბოლის გავლით, გემით, გაემგზავრა საფრანგეთში. იმის გამო, რომ გემი სავაჭრო დანიშნულებისა ყოფილა, იგი გზად თურმე ყველა დიდ ქალაქში ჩერდებოდა, რამაც პოეტს შესაძლებლობა მისცა, თურქეთის, საბერძნეთისა და იტალიის ღირსშესანიშნაობანიც რომ დაეთვალიერებინა. სწორედ ამ მოგზაურობის დროს უნახავს მას ქალაქი ტრაპიზონი, სადაც ქართველთა უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე იყო დასაფლავებული.

როგორც ი. გოგებაშვილისათვის ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით გაგზავნილი პირადი წერილიდან ვგებულობთ, გზად მიმავალი აკაკი სტამბოლშიც გაჩერებულა საკმაო ხანს. „სტამბოლში ნამორაძე ვნახე, — წერს ის ი. გოგებაშვილს. — პატრების მონასტერში მოუკალათებია. თავდადებულია, მაგრამ ცოტა ფრთხილი“ (37, 122).

სტამბოლის სავანის ბერ-მონაზვნებმა, საერთოდ, იქაურმა ქართველებმა, აკაკის თურმე ძალზე გულთბილი და ხალხმრავალი

შეხვედრა მოუწყვეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „დროებაში“ გარდახვეწილის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „აკაკი სტამბოლში (წერილი სტამბოლიდან)“ აღნიშნული შეხვედრის ამბავი შემდეგნაირად იყო მოთხრობილი: „აქ გზად გაიარა ევროპაში მიმავალმა აკაკი წერეთელმა. აქაურ ქართველობას მოლოდინი არა ჰქონდა, რადგან მისი განზრახული მოგზაურობა წინ-და-წინ არავინ იცოდა. მხოლოდ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა ვ. ჯ. წერეთელმა მიიღო წინა დღით კერძო დეპეშა და მთელი საზოგადოება მიიწვია აკაკის დასახვედრად.

ამ დღეს დილა ადრიან სტამბულის ნავთ-სადგურში თავი მოიყარა აქაურ ქართველთა პატარა ოჯახმა. ყველას საქმისთვის თავი დაენებებინა. ლაპარაკი აკაკის სახელის გარშემო ტრიალებდა. ყველა მოუთმენელის სიხარულით ელოდა ჰაკეს გემს, რომელსაც ჩვენი სასიქადულო სტუმარი უნდა მოეყვანა.

პატარა ხანს უკან გემიც შემოვიდა და ნავთ-სადგურში და იმის ბაქანზედ გამოჩნდა ჩვენის მხცოვანის მგოსნის ჭაღარით მოსილი თავი.

ძნელი გამოსათქმელია სიტყვებით ის პირუთვნელი სიხარული და აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს იმის დანახვაზე ამ შორეულ უცხოეთში ცხოვრების ბრუნვისაგან გადმოსრულმა ქართველებმა — დიდი, პატარა, ყველა მოეშურებოდა თავის თვალით ენახა სამშობლოს საკეთილდღეო მწარე მუშაობაში დაბერებული მოხუცი... უყურებდით მას და თვალწინ გეხატებოდა ჩვენი ქვეყნის ტკბილ-მწარე წარსული. ცოცხალის მოძრავის ბავშვივით გულუბრყვილო, თავის ღირსებებთან და ჭაღარასთან ერთად, უნებურად ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ მეხატებოდა“ (14).

სახელდახელოდ გამართული შეხვედრის დროს პოეტისთვის მისასალმებელი სიტყვით მიუმართავს ვლადიმერ წერეთელს და სა-პატიო სტუმარი გემიდან ხმელეთზე გადაუყვანია. ყველას ძალიან დაწყდა გული, როცა შეიტყვეს, რომ აკაკი იმ ღამესვე უნდა გამგზავრებულიყო მათგან. პოეტის სურვილით, პირველად მას თურმე „ქართველ კათოლიკეთა ფერიქევის მონასტერი დაუთვალიერებია, სადაც ებაასა ქართველ პატრებს და შეკრებილს ხალხს. ყველა გულდადებით ისმენდა საყვარელ მგოსნის თითოეულ სიტყვას“ (14).

ამის მერე აკაკი ჯერ სტამბოლში მცხოვრები ქართველების — ივანე სიდავასა და ვლადიმერ წერეთლის ოჯახებში მიუწვევიათ სტუმრად, შემდეგ სტამბოლის საუკეთესო სასტუმროში მისთვის „საზოგადო სადილი“ გაუმართავთ, ბოლოს კი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები დაუთვალიერებიათ. პარლამენტის დათვალიერების დროს აკაკის ქართველი მუსულმანი დეპუტატებიც შეხვედრიან უდიდესი პატივისცემით. იმის იმედით, რომ პარიზიდან უკან დაბრუნებულ პოეტს განმეორებითაც შეხვდებოდნენ, სტამბოლელი ქართველები საღამოს გულდაწყვეტილნი გამომშვიდობებიან საპატიო სტუმარს.

აკაკისთან შეხვედრას სტამბოლელ ქართველებზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ამ შეხვედრის დროს წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები მათ 1909 წლის 21 აგვისტოს მოწვეულ სპეციალურ ყრილობაზეც კი განუხილავთ. ამასთან დაკავშირებით პატრი მერაბიშვილი აკაკისათვის გაგზავნილ წერილში წერდა: „ამ ენკენის 5, თქვენებურად 23 აგვისტოს, მოვახდინეთ ქართველების ყრილობა. ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა ივანე სიდავა. ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა ვინმე გელაძემ, რომელიც თურმე „ყველასათვის საამური არ იქნა, რადგან იგი რუსის კონსულს შეეხებოდა — ხოლო აქაურები ყველანი კონსულატის შემხედავები არიან და მის საწყენ საქმეს ვერ შეუდგებიან.“ პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა აგრეთვე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა ქუთაისის არქიმანდრიტ ნიკოლოზისა, რომელიც იმხანად სპეციალურად კონსტანტინოპოლში იყო ჩასული. ყრილობაზე იქნა აგრეთვე შემუშავებული პრაქტიკული გეგმა, თუ როგორ უნდა დახვედროდა ქართული კოლონია უკან დაბრუნებულ და გზად გამოვლილ აკაკი წერეთელს. „თქვენს გამოვლაზედ, რაც გავლისას ვერ მოვახერხეთ, — წერდა აკაკის მერაბიშვილი, — ე. ი. თქვენი მიღება ერთხელ მთელი ქართველების შეკრებაზედ, გადავწყვიტეთ და აუცილებლად აქეთ უნდა ჩამოიაროთ“ (35, 200).

სამწუხაროდ, ძირითადად ფინანსური პრობლემების გამო, აკაკიმ სტამბოლელ ქართველებს თხოვნა ვერ შეუსრულა და სამშობლოში სულ სხვა გზით დაბრუნებულმა განმეორებით მათთან შეხვედრა უკვე ვეღარ მოახერხა.

* * *

სტამბოლის ქართული მონასტერი ქართველ ლტოლვილთა და ემიგრანტთა თავშესაყრელ ადგილსაც წარმოადგენდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. გარდა კათოლიკე ქართველებისა, თანამედროვეთა ცნობით, იქ თურმე სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მიმდევარი ჩვენი თანამემამულეებიც ხშირად იკრიბებოდნენ და იქაური ბერ-მონაზვნებისაგან უშურველად იღებდნენ დაუმადლებელ საზრდოს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ამ მონასტრის სასულიერო პირებს 1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგიკული მოვლენების შემდგომ თვეებსა და წლებში შეუსრულებიათ. კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის უდიდესმა ნაწილმა მთავრობის თავმჯდომარის — ნოე ჟორდანიას მეთაურობით თავდაპირველად სწორედ ამ მონასტერთან არსებულ სასტუმროში ჰპოვა თავშესაფარი და მხოლოდ ამის შემდგომ წავიდა ემიგრაციაში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურს — შალვა ვარდიძეს მაშინ ასეთი ლექსიც დაუწერია:

ლტოლვილები მომეჯარნენ საზღვარგარეთ უდაბნოში,
შევიკედლე ცრემლოვანმა, ჭირნახულნი ამ ჩემს ქოხში (54, 17).

სავანეს თავშეფარებული ნ. ჟორდანიას მთავრობის წევრები, ქართველ მღვდელმსახურთა უანგარო თანადგომითა და მზრუნველობით მოხიბლულნი და აღფრთოვანებულნი, თურმე სინანულით გაიძახოდნენ: „რა დაგვიჯდებოდა, ამ მონასტრისათვის ღირსეული სამსახური რომ გაგვეწიაო.“ თავად ნ. ჟორდანიამ კი პირადად მისი სინანული მონასტრის მღვდელმსახურთა მიმართ გამოვლენილი გულგრილობის გამო შემდეგნაირად გამოხატა: „ეს რომ მცოდნოდა, თუ სამშობლოსათვის როგორი თავდადებული და დიდი მოღვაწეები იყვნენ სტამბოლის ქართველ მამათა მონასტრის ბინადარნი, სწორედ მათი თხოვნა უნდა შემესრულებინა და დახმარების ხელი გამეწოდებინა იმ მოთხოვნაზე, რომელსაც ესენი მიგზავნიდნენ. მაშინ თავს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავიგდებდი“ (54, 19).

გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა, გასული საუკუნის 20-იან წლებში, სხვადასხვა ხან-

გრძლივობით, სწორედ აქ შეაფარა თავი ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიებს გამოქცეულმა არაერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეცნიერმა, მწერალმა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლმა ბევრმა სხვა მამულიშვილმა, მათ შორის, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების მონაწილეთა დიდმა ნაწილმაც. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მათგანი, 1922 წელს სამშობლოდან იძულებით ემიგრაციაში წასული მწერალი ნიკოლო მიწიშვილი: სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის „ბერებმა ქართველ ემიგრანტებს დიდი დახმარება გაუწიეს იმით, რომ ბინა მისცეს ლტოლვილებს იმ გაჭირვებულ დროში. თვითოეულ ოთახში სამი, ოთხი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ მონასტერში ყოფნა მაინც კომფორტი იყო, ვინაიდან ქართველი ლტოლვილები დღითი დღე ღარიბდებოდნენ“ (36, 30).

ხოლო ემიგრანტი ქართველი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე 1921-1925 წლებში სტამბოლსა და ვარშავაში დაწერილ თავის მოგონებათა წიგნში — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921 წწ.)“ სტამბოლში, კონკრეტულად კი იქ არსებულ ქართულ სავანეში, ქართველი ემიგრანტების მდგომარეობას შემდეგნაირად აღწერს: „მთავრობამ და მთელმა ჩვენმა ემიგრაციამ, რომელიც თან გამოყვა მთავრობას, რიცხვით დაახლოებით 750 სული, მოვიყარეთ თავი კონსტანტინოპოლში... არჩეულ იქნა კომიტეტი ბ-ნი ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. მთავრობა შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებოდა, მაგრამ ყველანი ვიმყოფებოდით მატერიალურად დიდ გაჭირვებაში. დიდი დახმარება გაგვიწია ბინების მხრივ იქ არსებულმა ქართულმა კათოლიკურმა მონასტერმა.

ემიგრანტთა რიცხვში იმყოფებოდა დაახლოებით ორასი მხედარი; მათ შორის იყო 65 იუნკერი.

ემიგრანტთა რიცხვი თანდათანობით მატულობდა. უკვე კონსტანტინოპოლში ყოფნისას ის გადაცილდა ორი ათასს. ამის მიზეზი იყო ბოლშევიკების რეპრესიები ქართველი ხალხის წინააღმდეგ... 1924 წლის საყოველთაო აჯანყების შემდეგ ემიგრანტთა რიცხვი 5 ათასამდე ავიდა“ (64, 298).

ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, სტამბოლის სავანეში დამკვიდრებულ ქართველ მამულიშვილთა შორის ყოფილა ცნობილი მეცნიერი, გე-

ნერალი და მოგზაური გიორგი ყაზბეგიც, ავტორი ტაო-კლარჯეთსა და აჭარაზე დაწერილი შესანიშნავი წიგნისა — „სამი თვე თურქეთის საქართველოში.“ იგი 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსიის შემდეგ, გაყოლია ნ. ჟორდანიას მთავრობას და „ეს ყოვლად პატიოსანი კაცი, საქართველოს ერისა და მწიგნობრობის მოყვარე, იქ გარდაცვლილა და იქვეა დასაფლავებული.“

გ. ყაზბეგის ყოფნასა და გარდაცვალებას სტამბოლის ქართულ მონასტერში დაუეჭვებლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ მისი სახელი და გვარი იმ ქართველ ემიგრანტთა სიაში ყოფილა შეყვანილი, რომლებიც საკვების სახით იღებდნენ დახმარებას მონასტრიდან. „მომდევნო წლის სიაში კი გ. ყაზბეგის გვარის გასწვრივ ერთი სიტყვაა ჩაწერილი: გარდაიცვალა“ (31, 29).

სტამბოლის ქართულ სავანეში დამკვიდრებული ემიგრანტები აქტიურად ჩაერთვნენ პოლიტიკურ, სამეცნიერო, შემოქმედებით და ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამიზნულ სხვა საქმიანობებში. კერძოდ, 20-იან წლებში, სწორედ სტამბოლში ცხოვრების პერიოდში, დაიწერა და სტამბოლის სავანის სტამბაშივე დაიბეჭდა ისეთი საინტერესო წიგნები, როგორებიცაა: ნოე ჟორდანიას „ბრძოლის საკითხები“ (1923 წ.), ნიკოლო მიწიშვილის „შავი ვარსკვლავი“ (ლექსები. 1923 წ.), მიხაკო წერეთლის „ხეთის ქვეყანა. მისი ხალხები, ენები, ისტორია, კულტურა“ (1924 წ.), „გილგამეშიანი. ბაბილონურ ტექსტთაგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ“ (1924 წ.) და სხვ.

ცნობილი მკვლევარი და მემატიანე ზ. ჭიჭინაძე სტამბოლის ქართული მონასტრის მიერ შესრულებული ზემოთ აღნიშნული მისიის შესახებ ერთგან ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „კონსტანტინეპოლში ქართველთა მონასტერი მარტო მონასტრათ არ ითვლებოდა. იგი ერთის მხრით თავშესაფარ სახლათაც იყო საქართველოდგან მოგზაურთ ქართველთ ღარიბთ და გაჭირვებულთათვის. აქ ესენი ქართველ გვარის კაცს ყოველნაირად დახმარებას აძლევდნენ და პატრონობდნენ. ამათ ბევრს გაჭირვებულს ქართველთათვის მიუციათ დახმარება, ბევრი შიმშილისაგან დაუხსნიათ. ბევრის სნეულ მოგზაურთათვის მიუციათ სადგომი, ულუფა, სამგზავრო ფული და თავის სამშობლოში გამოუსტუმრებიათ. ამის მხრით ესენი პატივის ღირსნი არიან მთელის ქართველებისაგან“ (69, 59).

როგორც ითქვა, საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან იძულებით ემიგრირებულ ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დამკვიდრებამდე სტამბოლს შეაფარა თავი და აქტიურად გააგრძელა ბრძოლა ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. სწორედ ამ ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ გამოვლინებად იქცა იმხანად ის პუბლიკაციები, რომლებსაც ქართველი ემიგრანტები ბეჭდავდნენ სტამბოლის სავანესთან არსებულ ქართულ სტამბაში.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია 1921-1922 წელს საზღვარგარეთ გამოცემული პირველი ქართული პოლიტიკური ჟურნალი „თავისუფალი საქართველო" (რედაქტორი _ სარედაქციო კოლეგია), რომლის ავტორებიც იმჟამინდელი ქართული ემიგრაციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ (ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, ვ. ჯუღელი, პ. სურგულაძე, ნ. ხომერიკი და სხვები). ორი წლის განმავლობაში სულ გამოიცა ხსენებული ჟურნალის 27 ნომერი. იმის გამო, რომ ჟურნალში არსად არ არის აღნიშნული მისი გამოცემის ადგილი, ბოლომდე დაზუსტებით იმის თქმა, სად გამოდიოდა იგი, ჯერჯერობით ძნელია.

გ. შარაძის აზრით, „თავისუფალი საქართველო" თავდაპირველად შეიძლებოდა სტამბოლში ყოფილიყო გამოცემული, მას შემდეგ კი, რაც საქართველოს ეროვნული მთავრობა სტამბოლიდან პარიზში გადავიდა, მისი გამოცემაც იქ გადაიტანა ((64, 170). თუ გ. შარაძის ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ხსენებული ჟურნალის გამოცემის ადგილი უსათუოდ სტამბოლის სავანის სტამბა იქნებოდა, რადგანაც სხვა ქართული სტამბა იმჟამინდელ სტამბოლში ფიზიკურად არ არსებობდა.

გ. შარაძის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი მოგვიანებით შ. ფუტკარაძემაც დაადასტურა. მისი მტკიცებით, „1913-1914 წლებში მონასტრის სტამბაში იბეჭდებოდა ჟურნალი „თავისუფალი საქართველო", რომლის სულის ჩამდგმელნი იყვნენ სამშობლოსათვის თავდადებული ქართველები: მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, ლეო კერესელიძე და სხვები. 1914 წელს აქვე ჩაისახა ქართული ლეგიონის შექმნის იდეაც, რომელიც სინამდვილე იქცა. 1915 წელს დაარსდა თამარ მეფის სახელობის ლეგიონის

ორდენი. ცნობილი მხატვრის იაკობ ნიკოლაძის მიერ მონასტერშივე შესრულა თამარ მეფის ორდენის ესკიზი, რომელიც დაცულია მონასტრის არქივში“ (54, 20).

სტამბოლის სავანის ქართულ სტამბას ჩვენი ემიგრანტები მათი პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად რომ იყენებდნენ იმხანად, ამის დასტურად აქ ქართველ მხედართა კავშირის მიერ 1923 წელს სტამბოლში გამოცემული წიგნიც მინდა გავიხსენო — „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას.“ როგორც წიგნის გარეკანზეა აღნიშნული, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს გამოცემა, რომელიც გ. შარაძემ აღმოაჩინა სტამბოლის სავანის წიგნთსაცავში, იქაურ სტამბაშია დაბეჭდილი.

სამშობლოსათვის თავდადებული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს წიგნი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია იმ ადამიანთა პატრიოტული თავგანწირვის წარმოსაჩენად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის გამართულ ბრძოლას შეეწირნენ. მასში დოკუმენტური სიმართლითაა მოთხრობილი იმ ანტისაბჭოთა აჯანყების ამბავი, რომელიც 1923 წელს მოხდა საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. წიგნისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ნიღაბახდილი სახითაა წარმოჩენილი იმ პოლიტიკის ნამდვილი სახე, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ატარებდა ჩვენი ქვეყნის მიმართ.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს წიგნის სულისკვეთებასა და მიზანდასახულობაზე, მოვიშველიებ პატარა ფრაგმენტს მისი წინასიტყვაობიდან: „შემოსეული მტერი, ეს უკვე მესამე წელია, დაუცხრომელის ენერგიით მუშაობს ჩვენი ეროვნული ცხოვრების დაშლისა და დაუძლურებისათვის. ერს აჰყარეს ყოველივე პოლიტიკური უფლებანი და საქართველოში მოსკოვის წითელი სატრაპები თავისუფლად დათარეშობენ. ნადგურდება ქართული სკოლა და ქართული ენა იდევნება საქართველოში. უძველესი ქრისტიანული ეკლესია და აკვანი ჩვენი ეროვნული კულტურისა ქუჩის ვიგინდარების სათარეშოდ გახადეს“ (64, 463).

საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის ამგვარი ფორმით დახასიათების შემდეგ, წიგნის გამომცემელნი მკითხველებს იმ პანაშვიდის შესახებ აწვდიან

ინფორმაციას, რომელიც 1923 წლის ამბოხებაში მონაწილეობის გამო რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ დახვრეტილ მამულიშვილთა სულების მოსახსენებლად გამართა ქართველ მხედართა კავშირმა სტამბოლში 1923 წლის 13 ივლისს. გარდა იქაური ქართველობისა, პანაშვიდს ემიგრაციაში მყოფი აზერბაიჯანელებიცა და კავკასიელ ხალხთა სხვა წარმომადგენლებიც დასწრებიან.

პანაშვიდზე ორატორთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან ერთად (გენერალი ი. ოდიშელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ასათიანი, პოლკოვნიკი ხანხოისკი, ქ. სტამბოლის ქართული ახალშენის თავმჯდომარე, გენერალი თ. ერისთავი), წიგნში ქართული სარდლობის იმ წევრთა გვარებიცაა დაბეჭდილი, რომლებიც საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დახვრიტა ხსენებულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო (ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი და სხვები — სულ 15 კაცი). აქვე არიან დასახელებულნი ის პიროვნებანიც (სულ 13 კაცი), რომლებიც უფრო ადრე დახვრიტეს.

წიგნის მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მასში რამდენიმე მათგანის ბიოგრაფიაცაა მოთხრობილი (კ. აფხაზი, ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკაშვილი, ლ. ლექვინაძე). წიგნს თან ერთვის დოკუმენტებიც, რომლებშიც აჯანყების მომწყობთა საქმიანობისა და ბრძოლების ამბავია მოთხრობილი. ხელისუფლების მიერ მათთვის გამოტანილ განაჩენთან ერთად, წიგნში სიკვდილმისჯილთა დახვრეტის ეპიზოდიცაა აღწერილი.

ვფიქრობ, მკითხველი ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზეც უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ სტამბოლის სავანის მიერ გამოცემული ხსენებული წიგნი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომია საქართველოში 1923 წელს მომხდარ ანტისაბჭოთა აჯანყებასთან დაკავშირებული მოვლენების ისტორიული სიმართლით შესაფასებლად.

გარდა მეტად ნაყოფიერი თეორიული, სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისა, სტამბოლში მყოფი ჩვენი ემიგრანტები პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ამ თვალსაზრისით უაღრე-

სად მნიშვნელოვანია 1913 წელს ჟენევაში პეტრე სურგულაძის, ლეო და გიორგი კერესელიძეებისა და მათი თანამოაზრეების მიერ ჩამოყალიბებული ე. წ. „სეპარატისტთა ჯგუფი“, რომლის საქმიანობის არეალში ცოტა მოგვიანებით, ევროპის სხვა ქალაქებთან ერთად, სტამბოლიც აღმოჩნდა მოქცეული. მიხაკო წერეთლის ინფორმაციით, ქართველთა „სეპარატისტული ჯგუფის“ მიზანი იყო, „ოსმალეთის ტერიტორიაზედ შეედგინათ ჯარი და თურქებთან და გერმანელებთან ერთად ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ.“ იმ შემთხვევაში, თუ ამ ბრძოლაში რუსეთის მოწინააღმდეგენი გაიმარჯვებდნენ, ისინი ვალდებულნი უნდა ყოფილიყვნენ, ეცნოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა „იმ საზღვრებში, რომელშიც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა.“ მ. წერეთლის თქმით, ხსენებული ჯგუფის წევრებს, რომელთაც ისიც შეერთებია, სტამბოლში 1914 წელს „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტიც“ დაუარსებიათ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის „განთავისუფლების საქმეში თავისი როლი აღასრულა“ (64, 66).

ყოველივე ამაზე ყურადღებას აქ იმიტომ ვამახვილებ, რომ ხსენებული კომიტეტის სტამბოლელ წევრთა შორის სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებულ საერო პირებთან ერთად (მაგალითად, პ. სურგულაძე), სავანის მღვდელმსახურთა წარმომადგენელიც ყოფილა მღვდელ შალვა ვარდიძის სახით.

* * *

იმ დიდი საქმეების პრაქტიკულად ხორცშესასხმელად, რასაც პ. ხარისჭირაშვილი სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურებს თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად უსახავდა, სავანის დამაარსებელმა და გარდაცვალებამდე მისმა უცვლელმა წინამძღვარმა მის ირგვლივ სარწმუნოებრივი სისპეტაკითა და პატრიოტული მისწრაფებებით გამორჩეული არაერთი ღირსეული პიროვნება შემოიკრიბა. პ. ხარისჭირაშვილის მიერ დამკვიდრებული ეს ტრადიცია მისი გარდაცვალების მერე სავანის შემდგომმა წინამძღვრებმაც გააგრძელეს ასეთივე წარმატებით.

სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე მღვდელმსახურთაგან აქ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა იმათზე, რომელთაც განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სავანის ისტორიაში. დავიწყებ მიხეილ თამარაშვილით.

მიუხედავად იმისა, რომ მ. თამარაშვილს სტამბოლის სავანეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ უმოღვაწნია, მან მაინც ძალზე ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, სავანე ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერად რომ ქცეულიყო. როგორც მ. თამარაშვილის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, მისი უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის — ივანე გვარამაძის რჩევისა და პ. ხარისჭირაშვილთან გატანებული სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე, მან სწავლა სტამბოლის სავანესთან არსებულ სასწავლებელში გააგრძელა. სტამბოლში სწავლის პერიოდში მ. თამარაშვილს იმდენად უსახელებია თავი, რომ სასწავლებლის დამთავრების მერე, სავანის ძმობის გადაწყვეტილებით, იგი ეკლესიის დაფინანსებით ჯერ ესპანეთში გაუგზავნიათ სწავლის გასაგრძელებლად, შემდეგ კი პარიზში. 1888 წელს, პარიზის წმინდა ლაზარეს სასწავლებელდამთავრებული მ. თამარაშვილი კვლავ სტამბოლის სავანეს უბრუნდება, ამჯერად უკვე სასულიერო მოღვაწეობის გასაგრძელებლად (35, 13).

მაგრამ, სავანის ზოგიერთ მღვდელმსახურთან დაპირისპირების გამო, მ. თამარაშვილი სტამბოლში იმჯერად მხოლოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში, 1890 წლამდე, რჩება და მოღვაწეობას რომში აგრძელებს. მაგრამ სტამბოლის ქართული სავანის მღვდელ-მონაზონის — სტეფანე გიორგიძის აქტიური ძალისხმევის შედეგად, 1894 წელს იგი ისევ ბრუნდება უკან. სავანეში დაბრუნებულმა მ. თამარაშვილმა ამჯერად იქაურ სასწავლებელში დაიწყო მუშაობა მასწავლებლად. სტამბოლში ჩასული მ. თამარაშვილი, რომელიც ბავშვებს ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას ასწავლიდა, არა მარტო სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებას შეეცადა აქტიურად, არამედ მოსწავლეთა მეტი რაოდენობის მოზიდვასაც საქართველოდან. აი, რას წერს ამ ფაქტთან დაკავშირებით იგი ი. გვარამაძეს ახალციხეში: „თქვენ ვისაც ღირსად ჩათვლით, აქ სასწავლებლად წამოვიდეს... მე აქ შეგირდებს თეოლოჯია დავაწყებინე. სკოლის საქმე ფეხზე დავაყენე“ (35, 28).

მაგრამ, იმის გამო, რომ მ. თამარაშვილის მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი მეცნიერული კვლევა-ძიება იყო, რისთვისაც რომში

გაცილებით უკეთესი პირობები არსებობდა, სტამბოლში იგი არც ამჯერად დარჩენილა დიდხანს. სავანიდან მის წასვლას ხელი ზოგიერთ იქაურ მღვდელმსახურთან დაპირისპირებამაც შეუწყო. ასე რომ, მ. თამარაშვილი 1897 წელს ამჯერად უკვე საბოლოოდ ტოვებს სტამბოლის ქართულ სავანეს, კვლავაც რომში მიემგზავრება და, მისი მეგობრების (ა. ხითარიშვილი, სტ. გიორგიძე...) არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, სავანეს შემდგომში უკვე აღარ დაბრუნებია.

სტამბოლის სავანის მღვდელმსახურთა შორის ასევე ცალკე, საგანგებოდ, უნდა მოვიხსენიოთ სტეფანე გიორგიძე, რომელიც, მოყოლებული 1890 წლიდან, პ. ხარისჭირაშვილის გარდაცვალების დროიდან, 1898 წლამდე, წარმატებით ასრულებდა სავანის წინამძღვრის მოვალეობას. ზ. ჭიჭინაძის შეფასებით, „ამ წარჩინებულს მოძღვარს დიდი შრომა აქვს დათესილი კონსტანტინოპოლის ქართველთა კათოლიკეთ მონასტრის შენებაზედ, სკოლაზედ და ეკკლესიაზედ. ამა შთენთა აღშენების საქმე სწორედ საინტერესო საგანს წარმოადგენს და ამ საინტერესო მხარესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პატრი სტეფანეს განვლილი ღვაწლი და დღეინდელი შრომა. ყველა ამის შრომათ მოთვლა აქ შეუძლებელია“ (58, 66).

სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე მღვდელმსახურთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ალფონს ხითარიშვილიც (პირვანდელი გვარი — საყვარელიძე. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №232). მის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი 1898-1905 წლებში სავანის წინამძღვარიც იყო. იგი დაიბადა ახალციხეში 1840 წელს. პირველდაწყებითი განათლება მიიღო იქაურ სამრევლო სკოლაში. ათი წლისამ სწავლა განაგრძო ჯერ სტამბოლის სავანესთან არსებულ სასწავლებელში, შემდეგ კი რომში. იქვე მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლებაც და 1870 წელს იკურთხა მღვდლად. სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში მღვდელმსახურებას ეწეოდა 1890-1905 წლებში. შემდეგ გადავიდა და მოღვაწეობდა მონტობანის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში. გარდაიცვალა 1911 წელს. დაკრძალულია იქვე.

1905-1912 და 1942-1956 წლებში სტამბოლის ქართული სავანის რიგით მეოთხე წინამძღვარი იყო ბენედიქტე ვარდიძე, 1912-1921 წლებში კი სავანეს პიო ბალიძე წინამძღვრობდა. დალეჯიოს შეფა-

სებით, „მამულის განსაკუთრებული სიყვარულით“ გამორჩეული ეს პიროვნება „ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ“ (59, 31).

პ. ბალიძის მოღვაწეობას განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდიდა ის ფაქტი, იგი არა მარტო სტამბოლში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების განსამტკიცებლად იღვწოდა აქტიურად, არამედ საქართველოსთანაც ინარჩუნებდა მუდმივ კავშირ-ურთიერთობას შესაძლებლობის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, პ. ბალიძე წარმატებით აგრძელებდა იმ დიდ მამულიშვილურ ტრადიციებს, რომლებიც სტამბოლის ქართულ სავანეში დაამკვიდრეს თავიანთი ნაყოფიერი და მეტად წარმატებული მოღვაწეობის შედეგად პეტრე ხარისჭირაშვილმა და მისმა სულიერმა ძმებმა.

1921-1937 წლებში სტამბოლის ქართული სავანის წინამძღვრის — შიო ბათმანაშვილის გადმოცემით, სავანის „გამოფხიზლებას“, რაც პ. ბალიძის მღვდლად კურთხევას მოჰყოლია შედეგად, საქართველოშიც იმდენად დიდი სიხარულით შეხვედრიან, რომ ბევრს მატერიალური დახმარებაც კი აღმოუჩენია ქართული მონასტრისათვის. ამ თვალსაზრისით, შ. ბათმანაშვილი პირველ ყოვლისა ქუთაისს გამოჰყოფს, საიდანაც სტამბოლის სავანეში საჩუქრად დიდი რაოდენობის ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გაუგზავნიათ.

სტამბოლის სავანეში მოღვაწე სასულიერო პირთაგან ასევე უნდა მოვიხსენიოთ მღვდელი ივანე გვარამაძე, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ლექსები და პუბლიცისტური წერილები ვინმე მესხის ფსევდონიმით სისტემატურად ქვეყნდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში. სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებულ სტამბას მისი რამდენიმე წიგნიც აქვს გამოცემული. შ. ლომსაძის შეფასებით, „ივ. გვარამაძე იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, ისტორიკოსი, მკვლევარი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი, მოძღვარი-თეოლოგი, მწერალი, დრამატურგი, პოეტი-მგალობელი. ამ მართლაც უნივერსალურ კაცს თავის დროისათვის დიდი გავლენა ჰქონდა კათოლიკე ქართველებში. მისი სიტყვა ყოველთვის გადამწყვეტი იყო

და კათოლიკე და მუსულმან ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ემსახურებოდა“ (35, 236).

ი. გვარამაძის ღვაწლის შეფასების დროს ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ის დიდი სულიერი სიახლოვე, რომელიც მას, როგორც მასწავლებელსა და მეგობარს, აკავშირებდა მ. თამარაშვილთან. მიუხედავად იმისა, რომ ი. გვარამაძეს სტამბოლის სავანეში ხანგრძლივი დრიოს განმავლობაში არ უმოღვაწია, მან მაინც დატოვა თავისი მნიშვნელოვანი კვალი მის ისტორიაში.

სავანის სასულიერო პირთაგან რამდენიმე სიტყვა იქაურ ბერმონაზონ — იასე რაჭველზეც (რაჭველიშვილზეც) მინდა ვთქვა. მისი მამულიშვილური მოღვაწეობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ სტამბოლში მოღვაწეობის პერიოდში მეხუთლას ფსევდონიმით იგი ქართულ პრესაშიც სისტემატურად აქვეყნებდა პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალულ წერილებს სავანისა და სტამბოლელი ქართველების შესახებ. გაზეთ „კვალის“ შეფასებით, იასე რაჭველი „მამა პეტრეს (ხარისჭირაშვილის — ა. ნ.) აზრებით გამსჭვალული პიროვნება იყო.“ მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად ძალიან უჭირდა, მას მაინც მოუხერხებია „ცოტაოდენი ფულის შეგროვება“ და საქართველოში გამოგზავნა შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად (30).

იასე რაჭველი თურქეთში, კერძოდ კი კონსტანტინეპოლში, ჯერ 1880-1902, შემდეგ კი 1904 და 1909-1915 წლებში ცხოვრობდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა როგორც მონასტრის საქმიანობაში, ისე იქაურ ქართველთა ცხოვრებაში (ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ნ. ბოსტაშვილის წიგნი: „იასე რაჭველის (მეხუთლას) წერილები თურქეთიდან“, 1991 წ.). იასე რაჭველის პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები, რომლებშიც თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ ყოფასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხებია დასმული, სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში.

სტამბოლში ცხოვრების პერიოდში იასე რაჭველის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა ძორითადად ორი მიმართულებით წარიმართა — ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა იქაურ ქართველებში შეძლებისდაგვარად გაეღვივებინა ეროვნული ცნობიერება, მეორეს

მხრივ კი მოკავშირის როლი შეესრულებინა თურქეთში მცხოვრებ ქართველობასა და საქართველოს შორის. გაზეთ „კვალის“ 1894 წლის მე-16 ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „კონსტანტინოპოლის ქართველობის“ ავტორის — ვინმე ქართველის შეფასებით, იასე რაჭველი მამა პეტრე ხარისჭირაშვილის აზრებით განმსჭვალული მამულიშვილი იყო. მისი ეროვნული ღვაწლის წარმოსაჩენად ხსენებული პუბლიკაციის ავტორი იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ იასე რაჭველის უშუალო თაოსნობითა და ძალისხმევით იქაურ ქართველობას გარკვეული ოდენობის თანხაც შეუგროვებია და გამოუგზავნია საქართველოში რუსთველის ძეგლის დასადგმელად.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტამბოლის ქართულ სავანესთან დედათა მონასტერიც არსებობდა, სადაც მონაზვნად აღკვეცილი დედები იყვნენ დავანებულნი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მამაკაც სასულიერო პირთა ტოლფასი როლი არ შეუსრულებიათ სავანის ისტორიაში, სამონასტრო ცხოვრების წარმართვის საქმეში გარკვეული დამსახურება მათაც უდავოდ მიუძღვით. ბევრ მათგანს განათლება სავანესთან არსებულ ქალთა სასწავლებელში ჰქონდა მიღებული.

სტამბოლის დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილ ქართველ ქალთაგან, ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწვდილი ცნობების მიხედვით, განსაკუთრებით გამორჩეულნი ყოფილან ნატალია გიორგაძე (იგივე სექანოვი), მონაზვნად აღკვეცის შემდეგ ანად წოდებული, და დები: ფილიმონე და აგათა გოზალიშვილები (გოზალოვები) (58, 90-93).

სტამბოლის ქართული სავანის მღვდელ მონაზონები განუხრელად იბრძოდნენ რელიგიურ მცნებათა და ზნეობრივ სიწმინდეთა დასაცავად და განსამტკიცებლად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ადამიანური ცოდვებისაგან ბოლომდე დაზღვეულნი არც ისინი იყვნენ, რის გამოც გარკვეული პიროვნული დაპირისპირებანი დროდადრო მათ შორისაც იჩენდა ხოლმე თავს, სარწმუნოებრივი პრინციპებისადმი ერთგულებით მცხოვრები ამ ადამიანების ყოველდღიურ ყოფას ძირითადად მაინც მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარული და თანადგომა ედო მკვიდრ საფუძვლად.

იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის ისეთი ვინმე გამოერეოდა, რომელიც თავისი პიროვნული სიმდაბლით სამონასტრო ცხოვრების ზემოთ აღნიშნულ წესებსა და პრინციპებს უხეშად დაარღვევდა და

უღირსად მოიქცეოდა, მას ძმობის წევრობიდან მოიკვეთდნენ და სავანიდან გააძევებდნენ. ასე მომხდარა, მაგალითად, 1895 წელს, როცა „დედა-მონასტრის“ ძმადყოფილი — სიმონ-გაბრიელ მერაბიშვილი, რომელსაც „აღმოაჩნდა დიდი უზნეობა და წადილი თავისი მიდრეკილი საქმის შესრულებისა“ და „აღმოჩნდა ფარისეველი და „ქუეშქუეშა“, გარყვნილი და გაშმაგებული, სამუდამოდ იქნა მოკვეთილი მონასტრიდან და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა ეპისკოპოსს (10).

სამწუხაროდ, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან სტამბოლის ქართული სავანე რეალურად დგება დახურვის საშიშროების წინაშე. ეს გარემოება, პირველ ყოვლისა, იმ ფაქტმა განაპირობა არსებითად, რომ ქართველ ბერ-მონაზონთა არარსებობის გამო მონასტერი დაიხურა, ეკლესია კი, ფაქტობრივად, ერთადერთი მღვდელმსახურის ამარა დარჩა. როგორც ცნობილია, 1956-1960 (თუ 1961) წლებში სტამბოლის სავანის უკანასკნელი ქართველი წინამძღვარი პეტრე ტატალაშვილი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი სტამბოლში მოღვაწე ქართველთაგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ პავლე აკობაშვილი (ადგულაძე) (გარდაიცვალა 1979 წელს), რომელიც ადრე მონასტრის მსახური იყო.

სავანეში შექმნილი ამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობით შეშფოთებული შალვა ვარდიძე, რომელიც თავის სტამბოლელ თანამემამულეებთან პიროვნული დაპირისპირების გამო სავანიდან იმ დროისათვის უკვე კარგა ხნის წასული იყო და ბეირუთის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, 1956 წელს პეტრე ხარისჭირაშვილის ძმის შვილიშვილს, ვასილ კარისტის სახელით ცნობილ ფრანგ მწერალს — ალფრედ ხარისჭირაშვილს ბეირუთიდან წერდა: „კონსტანტინოპოლის ქართულ ინსტიტუტს დახურვა ემუქრება, რადგან 1914 წლიდან ვერ მოხერხდა ისეთი ახალგაზრდების ჩამოყვანა, რომელთაც სასულიერო მოწოდება და მონასტერში შესვლის სურვილი ექნებათ. დღესდღეობით იქ მხოლოდ პეტრე ტატალაშვილია. ჩემი ბიძაშვილი პატრი ემანუელი და მისი სამი კოლეგა საქართველოში არიან... ერთი კი, პატრი მიქელ თარხნიშვილი რომშია. მას შეუძლია, მაგრამ არა სურს კონსტანტინოპოლში ჩამოვიდეს და პატრ პეტრესთან ერთად მონასტერს მიხედოს. თუ პოლიტიკური ვითარება არ გაუმ-

ჯობესდა, ... თუ არ გველირსება საქართველოში თავისუფალი მოგზაურობა და მოწადინებულთა მოძიება, ღირსი დამაარსებლის პატრ პეტრე ხარისჭირაშვილის ღვაწლი ადრე თუ გვიან დაიკარგება, რაზეც დღედაღამ გულისტკივილით ვფიქრობ“ (28).

სტამბოლის ქართულ სავანეში შექმნილი ასეთი მძიმე მდგომარეობა შ. ვარდიძეს გულს განსაკუთრებით იმიტომაც უკლავდა, რომ იგი თავისი პიროვნული ცხოვრებითაც იყო სისხლხორცეულად დაკავშირებული იქაურობასთან და თავად მასაც ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული პ. ხარისჭირაშვილისა და მისი ძმობის წევრების მიერ იქ დამკვიდრებული დიდი რელიგიური და ეროვნულ-საგანმანათლებლო ტრადიციების გასაგრძელებლად და კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით იმ მიზეზების კონკრეტულად გარკვევა, რომელთაც მას მშობლიური ეკლესიის დატოვება აიძულეს, ვერ ხერხდება, ზემოთ დასახელებული წერილიდან ცხადად ჩანს, რომ ამის საფუძველი სტამბოლელ ქართველებთან მისი პიროვნული დაპირისპირება გამხდარა. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ ფრაგმენტი ხსენებული წერილიდან: „აი, უკვე 16 წელიწადია, არა მხოლოდ სხეულით, რაც სრულიად არ მაღელვებს, არამედ განსაკუთრებით მორალურად ვიტანჯები იმ მძიმე ყოფის გამო, რომელშიც თურქეთის სამსახურში მყოფი რამდენიმე ემიგრანტის უსამართლო ღალატმა ჩამაგდო... უფლება არ გამაჩნია კონსტანტინოპოლში ჩავიდე და ჩვენს მონასტერში ვიცხოვრო“ (28).

სავანის უკანასკნელი წინამძღვრის _ პეტრე ტატალაშვილის გარდაცვალების შემდეგ ეკლესიაში დარჩენილმა ერთადერთმა და უკანასკნელმა ქართველმა ღვთისმსახურმა პავლე აკობაშვილმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულე ემიგრანტ ქართველებს და შემწეობა თხოვა. იგი წერდა: „დავრჩი სულ მარტოდმარტო. ვიბრძვი და ვმუშაობ, რომ იგივე ბედი არ ეწვიოს ამ ჩვენს ეკლესიას, როგორც წილად ხვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს პალესტინაში, ათონის მთაზე, სინას მთაზე და სხვაგან... სანამ ცოცხალი ვარ, არ ვზოგავ ძალღონეს, რომ ეს განძი, საუნჯე (წიგნსაცავი, მამულები, სახლები...)

შერჩეს ჩვენს ერს... ჩემს შემდეგ, არ ვიცი, რა დაემართება. ღმერთმა იცის. ყველაფერი ჩვენს საყვარელ სამშობლოსა და მის შვილებზეა დამოკიდებული. 3 თებერვალი, 1960 წ.“ (57).

პ. აკობაშვილის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ემიგრანტი ქართველებისთვის დაგზავნილ ამ მიმართვას, მართალია, ამერიკიდან ალექსანდრე მანველიშვილი, გერმანიიდან კი ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური) გამოეხმაურნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკული შედეგი სტამბოლის ქართული სავანის უკანასკნელი ქართველი ჭირისუფლის ამ მცდელობას არ მოჰყოლია.

სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, სტამბოლის სავანემ, როგორც ქართული სულიერებისა და კულტურის კერამ, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. მართალია, რთული და ძნელად დასაძლევი წინააღმდეგობანი მის ისტორიაში მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ სავანეში მოღვაწე ქართველ მღვდელმსახურთა აქტიური ძალისხმევის შედეგად ვითარების სასიკეთოდ შეცვლა იმხანად მაინც ხერხდებოდა. 1964 წლიდან კი, უკანასკნელი ქართველი სასულიერო პირის გარდაცვალების შემდეგ, ეკლესიაში მის იურიდიულ მეპატრონეთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩა.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს იმ სირთულეებზე, სტამბოლის ქართული სავანის ისტორიაში ადრეც რომ არაერთგზის უჩენიათ თავი, გავიხსენებ ზოგიერთ მათგანს.

1910 წელს სტამბოლის კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ გამოცემული დადგენილებით, გაუქმებულად ცხადდებოდა რომის პაპის — ლეონ XIII-ის 1882 წლის ნებართვა, რომლის ძალითაც სტამბოლის ნებისმიერ უბანში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეს უფლება ეძლეოდა, თავისი თავი ქართული კათოლიკური ეკლესიის მრევლად მიეჩნია. როგორც ითქვა, სტამბოლის კათოლიკე ეპისკოპოსი, 1910 წელს გამოცემული თავისი დადგენილებით, ზემოთ აღნიშნულ წესს ცვლიდა და ეკლესიებისთვის ქალაქის მოსახლეობის მიკუთვნებას უკვე ტერიტორიული პრინციპის მიხედვით ახდენდა. იმის გამო, რომ სტამბოლში მცხოვრებ კათოლიკე ქართველთა რაოდენობა მცირერიცხოვანი იყო და ისინი ქალაქის სხვადასხვა უბნებში იყვნენ

მიმოფანტულნი, აღნიშნული დადგენილება ქართული ეკლესიის არსებობას, ფაქტობრივად, საფუძველს აცლიდა.

ხსენებულმა დადგენილებამ, ბუნებრივია, სავანის მღვდელმსახურთა და სტამბოლში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

სამწუხარდ, ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვის პრეცენდენტებს საქართველოშიც არერთგზის ჰქონია ადგილი. ნათქვამის დასტურად აქ 1886 წლის 16 იანვარს რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცემული ის ბრძანებულება მინდა გავიხსენო, რომლის ძალითაც რუს-ხელმწიფეს ასეთი ვერდიქტი ჰქონდა გამოტანილი: „კავკასიაში მორწმუნე კათოლიკეებს, სულერთია სომხურ წესს ეკუთვნიან, თუ ლათინურს, აღარა აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომეხ კათოლიკეებად“ (21, 726).

როგორც ქართული კათოლიციზმის ისტორია ადასტურებს, ღვთისმსახურებაში ქართული ენის აკრძალვის ზემოთ ხაზგასმული მოთხოვნა ახალი მოვლენა არ ყოფილა და ამ მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, თავად სომხები იბრძოდნენ მეტად აქტიურად. მაგალითად, დალეჯიოს ცნობით, „1875 წელს რომის „პროპაგანდას“, სხვა და სხვა პოლიტიკური მიზეზების გამო, სავანის წინამძღვრისათვის აეკრძალა ქართულ წესზე მღვდლების კურთხევა. ეს იყო, როგორც გავიგეთ, სომხების გავლენა. მათ ეშინოდათ, ქართული წესით ქართველ კათოლიკე მღვდლებს მათთვის არ ჩამოეშორებინათ საქართველოს კათოლიკე ქართველები, რომლებსაც სომხებად სთვლიდნენ იგინი. ამ მიზეზთან ერთად მეორეც იყო: რუსეთის მთავრობა არა სცნობდა ქართველ კათოლიკეებს და არც იღებდა თავის საზღვრებში უცხოეთში გაწვრთნილ კათოლიკე მღვდლებს, რათა გარუსების პოლიტიკას ხელი არ შეშლოდა“ (59, 33).

ქართველ კათოლიკეთა შორის სომხურ ენაზე წირვა-ლოცვის გავრცელების მიზანმიმართულმა პროცესმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები სამცხე-ჯავახეთში შეიძინა. ამ მოვლენას მეტად საინტერესო ახსნასა და შეფასებას აძლევს ალ. ფრონელი. კერძოდ, 1914 წელს გამოცემულ წიგნში „დიდებული მესხეთი“ იგი წერს: „მესხეთის ქართველი კათოლიკენი ისტორიის უკუღმართი მსვლე-

ლობის გამო იძულებული გამხდარან, ქრისტიანობის შესანახად სომხის ტიპიკონი მიეღოთ, ესე იგი, სომხების წირვა-ლოცვის წესი და რიგი. ამის გამო წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ და არა ქართულად, როგორც სტამბოლში. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ბევრ ქართველ კათოლიკეს სომხური გვარი და სახელი აქვს“ (52, 136).

ალ. ფრონელი სავსებით მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველ კათოლიკეთა მიერ სომხურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება იძულების შედეგი იყო და „სომხურ ტიპიკონს რომ ვახსენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტომით და ჩამომავლობით ქართველი... სომხურ ენაზე ისმენს წირვა-ლოცვას. ესაა მიზეზი, რომ ამ ტიპიკონის ქართველს ხშირად სახელი სომხური აქვს, მაგალითად, პავლეს მაგიერ ტერტერა (მღვდელი) პოღოსას არქმევს, გიორგის მაგიერ გეურქას და სხვა“ (52, 171).

ქართველ კათოლიკეთა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულ ამგვარ სომხურ აგრესიას, ბუნებრივია, ჩვენი ერის თვალსაჩინო შვილები აქტიურად უპირისპირდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო მიხეილ თამარაშვილი, რომელმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სომხების უკანონო ჩარევისა და ყალბი.მტკიცებების გასანადგურებლად“ თბილისში ორი ნაშრომი გამოაქვეყნა — 1902 წელს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუნიდან XX საუკუნემდე“ და 1904 წელს მეორე — „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველთა კათოლიკობას.“

მათში პირდაპირ და არაორაზროვნად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართველი კათოლიკეების მიერ სომხური ტიპიკონის სავალდებულო წესით მიღება ფაქტობრივად ამ ადამიანების გასომხებას ნიშნავდა. მეტი სიზუსტისათვის დავიმოწმებ ფრაგმენტს მ. თამარაშვილის წიგნიდან „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (თბ. 1904 წ. გვ. 218): „უწინ სარწმუნოება და ტიპიკონი საზღვრავდა გვარტომობის სახელსაც. ამ საზოგადო ჩვეულების გამო, ქართველ ტომის კათოლიკებსაც, რომლებსაც სომხის წესი მიეღოთ, სომხის კათოლიკები უწოდეს.“

მ. თამარაშვილის აზრით, ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სომხურ ტიპიკონზე გადასვლას ხელი რომის პაპის მიერ ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოებრივი მისიით წარმოგზავნილმა კათო-

ლიკე მისიონერებმაც შეუწყვეს. კერძოდ, „კაპუცინები საქართველოს შვილებს ლათინის ტიპიკონზე იმიტომ არ აკურთხებდნენ, რათა შემდგომ მათ გვერდზე არ ამოდგომოდნენ და როგორმე არ დაეჩრდილათ“ (20, 489).

მ. თამარაშვილის აზრით, საქართველოში რუსეთის იმჟამინდელი ხელისუფლების ხელშეწყობითა და მხარდაჭერით განხორციელებული ანტიქართული და პროსომხური პოლიტიკისადმი თავისი პროტესტანტული დამოკიდებულება პეტრე ხარისჭირაშვილმა იმით გამოხატა, რომ „კონსტანტინოპოლს გაემგზავრა და იქ 1861 წელს ქართველთათვის დააარსა კონგრეგაცია „უბიწო ჩასახვის“ მფარველობით, რათა აღეზარდა კათოლიკური და მოციქულებრივი ჭეშმარიტი სულისკვეთებით აღვსილი მღვდლები, რომლებსაც ქართველი ხალხისათვის სულიერი შემწეობა უნდა აღმოეჩინათ“ (21, 727).

* * *

სამწუხაროდ, სტამბოლის ქართულ ეკლესიას ქართველი სასულიერო პირი, რომელიც სავანის ქონების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს მიხედავდა, 1964 წლიდან აღარ ჰყოლია. ამ დიდი ეროვნული საგანძურის გადარჩენის მეტად საპასუხისმგებლო მისია 1966 წელს ეკლესიასთან შექმნილმა კათოლიკური საზოგადოების ფონდმა იკისრა, რომლის თავმჯდომარედაც სტამბოლში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე — პავლე ზაზაძე იქნა არჩეული, მთელ თურქეთში კარგად ცნობილი და მეტად წარმატებული ბიზნესმენი, ამ ქვეყანაში ოფიციალურად დაფუძნებული ერთ-ერთი პირველი ფირმის პატრონი. მან წარმოუდგენლად დიდი ამაგი დასდო მონასტრისა და მისი ქონების გადარჩენისა და შენარჩუნების საქმეს. რომ არა ბატონი პავლეს ამგვარი მზრუნველობა, დღეს ალბათ სავანის ქონების დიდი ნაწილი განიავებული იქნებოდა.

სტამბოლში ზაზაძეები 1917 წელს დამკვიდრებულან — ამ წელს ახალციხის რაიონის სოფელ უდედან 13 წლის პავლე ზაზაძე სტამბოლის ქართული სავანის მღვდლის — შალვა ვარდიძის (პავლეს ბიძის) დახმარებით სავანის სასწავლებელში გამგზავრებულა სამღვდლოდ მოსამზადებლად. პირველი მსოფლიო ომის წლებში გართულებული მდგომარეობის გამო პავლე იძულებული გამხდარა

სავანესთან არსებულ ქართულ სკოლაში სწავლისთვის თავი დაენებებინა და საარსებო სახსრის მოსაპოვებლად მუშაობა დაეწყო. მას ვაჭრობისთვის მიუყვია ხელი და სულ მალე საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენიც გამხდარა. სავანის სასწავლებელში ჰქონია მიღებული განათლება პავლეს მეუღლესაც, რომელიც დედით ქართველი, მამით კი ახალციხელი სომეხი ყოფილა. იგი შემდგომში მონასტერთან არსებული ქალთა ქართულ-ფრანგული სკოლის დირექტორიც გამხდარა. მისი ორი დიდან ერთი სტამბოლის ქართულ ეკლესიასთან არსებული დედათა მონასტრის მონაზონი ყოფილა, შეორე კი მონაზვნების უფროსი.

1930 წელს პავლე ზაზაძემ მთელს თურქეთში ფართოდ ცნობილი სამართებლებისა და პარფიუმერული ნაწარმის დამამზადებელი საწარმო შექმნა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1989 წლიდან, ამ საქმეს უდიდესი წარმატებით განაგრძობს მისი შვილი — სიმონი. მამის მიერ დაწყებული საქმიანობა მან იმდენად მაღალ დონეზე აიყვანა, რომ მისი საფირმო პროდუქცია, რომლის სახელიც „ზაზაა“, დღეს უკვე ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანაშია პოპულარული.

ბიზნესმენობის ასევე მეტად წარმატებულ გზას ადგას ზაზაძეების მესამე თაობის წარმომადგენელიც, ბატონი სიმონის შვილი, ბაბუის მოსახელე პავლე (პოლ) ზაზაძეც (სტამბოლის ქართული სავანის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში ზაზაძეების როლის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ტ. ფუტკარაძის წერილი „ქართველური მემკვიდრეობის“ 2007 წლის XI ნომერში).

ყველაფერ ამაზე ყურადღებას აქ იმიტომ ვამახვილებ, რომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული, სწორედ ზაზაძეების ეს დიდი ოჯახი უწევს მფარველობას სტამბოლის ქართულ სავანეს და ერთგულად და უანგაროდ ჭირისუფლობს, იცავს და პატრონობს იქ არსებულ საგანძურს.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ის ინფორმაცია, რასაც სტამბოლის ქართული სავანის შესახებ გვაწვდიან თავად ისინი. კერძოდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პროფ. შ. ფუტკარაძესთან გამართულ საუბარში ბატონი სიმონი გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართველი მღვდელმსახურის გარეშე დარჩენილ ეკლესიას ძველი დიდება ჰქონდა და-

კარგული. „ძალიან მინდა, იმფო ბევრათ შევხედო ტაძარსა, — უთქვამს მას, — მარა იზნი (ნებართვა) არა მაქ თავრობიდანა... თუ ორი ტომარა ჩიმენტო (ცემენტი) დეინახეს მოტანილი ეზოში, იტყვიან: — ჰად ნახეთ, რითვინ გინდან? ეს ტუარი (ქვის კედელი) რომ გავაკეთე ეკლესიისა, ძალიან გამიბრაზდენ. მაგარი კაცი ვარ, თვარა დამარტყამდენ... ვერ გამიბედეს...

ნება არა მაქ, გავაკეთო რამე. ნების გარეშე რომ გავაკეთო, პოლისები (პოლიციელები) მკითხვენ, დამიძახებენ. ზემოთ სამრეკლოა გაკეთებული. რატომ გააკეთეთო, ბრაზდებიან“ (55, 147).

როგორც ს. ზაზაძის მონათხრობიდანაც ირკვევა, სავანისათვის კუთვნილ იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს „დივან-ჰოტელია“ აგებული, ძველად ქართველთა სასაფლაო ყოფილა. მშენებლობის დროს „საფლავები გადათხარეს, ქვები ამოყარეს. თრაქტორებით გაზიდეს, ჰოტელი გააკეთეს. ზოგი ქვები მე მომიტანეს; ვიყიდე, ძუელი მეგონა დაწერილი ზედან. ამა შენ ამბოფ, ძუელი არ არიო, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნისა არიო. ეკლესიის ეზოში წყვია ეს ქვები ახლაც. ახალციხელებისა და შავშეთელების საფლავების ქვებია ესენი“ (55, 147).

ზაზაძეებმა ძალზე ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, სავანის კუთვნილი მიწა მეტად რომ არ დაკარგულიყო. ამ მიწის დასაკუთრების მსურველი კი ადრეც რომ ძალზე ბევრი იყო და დღესაც უამრავი ვინმეა, ეს ხსენებული საუბრის ამ ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს:

„წინ რომ ადგილია, ჩვენი ვაყუფისაა (ფონდისაა). ადრე მღვდლების სახლები იყო. ახლა დანგრევილია. ბელედიეს (მუნიციპალიტეტს) ამ მიწის წაღება უნდა, პარკის გაკეთება უნდა, ბელქი (შესაძლოა) ჰოტელს გააკეთებენ. არ გვინდა დეიკარგოს ეს მიწა...

— აქ ძველად იყო ქართული მონაზონების სკოლა. აქაც იყო მონასტერი. ოცი წლის წინ მონაზონი არ დარჩა. ვერანა გახდა სკოლა, მონასტერი. მაიწადინეს ამათი ხელში ჩაგდება. ფრანგებსაც უნდოდათ აეღოთ. წავედი ჰუქუმათში (მთავრობაში). ვიჩივლე. სხუამ რატომნა წეიღოს ჩუენი ადგილი? ეს მიწა საქართველოს არის-მეთქი... მოვიდნენ კათოლიკე რომაელები. იმათაც მაინდომეს ხელში ჩაგდება. ვუთხარ, ეს საყდარი ქართუელი კათოლიკების არი-მეთქი. მემრე ერთი ქართუელი მუსლიმანის — აჰმედ შენის შემწეობითა

მივყიდეთ ვაყუფსა (ფონდსა). ფულიც კაი გადაიხადეს — ასსამოცი მილიონი თურქული ლირა. ეს თანხა ისევ აჰმედ შენის შემწეობითა ბანკაში შავინახეთ ქართუელების სახელზე. სხუა ვინმე ვერვინ გამაიტანს. გამაიტანს მარტო ქართუელი სასულიერო პირი ეკლესიის ხარჯებისთვინ" (55, 148).

იმის გამო, რომ სავანის კუთვნილი მიწის შედარებით თავისუფალი ნაწილი სხვებს არ მიესაკუთრებინათ, იგი ბატონ სიმონს შეუსყიდია და იმ ადგილზე ლიცეუმი აუგია. აი, რას ყვება ამასთან დაკავშირებით თავად ის:

„არ მინდოდა სხუაზე მიცემა ჩუენი მიწისა. ბელქი (შესაძლოა) ეკლესიის ახლოს რესტაურანტს, ქაზინოს, ჰოტელს აშენებდა ვინმე, ნაბილწავდა წმინდა ადგილსა. ვიყიდე და აქა ლისე გავხსენი... ჩემი მეუღლეა ამშენებელი... თურქული სკოლა არი, ინგლისურს სწავლობენ. ლისეში თხუთმეტი ქართუელი ბიჭია, ცხრა — ებრაელი. მათაც იციან ქართული, იაკობაშვილები არიან. ებრაელი ქალები თბილისიდან მოვიდნენ და მაიყუანეს შვილები. შკოლა 1988 წელს ავაშენეთ. ბევრი რამ საჩუქარი მივეცით სკოლასა.

— სკოლა იმიტომ გავაკეთებიე, რომ ქართუელები დრო გავა და მოვლენ, ისწავლიან, იკითხვენ... შვილებს ვუთხარი, მე რომ მოვკვდები და ქართუელები მოვლენ, უკან აიღონ ეს სკოლა... რაც მაშინ ღირდა, ის ფარა მოგცენ... ეს ლისე ისეა გაკეთებული, რომა მონასტერიც იქნება შიგან. მოიდენ, ისწავლონ ენები, მიხედონ საქართუელოს საუნჯესა, რაც არი აქა, მუზეუმებში, საცავებში" (55, 148).

ხსენებულ მონათხრობშიცა და პირად საუბრებშიც ბატონი სიმონი ხშირად და დაბეჯითებით უსვამს ხოლმე ხაზს იმ გარემოებას, რომ მიუხედავად მისი ამგვარი მზრუნველობისა, სავანესთან დაკავშირებული ყველა პრობლემა უპირველეს ყოვლისა მაინც თურქეთისა და საქართველოს ხელისუფალთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე უნდა მოგვარდეს: „საქართუელოდან უნდა მოიდენ და მიხედონ საქმესა. ხუთი წელიწადია ვილაპარაკეთ უენევაში კათალიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან, ახლაც შენ გიბარებ, უთხარი ყუელას, რაფორი დაწერე და მიართვი ჰუქუმეთსა (მთავრობასა). მოხედონ ამ საქმესა.

— ეკლესიას აქვს ბიბლიოთეკაც. წიგნები აქა მოქონდენ მეთ-

ვრამეტე საუკუნიდან. ახლა წიგნები შენახულია მეორე ყათის დიდ ოთახში. მიხედვა უნდა. მტუერი ჭამს, სახურავიდამ წვიმა ჩამოდის. ჩვირფასი წიგნები იღუპება, პატრონი არა ჩანს. თხუთმეტი წელიწადის წინ კომისია გააკეთეს. ქართული კულტურის წიგნები დარჩეს, დანარჩენები წეიღეს. თეელი უნდოდენ, ამა არ გავატანევით, არ მივეცით. ბრალია ეს წიგნები. ქათალოღინა გაკეთდეს, გაიგზავნოს საქართუელოში... ანკარაში ქუთუბჰანეში (ბიბლიოთეკაში) მივედი, მოდით, აღწერეთ, უმკურნალეთ-მეთქი. არვინ მოიდა, არ მიხედა... საქართუელოდან უნდა მოვიდნენ, აღწერონ, წიგნის ჰექიმები მაიყუანონ... ბრალია ეს წიგნები... რაფორი დაწერე ამაზეცა. უშველონ იქნება“ (55, 148).

სტამბოლის ქართული სავანის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად ამგვარი დაუცხრომელი ზრუნვა ზაზაძეებს ფაქტობრივად საქართველოს სამსახურთან აქვთ გაიგივებული. ამით ისინი იმ დიდ ქართულ საქმეს აკეთებენ, რაც მათ გენეტიკურად თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან აკავშირებთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ზაზაძეების ეროვნულ ღვაწლს სათანადოდ ჯერ კიდევ არ იცნობს, მათი ეროვნული დამსახურების წარმოსაჩენად გარკვეული ნაბიჯები ბოლო წლებში მაინც გადაიდგა. სწორედ ამის ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ბატონ სიმონს საქართველოს პრეზიდენტისაგან უკვე აქვს მინიჭებული ჩვენი ქვეყნის საპატიო მოქალაქეობა და დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით.“ იგი ასევე არჩეულია ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორად.

გარდა სტამბოლის ქართული სავანის დასაცავად და გადასარჩენად გაწეული უდიდესი ღვაწლისა, ნათქვამის დასტურად მკითხველს აქ იმ ფაქტსაც შევახსენებ, რომ პარიზში გამოცემული ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის — „ბედი ქართლისას“ ერთ-ერთი დამფინანსებელი 1962-1980 წლებში ბატონი სიმონ ზაზაძეც იყო.

ზაზაძეების ეროვნული ღვაწლის წარმოჩენის დროს აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ სწორედ მათი ინიციატივითა და დაფინანსებით, 2007 წლის 22 იანვარს, XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ პირველად, სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიაში შეკრებილმა დიდძალმა ქართველობამ მშობლიურ ენაზე მოისმინა ხსენებული ეკლესიის

კედლებში თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ უკანასკნელად აღვლენილი ქართული წირვა-ლოცვა.

იმის გამო, რომ სტამბოლის საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი კათოლიკურია, იგი რომის პაპის დაქვემდებარებაში შედის. გასული საუკუნის შუა ხანებიდან, ბერებისა და მონაზვნების არყოფნის გამო, იქ მონასტერი უკვე აღარ არსებობს, ეკლესია კი კვლავაც განაგრძობს ფუნქციონირებას. რადგანაც ეკლესიას ქართველი მრევლი და მღვდელმსახური აღარ ჰყავს, ღვთისმსახურებაც, ბუნებრივია, უკვე თურქულ და ლათინურ ენებზე მიმდინარეობს. მრევლი ძირითადად თურქი და უცხოელი კათოლიკეებისაგან შედგება. ადგილობრივი ქართველი კათოლიკეები კი ძალზე ცოტანი არიან (ბატონ სიმონ ზაზაძის ინფორმაციით, მთელ სტამბოლში მათი რაოდენობა დღესდღეობით სამას კაცამდე თუღაა დარჩენილი).

ვინაიდან ხსენებული სასულიერო კერა ქართველი კათოლიკეების მიერაა აშენებული, რომის კათოლიკური ეკლესიის კანონმდებლობის მიხედვით, იგი ქართველ კათოლიკეთა კუთვნილებას წარმოადგენს. იგივე კანონმდებლობა იმასაც ითვალისწინებს, რომ თუ ეკლესიის უკანასკნელი ქართველი მღვდელმსახურის გარდაცვალებიდან ასი წლის განმავლობაში ეკლესიას მის იურიდიულ მეპატრონეთაგან ვინმე აღარ გამოუჩნდება, ის ავტომატურად გადადის რომის კათოლიკური ეკლესიის საკუთრებაში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიაში უკანასკნელი ქართველი სასულიერო პირი 1964 წელს გარდაიცვალა. ასე რომ, თუ 2064 წლამდე ეკლესიას ქართველი კათოლიკე მღვდელმთმსახური არ ეყოლა, ქართველები მის საკუთრებაზე იურიდიულ უფლებას ჰკარგავენ.

ბატონ სიმონ ზაზაძის ინფორმაციით, ამ პრობლემის მოგვარებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც ყოფილა ძალზე დაინტერესებული. ზემოთ აღნიშნული პრობლემის თაობაზე პატრიარქთან ბატონ სიმონს პირველად 1979 წლის ოთხ მაისს უსაუბრია, სტამბოლის სავანეში მისი უწმინდესობის სტუმრობის დროს. სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურთა როლი და დამსახურება ჩვენი ერის ისტორიაში ილია მეორეს იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევია, რომ შთაბეჭდი-

ლებათა წიგნში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ღმერთმა აკურთხოს და განაძლიეროს კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი. დალოცოს უფალმა ჩვენი საყვარელი ქართველები, რომელნიც ინახავენ ქართულ ტრადიციებს ამ მონასტერში“ (54, 31).

სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემის მოგვარებით დაინტერესებული პიროვნებების აქტიურ მცდელობათა მიუხედავად, პრობლემა ჯერჯერობით კვლავაც პრობლემად რჩება და აგერ უკვე ოთხ ათწლეულზე მეტია სასურველი მღვდელმსახურის შერჩევა ვერ მოხერხდა.

საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიაში გამწესებული მღვდელმსახური ქართველი და ამავე დროს თურქეთის მოქალაქეც უნდა იყოს.

* * *

სტამბოლის ქართული სავანის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ პეტრე პ. ხარისჭირაშვილმა იქ მცირე სასულიერო სასწავლებელიც დააარსა, სადაც სტამბოლის ტყვეთა ბაზრიდან გამოსყიდული ქართველი ბავშვები სწავლობდნენ. იმისათვის, რომ სასწავლებელს არსებობის ოფიციალური უფლება ჰქონოდა, პ. ხარისჭირაშვილმა რომის უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას 1864 წელს მის მიერ შედგენილი სპეციალური დებულებაც დაამტკიცებინა. ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, 1876 წლისთვის სტამბოლის ქართულ სავანესთან უკვე ორი სკოლა არსებულა _ ერთი ვაჟებისთვის და მეორე ქალებისთვის, რომლებშიც 160 მოსწავლე სწავლობდა (69, 58).

როგორც სათანადო დოკუმენტური მასალებით დასტურდება, ქართულენოვანი სკოლები სტამბოლში ხსენებულ სასწავლებელთა გახსნამდეც და შემდეგ პერიოდშიც არსებულა. მაგალითად, მონტობანის ქართული კათოლიკური ეკლესიის დახურვასთან დაკავშირებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მარკიზ დე ნოიასადმი 1885 წლის 8 მაისს გაგზავნილ სპეციალურ წერილში პეტრე ხარისჭირაშვილი წერდა: „ქართველ მამათა კონგრეგაციას კონსტანტინეპოლში უკვე გააჩნია, აღმოსავლეთში მისი დამკვიდრების დროიდან, ოთხი შემდეგი სკოლა: პერას პაპა-ქეფრუის წმ. იოსების სკოლა, რომელიც გაიხსნა 1875 წელს; შემდეგ სკუთარის სკოლა;

შემდეგ, ფერი-ყოის სკოლა და, ბოლოს, დარდანელის სკოლა, რომელთა მოღვაწეობის შედეგები ყველა წარმატებას აჭარბებს" (50, 165).

ხსენებული სკოლების გახსნის ნებართვა ქართველ მღვდელ-მსახურებს ოფიციალურად ჰქონდათ მიღებული რომის პაპისაგან. ნათქვამის დასტურად აქ მ. თამარაშვილის პირად არქივში დაცული „პროპაგანდა ფიდეს" კონგრეგაციის (რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების) მიერ ლათინურ ენაზე შედგენილი და პაპის მიერ დამტკიცებული ის დოკუმენტი მინდა გავიხსენო, რომელიც სტამბოლის ქართულ მონასტერს სკოლის (დოკუმენტის მიხედვით, ინსტიტუტის) გახსნის უფლებას აძლევდა. „ამ ინსტიტუტში უნდა მომზადებულიყვნენ მღვდელ-მთავრები. მესამე პუნქტში ნათქვამია, რომ ხარისჭირაშვილი უნდა ყოფილიყო როგორც მონასტრის, ასევე იმ ინსტიტუტის წინამძღვარი. მეოთხე პუნქტში ნათქვამია, რომ ასეთი სკოლა არ შეიძლებოდა სხვაგან გახსნილიყო ამ კონგრეგაციის (საზოგადოების) თანხმობის გარეშე. აქ უნდა მოსულიყვნენ მორწმუნე მამაკაცები, რომლებიდანაც მოამზადებდნენ მისიონერებს საქართველოში სამოღვაწეოდ" (3, 26).

მკვლევარ ნ. ბოსტაშვილის აზრით, ფაქტობრივად „ეს იყო აქამდე მონასტერთან არსებული დაწყებითი სასწავლებლის ოფიციალურად აღიარება. ამ დეკრეტით განმტკიცებული იყო მონასტერში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულების უფლება და რომ მონასტრის მრევლი შეიძლება ყოფილიყო ქართველი კათოლიკენი, განურჩევლად იმისა, თუ რომელ უბანში ცხოვრობდნენ. მანამდე ისინი მიწერილნი იყვნენ ლათინურ სან პეტრას ეკლესიაზე. რამდენადაც ქართველ კათოლიკეებს უფლება მიეცათ, განურჩევლად იმისა, თუ რომელ უბანში ცხოვრობდნენ, ამიერიდან სალოცავად ევლოთ ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში, ამან ხელი შეუწყო იმ ქართველ კათოლიკეებს, რომლებიც აქამდე დადიოდნენ სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში და ამიტომ გასომხების გზაზე იდგნენ, დაბრუნებოდნენ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას" (3, 27).

გარდა სტამბოლის მონასტერთან არსებული ხსენებული სასწავლებლისა, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე სტამბოლში კიდევ ორი ქართული სკოლაც უნდა ყოფი-

ლიყო გახსნილი — უსკუდარისა და იენიშარისა. უსკუდარის სკოლა პ. ხარისჭირაშვილის მიერ ყოფილა აშენებული და სტამბოლის დედათა მონასტერს დაქვემდებარებული. 1881 წელს პ. ხარისჭირაშვილი თავადვე დანიშნულა აღნიშნული სკოლის მღვდლად (66). მონტობანიდან დაბრუნების შემდეგ კი უსკუდარის ქართულ ეკლესიასა და სკოლაში მღვდლად უკვე სტეფანე გიორგაძე გაუმწესებიათ. ამის თაობაზე თავად იგი წერს მ. თამარაშვილს უსკუდარიდან. როგორც ხსენებული წერილებიდან ირკვევა, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება უსკუდარის ქართულ ეკლესიაში იმდენად არასახარბიელო ყოფილა, რომ მას იქ გაჩერების არავითარი სურვილი არ ჰქონია, მაგრამ „მონასტრის ხელმძღვანელობას და თვით ეპისკოპოსს უთხოვია და ისიც დამორჩილებია“ (3, 28).

სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიებთან არსებული სკოლების მოსწავლეთა ძირითად კონტინგენტს მესხეთ-ჯავახეთიდან გაგზავნილი ბავშვები შეადგენდნენ. გარდა ქართველ კათოლიკეთა შვილებისა, ხსენებულ სასწავლებლებში ქართველი მაჰმადიანებიც სწავლობდნენ.

სავანის ბერ-მონაზვნები თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, მოსწავლეებს განათლების მისაღებად სათანადო პირობები რომ ჰქონოდათ შექმნილი. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არა მარტო სასწავლო პროგრამების სრულსაყოფად და მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მოსაზიდად ზრუნავდნენ აქტიურად, არამედ სახელმძღვანელოებით მოსწავლეების სისტემატურად მოსამარაგებლადაც. გარდა იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოთა ნაწილი მათ სტამბაშიც იბეჭდებოდა, ისინი საქართველოში არსებული გამომცემლობებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურების მეშვეობითაც ცდილობდნენ სასწავლო წიგნების მოპოვებასა და მოსწავლეთათვის მათ მიწოდებას.

ასეთ წიგნებზე კი არა მარტო მოსწავლეებში ყოფილა დიდი მოთხოვნილება, არამედ არამოსწავლე ქართველობაშიც. განსაკუთრებულ ინტერესს ამ კუთხით თურმე მაჰმადიანი ქართველები იჩენდნენ. სასწავლო წიგნთაგან ყველაზე დიდი მოთხოვნა კი „დედა ენაზე“ ყოფილა. ქართული წიგნის გამომცემლებისადმი გამოგზავნილ

წერილში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტამბოლის სავანის მღვდელი ივანე გვარამაძე წერს: „არა მარტო მოწაფენი ეტრფიან ქართული წერა-კითხვის რიგიან შესწავლას, არამედ ჰასაკს მიწევნილნიც. მოსხეპილნი ვაჟკაცნიც დიდ სახელად სთვლიან ქართულის შესწავლასა... რა დიდი რამ იქნება, რომ ჩვენს გაბნეულს ტომს — აჭარლებს, მესხებსა და მისთანათა შეეწიენეთ და დავიკავშიროთ ღვიძლ ძმებად პირვანდელსავით.“

ზემოთქმული თვალსაზრისით ასევე უაღრესად საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ 1897 წლის 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სტამბოლის სავანის მღვდელმსახურის — იასე რაჭველის წერილის ეს ფრაგმენტიც: „დიდად დაგვავალებდნენ წიგნების გამომცემელნი საზოგადოებანი, რომ არ დაზოგავდნენ და გამოგვიგზავნიდნენ ჩვენის ნორჩის სკოლისათვის თავიანთ საყმაწვილო გამოცემებს, თორემ ეს მონასტერი ხელ-ვიწროდ არის ქონებრივად და საქმე გაჭირვებით მიდის წინ.“

ქართულ ენასთან ერთად, სასწავლო პროგრამაში საგულისხმო ადგილი ჰქონდა დათმობილი ლათინური, ფრანგული, ბერძნული, იტალიური და თურქული ენების სწავლებას. გარდა თეორიული საგნებისა, ბავშვებს ასევე ასწავლიდნენ საექიმო საქმეს, წამლების დამზადებასა და პრაქტიკულად გამოსაყენებელ სხვა სპეციალობებს.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, კონსტანტინეპოლის ქართულ მონასტერთან არსებულ სასწავლებლებში დამკვდირებული სწავლების მაღალი დონე იმით ყოფილა განპირობებული, რომ იქაურ მოსწავლეებს „ყველა სამეცნიერო საგნებს ასწავლიდნენ... ზედმიწევნით ასწავლიდნენ ქართველ კათოლიკეთა ისტორიას, საქართველოს ისტორიას, ქართულს ძველისა და ახალის მწიგნობრობის ისტორიას. ასწავლიდნენ ქართულ გალობასაც, ეკლესიაში სამსახურს და ყველა საჭირო საგნებს“ (69, 55). სასწავლებელში მასწავლებლებად ის „ქართველთ კათოლიკე მოძღვარნი“ ყოფილან მიწვეულნი, რომელთაც სწავლა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული.

როგორც იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით ვრწმუნდებით, სასწავლო პროცესის ასეთი ორგანიზების შედეგად, ხსენებული სასწავლებლების მოსწავლეთა მომზადების დო-

ნე საკმაოდ მაღალი ყოფილა. მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ 1897 წლის 185-ე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენციის ავტორი, რომელიც სტამბოლის ქართულ სკოლაში პირადად დასწრებია სასწავლო წლის შემაჯამებელ გამოცდებს, თავის აღფრთოვანებას შემდეგნაირად გამოხატავს:

„3 ივლისს ამა წლისა იყო წლიური გამოცდა კონსტანტინოპოლის ჩვენ ქართველ კათოლიკეთა ახალ დაარსებულ ქართულ-ფრანგულ სკოლაში. ყმაწვილებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ქართული წერა-კითხვა, გრამატიკა და ხალხური სიმღერები, ფრანგული და ლათინური გვარიანად იცოდნენ. ყველა იქ დამსწრენი კმაყოფილი დავრჩით. გამოცდამ გასტანა ოთხი საათი. ბოლოს დავარიგეთ საყმაწვილო წიგნები, რომელიც შემოსწირეს ჩვენს სკოლას ბ-ნ იოსებ ლეუავამ და მაქსიმე შარაძემ. თექვსმეტი ცალი პატარ-პატარა წიგნაკები მშვენიერისა და შესაფერის შინაარსით. ის წიგნაკები დიდის სიხარულით და პატივით მიიღეს პაწაწინა მესხებმა, რომელთა მომავლისაც დიდი იმედი გვაქვს. დამფუძნებელი წინამძღვარი სკოლისა მამა სტეფანე გიორგაძე ძმებითურთ დიდ მადლობას უძღვნიან შეწირულობისათვის.“

სწავლების ასეთმა მაღალმა დონემ და იქ არსებულმა კარგმა სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობებმა არსებითად განსაზღვრა ის დიდი ავტორიტეტი, რომელიც აღნიშნულ სასწავლებლებს ჰქონდათ მოპოვებული. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი როლი პ. ხარისჭირაშვილმა შეასრულა. ზ. ჭიჭინაძის თქმით, მისგან „განკაცებული მამებით მოფენილი იყო მთელი ევროპა, ზოგი ბოლგარიაში ცხოვრობდა, ზოგი იტალიაში, საფრანგეთში, რუსეთში, ოსმალეთში და ჩინეთშიც კი“ (69, 61).

სტამბოლის ქართულ მონასტერთან არსებულ სკოლათა მაღალკვალიფიციურობის დასტურად აქ თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ იქ სხვადასხვა დროს ისეთ დიდ მამულიშვილებსაც მიუღიათ განათლება, როგორებიც იყვნენ: მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, ივანე გვარამაძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, სტეფანე გიორგიძე, შალვა ვარდიძე, ალფონს ხითარიშვილი, პიო ბალიძე, შიო ბათმანაშვილი, პეტრე (მერაბ) მერაბიშვილი, პავლე ადგულაძე (აკობაშვილი), დომენიკე მუღალშაშვილი (ჟურნალ

„ჯვარი ვაზისას“ რედაქტორი), ბენედიქტე ვარდიძე, გრიგოლ ფერაძე, მიხეილ ანტონოვი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სასწავლებლები ეკლესიის ბაზაზე არსებობდა, მათი სასწავლო პროგრამა მხოლოდ სასულიერო ინტერესებით არ იყო შემოფარგლული და იქ ისეთი ბავშვებიც სწავლობდნენ, რომლებიც შემდგომში ცნობილი საერო მოღვაწეები გამოვიდნენ. საეკლესიო საქმიანობის მსურველებს კი ამ სასწავლებლების დამთავრების შემდგომ შესაძლებლობა ჰქონდათ სწავლის გასაგრძელებლად რომში, პაპის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში, წასულიყვნენ და მისი დასრულების მერე მღვდლის წოდებამინიჭებულნი დაბრუნებულიყვნენ საქართველოში საღვთისმსახურებლო მისიის შემსრულებლებად.

ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ 1906 წლის XVIII ნომერში ავტორის ხელმოწერის გარეშე გამოქვეყნებულ წერილში სტამბოლის ქართულ სკოლებში არსებული მდგომარეობა შემდეგნაირად იყო დახასიათებული: „ეს პატარა კოლონია სწავლა-განათლების მხრით ფეხზე დგას. მათი შვილები ინვრთნებიან დაწყებაშიდ თავიანთ ქართულ შკოლებშიდ, რომელნიც არიან ფერიქოვშიდ ვაჟების ბეგოღლით — პაპას-ქოფრის შვილი. როდესაც ასრულებენ ამ დაწყებით სწავლებას, მეორე შედიან მაღალ სასწავლებლებში ზოგი სავაჭრო და ზოგი საექიმოშიდ.

...ამ შკოლებს ქართველების შკოლა ჰქვიან; მაგრამ მოსწავლე ყმაწვილებს ასში ორი ქართველი ძლივს მოიპოვება, დანარჩენი სულ უცხო გვარები არიან, ნამეტი ნაწილი ბერძნები, თათრები და სხვა და სხვა გვარის კათოლიკები.

სწავლა ეძლევათ ფრანგულს ენაზედ და კვლავ სწავლობენ: ფრანგულს, ბერძნულს და თათრულს ზედ მიწევნით.“

ჩემის აზრით, ხსენებული პუბლიკაციის ავტორი რეალურად არსებულ სინამდვილეს აშკარად გაყალბებული სახით წარმოგვიდგენს. ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ის ფაქტი მაძლევს, რომ მის მიერ მოწვდილი ინფორმაცია არსებითად განსხვავდება იმ შეფასებებისგან, რასაც სტამბოლის ქართულ სკოლებში არსებულ მდგომარეობას აძლევდნენ ის პიროვნებანი, რომელნიც პირადად იყვნენ გაცნობილნი იქაურ ვითარებას. კერძოდ, ხსენებული პუბლიკაციი-

საგან განსხვავებით, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების ავტორები, რომელთა დიდ ნაწილს სტამბოლელი კორესპონდენტები წარმოადგენდნენ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ სავანესთან არსებული სასწავლებლების მოსწავლეთა უმეტესობას ქართველები წარმოადგენდნენ.

წინამდებარე ნარკვევში ზემოთ უკვე არაერთგზის დამოწმებული ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალების გარდა, დამატებით აქ „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებული ფარსმანის პუბლიკაციაც — „სტამბოლის ქართველობა“ მინდა მოვიშველიო. წერილის ავტორის ინფორმაციით, „შკოლაში იმჟამად ათი ქართველი ბავშვი სწავლობდა მონასტრის ხარჯზე. გაისს კიდევ მოემატება. მათი (ესენი სულ რვა კაცია) აღმზრდელ-მასწავლებელნი დღეიდან არიან სწავლიდან მონასტერში დაბრუნებულნი ახალგაზრდები, თავიანთ მხრივ სამშობლოს სიყვარულში გაწვრთნილ ალფონს ხითაროვისაგან (ძველად საყვარელიძე), აწ გარდაცვალებულისა. ამათ განზრახვა აქვთ მთელი სწავლა ქართულად დაადგინონ, როცა საამისოდ მოეწყობიან.“

ვინაიდან მონასტრის ხარჯზე სასწავლებლებში მხოლოდ ნიჭიერებით ყველაზე მეტად გამორჩეული ბავშვები სწავლობდნენ, ქართველ მოსწავლეთა რაოდენობა, ბუნებრივია, გაცილებით მეტი იქნებოდა. მოსწავლეთა უმეტესობა (თუ მათი მთელი შემადგენლობა არა) ქართველები რომ იყვნენ, ეს მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის მთლიანად ქართულ ენაზე წარმართვის აქტიური მცდელობითაც თვალნათლივ დასტურდება. თუ ხსენებულ სასწავლებლებში არაქართველები და ქართულის არმცოდნე ბავშვები იქნებოდნენ, მაშინ ქართულ ენაზე სასწავლო პროცესის წარსამართად, რასაკვირველია, არავითარი საფუძველი არ იარსებებდა.

სტამბოლის მონასტრის სკოლებში რომ ნამდვილად ქართველი ბავშვები სწავლობდნენ, ამას წერილის ავტორი სხვაგანაც უსვამს ხაზს. მაგალითად, მისი თქმით, ეკლესიაში გამართულ ნინოობის დღესასწაულზე რომიდან დაბრუნებულ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად „აქ მოსწავლე ქართველი შეგირდებიც გალობდნენ.“

სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებულ სკოლებში ქართველ

მოსწავლეთა რაოდენობას კიდევ უფრო მეტად აკონკრეტებს ზაქარია ჭიჭინაზე. მისი ინფორმაციით, ხსენებულ სასწავლებლებში სწავლების პირველივე წელიწადს, ნაცვლად 60 მოსწავლისა, მარტო საქართველოდან წარგზავნილი 100 ბავშვი იქნა მიღებული.

1876 წელს გაზეთ „ინდეპენდენტ ბელგიეში“ გამოქვეყნებულ წერილზე დაყრდნობით კი ზ. ჭიჭინაძე მკითხველს დასახელებული წლისთვის სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი ბავშვების რაოდენობას შემდეგნაირად უკონკრეტებს: სტამბოლის ქართულ მონასტერთან გამართულ სავაჟებო და საქალებო სკოლებში, „ რომლებშიც მოსწავლეებს ქართულად ასწავლიან ყველა საგნებს, ამჟამად 160 ყმაწვილი სწავლობს. ისინი თითქმის ყველა ქართველები არიან, თუმცა მცირედ ბერძნები და სომხებიც ურევიან, რომლებიც აგრეთვე ქართულსა სწავლობენ“ (69, 61).

მოსწავლეთა რაც შეიძლებოდა მეტი რაოდენობით მისაზიდად, პ. ხარისჭირაშვილი და მისი ძმობის წევრები აქტიურად ცდილობდნენ ხსენებულ სასწავლებელთა შესახებ ინფორმაციები ფართოდ გაევრცელებინათ როგორც სტამბოლსა და თურქეთის სხვა რეგიონებში, ისე საქართველოშიც. ამ მიზნით ისინი სპეციალურ წერილებსაც უგზავნიდნენ ქართველ კათოლიკეებს და თხოვდნენ სტამბოლში მათი შვილების გაგზავნას სასწავლებლად. ამ წერილებში იმ გარემოებასაც დაბეჯითებით ესმებოდა ხაზი, რომ სასწავლებლებში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, იქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ „სწავლის დამთავრების შემდეგ ვინც სასულიერო წოდებაში ისურვებდა შესვლას, ის რომში წავიდოდა, პაპის უმღლეს სასწავლებელში; იქ სწავლის დამთავრების შემდეგ მღვდლად შეიმოსებოდა და დაბრუნდებოდა საქართველოში“ (69, 54).

იმის გამო, რომ სავანის მღვდელმსახურთა უმეტესობა წარმოშობით მესხეთ-ჯავახეთიდან იყო, მოსწავლეთა დიდ ნაწილს სწორედ საქართველოს ამ კუთხიდან წარგზავნილი ბავშვები წარმოადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლებში სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, განსაკუთრებული ყურადღება უცხო ენების სწავლებასაც ჰქონდა მიქცეული. ეს რომ ნამდვილად

ასე იყო, ამას ხსენებულ სკოლათა სახელწოდებებიც თვალნათლივ ადასტურებს: კერძოდ, ვაჟთა სკოლა ქართულ და ბერძნულ ენოვან სასწავლებელს წარმოადგენდა, ქალთა კი ქართულ-ფრანგულს. განსხვავებით დაწყებითი კლასებისაგან, სადაც სწავლების ძირითადი ენა ქართული იყო, მომდევნო კლასებში, დასახელებული ენების გარდა, სხვა დასავლურ ენათა სწავლებასაც ჰქონდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული. ენების სწავლების ასეთი მაღალი დონე კი მოსწავლეებს იმის შესაძლებლობას აძლევდათ, სურვილის შემთხვევაში შეუზღუდველად გაეგრძელებინათ სწავლა ევროპის ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

სწავლების მაღალ დონეზე წარმართვა გარკვეულწილად იმ პრაქტიკული დახმარებებითაც ყოფილა განპირობებული, რასაც, თუმცა შეზღუდულად, მაგრამ მაინც, იღებდნენ ხოლმე, დროდადრო, ხსენებულ სასწავლებელთა მესვეურები საქართველოდან. მაგალითად, სტამბოლიდან გაგზავნილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში უდიდესი მადლიერებით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ სავანის სკოლათა მოსწავლეებს საჩუქრად მიუღიათ „ქართველ საზოგადოებაში შეგროვილი“ „დედა ენები“, ქართული სახელმძღვანელოები, ჯეჯილ-ნაკადულები, მოამბე-კრებული და სხვა საკითხავი წიგნები, რომელთა შემომწირველთ და გამომგზავნთ“ დიდ მადლობას უთვლიდნენ თანადგომისთვის (46). ხსენებული პუბლიკაციის ავტორის ინფორმაციით, „ჯეჯილ-ნაკადულები და სხვა საბავშვო წიგნები გადაეცა მონასტრის შკოლის საბავშვო ბიბლიოთეკას შესანახად, ხოლო დანარჩენი წიგნები მოხმარებულ იქნებოდა საჭიროებისა და დანიშნულებისამებრ.“

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს სტამბოლის სავანესთან არსებულ სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის არსზე, ჩემთვის ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით, აქვე რამდენიმე სიტყვა იქაური სასწავლო პროგრამების შესახებაც მინდა ვთქვა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი — „სტამბოლის ქართველობა“, რომელშიც სტამბოლის სავანესთან არსებულ ზემოთ ხსენებულ სასწავლებელთა სასწავლო გეგმები და

პროგრამებია გამოქვეყნებული. ეს გეგმა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ მოსწავლეთა უმეტესობას ან ქართველები წარმოადგენდნენ, ანდა ქართული ენის მცოდნე ბავშვები, რადგანაც პირველი ოთხი წლის განმავლობაში სასწავლებლებში სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

პირველდაწყებითი კლასებისათვის გამიზნული წინამდებარე სასწავლო პროგრამის ქართული ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად ორ-ორ სემესტრად იყო დაყოფილი და ოთხ წელიწადზე გათვლილი, შალვა ვარდიძის მიერ ყოფილა შედგენილი. გარდა ქართულ ენასთან, ლიტერატურასთან და ისტორიასთან დაკავშირებული საგნებისა, სასწავლო გეგმაში ასევე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ისეთი ზოგადი დისციპლინების შესწავლასაც, როგორებიცაა: მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, უცხო ენები (ლათინური, ფრანგული, ბერძნული, თურქული...).

პირველი სასწავლო წლის ორივე სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები სწავლობდნენ შემდეგ საგნებს: „ა) დედა-ენა, ბ) წერა, გ) კითხვა, დ) ზეპირი.“ სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ბავშვებისათვის პატრიოტული სულისკვეთების მქონე ლექსების სწავლებას.

მეორე სასწავლო სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა: გრამატიკა, ხუცური, ბუნების კარი, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სიტყვიერების თეორია, ქართული ხელოვნების ისტორია. აქვე იყო მითითებული ისიც, რომ სწავლების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უნდა დათმობოდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებების შესწავლასაც.

სწავლების მესამე წლის გეგმა ასეთი იყო: სიტყვიერების ისტორია, საქართველოს ისტორია, გრამატიკა, ზეპირი წარმოთქმა. ქართველ მწერალთაგან ყურადღება უნდა მიქცეოდა არჩილის, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცალკეული ნიმუშების შესწავლას.

სწავლების პირველი საფეხურის ბოლო, მეოთხე, წელს კი მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ: სიტყვიერების ისტორია, საეკლესიო

ისტორია, ზეპირი (შავთელი, ჩახრუხაძე, „ვეფხისტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“), პალეოგრაფია.

სასწავლო პროგრამაში კონკრეტულად იყვნენ დასახელებულნი ის ავტორებიც, რომელთა წიგნებითაც უნდა მომხდარიყო გეგმით გათვალისწინებული საგნების შესწავლა (საქართველოს ისტორიისა — ი. ჯავახიშვილი, ს. ქვარიანი, დ. ბაქრაძე, გრამატიკისა — მ. ჯანაშვილი, სიტყვიერების ისტორიისა — ა. ხახანაშვილი, ეკლესიის ისტორიისა — მ. თამარაშვილი, ი. ჯავახიშვილი...).

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებს ევალებოდათ სპეციალურად შერჩეული თემების დაწერა შემდეგ საგნებში: ა) საქართველოს ისტორია; ბ) საქართველოს ეკლესიის ისტორია; გ) ქართველთა დასაწყისი (ქვეყანა, გვარი, ენა); დ) კრიტიკული მიმოხილვა; განქიქება რომელიმე შესწავლილი მწერლის შემოქმედებისა.

სასწავლო პროგრამით განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საეკლესიო გალობის შესწავლასაც.

როგორც წარმოდგენილი მასალებითაც დაუეჭვებლად დარწმუნდება მკითხველი, სტამბოლის სავანესთან არსებული სასწავლებლების სასწავლო პროგრამების მეცნიერული დიაპაზონი მეტად ფართო და მრავალმხრივი იყო. თუმცა ამავე პროგრამიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ ხსენებულ სასწავლებელთა მესვეურები არა მარტო მოსწავლეების განათლების დონის ასამაღლებლად ზრუნავდნენ აქტიურად, არამედ მათი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების განსამტკიცებლადაც.

ხსენებულ სასწავლებლებში სწავლების პირველი ეტაპი თავდაპირველად ორ წელიწადს მოიცავდა, 70-იანი წლებიდან იგი სამწლიანი გამხდარა, შემდგომში კი სწავლების ვადა ოთხ წლამდე გახანგრძლივებულა.

როგორც უკვე ითქვა, სასწავლებლებში უცხო ენების სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც ჰქონდა მიქცეული, რომ მოსწავლეებს შემდგომში თავისუფლად შეძლებოდათ, სურვილის შემთხვევაში, შეუზღუდველად გაეგრძელებინათ სწავლა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებში. თუმცა ყოველივე ზემოთქმული იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ ეს ყველაფერი მშობლიური ენის შესწავლის შეზღუდვის ხარჯზე ხდებოდა. ეს რომ

ასე არ ყოფილა, ამას პ. ხარისჭირაშვილის ერთ-ერთი წერილის ეს ფრაგმენტიც ნათლად ადასტურებს: „ამისათვის გვსურს ახლა, რომ ვიდრემდი იმ სამ წელლს ისწავლონ თანვე ქართულებ დაბალი კლასის რამეები, რათა ოდეს დაასრულებენ ევროპულ ენების სწავლას, იყვნენ მომზადებულნი მაღალი კლასების სწავლისათვის იმ ევროპულ ენებზე და იმ რიგობით თანვე შეისწავლონ კარგად სუფთა, დაბიური ქართული და თხზვა, კანონიერად, ქართულებ. თვარემ უამისოდ რას არგებს მათ და ანუ მამულს მარტო ევროპულის ენებით ლაპარაკი“ (35, 167).

სასწავლო პროცესის მაღალორგანიზებულად წარმართვას ხელს ოსმალეთის ხელისუფლების მხარდამჭერი დამოკიდებულებაც უწყობდა. კერძოდ, ხელისუფლების მესვეურები ხსენებულ სასწავლებლებს „სასარგებლო სკოლას“ უწოდებდნენ.

სტამბოლის ქართული სასწავლებლებისადმი კეთილად განწყობილ ხელისუფალთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სულთანი აბდულაჰმან მეორე (1876-1909 წწ.). ქართველებისადმი კეთილგანწყობილების ნათელსაყოფად აბდულაჰმანის სულთნობის პერიოდიდან აქ ერთი ასეთი ფაქტი მინდა გავიხსენო: ყოველი რამაზანის XII დღეს აია სოფიას ტაძარში საზეიმოდ მიმავალ სულთანს ილდიზ-კიოსკის მახლობლად თურმე ქართველი მოსწავლეებიცა და. მასწავლებლებიც ხვდებოდნენ და მუსიკით აცილებდნენ, რის გამოც სულთანი მათ მადლობის წერილსა და საჩუქრებს უგზავნიდა.

ტრადიცია არც 1893 წელს დარღვეულა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ საზეიმო განწყობილება დაამძიმა. სულთანის ერთ-ერთ ადიუტანტს ცხენი ვერ შეუკავებია, მოსწავლეების ჯგუფში შევარდნილა და რამდენიმე მათგანი დაუშავებია. ამ ამბით შეწუხებულ სულთანს ბავშვების ამბავი რამდენჯერმე მოუკითხავს, მეორე დღეს კი საგანგებო ბრძანება გამოუცია, რითაც დაზარალებულებისათვის სამკურნალო თანხა მთავრობის ხაზინიდან გამოუყვია.

სკოლის დირექტორს — ანდრია წინამძღვრიშვილსა და მის თანაშემწეს — მღვდელ მერაბს სულთანმა საჩუქრები გადასცა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს კი გემი გამოუგზავნა გასასეირნებლად. გასეირნების შემდეგ გაშლილ საზეიმო სუფრასთან წარმოთქმულ სიტყვებში მასწავლებლებმა: სტეფანე გიორგაძემ და ანდრია წინამ-

ძღვრიშვილმა და ორმა მოსწავლემ სულთანს მადლობა გადაუხადეს გულისხმიერებისა და მინიჭებული უფლებებისათვის.

გამომსვლელთა საპასუხოდ, სულთანის მხრიდან მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ქართულ ენაზე მიესალმა თურქეთის სახალხო სკოლების ზედამხედველი ისმაილ-ფაშა. მისი თქმით, ქართველ ბერ-მონაზვნებს თურქეთში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში „საცალკეო“ წვლილი შეჰქონდათ, რის გამოც სტამბოლელთა სიყვარული ჰქონდათ დამსახურებული.

ეს ამბავი მთელს სტამბოლში იმდენად ფართოდ გახმაურდა, რომ მის შესახებ იქაურ პრესაშიც გამოქვეყნდა რამდენიმე ინფორმაცია. პუბლიკაციათა ავტორების ხაზგასმით, სულთანის მხრიდან ასეთი ყურადღება იშვიათად თუ რგებია წილად სხვა რომელიმე უცხოენოვან სკოლას თურქეთში.

ქართული ეკლესიისა და სასწავლებლების ამბავი არა მარტო სტამბოლსა და საქართველოში გახდა ფართოდ ცნობილი, არამედ ევროპის ქვეყნებშიც. ნათქვამის ნათელსაყოფად ზ. ჭიჭინაძე ზემოთ უკვე მოხსენიებულ თავის წიგნში (64) 1876 წელს გაზეთ „ინდეპენდენტ ბელგიეში“ გამოქვეყნებული იმ წერილის ფრაგმენტს იშველიებს, რომელშიც ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ასეთი რამაა ნათქვამი: „ცხრამეტ მარტს, 1876 წ. წმ. იოსების დღესასწულის დროს, დიდძალი ხალხი დაესწრო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთ ეკლესიაში ქართულს ენაზე წირვას... წირვის დროს ქართულად გალობდნენ. ქართული გალობა საამო სასმენი ყოფილა. წირვის შემდეგ ამ ქართველთა ეკლესიის დამფუძნებლებმა პეტრე ხარისჭირაშვილმა და ერთმა სხვა პატრმა სიტყვა წარმოთქვა ქართულად.“

როგორც ვხედათ, ბელგიურ გაზეთში გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია დღევანდელი მკითხველისათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმ მრავალმხრივად ფასეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც სტამბოლის ქართულ ეკლესიაში მოღვაწე ქართველი ბერები ეწეოდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ინფორმაციის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ მას ამ საქმიანობის უშუალოდ თვითმხილველი პიროვნება გვაწვდის.

სამწუხაროდ, სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებულმა ზემოთ ხსენებულმა სკოლებმა, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შედეგად გართულებული ვითარების გამო, გასული საუკუნის ათიან წლებში არსებობა შეწყვიტეს; შეწყვიტეს იმ დროს, როცა სავანის მღვდელმსახურთა და სტამბოლში იმხანად მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა პატრიოტული ენთუზიაზმის წყალობით ჩვენი სულიერი კულტურისა და განმანათლებლობის ამ მძლავრ უცხოურ კერაში კიდევ ერთი „დიდი საშვილიშვილო საქმე იდგამდა გვირგვინს... აქ შეიმუშავეს ოსმალეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. 1914 წლისათვის ქართული სკოლის გახსნასაც აპირებდნენ. ამ საქმის ორგანიზატორები იყვნენ მამა შალვა ვარდიძე, მემედ-ბეგ აბაშიძე და ისკანდერ-ეფენდი ცივაძე. სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და საქმე ჩაიშალა“ (54, 19).

იმისათვის, რომ ხსენებული სკოლის მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა არ გასჭირვებოდათ, სკოლის გახსნის ინიციატორებს თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის სავანის სტამბაში დედაენის სახელმძღვანელოც დაუბეჭდავთ 1914 წელს სათაურით: „პატარა ქართული ანბანი, შედგენილი და გამოცემული ოსმალოს ქართველთათვის, გამოცემა პირველი, სტამბოლი, ქართული საბეჭდავი, ფერიქვევი.“ შ. ფუტკარაძის ვარაუდით, გარდა ხსენებული წიგნისა, აღნიშნული საქმის თავკაცებს მონასტრის სტამბაში იმხანად „დედაენის“ უფრო ვრცელი სახელმძღვანელოც უნდა ჰქონოდათ დაბეჭდილი, რაც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არ არის.

* * *

სტამბოლის კათოლიკური ეკლესიის გადაქცევას ქართული კულტურის მძლავრ კერად მის ბაზაზე ქართული სტამბისა და გამომცემლობის დაარსებამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი.

აღნიშნული სტამბის გახსნამდე პ. ხარისჭირაშვილს საამისო გამოცდილება უკვე ჰქონდა შეძენილი ვენეციაში მღვდელმსახურების პერიოდში. იქ იგი არა მარტო უბრალოდ დაინტერესდა ამ საქმის შესწავლით, არამედ მესტამბეებს ქართული შრიფტებიც ჩამოასხმე-

ვინა და 1855 წლიდან ქართული წიგნების ბეჭდვასაც მიჰყო ხელი. კერძოდ, პ. ხარისჭირაშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით სწორედ ვენეციაში არის დაბეჭდილი ისეთი ქართული წიგნები, როგორებიცაა: „ისტორია გინა მოთხრობა სამღთო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმათა“ (1858 წ.), „წმინდანების ცხოვრება“ (1859 წ. შედგენილი არქიმანდრიტ ლუკა ინჯიჯიანის მიერ), „იგავნი იეზებოს ფილასოფოზისანი თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა“ (1859 წ. წიგნი პირველი), „შემოკლებული სწავლა ყოვლად საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა“ (1860 წ.).

სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობით პ. ხარისჭირაშვილის ამგვარმა დაინტერესებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა სტამბოლში მისი მოღვაწეობის პერიოდში. თავისი ამ საქმიანობით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ სასულიერო პირი არ ყოფილა და თავისი მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობით ყველაფერს აკეთებდა ქართული ცნობიერებისა და თვითშეგნების განსამტკიცებლად.

პ. ხარისჭირაშვილის უდიდეს ღვაწლს ზემოთქმული თვლსაზრისით მისი არაერთი თანამედროვე აღნიშნავს უღრმესი პატივისცემითა და მოკრძალებით. მაგალითად, ვინმე მესხის ფსევდონიმით ცნობილი ივანე გვარამაძე, რომელიც არაერთგზის გამხდარა პ. ხარისჭირაშვილის დიდ სასულიერო და ეროვნულ საქმეთა უშუალო თვითმხილველი, ერთგან აღფრთოვანებით წერდა: „ეკალში ვარდი ამოვა, რუსხმულში და წყლის ნაპირებზე _ შროშანი, მინდორ-ველზედა ყვავილი. ჩვენს გაღატაკებულს დროშიაც ხომ აღმოგვიჩნდა პეტრე ხარისჭირაშვილი!"

პატრიოტული ენთუზიაზმით გულანთებულმა პ. ხარისჭირაშვილმა სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული სასწავლებლის რეალურად ამოქმედების შემდეგ, 1870 წელს, უკვე ქართული სტამბის გახსნაც შეძლო და გარდაცვალებამდე (1890 წ.) ამ საქმესაც უძღვებოდა ჩვეული შემართებით (ზ. ჭიჭინაძემ სტამბოლის ქართული სტამბის დაარსების თარიღად მოგვიანებით 1872 და 1876 წლებიც დაასახელა (70, 163 და 325).

ამ საქმის პრაქტიკულ გაკეთებას წინ უძღოდა მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება. კერძოდ, „ჩამოასხმევინა სრულიად ახალი ყალიბები, ვენეციის ასოს მინაგვარათ, მაგრამ საკმარისათ თავის ხასიათის მექონი, შეიძინა ყოველივე იარაღი სტამბისა... ვენეციიდამაც აქ გადმოიტანა ქართული ასოები, რადგანაც იქ მან მოუხერხებლად დაინახა ქართული წიგნების ბეჭდვა, ვენეციიდამ ამან ქართული ასოები სულ გადმოიტანა, ისე რომ იქ აღარაფერი დასტოვა...

სტამბაში მუშაობა დააწყებინა თავისავე მოსწავლეებს და ძმებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ფრანციის ქალაქ მონტობანშიც დააარსა ქართული სტამბა, სადაც წიგნების ბეჭდვაც დააწყებინა“ (70, 65).

სავანეში მოღვაწე სასულიერო პირები გამუდმებით ზრუნავდნენ სტამბის ტექნიკური მხარის გასაუმჯობესებლად და ახალი დანადგარების შესაძენად. ნათქვამის დასტურად უაღრესად საინტერესოა მ. თამარაშვილის ფონდში მოძიებული ის დოკუმენტური მასალები, რომელთაც მონტობანის ქართული სტამბის შესახებ დაწერილ თავის ნაშრომში იმოწმებს ი. ტაბაღუა (50, 170). კერძოდ, 1899 წლის 15 აგვისტოს სტამბოლის ქართული სავანის იმჟამინდელ წინამძღვარს ა. ხითარიშვილს მ. თამარაშვილისთვის ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია: „უეჭველი არის გესიამოვნებათ შემდეგი: პ. ანდრეას მონტობანში ყოფნის დროს შემოსწირა მონასტერს ერთმა ფრანცუზის დედაკაცმან კარგი ახალი სისტემა ტიპოგრაფიისა და პ. სტეფანე რა ჩავიდა მონტობანში, უნდოდა გაეყიდა; მე სასწრაფოდ მიეწერე, რომ აქ გამოეგზავნა და ახლა აქ ვამართვინებ, რომ მონასტერს ჰქონდეს ერთი კარგი ინსტრუმენტი გამოსაცემად გვარის სასარგებლო წიგნებისა.“

აღნიშნული საბეჭდი მანქანა 1899 წლის სექტემბერში მართლაც ჩამოუტანიათ და დაუმონტაჟებიათ სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებულ სტამბაში, რითაც მნიშვნელოვანწილად გაუუმჯობესებიათ წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საქმე.

სტამბოლის ქართული სტამბის ტექნიკური აღჭურვილობის განახლება 1913 წელსაც მოუხდენიათ. კერძოდ, ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, სტამბის მესვეურებს ამ წელს თბილისიდან „ასი მანეთის ქართული ახალი ასოები გაუწერიათ.“ ხსენებული სტამბის იმჟამინ-

დელი თავკაცი სოლომონ ვადაჭკორია „თფილისის სტამბის ასპარეზზედ ხელოსნობით კარგად ცნობილი“ და თავის საქმეში ღრმად განსწავლული პიროვნება ყოფილა (70, 319).

როგორც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია შ. ლომსაძემ, პ. ხარისჭირაშვილს საგამომცემლო საქმე იმდენად მაღალ დონეზე ჰქონია მოწესრიგებული, რომ გამოსაცემი წიგნების ავტორებსა და მთარგმნელებს თურმე ჰონორარსაც კი აძლევდა (ხარისჭირაშვილის გამოთქმით, „შეთხზვის ხარჯსა“ და „თარგმნის ხარჯს“). ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ქვემოთ დამოწებული ის წერილი, რომელიც ივანე გვარამაძისათვის გაუგზანია მას 1877 წელს: „მიახლებია თქვენთვის 25 მანეთი. აქედან 5 მანეთი დაიჭირეთ წ-ა ესტატის ლექსებისათვისა, 10 მანეთი წ-ა ეგნატის რვა დღის წურთვისათვის და 10 მანეთი როტორველის წიგნისათვის, რომელიც უნდა დასთარგმნოთ“ (35, 155).

ზემოთ ხსენებული საარქივო დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ გამოსაცემი მასალის შერჩევის დროს გამომცემელთა ერთი ნაწილი თეოლოგიური ხასიათის წიგნებთან ერთად განსაკუთრებულ დაინტერესებას ე. წ. „სახალხო წიგნების“ მიმართაც იჩენდა, კერძოდ, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის მქონე ისეთი წიგნებისადმი, რომლებიც მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს შეასრულებდნენ ფართო მოსახლეობის განსწავლის საქმეში. ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებას ისინი იმდენად მნიშვნელოვნადაც კი თვლიდნენ, რომ ამის გაკეთებას ზოგიერთი მათგანი თეოლოგიური ხასიათის წიგნების ბეჭდვაზე სასარგებლო საქმედაც მიიჩნევდა.

აი, რას წერს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის ერთ-ერთი თანამშრომელი პავლე კალაიჯიშვილი: „იმისათვის, რომ ქართულს ენაზედ მოლაპარაკე კათოლიკები ძალიან ცოტანი არიან და მათგანაც ხუთი წილი უსწავლელია და ღარიბი“, პ. კალაიჯიშვილის მტკიცებით, გამომცემლობას თეოლოგიური ხასიათის წიგნების გამოცემა უნდა შეემცირებინა. მისი აზრით, „საქართველოს ამ დროში უფრო სახალხო წიგნები სჭირდებოდა, მაგრამ არა იმისთანები, რომლებშიც არავითარი

აზრი და მიზანი არ არის თუ არ ყვლეფა ხალხისა. არა, ბატონო... იმნაირი სახალხო წიგნები, რომ ხალხსაც უყვარდეს იმნაირი წიგნების კითხვა და სარგებლობაც მოუტანოს. ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ გამოიცეს ქართული გრამატიკა, მაგრამ ახალი ენისა, მოკლე ისტორია საქართველოსი, მოკლე გეოგრაფია საქართველოსი, თუ შეიძლება კარტებიც, საღმთო ისტორია მოკლე, სათემო ისტორია მოკლე და მისი გეოგრაფია, საქრისტიანო მოძღვრება მოკლე განაკვეთი და არა ასრე ყრუ. ბუნებითი საგნების განმარტება, რაც კაცს გარეშე არტყია, ესე იგი მოკლე წიგნებით და ცალ-ცალკე: ბოტანიკა, ასტრონომია, ზოოლოგია, ხიმია, ფიზიკა და გეოლოგია" (35, 157).

მიუხედავად იმისა, რომ პ. კალაიჯიშვილისა და მისი თანამოაზრეების თვალსაზრისს პ. ხარისჭირაშვილი ბოლომდე არ ეთანხმებოდა, რის გამოც მათ შორის გარკვეულ წინააღმდეგობასაც უჩენია თავი, მათი სურვილი მხოლოდ სურვილად არ დარჩენილა და, როგორც სტამბოლში დაბეჭდილი წიგნების ჩვენთვის ცნობილი ჩამონათვალითაც დასტურდება, ხსენებულ გამომცემლობას ზემოთ აღნიშნული „სახალხო წიგნებიც" საკმაო რაოდენობით აქვს გამოცემული.

გარდა ქართველი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის განკუთვნილი ამგვარი „სახალხო წიგნებისა", სტამბოლის სტამბა-გამომცემლობა დროდადრო ქრისტიანული ეკლესიის წმინდანებისა და ქართველ მეფეთა სურათებსაც ბეჭდავდა და ავრცელებდა მოსახლეობაში. მაგალითად, 1875 წელს გამომცემლობის მესვეურებს თამარ მეფის ფერადი სურათი გამოუციათ რამდენიმე ათასიანი ტირაჟით.

მოყოლებული 1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. მართალია, მათი დიდი ნაწილი სასულიერო ხასიათისაა, მაგრამ მათ შორის ისეთი წიგნებიც საკმაო რაოდენობით გვხდება, რომელნიც სასწავლო, მხატვრული, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემებს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის ათიან და ოციან წლებში დასტამბული წიგნები. როგორც ამ გამოცემათა სახელწოდებებიდანაც ნათლად დარწმუნდება მკითხველი, სტამბოლის

ქართული სტამბა-გამომცელობის მესვეურები არა მარტო უბრალოდ ადევნებდნენ თვალს საქართველოში იმხანად მიმდინარე მოვლენებს, არამედ მათ მიერ გამოცემული წიგნებით სათანადო შეფასებებსაც აძლევდნენ კიდეც ყველაფერ ამას. ამ შემთხვევაში მრავლისმთქმელი ისიცაა, რომ ხსენებულ გამოცემათა ბევრმა ავტორმა (ნ. ჟორდანიამ, პ. სურგულაძემ, მ. წერეთელმა, ა. მანველიშვილმა, ნ. მიწიშვილმა...) სტამბოლში დასტამბული მათი წიგნები სწორედ იქ ყოფნის პერიოდში დაწერა.

სამწუხაროდ, პ. ხარისჭირაშვილმა და მისმა თანამოსაქმეებმა თავიანთი დიდი პატრიოტული ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლეს და ბევრი წიგნი, განსაკუთრებით სასწავლო დანიშნულებისა, დარჩათ გამოუცემელი. ამ გარემოების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტი იქცა, რომ მიუხედავად დიდი მონდომებისა, პ. ხარისჭირაშვილსა და მის თანამოსაქმეებს მათ მიერ გამოცემული წიგნების საქართველოს სკოლებში გავრცელების უფლება არ მისცეს. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ივ. გვარამაძე: „დაბეჭდა და გამოსცა მეტად სასარგებლო წიგნები, მაგრამ ჩვენდა დიდათ სამწუხაროთ საამისოთ ვერა ვსარგებლობთ ამ ძვირფას წიგნებიდგან, მაგრამ ბრალი, დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის და არა მისი. ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ უმეცრების ღრმა ძილისაგან.“

სტამბოლში გამოცემული სახელმძღვანელო წიგნებისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში პ. ხარისჭირაშვილი სათანადო განმარტებას აწვდის მკითხველს იმ მიზანდასახულობის შესახებ, რასაც მისი ეს გამოცემები უნდა მომსახურებოდნენ. პირველი და უმთავრესი ამ შემთხვევაში იმ სიცარიელის შევსების პატრიოტული სურვილი იყო, რასაც ქართულ სინამდვილეში სასწავლო ხასიათის წიგნების უდიდესი ნაკლებობა აჩენდა. „დიდი ხნის აქეთ, — წერდა იგი, — მწუხარეს გულით ვხედავდით, რომ არა იპოვებოდნენ ქართულს ენაზე დასტამბული სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყოველიფერი მოკლებული იყო სწავლის საშუალებისაგან. მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, იგი, რომელმაც ქართული ენის მთელი სხვა ენა არ იცის. წიგნების უქონ-

ლობა უფრო შესამჩნევ გულ დასაწველი იყო სასოფლო სკოლების მდგომარეობისა.“

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმის პრაქტიკული მოგვარება და ხსენებული ხასიათის წიგნების გამოცემა დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული, როგორც პ. ხარისჭირაშვილი წერს, სტამბოლის მონასტრის „სამონაზვნო საზოგადოების მონასტრებრივმა ერთობამ“ მაინც შეძლო ამ მიმართულებით რეალური წარმატების მოპოვება. თავად პ. ხარისჭირაშვილის თქმით, „თუმც ამ წიგნების გამომცემს დიდი გროვა ფული და ძალა დასჭირდა, მაგრამ რადგან დიდად მიგვაჩნდა საქართველო და გვქონდა ნატვრა მისდამი სამსახურის ჩვენისა, ყოველ ნაირი მძიმე შრომა-და ნაწარმოების მსხვერპლი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა და წარმატება სწავლაში და მისს მომავალ ახალ თაობასაც საშუალება მეცნიერებაში.“

სტამბოლის ქართული სტამბა-გამომცემლობის მესვეურთა ეროვნული მიზანდასახულობის შესაფასებლად აქ 1878 წელს მათ მიერ გამოცემული ერთ-ერთი წიგნის — „ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსების“ წინასიტყვაობაც მინდა დავიმოწმო, რომელშიც მათი საგამომცემლო საქმიანობის არსი შემდენაირადაა განსაზღვრულ-განმარტებული: „ახლანდელმა შემოსულმა რომელიმე ლოთური სიმღერის წიგნებმა, და სხვა ამათ ნაირად ყრმათა ფიქრისა და გულის მომწამვლელმა ზოგიერთმა ბროშურებმა გარყვნეს სრულიად გული და გონება ახალ მოსწავლე ყმაწვილებისა იქამდინ, რომ აღარ ჰსცალდებათ სულისა, ხორცისა და მამულის სასარგებლო სწავლების მიღება... ამ გვარი სავნო მოვლინებაების წამლის დასადებლად დავსტამბეთ ეს რჩეული ლექსების წიგნი, რომ იქმნება რამე სარგებლობა მისცენ ამ ლექსებმან ჩვენს დაცემულს საზოგადოებასა.“

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს სტამბოლის სავანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობის დიდმნიშვნელოვან საქმიანობაზე, კონკრეტულად დავასახელებ მის მიერ გამოცემული იმ წიგნების მცირე ნაწილს, რომლებიც დღევანდელი თვალსაზრისითაც არიან უაღრესად საინტერესონი:

ისტორია საზოგადო, 1877 წ.

ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. დალექსილი სხვა და სხვა დროს უფალი მ. ი. მ. გ. 1878 წ.

მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარეობა, 1880 წ.

„მზა პასუხი" სომხურ გაზეთ „მშაკის" შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული, მოქალაქეობა, ისტორია, მწერლობა, დამოუკიდებელი ეკლესია და სხვანი, 1882 წ.

პეტრე სურგულაძე, საქართველოს თავისუფლებისაკენ, 1917 წ.

პეტრე სურგულაძე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, 1918 წ.

პეტრე სურგულაძე, საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1918 წ.

პავლე ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, 1918 წ.

რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, 1921 წ.

ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, 1921 წ.

ქართველო ქრისტიანებო, შეერთდით! 1922 წ.

ნოე ჟორდანია, ბრძოლის საკითხები, 1923 წ.

ვანო ალიხანიშვილი, რამ დაგვღუპა და რა გვიხსნის, 1923 წ.

ნიკოლო მინიშვილი, შავი ვარსკვლავი, ლექსები, გამოცემის წელი მითითებული არ არის. გამოცემული უნდა იყოს 1923 წ.

მიხეილ წერეთელი, ხეთის ქვეყანა. მისი ხალხები, ენები, ისტორია, კულტურა, 1924 წ.

გილგამეშიანი, ბაბილონურ ტექსტითგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ, 1924 წ.

პავლე მოსულიშვილი, შენ ხარ მზე, ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, 1924 წ.

ალექსანდრე მანველიშვილი, ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია, 1933 წ.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში გამოცემული ქართული წიგნების ბოლომდე ზუსტად და სრული სახით აღნუსხა მათი ძნელად ხელმისაწვდომობის გამო ვერ ხერხდება, ერთი უმთავრესი ტენდენ-

ცია ჩვენთის ცნობილი გამოცემების სახელწოდებათა გაცნობით მაინც იკვეთება ნათლად და აშკარად.

როგორც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, ქართველი საზოგადოება საკუთრივ საქართველოშიც ინტერესით ადევნებდა თვალს სტამბოლში ქართული წიგნების გამოცემის პროცესს. მაგალითად, გაზეთი „დროება“ 1880 წლის 180-ე ნომერში წერდა: „ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში სტამბოლით იქაურ ქართველ-ფრანგების (როგორც ცნობილია, ქართველ კათოლიკეებს, ჩვეულებრივ, ფრანგების სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე — ა. ნ.) პატრებისაგან გამოცემული „მოკლე რიტორიკა გინა მჭევრმეტყველება, სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილთა კაცთა.“ კონსტანტინოპოლს, ანტუან გვიზელიანის სტამბაში.

ეს პატარა წიგნი შესანიშნავად არის გამოცემული, კარგის, ადვილად საკითხავის ასოებით დაბეჭდილი.“

XIX საუკუნეში გამოცემული წიგნების უდიდესი ნაწილი უწინარეს ყოვლისა სასულიერო ხასიათისაა. მათ შემდეგ მოდის სასწავლო-საგანმანთლებლო დანიშნულების მქონე ე. წ. „სახალხო წიგნები.“ რაც შეეხება მხატვრული, ისტორიული და სამეცნიერო ხასიათის წიგნებს, მათი გამოცემით აღნიშნულ პერიოდში გამომცემლობის მესვეურები შედარებით ნაკლებად ინტერესდებიან.

გასული საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევრიდან კი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების სათაურებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ვითარება იმდენად რადიკალურად იცვლება, რომ სტამბოლის სტამბა-გამომცელობის მიერ გამოშვებული წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იმჟამინდელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემებისადმია მიძღვნილი. ჩემი აზრით, სტამბოლელ გამომცემელთა საქმიანობაში მომხდარი ამგვარი მკვეთრი გარდატეხა იმ პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში.

თუმცა ამგვარი ეროვნულ-პოლიტიკური აქტიურობა ქართული სავანის მღვდელმსახურებისა და გამომცემლობის მუშაკთათვის არც მანამდე რომ არ ყოფილა უცხო მოვლენა, ეს თუნდაც ამ ფაქტითაც დასტურდება ნათლად და არაორაზროვნად:

გაზეთ „დროების“ ინფორმაციით (9), სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურებს სომხური გაზეთის _ „მშაკი“ 1882 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ ანტიქართულ წერილში გამოთქმულ ცილისწამებათა გამოსააშკარავებლად „ერთი ახალი პატარა წიგნი გამოუციათ“, რომლის ავტორიც სათანადო „ისტორიულის ცნობებით... ამტკიცებს, რომ ქართველები თავიანთის წარსულის ცხოვრებით, შესანიშნავ ქველმოქმედებით, მწერლობით და ისტორიით სულაც არ ჩამოუვარდებიან სომხებს და ქართული „ვეფხისტყაოსანი“ მთელს მათ მწერლობასა სჯობიან.“ „დროების“ მიერ მოხსენიებული ზემოთ აღნიშნული წიგნი სტამბოლის სტამბა-გამომოცემლობამ 1882 წელს დაბეჭდა სახელწოდებით „მზა პასუხი“ სომხურ გაზეთ „მშაკის“ შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული, მოქალაქეობა, ისტორია, მწერლობა, დამოუკიდებელი ეკლესია და სხვანი.“

იმ სასულიერო პირთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სტამბოლის ქართული სტამბის რეალურად ფუნქციონირების საქმეში, გარდა პეტრე ხარისჭირაშვილისა, ასევე უნდა გავიხსენოთ კონსტანტინეპოლის მონასტერში მოღვაწე ქართველი ღვთისმსახურები: ალექსანდრე მირაქოვი, ათანასე ნასყიდოვი, ალფონს ხითარიშვილი და სხვები.

სტამბაში ასოთამწყობებად და სხვა პრაქტიკული საქმეების შემსრულებლებად ძირითადად ეკლესიასთან არსებული სასწავლებლების მოსწავლეები მუშაობდნენ. თავიდან მათ იქვე ასწავლიდნენ ხელობას, შემდეგ კი უშუალოდ რთავდნენ მუშაობის პროცესში. იმის გამო, რომ ხსენებულ სტამბაში დროდადრო არაქართულენოვანი წიგნებიც იბეჭდებოდა, შეგირდებს თურმე უცხო ენებზე ბეჭდვასაც ასწავლიდნენ.

კონსტანტინეპოლის ქართულ მონასტერთან პ. ხარიჭარიშვილის მიერ 1870 წელს გახსნილი სტამბა 70-იანი წლების ბოლოს უკვე იმდენად გაფართოებულა და გაძლიერებულა, რომ იგი სრულიად დამოუკიდებელ ისეთ წარმოებად ქცეულა, რომელსაც საკუთარი მომსახურე პერსონალი და დირექტორი ჰყავდა. შ. ლომსაძის მტკიცებით, ამ დროს „სტამბახანის“ დირექტორი ყოფილა ანტონ გოზალიშვილი (34, 73).

ო. კასრაძის აზრით, სწორედ ეს პიროვნება უნდა იყოს ის ანთუან გვაზალიანი, რომელიც კონსტანტინეპოლის ქართული სავანის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების თავფურცლებზეა დასახელებული ამ სტამბის მფლობელად. საკუთარი ქართული გვარ-სახელის ამგვარი გასომხურება, ო. კასრაძის აზრით, მას კათოლიკური სარწმუნოების მიღების შემდეგ უნდა მოეხდინა, რასაც ხშირად აკეთებდა ხოლმე გაკათოლიკებული ქართველების არცთუ მცირე ნაწილი (29, 152).

სტამბოლში გამოცემული წიგნებით თურმე მარტო ქართველები კი არ ყოფილან დაინტერესებულნი, არამედ უცხოელებიც. ამის დასტურად ზ. ჭიჭინაძეს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე მოჰყავს, რომელიც 1877 წელს მისთვის საგანგებოდ გაგზავნილ წერილში ქართველ მწიგნობარს „დიდის მუდარებით“ თხოვდა, დახმარებოდა მას კონსტანტინეპოლში დაბეჭდილი წიგნების შოვნაში.

როგორც ქართულ პრესაში საკმაოდ მრავლად გამოქვეყნებული წერილებით დასტურდება, სტამბოლის სტამბა-გამოცემლობის საქმიანობით შესაბამისი პერიოდის საქართველოშიც ძალიან ყოფილან დაინტერესებულნი. მაგალითად, გაზეთი „დროება“ (8) უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების საგამომცემლო მოღვაწეობას ასეთ შეფასებას აძლევს: „სტამბოლისა და მონტობანის ფრანგის პატრონები დიდი მადლისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან ჩვენის საზოგადოების მხრით და როგორც არაერთხელ გამოგვიცხადებია, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა სასულიერო მამებმა ამ მხრით წაბაძონ მათ.“

სტამბოლის შემდეგ, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, პ. ხარისჭირაშვილისა და მისი ძმობის წევრების აქტიური ძალისხმევის შედეგად ქართველ კათოლიკეთა სავანე საფრანგეთის პატარა ქალაქ მონტობანშიც (მდებარეობს პარიზიდან 600 კმ-ის დაშორებით, სამხრეთით, მდ. ტარნის სანაპიროზე) დაარსდა და სავანის წინამძღვარმა ანდრია წინამძღვრიშვილმა პ. ხარისჭირაშვილის დახმარებით ქართული წიგნების ბეჭდვას იქაც დაუდო სათავე. მართალია, მონტობანის ქართულ სტამბას სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის მასშტაბები არ შეუძენია, მაგრამ ხსენებული მოვლენა მაინც მეტად მნიშვნელოვან ფაქტის წარმოადგენს ქართული ემიგრანტული კულტურის ისტორიაში.

* * *

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიაზე საუბრის დროს აქ რამდენიმე სიტყვა იმ კამათის შესახებაც მინდა ვთქვა, რომელიც რაფიელ ინგილოსა და ამ სავანის წინამძღვარს — შალვა ვარდიძეს შორის გაიმართა 1930-31 წლებში. ცნობილმა ქართველმა ემიგრანტმა რაფიელ ინგილო-ივანიცკიმ, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი და ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული არაერთი მეტად საინტერესო პუბლიცისტური წერილის ავტორი იყო, 1930 წელს პარიზში გამომავალი გაზეთის — „დამოუკიდებელი საქართველოს“ 55-ე და 56-ე ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიაში — „სტაბოლის სავანის ავკარგი“ მისეული თვალთახედვით შეაფასა ის დავა, რომელიც კონსტანტინეპოლის ქართულ მონასტერში მოღვაწე ქართველ ბერებსა და მონაზვნებს შორის მიმდინარეობდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

საქმე შეეხებოდა მამათა და დედათა მონასტრებს შორის ქონების განაწილების საკითხს, რაც მხარეთა ერთმანეთთან დაპირისპირების საგნად იყო ქცეული.

რ. ინგილოს ინფორმაციით, ბერებსა და მონაზვნებს შორის პ. ხარისჭირაშვილის სიცოცხლეში არსებული მეგობრული ურთიერთობის გამწვავების მიზეზი მოგვიანებით ქემალ-ფაშას მთავრობის მიერ მონასტრისათვის წაყენებული მოთხოვნა გამხდარა — „სკოლის შენობის გადაკეთება და გაფართოება საჰიგიენო პირობების მიხედვით. როცა მონაზვნები საქმეს შეუდგნენ, დარწმუნდნენ, რომ თავისით ვერ გაუძღვებოდნენ ხარჯებს. მათ მიმართეს მამათა ნაწილს დახმარებისათვის, გარნა უარი მიიღეს. ამის გამო მონაზონებმა უკვე გადაჭრით აღძრეს საკითხი მონასტრის მთელი ქონების ორ ნაწილად გაყოფის იმ მოსაზრებით, რომ გამიჯვნის შემდგომ შეძლებდნენ ზოგიერთი უხმარი მამულის გაყიდვით სკოლის შენობის დამთავრებას. ამაზე ბერებმა შეუთვალეს, რომ უძრავი ქონება შეადგენს მამათა მონასტრის უდავო საკუთრებას. მონაზონებმა იუცხოვეს ასეთი განმარტება და რომში საჩივრით წარსდგნენ ბერების უსამართლობის გამო.“

რ. ინგილო გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველ ბერებსა და მონაზღვნებს შორის ზემოთქმულ საკითხებთან დაკავ-

შირებით წლების განმავლობაში მიმდინარე ეს დავა უკადრისი საქმე იყო და სასულიერო პირებს არ შეეფერებოდათ. მისი თქმით, ქართველებს ეკლესია-მონასტრები ძველ დროშიც ჰქონიათ საზღვარგარეთ, მაგრამ იქ მოღვაწე ბერ-მონაზვნები „უცხო ხალხის ყურადღებას იზიდავდნენ არა შინაურული დავიდარაბითა და სკანდალური პროცესებით... მათში სხვა ჯურის საქმიანობას მისდევდნენ და მუნ მობინადრეთ არა სცალოდათ თავის შორის მიწების არშინებით დაჭრისათვის!"

ზემოთ ხსენებული მდგომარეობით გულნატკენი რ. ინგილო იქვე იმის შესახებაც გამოთქვამდა შიშს, რომ თუ „სავანის საქმეები ახლო მომავალში არ მოწესრიგდებოდა, შესაძლოა, დედათა მონასტერი უცხოელებს ჩავარდნოდათ ხელში."

წერილის ის ნაწილი, რომელშიც ზემოთქმულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული, „დამოუკიდებელი საქართველოს" 1930 წლის 55-ე ნომერშია დაბეჭდილი. როგორც გაზეთის მომდევნო, 56-ე, ნომერში დასტამბული ამ წერილის გაგრძელებიდან ირკვევა, ხსენებულ პუბლიკაციას მონასტრის მღვდელმსახურთა, პირველ ყოვლისა კი შალვა ვარდიძის უკმაყოფილება გამოუწვევია, რაც რედაქციისათვის გაგზავნილი მისი საპასუხო წერილით გამოიხატა. გაზეთის რედაქტორს მაშინ არათუ აღნიშნული მასალის გამოქვეყნება არ მიუჩნევია მიზანშეწონილად, არამედ გარკვეულწილად მისი ავტორის გულისწყრომის გაბათილებაც კი უცდია რ. ინგილოს ზემოთ ხსენებული წერილის გაგრძელების დაბეჭდვით.

თავის ახალ პუბლიკაციაში რ. ინგილომ დაბეჯითებით უარყო მის მიმართ წაყენებული ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მას, როგორც საერო პირს, მონასტრის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. მისი თქმით, თუ მან ასე მართლაც გააკეთა და მონასტრის „შინაურ საქმეებში" ჩაერია, ეს იმ მოსაზრებით ქნა, რომ „ქართველთა სავანე... დაწესებულებაა და არა კერძო ოჯახი." რ. ინგილოს თქმით, იგი თავის ხსენებული წერილით პიროვნულად კი არ უპირისპირდებოდა ვინმეს, არამედ ამით უპირველეს ყოვლისა თავისი „შეთოკილი სამშობლოს ხსნისა და წარმატებისათვის იბრძოდა."

სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაძაბული სიტუაცია, ეტყობა, იმდენად გამწვავდა, რომ გაზე-

თი „დამოუკიდებელი საქართველო“ ამ საკითხს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა 1931 წლის 63-ე ნომერში გამოქვეყნებული შალვა ვარდიძის წერილით. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრის მღვდელ-მონაზვნის ეს წერილი რ. ინგილოს ზემოთ ხსენებული პირველი პუბლიკაციის საპასუხოდ დაიწერა, მაგრამ რედაქციამ მაშინ იგი არ გამოაქვეყნა, ამჯერად კი, საკმაოდ დაგვიანებით, მისი დაბეჭდვა უკვე აუცილებლად მიიჩნია.

შ. ვარდიძის წერილისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ იგი სტამბოლის ქართული სავანის ისტორიასთან და იმჟამინდელ ყოფასთან დაკავშირებულ მრავალ მნიშვნელოვან მხარეს წარმოაჩენს იმ პიროვნების თვალთახედვით, ვინც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა სავანის ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

შ. ვარდიძე კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში არსებული მამათა და დედათა მონასტრები „იურიდიულად და ფაქტიურად სხვა და სხვა დაწესებულებებს“ წარმოადგენდნენ და გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ რ. ინგილოს, როგორც „ერისკაცსა და კათოლიკე ეკლესიის კანონებში გაუცნობიერებელ“ პიროვნებას, თავისი თავისთვის იმის უფლება არ უნდა მიეცა, სასულიერო პირებს შორის წარმოქმნილი საღვთო საკითხების „მსაჯულად“ რომ გამოსულიყო.

შ. ვარდაძის ცნობით, კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში პ. ხარისჭირაშვილი თანაბარი ძალისხმევით ზრუნავდა როგორც მამათა, ისე დედათა მონასტრებზე და ამ თვალსაზრისით მას არავითარი მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ არასოდეს გამოუჩენია. სწორედ ამ ზრუნვის შედეგად მიიჩნევს იგი იმ ფაქტს, რომ „მოლოზვნების იურიდიული არსებობა საეკლესიოთ“ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელების მიერ უკვე საბოლოოდ იქნა „აღიარებული 9 მკათათვეს 1871 წ.... მამათა სავანემ მაშინ დაუთმო ქართველ მოლოზნებს საკუთარი ადგილი, რაზედაც მ. პეტრემ და მისთა მოწაფეთ მიმდევრებმა გააშენეს მოლოზნებისათვის საკუთარი ბინა და სასწავლებელი, რომლებისთვისაც იმ დროიდან მოყოლებული ხარკსაც კი ჩვენ (სავანეში მოღვაწე ბერები — ა. ნ.) ვიხდით.“

უფრო მეტიც, პ. ხარისჭირაშვილს მამათა სავანისთვის ისიც კი დაუვალებია, რომ ამ დროიდან მოყოლებული ათიდან თხუთმეტ წლამდე „დედათა სავანე ბერებს უნდა ერჩინათ“ და მონაზვნებს მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ უნდა ეცხოვრათ თავიანთი შემოსავლებით. მონასტერში მოღვაწე ბერებმა არა თუ ეს პირობა შეასრულეს, არამედ, შ. ვარდიძის თქმით, „20-23 წლის განმავლობაში იტვირთეს მოლოზნების კვება და აღზრდა“ და მხოლოდ „1903-1904 წლებში მოხდა მათთვის საზრდოს მიცემის შეწყვეტა.“

ეს გარემოება, ეტყობა, იმით ყოფილა განპირობებული, რომ „პაპის დელეგაციის უწყების ბრძანებით“, მამათა სავანის წინამძღვარს უკვე უფლებას აღარ რთავდნენ ყოფილიყო მონაზონთა ხელმძღვანელი. იმ დღიდან მოყოლებული, შ. ვარდიძის თქმით, „მოლოზნებმა აღარ ისურვეს თავიანთი ნებაყოფლობით მამათა სავანესთან მეგობრული ურთიერთობა და კავშირი და დამრიგებლად და მრჩევლად“ უცხო მოძღვარი მიიწვიეს.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო დოკუმენტებზე ხელმიუწვდომლობის გამო სავანის სასულიერო პირთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების ყველა დეტალის სიღრმისეულად წარმოჩენა და განსჯა-შეფასება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, ერთი რომ აშკარად ცხადია და სავსებით გარკვეული: ქართველთა სავანის მთელი ის უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის შექმნასაც საფუძველი ხარისჭირაშვილმა ჩაუყარა, ხსენებული სავანის კუთვნილებას წარმოადგენდა და მისი გაყოფა-განაწილება ვინმეს შორის, პ. ხარისჭირაშვილის მიერვე დაწესებული წერილობითი ანდერძის მიხედვით, ყოვლად გაუმართლებელი იყო.

ნათქვამის ნათელსაყოფად შ. ვარდიძე პ. ხარისჭირაშვილის იმ ანდერძს იმოწმებს, რომელიც განმეორებით დაუწერია მას 1870 წლის 10 აგვისტოს იტალიურ ენაზე და იმავე დღეს დაუმტკიცებია სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში. როგორც შ. ვარდიძე აღნიშნავს, ეს ანდერძი შინაარსობრივი თვალსაზრისით ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება მისი წინანდელი, 1863 წელს დაწერილი, ვარიანტისაგან.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს პ. ხარისჭირაშვილის მიერ დატოვებული ანდერძის არსზე, დავიმოწმებ მის შ. ვარდიძისეულ თარგმანს:

„...როგორც ზემოთხსენებული მონასტერი, სამლოცველო და საწოვიციატო თავიანთი ადგილით (მიწით), ისე კიდევ შეძენილი შემოსავალნი თუ იგივე კრებულის მიერ, თუ ჩემ მიერ, და ყოველი ჩემი ქონილი მოძრავი და უძრავი, რომელთაც შევიძენ ჩემს სიცოცხლეში, დარჩებიან და ეკუთვნიან ყველა, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ზემოთ ხსენებულ კათოლიკე ქართველ ბერებს. ამიტომ არც ჩემს ნათესავებს, არც ქართველ ერს, არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექნება უფლება უქმნას დავა ზემოთ ხსენებულ საკუთრებებზე ხსენებულ ბერებს, ანუ წარიტაცოს ერთი რომელიმე ნაწილი მათი. ეს არის ჩემი უკანასკნელი და უცვლელი ნება, რომელიც მე გამოვაცხადე აქ და მინდა, რომ ყოველი საგანი როგორც აქ დაწერილია, იქმნას მარად ესრედ აღსრულებული.“

მიუხედავად იმისა, რომ პ. ხარისჭირაშვილმა ამ ანდერძის დაწერის შემდგომ ოცი წელი იცოცხლა (იგი გარდაიცვალა 1890 წ.), მას ხსენებული ანდერძი აღარ შეუცვლია. ამდენად, შ. ვარდიძის საბოლოო დასკვნით, კონსტანტინეპოლის ქართული სავანის კუთვნილი „ყველა მამული ქართველ კათოლიკე ეკლესიის სახელობაზე იყო დამტკიცებული“ და მისი გაყოფა-განაწილების ნებისმიერი მცდელობა ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს იყო მოკლებული.

* * *

სტამბოლში 2007 წლის ორ ივნისს გავემგზავრეთ ბათუმის ახლადგახსნილი საერთაშორისო აეროპორტიდან. ჩვენი სამეცნიერო დელეგაცია სამი კაცით იყო დაკომპლექტებული — პროფ. შუშანა ფუტკარაძით, პროფ. ტარიელ ფუტკარაძითა და ამ სტრიქონების ავტორით. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სიმონ ზაზაძე, რომელიც ჩვენი მთავარი მასპინძელი იყო, თავისი ბიზნეს-საქმიანობითა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით ძალზე დაკავებულ პიროვნებას წარმოადგენს, მან სტამბოლიდან რამდენჯერმე მაინც დაურეკა ქალბატონ შუშანას და ჩვენს მგზავრობასთან და სტამბოლში ყოფნასთან დაკავშირებით ყველა დეტალი დააზუსტა.

ქალბატონი შუშანა წინასწარ ხშირად გვაფრთხილებდა, ბატონი სიმონი იმდენად მოუცლელი და დატვირთული ადამიანია, ალბათ ერთხელ მეტად ვერ შეგვხვდება და ამიტომ მასზე გული არ დაგ-

წყდეთო. ჩვენი მასპინძლის წარმატებული ბიზნესმენობისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამბავი სხვა წყაროებიდანაც კარგად ვიცოდით. მისდამი პატივისცემის გრძნობას დიდად გვიძლიერებდა ის ფაქტი, რომ თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ქართველთაგან ის და მისი წინაპრები ფაქტობრივად იმ უმცირეს გამონაკლისთაგანნი არიან, რომლებმაც არც გვარი შეიცვალეს და არც ქრისტიანული სარწმუნოება უარყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ, დღევანდელი ვითარებისაგან განსხვავებით, ადრე ამის გაკეთება სარისკო საქმე იყო, მათ უკან მაინც არ დაიხიეს და ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრიციპების დათმობის ხარჯზე კომპრომისებზე არ წასულან. უფრო მეტიც, ზაზაძეების ფირმასაც, რომელიც არა მარტო თურქეთში, არამედ ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაშიცაა პოპულარული, სახელად „ზაზა“ ჰქვია.

ასე რომ, როცა სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ პროსპექტზე, ჩვენი საკონსულოს გვერდით მდებარე შენობის ფასადზე არსებულ წარწერას — „ზაზა“ წაიკითხავთ, იცოდეთ, რომ ამ ოფისში დიდი ქართული სულისა და გულის ქართველები — მამა-შვილი სიმონ და პავლე ზაზაძეები მოღვაწეობენ. მართალია, საქართველოსთან დღეს მათ მხოლოდ წინაპართა ფესვები აკავშირებთ, მაგრამ, როგორც მესხური დიალექტით შეფერადებულ-შელამაზებული თავისი კოლირიტული ქართულით თავად ბატონი სიმონიც ხშირად და დაბეჯითებით უსვამს ხოლმე ხაზს, ზაზაძეები თავს, პირველ ყოვლისა, მაინც ქართველებად რომ მიიჩნევენ და თავიანთ მოვალეობად თვლიან, აქტიურად იღვაწონ მათი ისტორიული სამშობლოს სასიკეთოდ და თურქეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობისა და მეგობრობის კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად.

ბათუმიდან ერთი საათისა და 45 წუთის ფრენის შემდეგ უკვე სტამბოლში ჩაფრენილებს ბატონი სიმონის მიერ გამოგზავნილი მძღოლი გვხვდება და სასტუმროში მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში აქამდეც რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, აზიისა და ევროპის საზღვაო ჭიშკრად ქცეული ამ კოლორიტულად ლამაზი მეგაპოლისის ნახვა მაინც ყოველთვის მძაფრ ემოციებს აღმიძრავს ხოლმე გულში. ქალაქის თვალწარმტაც მშვენიერებას მეტ შთამბეჭ-

დაობას ურიცხვი ლამპიონებით გაჩირაღდნებული ღამეული პანორამაც სძენს.

ნახევარ საათში უკვე სასტუმროში ვართ — ბატონი სიმონის კუთვნილი კოლეჯის სასტუმროში. კოლეჯის ეზოში, რომელიც ადრე სავანის კუთვნილებას წარმოადგენდა, ცალკეა შემორაგული მონასტრის ძველი შენობიდან დროის მსახვრალ ხელს გადარჩენილი პატარა ნანგრევი — ლურდის ღვთისმშობლის სენაკის ნაშთი, რითაც თავისებური ფორმით არის გამოხატული ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რასაც სასწავლებლის მესვეურები ავლენენ ამ წმინდა მიწისადმი.

იმის გამო, რომ უკვე გვიანი იყო, მიუხედავად დიდი სურვილისა, ეკლესიის სანახავად წასვლა დილამდე გადავდეთ. სამაგიეროდ ის მიკროქართული გარემო დავათვალიერეთ დიდის მღელვარებით, რომელიც კოლეჯის მეოთხე სართულზე მდებარე ჩვენი სასტუმროს ჰოლში დაგვხვდა. გარდა იმისა, რომ ჩვენი ნომრების გვერდით მდებარე დიდი ოთახი იმ ძვირფასი საგანძურის საცავს წარმოადგენდა, რომლის სანახავადაც ვიყავით ჩასულები, ჩვენი მღელვარება იმანაც გაამძაფრა, რომ სასტუმროს ფოიეში, კედლებზე, ქართველი ერის დიდი შვილების სურათებიც იყო გამოკრული. კერძოდ, შოთა რუსთაველისა, პეტრე ხარისჭირაშვილისა, მიხეილ თამარაშვილისა, გრიგოლ რობაქიძისა... აქვე იყო ძველი ქართული გაზეთიდან ამოჭრილი ათა თურქის ის წერილიც, სადაც იგი თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ საუბრობს. ცალკე იყო მოწყობილი მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხატებით დამშვენებული სალოცავი კუთხე.

მეორე დღეს, კვირას, პირველი ადგილი, რომლის სანახავადაც წავედით, ჩვენი კოლეჯის გვერდით მდებარე ქართული სამონასტრო კომპლექსი იყო. ქვის მაღალი გალავნით შემოღობილი საკმაოდ ვრცელი ამ ტერიტორიის (დაახლოებით 700-800 კვ. მ.) ერთი ნაწილი, რომელიც ეგზოტიკური ხეებითა და ნაირგვარი ყვავილებითაა დამშვენებული, ეკლესიის მაღალყელიან შენობასა და მის გვერდით მდებარე ოთხსართულიან კაპიტალურ ნაგებობას — ბერების ყოფილ საცხოვრებელსა და სასტუმროს უჭირავთ, მეორე ნაწილი კი, რომელიც ასევე ქვის გალავნითაა ცალკე გადაღობილი, ასწლო-

ვანი ხეებით დაბურულ წალკოტს წარმოადგენს. ეზოს სიღრმეში დაკვირვებული თვალი ბუჩქნარით დაფარულ ნანგრევებსაც შეამჩნევს. ეს პეტრე ხარისჭირაშვილის პირვანდელი საცხოვრებელი სენაკის ნანგრევებია.

ეკლესიის ეზოს შემოსაღობად აშენებულ ქვის მაღალ გალავანში ჩადგმული მაღალთაღოვანი ჭიშკრის თავზე, ქუჩის მხრიდან, ასეთი წარწერაა გაკეთებული: "NOTRE DAME DE LOURDES 1861 GURCU KATOLIK KILISES. "

დღეს კვირაა და ეკლესიის მსახური თურქი ქალბატონი ტაძარს წირვისთვის ამზადებს. რადგანაც ადრეა, ჯერ არც მოძღვარი არის მოსული და არც მრევლი. უდიდესი ინტერესით ვიწყებთ ეკლესიის ყოველი კუთხე-კუნჭულის დათვალიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად აქ არც ღვთისმსახურება ტარდება ქართულად და მლოცველთა შორისაც მხოლოდ ძალზე იშვიათად თუ გამოერევა ქართველი, ირგვლივ მაინც ქართული სული ტრიალებს.

ასეთ განწყობილებას, უპირველეს ყოვლისა, ის ქართული წარწერები გვიქმნიან, რომლებიც ეკლესიის შენობაში გვხვდება. პირველი მათგანი მარიამ ღვთისმშობლის ხატ-ქანდაკების ქვემოთ არის გაკეთებული და ჩვენი ქვეყნის მფარველ წმინდანს ქართველთა დაცვასა და შეწყალებას შეთხოვს:

„მარიამ ღვთის მშობელო, იბერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა.“

მეორე ქართულენოვანი წარწერა წმინდა ნინოს დიდი ხატ-ნახატის ქვემოთ გაუკეთებიათ და ასეთ რაიმეს გვაუწყებს:

„წმიდაო ნინო, საქართველოს მფარველო, ევედრე ჩვენთვის.“

მესამე ქართული წარწერა კი ტაძრის შუაგულში დასაფლავებული პეტრე ხარისჭირაშვილის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი და მნახველს იმ ღვაწლის შესახებ აწვდის მოკლე ინფორმაციას, რაც მას სტამბოლის ქართული სავანის დაარსების საქმეში მიუძღვის:

„საფლავსა ამასა მდებარეა ყ-დ პ. (ყოვლად პატიოსანი — ა. ნ.) მ. (მამა—- ა. ნ.) პეტრე ხარიჩარიანთი. დამფუძნებელი ქართველთ კათოლიკე სავან მონათა და მხევალთა უმანკო ჩასახებისათა. იშვა ჩყიზ წ.უ. და მიიცვალა თ. ო. ქ. თ. ჩყუ.“

პეტრე ხარისჭირაშვილისამდი პატივისცემისა და უდიდესი მადლიერების გრძნობა მისმა სულიერმა ძმებმა და შვილებმა იმითაც გამოხატეს, რომ მათი გარდაცვლილი მოძღვრის გული სპირტში ჩადეს და ასე ჰქონდათ იგი შენახული მონასტრის სიწმინდეებთან ერთად. სამწუხაროდ, ამ სიწმინდის ადგილ-სამყოფელი ამჟამად ცნობილი არაა.

რაც შეეხება ტაძარში არსებულ მეოთხე ქართულენოვან წარწერას, იგი 1966 წელს გაკეთებული საცნობარო დაფაა, რომელზეც სტამბოლის ქართულ ეკლესიაში მოღვაწე მღვდელმთავარნი არიან ჩამოთვლილნი:

„1861-1961.

დამფუძნებელი ფ. რ. პ. მ. (ფრიად პატივცემული მღვდელი? — ა. ნ.) პეტრე ხარისჭარათი. 1890-1892 (წლების მითითების დროს დაშვებულია შეცდომა. სინამდვილეში პ. ხარისჭირაშვილი ეკლესიის წინამძღვარი იყო 1861 წლიდან 1890 წლამდე — ა. ნ.).

მ. სტეფანე გიორგიძე. 1892 (უნდა იყოს 1890 წ. ა. ნ.) — 1898.

მ. ბენედიქტე ვარდიძე. 1905-1921. 1942-1956.

მ. შიო ბათმანაშვილი. 1912-1937.

მ. პეტრე ტატალაშვილი. 1956-1961.

წელსა 1966 მაისს პავლე ზაზაძე თავმჯდომარე.

პავლე აკობაშვილი გამგე სავანისა.“

დამოწმებულ წარწერაში მოცემული ინფორმაცია გარკვეულწილად დაზუსტებული და დაკონკრეტებულია ეკლესიის გარეთ გამოკრულ იმ პატარა წერილში, რომელშიც ხსენებული წერილის ავტორი შუშანა ფუტკარაძე დაინტერესებულ პირებს მოკლედ მოუთხრობს სავანის ისტორიისა და იქ მოღვაწე მღვდელმთავრების შესახებ. კერძოდ, ზემოთ მოშველიებული სია აქ შემდეგნაირადაა დაკონკრეტებული: პეტრე ხარისჭირაშვილი — 1861-1890, მამა სტეფანე გიორგიძე — 1890-1898, მამა ალფონსი ხითარიშვილი — 1898-1905, მამა ბენედიქტე ვარდიძე — 1905-1912, 1937-1942, მამა პიო ბალაძე — 1912-1921, 1942-1956, მამა შიო ბათმანაშვილი — 1921-1937, მამა პეტრე ტატალაშვილი — 1956-1961.

ეკლესიის მომვლელი ახალგაზრდა თურქი ქალბატონი, როცა ჩვენი იქ ჩასვლის მიზანი გაიგო, ეკლესიასა და ბერების ყოფილ

საცხოვრებელ შენობას გვათვალიერებინებს. განსხვავებით ეკლესიისაგან, რომელიც საკმაოდ მოვლილიცაა და გარემონტებულ-გალამაზებულიც, ბერების საცხოვრებელი, სადაც თავის დროზე მამათა მონასტერიც, სტამბაც, ბიბლიოთეკაცა და სასტუმროც იყო განთავსებული, დღეს გაპარტახებულია. ბატონი სიმონი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, ეს ყველაფერი სათანადო დონეზე რომ იქნეს აღდგენილი და კეთილმოწყობილი, რაც რეალურად გახდის შესაძლებელს მის ბაზაზე სავანის მუზეუმისა და ქართული კულტურის ცენტრის დაარსებას.

ეკლესიიდან ბერების ყოფილ საცხოვრებელ ოთხსართულიან შენობაში გასვლა პატარა დერეფნით არის შესაძლებელი. ამ დერეფანში ამჟამად მღვდლის სამყოფი ოთახია განთავსებული.

მართალია, კვირაა და სადაცაა წირვა უნდა დაიწყოს, მაგრამ მლოცველთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ბევრი მათგანი მოდის, სანთელს ანთებს და უკანვე ბრუნდება. მათ უმეტესობას ასაკოვანი ადამიანები წარმოადგენენ. მლოცველების დიდი ნაწილი აქ, როგორც გვეუბნებიან, ძირითადად საეკლესიო დღესასწაულებზე დაიარება. ქართველი მათ შორის ძალზე ცოტაა. ბატონი სიმონის თქმით, იმ სამასამდე ქართველი კათოლიკედან, სტამბოლში რომ ცხოვრობს დღესდღეობით, ბევრი ეკლესიაში ძირითადად მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე მოდის.

ეკლესიის დათვალიერების შემდეგ კოლეჯში ვბრუნდებით და შეთანხმებისამებრ ბატონი სიმონის მოსვლას ველოდებით. იგი დილით წირვას დაესწრო და ჩვენთან მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა მეუღლესთან — ქალბატონ კლაუდიასთან (კლოდთან) ერთად. ქალბატონი კლოდი ფინიკიელი კათოლიკეა ლიბანიდან, არისტოკრატიული კეთილშობილებითა და მომხიბვლელობით გამორჩეული პიროვნება.

ჩვენი მივლინების მიზნებზე საუბრის შემდეგ ბატონ სიმონსა და მის მეუღლეს ჯერ ქალაქის დასათვალიერებლად მივყავართ, შემდეგ კი სადილზე გვეპატიჟებიან სტამბოლის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მდებარე რესტორან „ოაზისში.“ ხალხითა და ტრანსპორტით გადაჭედილ ქალაქში, ამფითეატრისებური რელიეფის მქონე ამ ადგილზე, რომელიც მწვანე წალკოტშია ჩაფლული, ძირითადად უმდიდრესი ადამიანები (მათ შორის, ბატონი სიმონიც) ცხოვრობენ და მას გაძლიერებულად იცავს სპეციალურად გამოყოფილი პოლიცია.

საცურაო აუზითა და შადრევნით დამშვენებულ რესტორნის ეზოში სადილობის შემდეგ, სადაც ჩვენს მასპინძლებთან ხანგრძლივი და გულახდილი საუბრის შესაძლებლობა მოგვეცა, ბატონი სიმონი მეუღლის მაგივრად ახლა თავად მიუჯდა მანქანის საჭეს და კვლავ ქალაქის დასათვალიერებლად წაგვიყვანა.

ბოსფორის სრუტის სანაპიროზე ტაატით მიმავალნი უდიდესი ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებთ ცადატყორცნილი მინარეთებითა და არქიტექტურული თვითმყოფადობით გამორჩეული შენობებით დამშვენებულ სტამბოლს. ბატონი სიმონი სიყვარულით გვესაუბრება სავანის დიდ წარსულსა და დღევანდელ პრობლემებზე, იხსენებს მის წინაპრებს, საქართველოში მისი პირველი სტუმრობის ამბებს, ბევრს საუბრობს თურქეთ-საქართველოს მეგობრობის შემდგომი განმტკიცების გზებსა და პერსპექტივებზე, თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე...

თავის ისტორიულ სამშობლოს ჩვენი მასპინძელი პირველად გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში წვევია. ჩვენს ქვეყანაში იმხანად დამკვიდრებულ ანარქიასა და სიდუხჭირეს მასზე უმძიმესი შთაბეჭდილება მოუხდენია. შემძრა და შემაძრწუნა იმ სილარიბის საკუთარი თვალით ნახვამ, რაშიც ჩემი მშობელი ხალხის უდიდეს ნაწილს უწევდა იმხანად ცხოვრებაო, — განაცხადა მან.

მაგრამ, ამასთან ერთად, ბატონი სიმონი იმ ადამიანური სითბოსა და ყურადღების შესახებაც საუბრობს ემოციურად, რაც მას საქართველოში ყოფნის დროს უგრძვნია და განუცდია. კერძოდ, თბილისში, სასტუმრო „ივერიასთან“, გავლის დროს მასთან და მის მეუღლესთან იქ მცხოვრები ლტოლვილები მისულან და როცა მათი ვინაობა შეუტყვიათ, ბატონი სიმონის მეუღლისათვის ყვავილები და შოკოლადები უჩუქებიათ. სვეტიცხოველში ყოფნის დროს კი ერთერთ მათხოვარს გასაუბრებია და მისი ცხოვრების ამბები გამოუკითხავს.

რა ვქნა, სხვა გამოსავალი აღარა მაქვს, შვიდლარიანი პენსიის ამარა დარჩენილი, იძულებული ვარ, თავი მათხოვრობით ვირჩინოო, — დარცხვენით უთქვამს მათხოვარს. ბატონ სიმონს მათხოვარი ისე შეცოდებია, რომ ასდოლარიანი უჩუქებია, მაგრამ მას ფული არ გამოურთმევია, ამდენს ვერ ავი ებო, — უთქვამს.

ამ კაცის პატიოსნება და „იერიაში“ შემთხვევით შეხვედრილ ლტოლვილთა მიერ ჩვენდამი გამოვლენილი სითბო და ყურადღება ჩემი ცხოვრების ის წარუშლელი ეპიზოდებია, რომლებიც პირველად ნახული ჩემი ისტორიული სამშობლოდან ულამაზეს მოგონებად წამომყვა თან და ღრმად აღიბეჭდა ჩემს ცნობიერებაშიო, — გვითხრა ბატონმა სიმონმა.

ბატონ სიმონის ინფორმაციით, ბოლო წლების თურქეთში განვითარებულმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა და ჩვენს ქვეყნებს შორის დამკვიდრებულმა მეგობრულმა ურთიერთობამ თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაზე აშკარად კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა. კერძოდ, მათი ერთი ნაწილი უკვე ოფიციალურადაც კი ცდილობს წინაპართა გვარისა და სარწმუნოების დაბრუნებას.

* * *

სტამბოლში ყოფნის პერიოდში ჩვენს მრავალ თანამემამულეს შევხვდით. მათმა დიდმა ნაწილმა, მართალია, ქართული უკვე აღარ იცის, მაგრამ ქალბატონი შუშანას მეშვეობით (იგი მშვენივრად საუბრობს თურქულად) ენობრივი პრობლემა მოხნილი გვაქვს. მათთან გამართული გულახდილი საუბრების შედეგად გარკვეული წარმოდგენა გვექმნება თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებაზე. ბევრი მათგანი კმაყოფილებით საუბრობს იმ კეთილგანწყობით და ტოლერანტულ დამოკიდებულებაზე, რასაც თურქი ხალხი და მისი ხელისუფლება იჩენს თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიმართ.

მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა თავისი პირადობის მოწმობაც გვიჩვენა სიამაყით, რომელშიც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უკვე ოფიციალურად იყო აღნიშნული, რომ იგი მართლმადიდებელი ქრისტიანია (ჩვენგან განსხვავებით, თურქეთის მოქალაქეებს პირადობის მოწმობაში, როგორც წესი, რელიგიური კუთვნილებაც ეწერებათ). შემდეგ კი დაუმატა: — სულ მალე, ასევე სასამართლოს მეშვეობით (ასეთი საკითხების გადაწყვეტა თურქეთში სასამართლოს გზით ხდება), ჩემს ნამდვილ გვარსაც დავიბრუნებ ოფიციალურადო.

როგორც ჩვენ გვეუბნებიან, თურქეთში მცხოვრებ იმ ქართველთა რაოდენობა, ვინც ქართული მეტ-ნაკლებად იცის, ოთხი მილიონია, ხოლო იმათი, ვინც თავის თავს ქართველად თვლის, მაგრამ ქართული არ იცის, ორი-სამი მილიონი (ამათ რიცხვში ლაზები არ შედიან).

არის სოფლები და რეგიონებიც კი, რომელთა მოსახლეობის თითქმის უმრავლესობას სწორედ ქართველები შეადგენენ. მაგალითად, სინოპში ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკური წარმომავლობით ქართველი ყოფილა. ამ ნახევარკუნძულის არაერთი სოფლის მოსახლეებიც ძირითადად თურმე სულ ქართველები არიან. ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პროცესი მათში უკვე ისე აქტიურად მიმდინარეობს, რომ ახლახან ქალაქ სინოპში ქართული სათვისტომოც კი დაუარსებიათ.

მიუხედავად ქართველთა ასეთი დიდი რაოდენობისა, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები გულისტკივილით იმაზეც საუბრობენ, რომ ქართული წერა-კითხვა მათგან ძალზე ცოტამ იცის. ამ გარემოების გამო, მათი უდიდესი ნაწილი საუკუნეთა განმავლობაში იმდენად მოწყდა ეროვნულ ინტელექტუალურ სივრცეს, რომ მიუხედავად თურქეთელი ჩვენებურების ესოდენი სიმრავლისა (თუ ზემოთ მოტანილ სტატისტიკას ვენდობით, რაოდენობრივად ისინი უფრო მეტნი არიან, ვიდნე საკუთრივ საქართველოში მხცოვრები ქართველები), ჩვენი ეროვნული კულტურისათვის ჯერ-ჯერობით თითქმის არცერთ მათგანს არ შეუძენია რაიმე განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანი.

მაგრამ თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ ცნობიერებაში ბოლო ხანს აქტიურად მიმდინარე პროცესები აშკარად განგვიმტკიცებენ იმის რწმენას, რომ მომავალში ვითარება შეიცვლება და ის დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც თურქი ჩვენებუნების სახით მოეპოვება საქართველოს, მომავალში უთუოდ იქცევა ქართული კულტურის მძლავრ შენაკადად.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეროვნული ფესვებისაკენ ამგვარი მიბრუნებით თურქეთში მცხოვრები ქართველები ეროვნული სეპარატიზმის გზაზე დგებოდნენ და მათ მეორე სამშობლოდ ქცეული ქვეყნის ხელისუფლებას რაიმე

პრობლემებს უქმნიდნენ. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. პირიქით, ისინი ხშირად იმ გარემოებასაც კმაყოფილებით უსვამენ ხოლმე ხაზს, თურქეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ეროვნებათა შორის ქართველები ფაქტობრივად ერთადერთნი რომ არიან, რომელთაც ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი რაიმე სერიოზული პრობლემა ამ ქვეყნისათვის არასოდეს შეუქმნიათ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ჩვენებურებთან შეხვედრების დროს ჩვენი თანამემამულეები იმ სირთულეების თაობაზეც გულახდილად გვესაუბრებიან, რომელთა დაძლევაც თურქეთში მცხოვრებ ქართველებს მოუწევთ მომავალში ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების გზაზე. მათი აზრით, ამ თვალსაზრისით მათზე უკეთეს მდგომარეობაში ფერეიდნელი ქართველები იმყოფებიან, რადგანაც თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს ჯერ-ჯერობით კვლავაც სამომავლოდ აქვთ მოსაპოვებელი მშობლიურ ენაზე თუნდაც დაწყებითი განათლების მიღების უფლება.

ქალაქებისაგან განსხვავებით, ეროვნული სული, ადათ-ტრადიციები და მშობლიური ენა იქაურ ქართველობას უფრო მეტად სოფლებში აქვთ შენარჩუნებული. მართალია, ქალაქში მცხოვრები ჩვენებურები, მათ სოფლელ თანამემამულეთა დიდ ნაწილთან შედარებით, უკეთეს გარემო-პირობებში იმყოფებიან, მაგრამ ეროვნული ინდივიდუალობის დაცვა-შენარჩუნება იქ უფრო ძნელადაა შესაძლებელი.

თურქეთში მცხოვრებ ქართველობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისა და მშობლიური ფესვებისაკენ მათი აქტიურად მიბრუნების საქმეში ჩვენებურები განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ სარფის კარის გახსნას, რამაც ორ ქვეყანაში მცხოვრები ქართველები არა მარტო ფიზიკურად დაუახლოვა ერთმანეთს, არამედ ეროვნული ცნობიერებითაც. მათი აზრით, პირველ ყოვლისა სწორედ ამ ისტორიული მოვლენის სასიკეთო გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ ჩვენებურები თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას დღეს უკვე სიამაყით უსვამენ ხაზს.

თურქეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა ერთი საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდეს: ჩვენებურების ერთი ჯგუფის თხოვნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა

და უნეტარეს ილია მეორეს მსოფლიოსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის — ბართლომეოსისათვის შეუთავაზებია, სტამბოლში არსებული ორასამდე დაკეტილი და დანგრეულ-გაუქმებული მართლმადიდებლური ეკლესიიდან ერთ-ერთი ქართველი მორწმუნეებისათვის გადაეცა სარგებლობის უფლებით.

ჩვენებურების თქმით, მათ მიერ გარემონტებულ ტაძარში წირვა-ლოცვა, მართალია, ქართულ ენაზე ჩატარდებოდა, მაგრამ იგი მაინც კონსტანტინეპოლის (სტამბოლის) პატრიარქის დაქვემდებარებაში დარჩებოდა.

სამწუხაროდ, ბართლომეოსმა თურმე ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ამ თხოვნაზე, რომელშიც არც პოლიტიკურად იყო რამე მიუღებელი და მით უფრო არც რელიგიურად, უარი განაცხადა და ეს შესანიშნავი იდეა ჯერჯერობით პრაქტიკულად ვერ განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პრობლემები თურქეთსაც საკმაოდ აქვს, ცხოვრების დონე ჩვენთან შედარებით იქ აშკარად მაღალია. სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ სტამბოლში საქართველოდან ჩასულებიც საკმაო რაოდენობით არიან. თურქეთში სამუშაოს მაძიებელ ქართველთა წასვლის პროცესს ხელს ისიც უწყობს, ჩვენს ქვეყნებს შორის ბოლო ხანს უვიზო მიმოსვლაც რომ არის დამკვიდრებული.

* * *

ორშაბათს, ოთხ ივნისს, ჩვენი სამუშაო დღეც ჩვენს კოლეჯში დამკვიდრებული რეჟიმით იწყება. ცხრა საათზე სკოლის ეზოში შეკრებილი ბავშვების ჟრიამული თურქეთის სახელმწიფო დროშის აღმართვითა და ჰიმნის საყოველთაო შესრულებით მთავრდება. ამ პროცესს, რომელშიც სასწავლებლის მთელი შემადგენლობა იღებს მონაწილეობას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ზეიმის ელფერი დაჰკრავს. ჰიმნის მოსმენის შემდეგ დირექტორი და მასწავლებლები წინა კვირის წარმატებებზე საუბრობენ და გამორჩეულ ბავშვებს სხვადასხვა სახის ჯილდოებს გადასცემენ. ასე ზრდის თურქეთის ხელისუფლება მისი სამშობლოს პატრიოტ მოქალაქეებს. და ეს ყველაფერი სასწავლო პროცესის ბუნებრივად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

დილის ათ საათზე ბატონ სიმონს ჩვენი სამომავლო გეგმის მონახაზს ვაცნობთ. წინასწარ შედგენილი ხუთწლიანი სამეცნიერო პროგრამის შესაბამისად, რომლის პრაქტიკულ განხორციელებაში, გარდა ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა, სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერებიც იქნებიან ჩართულნი, აქტიურად შევისწავლით სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ მასალებს.

და აი, ჩვენი სამეცნიერო მივლინების ყველაზე მღელვარე და მნიშვნელოვანი დროც დგება: პავლე (პოლ) ზაზაძე იმ ოთახის კარებს გვიღებს, სადაც სტამბოლის ქართული სავანის საგანძურია შენახული.

სხვადასხვა სახის ბეჭდური გამოცემებით, ხელნაწერებითა და პირადი წერილებით სავსე ყუთებით მთელი ოთახია ძირიდან ჭერამდე გადაჭედილი. აქვეა შენახული სხვადასხვა სახის რელიგიური სიწმინდეები (ხატ-ქანდაკებები, ხატ-ნახატები), საეკლესიო ნივთები და აქსესუარები...

სამწუხაროდ, ამჟამად იქ არსებული ვითარება, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მათი კონკრეტულად ნახვისა და შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. ინტერესგაღვივებულები მხოლოდ იმით ვკმაყოფილდებით, რომ ქალბატონ შუშანას მიერ უკვე კატალოგიზებულ და ცალკე გადაწყობილ საქაღალდეებს ვათვალიერებთ და ჩვენთვის საინტერესო მასალები სამუშაოდ გარეთ გამოგვაქვს. ამ ოთახში მეორედ შესვლა კი ერთი კვირის შემდგომ მხოლოდ იმიტომ მოგვიწევს, ეს მასალები უკან რომ დავაბრუნოთ და იმ დროის დადგომას დაველოდოთ, როცა წიგნთსაცავში დაცულ დოკუმენტებზე მუშაობისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება.

ქართული სავანის მოამაგე მღვდელმთავართა უმეტესობა დღეს სამშობლოსაგან შორს, სტამბოლის კათოლიკურ სასაფლაოზე, განისვენებს. ეს სასაფლაო სავანის მახლობლად მდებარეობს და ტერიტორიულად იმდენად დიდია და საფლავებით ისე გადატვირთული, რომ სასურველ პიროვნებათა საფლავების მონახვა ძალზე ძნელია. აქვეა დასაფლავებული პავლე ზაზაძეც, რომელიც, როგორც ითქვა, 1989 წელს გარდაიცვალა. ჩვენს მოქალაქეობრივ და პატ-

რიოტულ მოვალეობად ჩავთვალეთ, აუცილებლად წავსულიყავით სასაფლაოზე და ხსენებულ პიროვნებათა ხსოვნის წინაშე ამგვარი ფორმითაც გამოგვეხატა ჩვენი უდიდესი პატივისცემა. ყვავილებით ხელდამშვენებულები 5 ივნისს, სამშაბათს, მართლაც ვეწვიეთ ხსენებულ სასაფლაოს და მისი მომვლელის მეშვეობით პავლე ზაზაძისა (1901-1989 წწ.) და მისი მეუღლის (1904-1991 წწ.) საფლავები ყვავილებით შევამკეთ. რაც შეეხებათ იქ დაკარძალულ სხვა ქართველებს, მიუხედავად ბევრი ძებნისა, რომელიმე მათგანის საფლავი მაინც ვერსად ვიპოვეთ. ეს იყო მხოლოდ, ამგვარ ძებნაში, სრულიად მოულოდნელად, საქართველოს დიდი მეგობრისა და გულშემატკივრის — ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს საფლავიც ვინახულეთ.

* * *

სტამბოლში ყოფნის პერიოდში იქაურ ქართველებთან გამართული შეხვედრებიდან ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ოქროს რქის სანაპიროზე მდებარე რესტორანში ჩვენს საპატივცემულოდ მოწყობილი დიდი წვეულება იყო. ამ წვეულებაზე ოცამდე ქართველმა მოიყარა თავი. მათი ნაწილი თურქეთის სხვადასხვა ქალაქებიდანაც იყო საგანგებოდ ჩვენთან შესახვედრად ჩამოსული. ყველა მათგანმა იცის თავისი ქართული გვარი, წინაპართა ვინაობა და წარმომავლობა. უმეტესი მათგანი ქართულადაც ლაპარაკობს მშვენივრად.

ისინი სიყვარულით საუბრობენ საქართველოზე და სიამაყით იმ გარემოებასაც უსვამენ ხაზს, რომ მათაც მოახერხეს ქართული სულისა და ცნობიერების შენარჩუნება. მათი თქმით, ამის გაკეთება თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ძირითადად იმით შეძლეს, რომ მტკიცედ იცავენ ქართველზე თხოვა-გათხოვების წესს.

მანქანას, რომლითაც ჩვენ წაგვიყვანეს რესტორანში, გარედან ქართული ასოებით ასეთი წარწერა ჰქონდა გაკეთებული: „რადიო „ჩვენებურის" რედაქცია." იქვე იყო მითითებული ინტერნეტ მისამართიც. აღნიშნული რადიო რედაქცია ეთერში გასვლას ჯერ-ჯერობით, მართალია, ვერ ახერხებს და მსმენელებს მხოლოდ ინტერნეტით ეკონტაქტება, მაგრამ რადიოს დაფუძნების მესვეურები იმედოვნებენ, რომ ამასაც მალე შეძლებენ.

ხსენებულ წვეულებაზე ტარიელ ფუტკარაძე ამ წვეულების ორგანიზატორს, საქართველოში რამდენჯერმე შენახვედრ და დამეგობრებულ ჯუნეით დიასამიძეს შეხვდა, ცნობილ კონსტრუქტორსა და შესანიშნავ ქართველს. ტარიელი ხუმრობს, მე თურქული არ ვიცი, ჯუნეითმა — ქართული, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი, უახლოესი მეგობრები რომ გავმხდარიყავითო. ტარიელმა აქვე მისი მოგვარე სეზაი სეფაც გაიცნო. იგი სტამბოლიდან 170 კმით მდებარე პატარა ქალაქ ხენდეკიდანაა. ჯუნეითი, რომელიც ქალაქ იზმითიდანაა, და სეფაი თავიანთ ქალაქებში გვეპატიჟებიან. ამ მიპატიჟების მთავარი მოტივი იქაურ ქართველებთან, მათ შორის ფუტკარაძეებთან, შეხვედრების გამართვაა.

რესტორანში შეკრებილი ჩვენებურების უმეტესობა იმერხევიდანაა. ერთ-ერთი მათგანი — ივერი ზუმბაძე, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობა აქვს დამთავრებული, აგვისტოში იმერხევში გვეპატიჟება იქ უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ ღვთისმშობლობაზე.

აქვე გავიცანით ელიზბარ ცივნარიძეც, რომელიც სტამბოლში ახლახან გამოსული ორენოვანი (ქართულ-თურქული) ჟურნალის — „ფიროსმანის“ პასუხისმგებელი რედაქტორია. ყველა მათგანი თავდავიწყებითაა შეყვარებული საქართველოზე და ამაყობს თავისი ქართველობით.

რესტორანში, მანქანაში თუ სახლში, ყველგან, სადაც კი ჩვენებურებთან ერთად მოგვიხდა ყოფნა, ჩვენი შეხვედრების თანმხლებ ნაწილად ქართული სიმღერა იყო ქცეული. ქართული მელოდია ზოგ მათგანს ტელეფონის ზარადაც კი აქვს გამოყენებული. ამ სიმღერების შემსრულებელთაგან განსაკუთრებული პოპულარობით თურქეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი მომღერალი ბაიარ შაჰინი სარგებლობს, მომღერალი, რომლის სიმღერების ანდამატსა და ზემოქმედ ძალას, უპირველეს ყოვლისა, ის ფოლკლორული მელოდიები განსაზღვრავენ, თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა რომ შექმნეს საუკუნეთა განმავლობაში.

საქართველოსთან და ქართულ ყოფასთან ჩვენებურების დაახლოების პროცესს, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ის გარემოებაც არსებითად უწყობს ხელს, რომ მათი საკმაო ნაწილი ჩვენს

ტელეგადაცემებსაც უსმენს სისტემატურად და მუდმივადაა საქმის კურსში საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

როგორც ითქვა, 7 ივნისს ჩვენებურების მიპატიჟებით მე და ბატონი ტარიელი ერთი დღით იზმითსა და ხენდეკში ვიმყოფებოდით. დილიდანვე კოკისპირულად წვიმდა. ბატონმა სიმონმა წასლვამდე მის კაბინეტში მიგვიწვია და ჩვენს გამგზავრებამდე ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია. როგორც ვატყობთ, ერთი დღით ამხელა გზაზე წასვლა და უკან დაბრუნება უცნობ მძღოლთან ერთად ცოტა აფიქრებს. ამიტომ თავის მძღოლსა და მანქანას გვთავაზობს, მაგრამ ჩვენ უარს ვეუბნებით. ჩვენმა მძღოლმა, ტარიელის მოგვარემ — სეზაი სეფამ რამდენჯერმე დაგვირეკა, თავსხა წვიმის გამო ქუჩებში ისეთი საცობებია, მოსვლას ვაგვიანებო. ჩვენ ბატონ სიმონთან დამშვიდობებას ვცდილობთ და გარეთ გამოსვლას რამდენჯერმე ვაპირებთ, მაგრამ იგი არ გვიშვებს. მერე ვხვდებით ამის მიზეზს: როცა მანქანამ მოგვაკითხა, გარეთ თავად გამოგვაცალა, მანქანაცა და მძღოლიც შეამოწმა და როცა დარწმუნდა მათს საიმედოობაშიცა და ამინდის გაუმჯობესებაშიც, მხოლოდ შემდეგ დაგვილოცა გზა გულმშვიდად.

მიუხედავად იმისა, რომ გამგზავრების წინ წვიმამ გადაიღო, სტამბოლიდან გაღწევა, ხშირი საცობების გამო, მაინც ძალზე გაგვიძნელდა. იზმითამდე, ქალაქის იმ ადგილიდან, საიდანაც ჩვენ გავემგზავრეთ, ასი კილომეტრია, რის გავლასაც ორ საათზე მეტხანს ვუნდებით. ჯუნეითი ტელეფონით ხშირად გვეხმიანება და ჩვენს ჩასვლას ელოდება. ქალაქ იზმითის შემოგარენში, მისი ინფორმაციით, 50-ზე მეტი ქართული სოფელია. საკუთრივ ამ ქალაქში კი, რომლის მოსახლეობა 200 ათასს აჭარბებს, საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს.

იმის გამო, რომ დროში საკმაოდ შეზღუდულები ვართ, ჯუნეითთან შეხვედრა მხოლოდ მის ოფისში მისვლითა და ქალაქში ხანმოკლე გასეირნებით მთავრდება. ეს ლამაზი, ფაქიზად მოვლილი და ბაღნარად ქცეული ქალაქი, რომელიც ქუთაისზე ცოტათი მეტია, ნახევარი საუკუნის წინათ ძლიერ მიწისძვრას დაუნგრევია. ამიტომ ძველი შენობა-ნაგებობანი იქ თითქმის აღარაა დარჩენილი. სამაგიეროდ, თანამედროვე არქიტექტურული სტილით აგებულ ქალაქში ბევრი რამაა ახალი და თვალწარმტაცი.

იმის პირობით, რომ ხენდეკიდან უკან დაბრუნებულები ჯუნეითს კვლავ ვნახავთ, ჩვენს იზმითელ თანამემამულეს ვემშვიდობებით და სეზაი სეფას მისი მშობლიური ქალაქისკენ - ხენდეკისაკენ მივყვებით. ხენდეკამდე 70 კილომეტრის გზა გვაქვს გასაველი. საუკეთესო ავტომაგისტრალი ამ მანძილის უმოკლეს დროში გავლის შესაძლებლობას გვაძლევს.

სეზაის ინფორმაციით, ხენდეკის 50 ათასიანი მოსახლეობის მეხუთედზე მეტი ქართველები არიან. ბატონი ტარიელი განსაკუთრებით გახარებული იმითაა, რომ მათ შორის მისი სახლიკაცებიც — ფუტკარაძეებიც საკმაოდ მრავლად ყოფილან. კიდევ მეტი ქართველი თურმე მახლობელ სოფლებში ცხოვრობს. ჩვენი მასპინძლების თქმით, ზოგიერთმა მათგანმა მთელი ცხოვრება იმდენად ქართულ გარემოში გაატარა, რომ, ფაქტობრივად, თურქული არც კი იცის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურების დღევანდელ ყოფასა და ადათ-ტრადიციებში ბევრი რამაა ქართული, ისიც ფაქტია, რომ მშობლიური გარემოსაგან მრავალსაუკუნოვანმა სიშორემ, განსაკუთრებით კი რელიგიამ, მათი ცხოვრების წესზეც მოახდინა მეტად მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ამ გარემოებას ნათლად იგრძნობთ მათ ოჯახებში სტუმრობის დროს. იმ საყოფაცხოვრებო გარემოში, სადაც ჩვენებურები ცხოვრობენ, თავისებური ფორმითაა ერთმანეთთან შერწყმული ქართული ადათ-ტრადიციები და თურქულ-მუსულმანური ყოფითი მხარეები.

ხენდეკში ჩვენი მოგზაურობა სეზაის სახლში სტუმრობით იწყება. ჩვენი მასპინძლები — სეზაის მშობლები და და-ძმა, რომელთაც მოგვიანებით სხვა ფუტკარაძეებიც უერთდებიან, ძალიან გახარებულები არიან ჩვენი მისვლით, განსაკუთრებით კი მშობლიური გურჯისტანიდან ჩასული ბიძაშვილის გაცნობით. სეზაის მშობლები მშვენივრად საუბრობენ ქართულად. ოჯახის ერთმა ახლობელმა ტარიელს იმ ფუტკარაძეთა საგვარეულო სიაც მოუტანა საჩუქრად, რომლებიც თურქეთში ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ. თითქმის ყველა მათგანი აჭარიდანაა. იხსენებენ ნაცნობ ადგილებს, საერთო ადათ-ტრადიციებს...

საუბარი, ბუნებრივია, საქართველოში არსებულ კონფლიქტურ მოვლენებსაც ეხება. ჩვენს მახლობლად, — გვეუბნებიან მაპინ-

ძლები, — აფხაზების სოფელია. მიუხედავად იმ დაპირისპირებისა, რომელიც დღეს გურჯისტანში ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობს, ჩვენს ურთიერთობაზე ამას უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენიაო. თუმცა იქვე სინანულით იმასაც გვეუბნებიან, რომ რამდენიმე აფხაზი იქიდანაც წასულა აფხაზეთში საომრად და შემდგომში უკან აღარ დაბრუნებულა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული უჭირთ, ოჯახებში მაინც ცდილობენ უფრო ხშირად წინაპრათა ენაზე ილაპარაკონ. ჩვენმა დიასახლისმა გვითხრა: თურმე როცა ჩვენებურები ერთმანეთს შეხვდებიან, თუ რომელიმემ არაქართულად დაიწყო საუბარი, ასეთ რაიმეს ეტყვიან ყვედრებით: — ენა გეიწმინდე და ქართულად ილაპარაკეო.

მათი ამგვარი მცდელობის მიუხედავად, არამშობლიურ გარემოში მრავალსაუკუნოვანმა ცხოვრებამ მაინც თავისი ქნა და ჩვენებურების ქართული მეტყველება მნიშვნელოვანწილად გადაასხვაფერა. თურქული ენობრივი ელემენტები მათ საუბარში იმდენადაც კია შეჭრილი, რომ ზოგჯერ აზრის გაგებაც ჭირს.

მაგრამ მთავარი ეს სირთულე კი არ არის, არამედ მშობლიური ენობრივი,სივრცისა და ეროვნული ფესვებისაკენ აქტიური სწრაფვის ის მძლავრი ტენდენცია, რომელიც თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცნობიერებაში შეინიშნება დღესდღეობით აშკარად და გამოკვეთილად. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღევანდელი თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება, რომლის უმთავრეს მიზანსაც მათი ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანება წარმოადგენს, ნაციონალურ უმცირესობათა ეროვნული ინტერესებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენს, უკვე რეალურად უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ჩვენებურების ეროვნული მისწრაფებების რეალურ განხორციელებაზე საუბარი სულაც არ არის საფუძველს მოკლებული ფანტაზიის ნაყოფი. საამისო რწმენას ის კეთილმეზობლური დამოკიდებულებაც განგვიმტკიცებს, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის არის მყარად დამკვიდრებული ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში.

სეზაის მამას თავის სოფელში, მისი მშობლებისა და ძმის ოჯა-

ხების სანახავად, მივყავართ. ხენდეკიდან ხუთიოდე კილომეტრით მდებარე ეს სოფელი ვიზუალურად ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს დასავლეთ საქართველოს რომელიღაც სოფელში ვიყოთ სტუმრად.

ყველგან, განსაკუთრებით სახლებში, საოცარი სისუფთავე და წესრიგი სუფევს. რელიგიური ფაქტორის მძლავრი ზეგავლენა ყველა ოჯახში აშკარად იგრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ, ქართული ტრადიციის მიხედვით, ყველგან გულუხვად გვიმასპინძლდებიან, დასალევად მხოლოდ ჩაისა და არაალკოჰოლურ სასმელებს გვათავაზობენ.

როგორც ჩვენი ხენდეკელი თანამემამულეები გვეუბნებიან, მათი წინაპრების უმეტესობა თურქეთში აჭარიდან, მაჭახელიდან და ტაო-კლარჯეთიდან ყოფილან გადასახლებულები.

უკან დაბრუნებულებს ქალაქ ადაბაზარში ტელეფონით იქაური ჩვენებური — ერდოგან დავითაძეც შეგვეხმიანა. ჩვენი იქ ყოფნის ამბავი როგორღაც მასაც გაეგო და მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ცოტა დრო გვქონდა, თავი მოიკლა, სანამ რესტორანში არ შეგვატარა და ქართული სითბო არ გვაგრძნობინა.

* * *

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ქართულ საქმიანობაზე საუბრის დროს მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც მინდა მივაპყრო: ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა ცნობილი მწერლის — ფაჰრედინ ჩილოღლუს (ფარნა ჭილაშვილის) ხელმძღვანელობით 2007 წლის გაზაფხულზე თურქეთის ისტორიაში პირველი ორენოვანი (ქართულ და თურქულ ენებზე) ლიტერატურული ჟურნალის პირველი ნომერიც გამოსცა „ფიროსმანის“ სახელწოდებით.

უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ეს ყოველკვარტალური ჟურნალი, რომელიც თურქეთსა და საქართველოში ვრცელდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მიზნად ისახავს დაინტერესებულ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას ქართულ ყოფასა და კულტურაზე და ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით დაგვანახოს ქართველი და თურქი ხალხების ურთიერთობის პოზი-

ტიური მხარეები. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს როგორც ქართველი, ისე თურქი მკითხველებისათვის, ჟურნალში წარმოდგენილი ყველა წერილი ორ ენაზეა გამოქვეყნებული.

„ფიროსმანის" პირველი ნომრის მასშტაბებსა და ჟურნალის სამომავლო პერსპექტივებზე დიდხანს ვისაუბრეთ საგანგებოდ გამართულ იმ შეხვედრაზე, რომელიც ამ პერიოდული გამოცემის დამაარსებელთან და მთავარ რედაქტორთან — ფაჰრედინ ჩილოღლუსთან და ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორ ელიზბარ ცივნარიძესთან გვქონდა ჩვენს სასტუმროში.

სტამბოლში ყოფნის პერიოდში ასევე საინტერესო შეხვედრა გვქონდა თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის წევრებთან და ამ ფონდის ადმინისტრაციული საბჭოს გენერალურ მდივანთან — მევლუდ ართვინლისთან (გოგლიძესთან). ხსენებული ფონდი 2000 წლის 18 ივნისს შეიქმნა სტამბოლში. „რამდენიმე წლის განმავლობაში ფონდის პრეზიდენტი გახლდათ ნიჰათ გოქიითი (გოგიტიძე) — ცნობილი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საპატიო მოქალაქე. ამჟამად ფონდის პრეზიდენტია საამი სეჩქინი — ყოფილი გუბერნატორი, თურქეთში ცნობილი პიროვნება. ფონდის ვიცეპრეზიდენტები არიან: ცნობილი ბიზნესმენი, დიდი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე) და საქართველოს საპატიო მოქალაქე, თბილისის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი სიმონ ზაზაძე. ფონდის წევრები არიან საქართველოს საპატიო მოქალაქეები, ცნობილი ადამიანები — რეფაეთტინ შაჰინი (ლორთქიფანიძე), ერგუნ ათაბაი (ქოქოლაძე), ალიხსან ახისხალოღლუ (გოჩიტიძე), ცნობილი კარდიოქირურგი ისმეთ დინდარი (მიქელაძე), ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბევრი ქართველის „გულის მესაიდუმლე", სიცოცხლის გამგრძელებელი... ფონდის გენერალური მდივანია მევლუდ ართვინლი (გოგლიძე), მეტად გულისხმიერი, საქმის ერთგული და კეთილშობილი პიროვნება. ამ ფონდის აქტიური წევრია ახალგაზრდა ბიზნესმენი, საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთი-

ერთობისთვის დაუღალავად მოღვაწე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი პავლე ზაზაძე“ (54, 24).

თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის ხელმძღვანელები და გამგეობის წევრები საკმაოდ ნაყოფიერ და წარმატებულ საქმიანობას ეწევიან ჩვენი ქვეყნების კიდევ უფრო მეტად დასაახლოებლად. ეს რომ მართლაც ასეა, ამაში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მუშაობის პერიოდში პირადადაც დავრწმუნდი. მაშინ ბატონმა მევლუდმა და ამ საბჭოს სხვა წევრებმა არაერთხელ გაგვიწიეს პრაქტიკული დახმარება თურქულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წარგზავნისა და მათთვის ხელსაყრელი სამუშო პირობების შექმნის საქმეში. ეს ყველაფერი უდიდესი კმაყოფილებით გაიხსენა თავად ბატონმა მევლუდმაც, რომელსაც მაშინ პირველად შევხვდი პირადად.

ფონდის ხელმძღვანელებისა და გამგეობის წევრების მიერ გაკეთებულ დიდ საქმეთაგან აქ განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაპყრო იმ ფაქტს, რომ მან საკუთარი სახსრებით შეიძინა საკუთრების უფლება ქართული კათოლიკური ეკლესიის ფონდის მიწის ნაკვეთზე, სადაც გამიზნულია აშენდეს განათლებისა და კულტურის ცენტრი.

* * *

სტამბოლში გატარებულ დღეებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა იმ შთაბეჭდილებებზეც მინდა ვთქვა, მსოფლიოს ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის საზღვაო ჭიშკრად ქცეული ამ შესანიშნავი ქალაქის ღირსშესანიშნაობებმა რომ მოახდინეს პირადად ჩემზე. ბიზანტიის ყოფილი იმპერიის ყოფილი დედაქალაქი კონსტანტინეპოლი, 1453 წლიდან უკვე სტამბოლად გარდაქმნილი, საუკუნეთა განმავლობაში მუდამ წარმოადგენდა ევროპულ და აზიურ ცივილიზაციათა ერთმანეთთან შერწყმის დიდ ასპარეზს.

გორაკ-ბორცვებიან რელიეფზე უკიდეგანოდ განფენილი ეს უზარმაზარი ქალაქი წარუშლელად შთამბეჭდავი და ღრმა კოლორიტული სილამაზითაა აღბეჭდილი. ქალაქს განსაკუთრებულ იერ-

სახეს, უპირველეს ყოვლისა, ცადატყორცნილი მინარეთებით დამშვენებული მეჩეთები სძენენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქალაქის ყველა რაიონში მრავლად გვხვდება, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად მაინც მისი ძველი უბნები გამოირჩევიან. აქ განთავსებული გრანდიოზული მეჩეთი-მუზეუმები მორწმუნეთა გარდა უამრავ დამთვალიერებელსაც იზიდავს ანდამატივით.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ქალაქის ევროპული და აზიური ნაწილების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ორი ხიდი, რომლებიც ბოსფორის სრუტეზეა გადებული. მსოფლიოში სიგრძითა და სილამაზით გამორჩეული ეს უნიკალური ხიდები საინჟინრო ხელოვნების ნამდვილ შედევრებს წარმოდგენენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქალაქის ცენტრალურ არტერიებად ქცეული ეს ხიდები დღედაღამ ტრანსპორტითაა გადაჭედილი და მასზე ყოველი გავლა ორ დოლარზე მეტი ღირს, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ შემოსავალსაც იღებს ქვეყანა მათი მეშვეობით.

საერთოდ, სტამბოლი საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით ერთერთ უძვირეს ქალაქს წარმოადგენს; ბინა, მგზავრობა, კვების პროდუქტები — აქ საოცრად ძვირია. ამისდა მიუხედავად, სტამბოლი მაინც ანდამატივით იკრებს მილიონობით ადამიანს. სხვაგან ცხოვრებას მათ ის ურჩევნიათ, ამ ქალაქში საკმაოდ ძვირად ნაქირავებ ბინებში იცხოვრონ და კომფორტულ საყოფაცხოვრებო პირობებზეც თქვან უარი. თუმცა, ამგვარი სიძვირისა და მკაცრი ეკონომიკური რეალობის მიუხედავად, სტამბოლში ყოფნის პერიოდში მათხოვარი თითქმის არსად შეგვხვედრია.

სტამბოლურ შთაბეჭდილებებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა მასზე, როგორც უდიდეს სავაჭრო ცენტრზეც, მინდა ვთქვა. ქალაქში მრავლად არსებულ სავაჭრო ობიექტთაგან ყველაზე კოლორიტულ სავაჭრო ცენტრებს სტამბოლის ე. წ. ღია, დახურული და ეგვიპტის ბაზრობები წარმოადგენენ, სადაც გამყიდველები ხმამაღლა ეპატიჟებიან მყიდველებს თავიანთი პროდუქციის შესაძენად.

ამ ეგზოტიკურ სამყაროში მოხვედრილებს გამყიდველთა შორის არაერთი ჩვენებურიც შეგვხვდა. ზოგიერთი მათგანი თავად გამოგველაპარაკა კიდეც ჩვენი ქართული საუბრის მოსმენის შემდეგ.

ხალხით აზიმზიმებულ ქუჩებსა და მოედნებს დროდადრო მლოც-

ველი მოლას ხმა გადაუვლის, რომელიც მთელ ქალაქს ფარავს. სტამბოლის ბაზარში მყოფები ინტერესით ვათვალიერებდით, ლოცვის დაწყებისთანავე მოვაჭრეთა გარკვეული ნაწილი ქუჩაში საგანგებოდ დაფენილ მუყაოს საფენებზე მუხლებზე როგორ იჩოქებდა და თავდავიწყებით იწყებდა ლოცვის რიტუალის შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მაღაზიები ღიაა და დახლებზე დაწყობილი საქონელი უმეთვალყუროდ არის მიტოვებული, მსგავს ვითარებაში ყოველგვარი ქურდობა და ხელცივობა, ეტყობა, მაქსიმალურადაა გამორიცხული.

მართალია, სტამბოლი ნებისმიერ დროს გამორჩეულად ლამაზია და მშვენიერი, მაგრამ ღამით იგი მაინც განსაკუთრებულად თვალწარმტაცია. დატალღულ რელიეფზე გაშენებული ქალაქი ისეა ჩაძირული ნაირფეროვანი ნათურების უკიდეგანო ზღვაში, რომ გეგონება, რაღაც იდუმალ და ზღაპრულ სამყაროში მოვხვდიო.

ხალხით გადაჭედილ ქალაქში მიწის თავისუფალი ნაკვეთი უაღრესად ძვირია და ძალზე ძნელად მოსაპოვებელი (ჩვენი მასპინძლების ინფორმაციით, სტამბოლის მოსახლეობა დღესდღეობით 25 მილიონს აჭარბებს). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით რთული ვითარება მაინც ქალაქის ძველ ნაწილშია, სადაც ვიწრო ქუჩები მანქანებით ხშირად იმდენადაა გადატვირთული, რომ მოძრაობა ძალზე გაძნელებულია.

ასე გავიდა სტამბოლში ჩვენი სტუმრობის ერთი კვირა და უკან გამგზავრების დროც დადგა. წამოსვლის წინ კიდევ ერთხელ ვეწვიეთ ჩვენს ქართულ ეკლესიას, ანთებული სანთლებით ღმერთს იქ მოღვაწე ქართველთა სულების უკვდავება შევთხოვეთ და ჩვენს გულითად მასპინძლებს _ ბატონ სიმონს, მის მეუღლესა და ვაჟს უღრმესი მადლიერებით გამოვემშვიდობეთ.

ჩვენი სტამბოლური შთაბეჭდილებები აეროპორტში ერთმა სენტიმენტალურმა ამბავმაც გაგვილამაზა: თვითმფრინავის მოლოდინში ჩვენი რეისით მომავალი ერთი თვალწარმტაცი, ცისფერთვალება, მაჰმადიანური წესით თავზე თავსაფარმოხვეული და გრძელსახელოებიანი კაბა-ხალათით კოჭებამდე შემოსილი ახალგაზრდა ქალბატონი გავიცანით. 5-6 წლის ქალ-ვაჟთან ერთად მოფრინავდა ბათუმში. ძალზე აღელვებული და დაბნეული იყო.

ქალბატონმა შუშანამ დაუყვავა და აღელვების მიზეზი ჰკითხა. როგორც გაირკვა, ეს ქალბატონი, რომელიც თურქეთის ქართულ სოფელ მარადიდში მცხოვრები ქართველი ყოფილა (სამწუხაროდ, ქართული ცუდად იცოდა), ტაშკენტში სამუშაოდ მყოფი მეუღლის სანახავად იმყოფებოდა და ახლა შვილებთან ერთად ბრუნდებოდა შინ. როცა დაინახა, რომ ჩვენ გულწრფელად დავინტერესდით მისი მდგომარეობით და შევეცადეთ მგზავრობის სიძნელე შეგვემსუბუქებინა, გრძნობამორეულს გული აუჩუყდა და ტირილი აუვარდა. ასეთ მოგზაურობებში სათანადოდ გამოუცდელს, თურმე აქ ჩამოსვლამდე საკმაოდ ბევრი სირთულე შექმნია და ახლაც შიშობდა, თვითმფრინავს არ ჩამორჩენოდა.

ჩვენი დამოკიდებულებით გამხნევებული და დაიმედებული, ღვიძლი ნათესავივით მოგვენდო და ჩვენც მანამდე არ დაგვიტოვებია უყურადღებოდ, სანამ ბათუმის აეროპორტში რიზეში მიმავალ ავტობუსში არ ჩავსვით, იქიდან მის მშობლიურ სოფელში რომ გამგზავრებულიყო მშვიდობიანად.

2005-2008 წწ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ანასაშვილი, ქართველთა სავანე სტამბოლში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005 წ. 9-10 ივლისი.
2. ა. ბარამიძე, ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნები, კრებული „მწიგნობარი“, 1988 წ.
3. ნ. ბოსტაშვილი, იასე რაჭველიშვილის (მეხუზლას) წერილები თურქეთიდან, 1991 წ.
4. გარდახვეწილი, აკაკი სტამბოლში (წერილი სტამბოლიდან), „დროება“, 1909 წ. 20 აგვისტო.
5. ს. გრიგალაშვილი, ქართული კულტურის კერა საფრანგეთში XIX საუკუნის შშ ნახევარში, 2006 წ.
6. „დროება“, 1878 წ, №24.
7. „დროება“, 1878 წ. №124.
8. „დროება“, 1880 წ. №180.
9. „დროება“, 1885 წ. №182.
10. „დროება“, 1908 წ. №11.
11. „დროება“, 1909 წ. 14 იანვარი.
12. „დროება“, 1909 წ. 5 თებერვალი.
13. „დროება“, 1909 წ. 9 მაისი.
14. „დროება“, 1909 წ. 20 აგვისტო.
15. „დროება“, 1910 წ. 13 თებერვალი.
16. შ. ვარდიძე, სტამბოლის მონასტერი და რაფიელ ინგილო. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931 წ. №63, 64.
17. ს. ვარდოსანიძე, კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა, ჟურნ. ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1984 წ. №1.
18. ვინმე ქართველი, კონსტანტინეპოლის ქართველობა, „კვალი“, 1894 წ. №16.
19. რ. თაბუკაშვილი, ამბავი ერთი მესხისა, გაზ. „ახალი ივერია“, 1999 წ. №1.
20. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ.
21. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ. 1995 წ.
22. „თემი“, 1911 წ. №42.
23. „ივერია“, 1893 წ. 9 თებერვალი.

24. „ივერია“, 1897 წ. 11 ივნისი.

25. იმმა, სტამბულიდან, „კვალი“, 1895 წ. №22, 23, 24.

26. რ. ინგილო, სტამბოლის სავანის ავ-კარგი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1930 წ. №55.

27. რ. ინგილო, წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1930 წ. №56.

28. ვ. კარისტი, ბარათი პარიზიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996 წ. 2-9 აგვისტო.

29. ო. კასრაძე, უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები, ჟურნ. „განთიადი“, 1981 წ. №1.

30. „კვალი“, 1894 წ. №16.

31. ი. კოპლატაძე, ქართველები და „სტამბოლის ზღაპარი“, ჟურნ. „ფიროსმანი“, სტამბოლი, 2007 წ. №3.

32. ლ. კურტანიძე, პეტრე ხარისჭირაშვილი და ქართული საგანმანათლებლო კერები საზღვარგარეთ. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 2000 წ.

33. ც. ლაფაჩი, მადლიერების ჩანაწერები სტამბოლის ქართველთა სავანიდან, „ქართველური მემკვიდრეობა,“ ტ. XI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007 წ.

34. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, 1979 წ.

35. შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, 1984 წ.

36. ნ. მიწიშვილი, ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, 2006 წ.

37. მოგონებები აკაკიზე. კრებული, 1990 წ.

38. მეხუზლა (იასე რაჭველი), მცირე შენიშვნა სტამბოლის ქართველთა კათოლიკე მონასტრის გაქურდვის შესახებ, „მწყემსი“, 1894 წ. №18.

39. მეხუზლა (იასე რაჭველი), წერილი კონსტანტინეპოლიდგან, „ივერია“, 1897 წ. 1 ივნისი.

40. ა. ნიკოლეიშვილი, ქართული ემიგრანტული მწერლობა, 1906 წ.

41. ა. ნიკოლეიშვილი, სტამბოლში ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან, „ქართველური მემკვიდრეობა,“ ტ. XI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007 წ.

42. ა. ნიკოლეიშვილი, ქართული კულტურის სტამბოლური კერა, გაზ. „უქიმერიონი“, ქუთაისი, 2008 წ. №1.

43. ა. ნიკოლეიშვილი, სტამბოლის ქართული სავანე, „განთიადი," 2008 წ. №3-4, 5-6, 7-8.

44. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, 1995 წ.

45. რ. ჟანენი, საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია), 1996 წ.

46. „სახალხო გაზეთი", 1911 წ. 29 ივლისი.

47. „სახალხო გაზეთი", 1912 წ. 20 მაისი.

48. მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, 1996 წ.

49. მ. სიორიძე, კონსტანტინეპოლის ქართული სავანე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. კრებული: საქართველო და ქრისტიანული დასავლეთ ევროპის ურთიერთობა, ბათუმი, 2002 წ.

50. ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჟურნ. „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია", 1978 წ. №1.

51. ფარსმანი, სტამბოლის ქართველობა, „სახალხო გაზეთი", 1911 წ. №232.

52. ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, 1991 წ.

53. ტ. ფუტკარაძე, პავლე, სიმონ და პოლ (პავლე) ზაზაძეების როლისათვის სტამბოლის ქართული სავანის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში, „ქართველური მემკვიდრეობა," ტ. XI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007 წ.

54. შ. ფუტკარაძე, სტამბოლის ქართული სავანე — თურქი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო, „ქართველური მემკვიდრეობა," ტ. XI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007 წ.

55. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993 წ. ბათუმი.

56. შ. ფუტკარაძე, ქართული საყდარი სტამბოლში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 2002 წ. 27 სექტ. — 3 ოქტ.

57. შ. ფუტკარაძე, თურქეთში, ანგელოზთა სოფელში, დღესაც მხრებგაშლილი დგას ქართველთა სავანე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2005 წ. 22 მაისი.

58. ქართველთ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, აღწერილი და დაბეჭდილი ზაქარია ჭიჭინაძის მიერ, 1904 წ.

59. ქართველები კონსტანტინეპოლსა და სპარსეთში, 1990 წ.

60. ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები, კონსტანტინეპოლი, 1878 წ.

61. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 3, 1993 წ.

62. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, 2001 წ.

63. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, 2001 წ.

64. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, 2003 წ.

65. ე. ცივნარიძე, ზაზაძეების სამი თაობა, ჟურნ. „ფიროსმანი", სტამბოლი, 1907 წ. №3.

66. „ცნობის ფურცელი", 1897 წ. №87.

67. „ცნობის ფურცელი", 1899 წ. №775.

68. ა. ნერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 15, 1963 წ.

69. ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, 1895 წ.

70. ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები 1627-1916 წლებში, 1916 წ.

71. გ. ხიმშიაშვილი, თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი. ჟურნ. „ფიროსმანი", სტამბოლი, 1907 წ. №3.

72. მ. ჯავახიშვილი, ცნობები ალფონს ხითარიშვილის შესახებ, ჟურნ. „კავკასიის მაცნე", 2004 წ. №9.

73. მ. ჯავახიშვილი, მონტობანის სავანე, ჟურნ. „ხელოვნებათმცოდნეობა", 2005 წ. №6.

74. „ჯვარი ვაზისა", 1906 წ. №15.

75. „ჯვარი ვაზისა", 1906 წ. №18.

თურქეთში _ ჩვენებურებთან

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანასა და თურქეთს შორის დამკვიდრებული კეთილმეზობლობა თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან საუკუნეების მანძილზე გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა-განმტკიცებაზეც ახდენს არსებითად კეთილისმყოფელ ზეგავლენას. სწორედ ამ ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დღეს ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევისა და ბიუროკრატიულ სირთულეთა გარეშე შეუძლია როგორც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება, ისე ამ ქვეყანაში მცხოვრებ მილიონობით ეთნიკურ ქართველთან კავშირის დამყარება.

ქართველები კი დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უაღრესად დინამიკურ და უსწრაფესად განვითარებად პროცესში. ნათქვამის დასტურად აქ, ვფიქრობ, თუნდაც იმ ფაქტის ხაზგასმაც იქნება საკმარისი, თურქეთის ამჟამინდელ უმაღლეს ხელისუფლებაში საკმაოდ მრავლად არიან ეთნიკური წარმომავლობით ქართველი მოქალაქეები. ხსენებული მოვლენა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა კოჰორტაში ქართული ფესვების მქონე მაღალჩინოსნებს ყოველთვის ეჭირათ გამორჩეულად მნიშვნელოვანი პოსტები (მინისტრებისა, გუბერნატორებისა, ქალაქების მერებისა, უმაღლესი სასულიერო პირებისა...).

პირველ ყოვლისა სწორედ ჩვენს ქვეყნებს შორის ბოლო ხანს დამკვიდრებული ზემოთ აღნიშნული კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა გახდა საფუძველი იმ იდეისა, რომლის უმთავრესი მიზანიც თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან (როგორც იქაური ქართველები უწოდებენ ხოლმე თავიანთ თავს) სარფის კარის გახ-

სნის შემდეგ აღდგენილი კავშირების შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში ჩვენც, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ერთ ჯგუფსაც, შეგვეტანა ჩვენი მოკრძალებული წვლილი.

პირველები, ვისაც ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება ვთხოვე, უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძე და ქუთაისის რეგიონული ტელეკომპანია „რიონიწ" გენერალური დირექტორი, პროფ. თამარ (თამილა) ღვინიანიძე იყვნენ. ხსენებული იდეის პრაქტიკული განხორციელების პროცესში ბატონი ტარიელის ჩართვა არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად თურქეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი სამყაროს შესწავლაა ქცეული. რაც შეეხება ქალბატონ თამილას, პროექტის რეალური ხორცშესხმის დროს მისი უმთავრესი საქმე თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებზე დოკუმენტური ფილმების შექმნის ორგანიზება უნდა გამხდარიყო.

ასე შედგა პროექტი სახელწოდებით: „საქართველო და თურქეთი: კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა სამეცნიერო და კულტუროლოგიურ სფეროებში." დასახელებულ პირთა მიერ ერთობლივად შემუშავებული სამეცნიერო გეგმის უმთავრესი მიმართულებანი კი შემდეგნაირად განისაზღვრა:

— საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება;

— თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ქართული ეროვნული მემკვიდრეობის გაცნობა;

— თურქეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების, პირველ ყოვლისა კი სტამბოლის ქართული სავანის, შესახებ ახალი მასალების მოძიება და დოკუმენტური ფილმის გადაღება;

— თურქეთში მოღვაწე ქართველ მამულიშვილებთან (სიმონ და პოლ ზაზაძეებთან, ფარნა ჭილაშვილთან და ქართული სათვისტომოების ხელმძღვანელებთან...) შეხვედრები და საუბრები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე;

— თავად ჩვენებურების მიერ მათ ილია ჭავჭავაძედ წოდებული

ახმედ მელაშვილის (ოზქანის) ოჯახის წევრებთან შეხვედრა და ახალი მასალების მოპოვება მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებით;

— თურქეთში არსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან და სტამბოლში გამომავალ ქართულ ჟურნალ „ფიროსმანის“ შემოქმედებით კოლექტივთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება;

— თურქეთში მცხოვრები ქართველების ქართული მეტყველების, ფოლკლორისა და ყოფის შესწავლის მიზნით ჩვენი თანამემამულეებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გასვლა და ახალი მასალების მოძიება.

დღესდღეობით ქუთაისში მოღვაწე ჩვენი ინეგოლელი თანამემამულის - ბიზნესმენ მიხეილ (მუნურ) გულიაშვილის აქტიური დახმარებითა და თურქეთში მცხოვრები სხვა ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავების დახმარებით ბატონმა ტარიელ ფუტკარაძემ ქუთაისიდანვე გაუკეთა ორგანიზება იმ შეხვედრებს, რომლებიც ჩვენი ექსპედიციის პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად უნდა გაგვემართა თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში.

საბედნიეროდ, ჩვენ მიერ ქალაქის თვითმმართველობაში დასაფინანსებლად წარდგენილ პროექტს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ერთხმად, დაუჭირეს მხარი როგორც ქუთაისის მერმა, ბატონმა ნუგზარ შამუგიამ და მისმა აპარატმა, ისე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან ხვადაგიანმა და საკრებულოს უკლებლივ ყველა დეპუტატმა. პროექტის მიმართ ასევე დიდი ინტერესი გამოავლინეს და მის პრაქტიკულ განხორციელებაში აქტიურად დაგვიჭირეს მხარი იმერეთის გუბერნატორმა, ბატონმა მიხეილ ჩოგოვაძემ და მისმა სამსახურმა.

და აი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ამირან ხვადაგიანის ხელმძღვანელობით შემდგარი ათკაციანი სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც, გარდა ზემოთ დასახელებული პირებისა, შედიოდნენ: პროფ. ოთარ ჭუმბურიძე, თურქოლოგი გიგა ქამუშაძე, პროფ. მანანა ქარქაშაძე, პროფ. შალვა კირთაძე, ქალაქის თვითმმართველობის აპარატის უფროსი ვანო ჟორჟოლიანი და ოპერატორი ონისე მელქაძე, 2009 წლის 10 ივნისს თურქეთში გაემგზავრა.

ჩვენი ექსპედიცია მიზნად ისახავდა, თორმეტი დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, მთელი თურქეთი მოგვევლო და პირადად შევხვედროდით მუჰაჯირობის შედეგად მშობლიური ფუძეებიდან სამუდამოდ აყრილი და მეზობელ ქვეყანაში დამკვიდრებული ჩვენი თანამემამულეების შთამომავალთ.

ხსენებული სამეცნიერო ექსპედიცია პირადად ჩემთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმითაც იძენდა, რომ თურქეთში, ჩვენებურებთან გამართულ შეხვედრებზე, ჩემი ახალი წიგნის — „ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში“ წარდგენა-პრეზენტაციაც უნდა მომხდარიყო. ვრცელი თურქული რეზიუმეს თანდართვით გამოცემული ხსენებული წიგნი მიზნად ისახავს, მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, მკითხველს საფუძვლიანად გააცნოს, ერთის მხრივ, სტამბოლის ქართული სავანის ისტორია და იქ მოღვაწე ქართველ მღვდელმსახურთა მიერ ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი; მეორეს მხრივ კი მიზანმიმართულად წარმოაჩინოს თურქეთში მცხოვრებ ცნობილ ქართველ მამულიშვილთა: ახმედ მელაშვილისა და ისმაილ შავიშვილის მოღვაწეობის უმთავრესი მხარეები. წიგნში ასევე განსაკუთრებული განსჯა-გაანალიზების საგნადაა ქცეული ჩვენებურების ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებულ პრობლემათა გააზრება თავად მათეული თვალთახედვით.

* * *

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მკვიდრობა უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორმა მოვლენამ განაპირობა არსებითად: ძირითადად ქართველებით დასახლებული რეგიონების მოქცევამ მეზობელი ქვეყნის შემადგენლობაში და მუჰაჯირობის შედეგად (1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროიდან დაწყებული 1921 წლამდე) საქართველოდან ნახევარ მილიონზე მეტი ქართველის აყრა-გადასახლებამ თურქეთში.

საუკუნეთა მანძილზე უცხო სახელმწიფოში მკვიდრობის მიუხედავად, ხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა არც თუ მცირე ნაწილმა მაინც შეძლო წინაპართა ენისა და ადათ-ტრადიციების

შენარჩუნება. თუმცა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ურბანიზაციის პროცესის ფართოდ და მასშტაბურად განვითარებამ, რასაც შედეგად მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დიდ სავაჭრო და ეკონომიკურ ცენტრებში გადასახლება მოჰყვა, თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული თვითმყოფადობაც დააყენა რეალური საფრთხის წინაშე.

გარდა ტერიტორიულად უშუალოდ საქართველოს მიმდებარე რეგიონებისა, ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღესდღეობით ქვეყნის სხვა რეგიონებშიც (სტამბოლი, ანკარა, ბურსა, ინეგოლი, სამსუნი, სინოპი, ფაცა, გირესუნი, ორდუ, უნიე, ტრაპიზონი, იზმითი, ადაფაზარი, ამასია, დუზჯე, გებზე, გოლჯუკი,ხენდეკი, იზმირი, ადანა, საკარია, მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროები...) ცხოვრობს კომპაქტურად.

ხსენებულ რეგიონებში ქართული მოსახლეობის ფართოდ დამკვიდრების პროცესისთვის ხელშემწყობ უმთავრეს ფაქტორად პირველ ყოვლისა მუჰაჯირობა იქცა. ფაქტობრივად, თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით განხორციელებული ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად, საქართველოდან თურქეთში გადასახლებულ ქართველთა უდიდესი ნაწილი აჭარიდან იყო. ბევრი სოფელი მაშინ თითქმის მთლიანადაც კი დაიცალა მოსახლეობისგან.

ბევრი მუჰაჯირი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მშობლიურ ფუძეს ისინი მხოლოდ დროებით ტოვებდნენ და მალევე დაბრუნდებოდნენ უკან. მაგრამ ოსმალეთში გადახვეწილნი სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ — რუსეთის იმპერიის ძალადობრივ პოლიტიკას სამშობლოდან თურქეთში იმის იმედით გამოქცეულნი, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლება წინასწარ დაპირებულ მფარველობასა და მზრუნველობას არ მოაკლებდათ, სრულიად უსახსროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ.

ერთ-ერთი ქართველი მუჰაჯირის შთამომავალი ამ ტრაგიკულ მოვლენას შემდეგნაირად იხსენებს: „თურქიეში, ოსმანლიში, წამოსულ ხალხსა ეგონენ, კიდო გადმუალთ საქართველოშიო. ამა რუსებმა კარები დააყაფანეს, კინის ფერდე ააფარეს. ჩიტმა ვეღარ გადმოუფრინდა ბილა აქეთ. მე ბაღვი ვიყავ, თქვენიდან გადმოსულები

რომე იტირებდენ ბათუმის მოგონებაზე, ჰალადვენ (დღემდე - ა. ნ.) მახსოვს. სულ ტიროდენ: - ეი, კიდი, მემლექეთო, შორიდან ვიციცქირებით, ველარ განახეთო“ (წერილში დამოწმებული ციტატების უმეტესობა ამოკრებილია შ. ფუტკარაძის წიგნიდან „ჩვენებურების ქართული,“ ბათუმი, 1993 წ.).

როგორც ჩვენებურების საუბრებიდან ნათლად ჩანს, თაობებისათვის ეროვნულ ტრაგედიად ქცეულ ამ მოვლენას მუჰაჯირ ქართველთა დღევანდელი შთამომავლებიც ხშირად იხსენებენ უდიდესი გულისტკივილით. მშობელ ქვეყანასთან სამუდამო განშორებით გამოწვეული ამ უმწვავესი ტკივილის ანარეკლი მათი ზეპირსიტყვიერების არაერთმა ნიმუშმაც შემოგვინახა ემოციურად შთამბეჭდავი ფორმით. მაგალითად, ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ეს ტკივილი ასეთი სულისშემძვრელი ფორმითაა გამოხატული:

ავდგეთ, წევდეთ მუჰაჯირათ, რა ლამაზი დარიაო,
ჩუენ გემში რო ჩავჯდებით, ჩვენი გული კდარიაო.

დიდი მემლექეთისადმი სიყვარულის ეს უწმინდესი და უძლიერესი გრძნობა ქართველმა მუჰაჯირებმა თავიანთ შთამომავლობასაც რომ გადასცეს მემკვიდრეობით, ეს საქართველოზე მათი ემოციური ნაუბრებიდანაც თვალნათლივ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ წინაპართა სამშობლო ქართველი მუჰაჯირების მემკვიდრეებს თვალითაც კი არ ჰქონდათ ნახული (დამოწმებული საუბრების უდიდესი ნაწილი სარფის კარის გახსნამდეა ჩაწერილი), ისინი უნახავადაც კი თავდავიწყებით იყვნენ შეყვარებულნი მასზე. ამ სიყვარულის განმამტკიცებელ უმთავრეს ძალად პირველ ყოვლისა ის ნოსტალგიური და რომანტიკული საუბრები იყო ქცეული, რითაც მშობლიური ქვეყნიდან სამუდამოდ აყრილ-გადახვეწილი ქართველები იხსენებდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს.

მაგალითად, ერთ-ერთი ქართველი მუჰაჯირის შთამომავალი თავისი წინაპრებისაგან გენეტიკურად გადაცემული სიყვარულის ამ უწმინდეს გრძნობას საკუთარი თვალით ჯერაც უნახავი სამშობლოსადმი შემდეგნაირად გამოხატავს: „ჩუენი ძუელების ნათქუამი სოფლების სახელები მახსოვან... ბითთუმ (მუდამ — ა. ნ.) იქავრობა მაგონდება, ბაბუას ბაბუას ადგილები მენატრება. მე იქა ვთლი ჩემ თავსა... გურჯები გვენატრებიან, ჰაიქი (თითქოს — ა. ნ.) და-ძმანები

ვართ. გვიყუარან უდუუნახველი ძმები. გულით გევხსნებით, იმათ რომ დევნახავთ.“

როგორც ჩვენებურების ნაუბრებიდან თვალნათლივ ჩანს, პირველ ყოვლისა სწორედ თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი ქართველი მუჰაჯირებისა და მათი შთამომავლების ასეთი ფანატიკური და დაუცხრომელი სიყვარული წარმოადგენს იმ დიდი ნოსტალგიის უმტკიცეს საფუძველს, რასაც ბევრი მათგანი გამოხატავს ხოლმე ძალზე ხშირად უმძაფრესი ემოციური ექსპრესიით. მაგალითად, „ხეები რომ კალმათ იქცენ, - ამბობს ერთ-ერთი მათგანი, — ზღუები რომ მელნათ იქცენ, ჩემ დერდს ვერ დასწერს.“

მიუხედავად დედა საქართველოსადმი ჩვენებურების ამგვარი დაუცხრომელი სიყვარულისა, მათი დიდი ნაწილი იმდენად შეეგუა და შეესისხლხორცა თავის ახალ სამშობლოს, რომ იქიდან აყრასა და უკან, წინაპართა ნაფუძარზე, დაბრუნებას უკვე აღარ აპირებს. ამას ბევრი მათგანი იმით ხსნის, რომ თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნისთვის მათ არასოდეს უღალატიათ და მისი „მიწები მათი დედიების სისხლითაცაა მორწყული.“ ამიტომაც არ უნდათ მათ იქიდან აყრა და „გურჯისტანში დაჟდომა.“ „ჩუენ აქნა ვიყოთ, — ამბობენ ისინი, — სხუას არ დუუტევთ ჩუენ დედიების სისხლით მორწყულ მიწასა. ჩუენ გვინდა, რომე ჩუენ აქა კარგად ვიყოთ, თქუენ იქა კარგად იყოთ, ერთმანებთან გედევდეთ, გადმოვდეთ, კაი მეზობლობა ვქნათ...“

ჩვენებურების მონათხრობში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ გურჯები დღესდღეობით „თელ თურქჲეში არიან მოთესილი და სინათლეს აძლევენ თურქჲესა.“ კერძოდ, დღევანდელ თურქეთში არსებული ვილაიეთებიდან „გურჯი ჰამანაქი (თითქმის — ა. ნ.) ყუელგან არი. თხუთმეტში არ იქნება მარტო.“

მიუხედავად ასეთი სიმრავლისა, დღევანდელი ჩვენებურების უდიდესი ნაწილის წინაშე რეალურად დგას ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების პრობლემა. თავად მათივე განმარტებით, ეს გარემოება პირველ ყოვლისა იმითაა განპირობებული, რომ ისინი ძველებურად კომპაქტურ ცხოვრებას უკვე ნაკლებად ახერხებენ. მაგალითად, აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მათგანი: „ერთი ნათქუამია: ყურძენი ყურძენსა შეხედავს და გაშავ-

დებაო. ჩუენც ისე ვართ. თურქებში გავერიეთ და გავშავდით, ასიმილა გავხდით.

— ჩუენ რატომ დევკარქეთ, იცი? ჩუენ ახლა დაპანტული ვართ, იმისთვინ ასეა. ჩუენ აქ გამოველით, ადაფაზარ დავჯექით, ზოგმა ბურსას დაჯდა, ზოგმა — იზმირ, ზოგმა — გირესუნ, ზოგმა - ჰად და ზოგმა — ჰად. დევპანტეთ. ერთ ადგილში არ ვართ, რომე ერთმანებ გურჯიჯა ველაპარიკოთ. ლაპარიკი დაგვავიწყდა. სიმღერა აღარ ვიცით.“

ეროვნული გადაგვარების ამ მოვლენით შეწუხებული და გულნატკენი ბევრი ჩვენებური შეძლებისდაგვარად ცდილობს ასიმილაციის პროცესს წინ აღუდგეს, თავისი ეროვნული იდენტობა დაიცვას და მშობლიური ენა და წინაპართა ადათ-ტრადიციები შეინარჩუნოს. მაგალითად, სალხინო სუფრების გამართვის დროს ჩვენებურთა ნაწილი უპირატესობას ქართულ მოლხენას ანიჭებს. „ქორწილ რომ ვიქთ, — ამბობს ერთ-ერთი მათგანი, — სულ გურჯულა, სულ ქართულა არი ყუელამფერი, სიმღერა, ლაპარიკი, ადეთები.“

ეროვნული ტრადიციების დაცვა-შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინაპართა მიერ დამკვიდრებული სახალხო დღესასწაულების ფართოდ აღნიშვნაც წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს იმერხევში ყოველი წლის აგვისტოში გამართული მარიამობის დიდი დღესასწაული, რომელსაც თურქეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მრავლად ჩასული ქართველებიც ესწრებიან.

ამგვარ სახალხო ზეიმებზე ყველაზე მეტ სიყვარულსა და პატივისცემას პირველ ყოვლისა ის ადამიანები იმსახურებენ, რომლებიც ქართული სიმღერებითა და ცეკვებით ისახელებენ თავს. მაგალითად, აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ჩვენებური: „შუანთობაზე იტყოდენ გურჯულ სიმღერეფს. თენზილასი ანაი იმღერებდა გურჯულ სიმღერებს. შამუუყვირებდა იმფერ ვორირამას, რომე ტანში გაგაკანკალებდა.“

საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით, რამდენადაც ვითარება ამის შესაძლებლობას აძლევთ, ჩვენებურები ერთად, კომპაქტურად, ცხოვრების შენარ-

ჩუნებასაც ცდილობენ და ერთმანეთზე თხოვა-გათხოვების წესის დაცვასაც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თქმით, „ჩუენ ენამ რომ არ გამეიცვალოს და არ დაგვავიწყდეს, სხუა ხალხსა, ქართუელის გარდა არ ვუშვებთ ჩუენ სოფლებში. არ ვუშვებთ ქი, სისხლმა არ გამეიცუალოს, ენამ არ გამეიცუალოს. სოფელში რომ დააჟდუმლეფ (დაასახლებ - ა. ნ.) სხუა მილლეთის კაცსა, ია გოგონა ითხოვო მისი, ია ბიჭინა დააქორწილო იმიდან. ამიტომ არ ვუშვეფთ ქი შიან სოფელში.“

მეორე ჩვენებური კი ამბობს: „მეზელუღში (სასაფლაოზე — ა. ნ.) ვიტირეფ სხუა სისხლის ქალი რომ მეიყუანონ და სახლში ალაჟღუნონ. სახლში დავალპოფ პრატ (ქალიშვილს — ა. ნ.) გუუთხუარსა და სხუა სისხლის ინსანსა (ადამიანს — ა. ნ.) არ მივცემ.“

ერთ-ერთი სტამბოლელი ჩვენებურის თქმით, უმთავრესი სიძნელე, რაც მათ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების გზაზე ელობებათ წინ, ერთმანეთისაგან განცალკევება და არაქართულ გარემოში ცხოვრებაა. „თქუენ საქართველოში ხართ, რა გინდარან. რუსი ბევრ ვეეფერ დაგმართებს. ჩუენ რა გვეშველება თვარემ? აღარც თურქი ვართ, აღარც გურჯი.“

ბევრი ჩვენებური უდიდეს გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა შედეგად, წინაპრების მიერ დატოვებულ ეროვნულ ტრადიციათაგან დროთა განმავლობაში ბევრი რამ დაიკარგა და გადასხვაფერდა არსებითად. მაგალითად, აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მათგანი: „დედოფალი მეიყუანეს კარზე. უკრენ მუზიკას. ქართულათ აღარ იციან მღერა. მღერიან თურქჩაზე. თურქებმა ეს სიმღერა არ იციან. გურჯების სიმღერაა თურქჩაზე გადატანილი.“

ჩვენებურების მონათხრობში გამორჩეულად მნიშვნელოვან იმ წვლილსაც არაერთგზის ესმება ხაზი, რაც თურქეთში მცხოვრებ ქართველებს აქვთ შეტანილი მათ მეორე სამშობლოდ ქცეული ქვეყნის ისტორიაში. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თქმით, „ჩუენ თურქეთლების პირველი ხალხი ვართ. ჰაცხა რომე გასაკეთებელი საქმეა, ჩუენ ვართ იქა... ჩუენა რომე თურქეთის პირველი ხალხი ვართ, ეს იციან ყუელამ აგერაქა. ჩუენი დერნეგები (გაერთიანებები

- ა. ნ.) გუაქ... ერთმანეფზე მოხმარება არი... ასე ვიკავეფთ ერთმანეფსა...

ოდაში თუ ვუდავართ და გურჯი შამოიდა, სელამის მიცემაზე ფეხზე ავდგებით. ამას თურქები ხედვენ და თვითანაც დგებიან ფეხზე, გურჯი კაცი, დიდი კაცი შამოვდაო.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები განსაკუთრებულ პატივისცემას პირველ ყოვლისა იმ გურჯების მიმართ იჩენენ, რომლებიც თავიანთი ეროვნული მოღვაწეობით გამორჩეულ პიროვნებებს წარმოადგენდნენ. მათ შორის ყველაზე მეტი სიყვარულითა და ავტორიტეტით ახმედ ოზქანი (მელაშვილი) სარგებლობდა, თავისი ქართული საქმიანობის გამო მთელ თურქეთში ფართოდ პოპულარული დიდი მამულიშვილი, რომელიც თურქმა ტერორისტებმა ბარბაროსულად მოკლეს 1980 წელს მისი აქტიური ეროვნულ-მამულიშვილური მოღვაწეობის გამო.

სწორედ ახმედ მელაშვილისა და თურქეთში მოღვაწე სხვა ქართველ მამულიშვილთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ არაერთ რეგიონში ქართული სათვისტომოებიცა და კულტურის კერებიც შეიქმნა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ აღზევების შესაბამისად შეიძინა. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთთან კეთილმეზობლური კავშირურთიერთობის დამყარებისა და ადრე არსებული სასაზღვრო ბარიერების მოშლის შემდეგ კი ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

სამწუხაროდ, არაქართულ გარემოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების გამო ჩვენებურების მნიშვნელოვანი ნაწილი მშობლიურ ენაზე უკვე საერთოდ ველარ საუბრობს, ქართულად მოსაუბრეთა ენა კი იმდენად შეიცვალა და გადასხვაფერდა, რომ საქართველოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველება ხშირ შემთხვევაში არსებითადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ჩვენებურების მართებული დაკვირვებით, ამ სამწუხარო მოვლენამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, ურბანიზაციის პროცესში ჩვენი თანამემამულეების აქ-

ტიური ჩართვის შემდეგ, შეიძინა. ქართული ენის არცოდნა, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ ქართული სკოლების არარსებობის გამო, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის ქართული წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო და არის.

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ენობრივი თვალსაზრისით ისინი ნახევარი საუკუნის წინათ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე დღეს არიან. მათი თქმით, „ორმოზდაათი წლის წინ სუფთა იყო ქართული ენა ჩუენსა. ოქულები (სკოლები — ა. ნ.) რომ გეიხსნა, თურქჩა შემოვდა. ბაღნები თურქჩას სწავლობენ ოქულებში და გურჯიჯას აღარ ეტანებიან. წორეთ აღარ მივა საქმე.“

ზოგიერთი ჩვენებურის შეფასებით, ამ მოვლენის გამო ჩვენი ენის გავრცელების არეალი დროთა განმავლობაში იმდენადაც კი შემცირდა, რომ იგი რეალურად დადგა შენარჩუნება-არშენარჩუნების საშიშროების წინაშე. „ჩუენი ეშები (ტოლები — ა. ნ.) რომ წავლენ ამ დუნიდან (ქვეყნიდან — ა. ნ.), — ამბობს, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, — თორუნები (შვილიშვილები — ა. ნ.), დარჩენილები გურჯიჯას აღარ ილაპარიკებენ.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ამგვარი გულმტკივნეული საუბრები მშობლიური ენის გადარჩენა-შენარჩუნებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ მკითხველს ამ თვალსაზრისით იქ არსებულ სინამდვილეზე ექმნება ზუსტი წარმოდგენა, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ ჩვენებურების ერთი ნაწილი შექმნილ ვითარებასთან შეგუებას არ აპირებს და ამ პრობლემათა მოსაგვარებელი გზების მოძებნასაც ცდილობს შეძლებისდაგვარად.

მაგალითად, ბურსას ვილაიეთში მცხოვრები ერთ-ერთი ჩვენებური მისი და მისი თანამემამულეების რომანტიკულ სიყვარულს დიდი მემლექეთისა და მშობლიური ქართული ენისადმი შემდეგნაირად გამოხატავს: „ჩემი ანადილი (დედაენა — ა. ნ.) გურჯია. არ დავკარქავთ გურჯის ენასა. წინიებზე მიველ ოქულში (სკოლაში — ა. ნ.), ვუთხარ ორეთმენსა (მასწავლებელსა — ა. ნ.): ჩემი დედეი რომ მემ-

ლექეთ მეიგონებდა, ერთ ჰავთას (კვირას — ა. ნ.) იტირებდა, შუიდ დღე იტირებდა, კერაზე მიდებდა თავსა და იტირებდა... მემრე ანჯახ (ძლივს — ა. ნ.) ადგებოდა, თუალ გაახილებდა. რატომ ტირიო, - ვკითხევდით ბადიშები. — ჩემი მემლექეთი, ჩემი ანაი, ჩემი ძმები მემენატრა და იმიტომ ვტირიო... მეცოდვებოდა ჩემი დედეი.“

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გამო უკმაყოფილებას იშვიათად გამოთქვამენ, ბევრ მათგანს თვალი და გული მაინც საქართველოსკენ მოუწევს და ისტორიულ სამშობლოსთან საუკუნეების წინათ გაწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის აღდგენასა და კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას ცდილობს.

საქართველო მათთვის მარადიული ნატვრისა და ოცნების ქვეყანაა, რომელსაც უცრემლოდ და უემოციოდ ვერასოდეს იხსენებენ. მართალია, ქართველ მკვლევართა მიერ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურებისაგან ზემოთ დამოწმებული ტექსტების ჩაწერის დროს მათი აბსოლუტური უმრავლესობა წინაპართა ისტორიულ სამშობლოში ფიზიკურად ნამყოფი არ იყო, მაგრამ დიდი მემლექეთისადმი სიყვარულის გრძნობა ბევრი მათგანისთვის მაინცაა ქცეული ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად.

როგორც ჩვენებურთა ნაუბრებიდან თვალნათლივ ჩანს, ეს გარემოება პირველ ყოვლისა იმ ცრემლიანმა საუბრებმა განაპირობეს არსებითად, რითაც მათი მამა-პაპანი საქართველოსთან დაკავშირებულ ამბებს იხსენებდნენ გაუთავებლად. იმის გამო, რომ სარფის კარის გახსნამდე საქართველოში სტუმრობაზე ფიქრიც კი აუხდენელი ოცნების საგანს წარმოადგენდა, აქ ნამყოფ კაცთან შეხვედრა მათთვის ფაქტობრივად სანატრელი ქვეყნის ნახვასთანაც იყო გაიგივებული.

მაგალითად, ერთ-ერთი ჩვენებური საქართველოში ნამყოფ მის თანამემამულესთან შეხვედრის დროს თავისი უნახავი ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარულს ასეთი ემოციური ფორმით გამოხატავს: „რომ ვიცოდე ჩუენ ნასახლავებზე ფეხი დიგიდგამს, ფეხის გულებზე მოგიკითხავთ. მიწა წამოგელო ერთი მუჭა, დემენახა, რანაირი მიწაა... სიზმარში ვითამ დედეს სახლში მიველ გოგნიავრზე. ეზოში ჩიჩეგები (ყვავილები — ა. ნ.) იყო ამოსული, წყაროც მოდიო-

და ცივი. ჩემი დედეი წყალ სუემდა. რომ დიმინახა, ხის საფლი წყლით აამსო, მომცა და მითხრა, ეს ეზო-კარი მენატრებოდა და ძვილაი მუელ აქაო. წყალი ვსვი და გემეღვიძა. გერმელი წყალი იყო, სუბუქი, ჰალადვენ (ჯერ კიდევ — ა. ნ.) პირში მაქ იმის გემო. ღმერთმა ნაასიბი (ბედნიერი — ა. ნ.) გიგვიხადოს მემლექეთის ნახვა, იქავრი ცივი წყლების სმა.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის ამგვარი სენტიმენტალური ფორმით გამოხატვა ყველაზე მეტ ადგილს იჭერს მათ ნაუბრებში. მათგან პირველ ყოვლისა ის მუჰაჯირები უნდა გავიხსენოთ, რომელთაც ბედის უკუღმართობის გამო მოუწიათ აქაურობის დატოვება და უცხო ქვეყანაში სამუდამოდ გადახვეწა.

ნათქვამის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, ერთ-ერთი მუჰაჯირის მიერ ნათქვამი ამ სიტყვების გახსენებაც იქნება საკმარისი: „ყუელას მისი ვათანი (სამშობლო — ა. ნ.), მისი მემლექეთი უყუარს, ენატრება... ხანდეხან ძილი გამიტყდება და მევიარ ვათანსა ჰაიალში (ოცნებაში — ა. ნ.)... სინდავრზე, ჩემ სოფელში, ბევრი კაკლები იყო... ახლაც იქ მინდა გავლა. ოთხმოზდა ხუთი წელიწადი გევდა, აქ ვართ.“

მეორე, 95 წლის, მუჰაჯირი კი ამბობს: „ღამეში მემლექეთში რამდენჯელ მივალ-მოუალ... სიზმარში სულ იქ ვარ. აქავრობა მაიდამაი არ დემესიზმრება. იქავრობას ვყაჟიროფ სიზმარში. მევიარ, ეზოკარ, ჯუმუშავრ გავხედავ, წისქვილში შევალ, მევიარ... ეი, მემლექეთო, მემლექეთო! რაფერ მენატრები! შენ უნახველაი ვკდები ღალიბა (მგონია — ა. ნ.). თუალები ღია დამირჩება, იმა ვჩივი.“

ჩვენებურების ნაუბრები მეტად საინტერესო იმითაცაა, რომ მათში საბჭოთა პერიოდის ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი სირთულეებიც ირეკლება თავისებური ფორმით. იმჟამინდელ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული უმკაცრესი პოლიტიკური რეჟიმის გამო ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, თუკი ამას მოახერხებდა, უცხოეთში გაქცევით შველოდა თავს. ემიგრაციაში წასვლა მაშინ ყველაზე მეტად თურქეთში ფარულად გადასვლის გზით იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა, ბევრი მაინც მიდიოდა ამ რისკზე და საკუთარი სამშობლო-

დან იძულებითი გაქცევით სამუდამოდ წყდებოდა მშობლიურ გარემოსაც და უახლოეს ადამიანებსაც.

იმის ნათელსაყოფად, ამის გაკეთება რაოდენ დიდ ტრაგედიასაც წარმოადგენდა არა მარტო ამ ნაბიჯის გადამდგმელი ადამიანისთვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისთვისაც, აქ „ბერიას დრუებს“ გამოქცეული ერთ-ერთი ემიგრანტის ცხოვრებისეულ ტრაგედიასთან დაკავშირებულ იმ ამბავს გავიხსენებ, რომელიც ბურსას ვილაიეთში ჩაუწერია ქალბატონ შ. ფუტკარაძეს:

„ზამანუნდა (ერთხელ — ა. ნ.), ორმოზდაათ წელ უკან, ერთი დემურალაი გადმუახტა აქა. მეგემ (თურმე — ა. ნ.) ქალის ერთათ წასულა ტყეში ნეკრი საკაფავათ. ზარმელზე (სადილზე — ა. ნ.) რომ დამჟდარან, ქალისთვინ უთქუამს: — ქალოო, ეს ჩუენი ერთათ ბოლო ნეკრი კაფვა არიო, ჩუენი ბოლო ერთათ ყოფნა არიო. მენა გადავხტე სერზე, სინორზე (საზღვარზე — ა. ნ.) და თურქიეშინა გედევდე, აქ აღარ დემედგომილება, დიმიჭირვენო. ბერიას დრუები ყოფილა მეგემ. ხალხ იჭირევდენ...

— ჩემო თუალის სინათლევ, ჩუენ როის შევხთებით ერთმანებო, — კითხა ქალმა.

— თუარესი თხუთმეტი რომ დადგებაო, მე იქიდან თუარეს შევხედავ თხუთმეტში, შენ აქედან შეხედავ თხუთმეტში და ერთმანებ დევნახავთ მაშინაო. ამას მეიგონებდა დემურალ დედეი, თუალებიდან ცრემლები წამოდინდებოდა, ჩუენც გვატირებდა.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული მრწამსის გასააზრებლად საინტერესო მასალებს ვხვდებით მათი პოეტური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშიც. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი მხატვრული დონით ისინი ოდნავადაც კი ვერ შეედრებიან ქართული ხალხური პოეზიის ფართოდ ცნობილ ქმნილებებს, ჩვენებურების ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა გულწრფელად გამომხატველი ეს ლექსები მკითხველზე გარკვეულ ეფექტს მაინც ახდენენ და ყოველგვარი შელამაზებისა და სიტყვიერი არტისტიზმის გარეშე წარმოაჩენენ მათ სიყვარულს „ნატრულ სამშობლოდ“ სახელდებული დიდი მემლექეთისადმი.

თურქეთში მცხოვრები ქართველების პოეტური ზეპირსიტყვიერება მეტად საინტერესო იმ შეფასებებითაცაა, რასაც ჩვენი მაჰმა-

დიანი თანამემამულეები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია მეორის ეროვნულ და რელიგიურ მოღვაწეობას აძლევენ. მაგალითად:

შენ, ჩვენი რწმენის აშშენებელო ქათალიკოსო,
შენ განათლებულო ქართლის უმფოსო,
ჩვენ ღმერთს ვეხვეწებით, წმინდა გიორგის დაგამსგავსოსო...
შენს საქებელად ჩემი ენა ვერ შენვდება,
აქედან უნდა გაკოცო ხელზე, ჩემი გონება მაქ ვერ მოწვდება.
ღმერთის მოციქულო, ჩემგან ბოდიში,
ვერ მივხვდები და სიტყვა დამოცდება,
შენზე მოცემული ღმერთის ჭკუით და მიხდენილობით
მკვდარიც ფეხზე წამოდგება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განსადიდებლად აღვლენილ ამ პოეტურ ხოტბაში მისი უცნობი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა იმ როლს მიაპყრობს, რომელიც ილია მეორემ ცხრა აპრილის სისხლიანი ტრაგედიის პერიოდში შეასრულა განსაცდელისაგან ჩვენი ხალხის დასაცავად. მისი შეფასებით, პატრიარქი ღვთისაგან მოვლენილი ის ადამიანია, რომელსაც „ტალახში დარჩენილი საქართველოს“ გადარჩენა შეუძლია:

შენ ცხრა აპრილში ხალხის ერთად დაჯექი ქუჩაში,
შენ თურქეთიდან მადლობას გიგზავნით, თუ მოაწევს სიტყვაში,
გვჯერა შენი დიდობა, ჭკუა ავსილი გაქვს შენ თავი,
შენ უნდა გადაარჩინო საქართველო, თუ არა დარჩენილია ტალახში.
საქართველოს ახლა ჭირია შეკავშირება და ერთობა,
ჩვენ ძმანები ვართ, არ იქნება აფხაზობა, ოსეთობა, აჭარლობა,
გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და თავისუფლება...

როგორც ითქვა, ჩვენებურების ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და სარფის კარის გახსნამ მოახდინა. ამ მოვლენების შემდეგ მათ არა მარტო საქართველოში შეუზღუდველად ჩამოსვლის შესაძლებლობა მიეცათ, არამედ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებისაც.

* * *

ვიდრე ჩვენს ექსპედიციას თურქეთში შესვლის უფლებას მისცემდნენ, თურქ მესაზღვრეებთან პირველი და უკანასკნელი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა. იმის გამო, რომ ჩვენი მიკროავტობუსის მძღოლს რეზო კანდელაკს თურქეთის რომელიმე ტურისტულ კომპანიასთან ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული, მას თავისი მიკროავტობუსით თურქეთში შესვლაზე უარს ეუბნებოდნენ. ამ ბარიერის გადალახვა იმდენადაც კი გაძნელდა, რომ მისი მოგვარება მხოლოდ თურქული საბაჟოს უფროსის აქტიური ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი. ანკარის შესაბამის სამსახურთან დაკავშირებისა და იქიდან თანხმობის მიღების შემდეგ საბაჟოს უფროსმა სასაზღვრო ჭიშკრამდე გამოგვაცილა, გზა დაგვილოცა და წარმატებები გვისურვა.

ეს, ერთი შეხედვით, უბრალო ბიუროკრატიული ეპიზოდი მე აქ მხოლოდ იმის ნათელსაყოფად გავიხსენე, როგორ საიმედოდ იცავს ჩვენი მეზობელი ქვეყანა არა მარტო თავის საზღვარს, არამედ მის სამომხმარებლო ბაზარსაც და სამუშაო ადგილებსაც. სხვა ქვეყნიდან ავტობუსების შესვლაზე ამგვარი შეზღუდვების დაწესებით თურქები პირველ ყოვლისა თავიანთი სატრანსპორტო სამსახურის წარმატებულ საქმიანობას უწყობენ ხელს.

ტრაპიზონში

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პირველი საქმიანი დღე 10 ივნისს, ტრაპიზონში გამართული შეხვედრებით, დაიწყო. ტრაპიზონში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ავთანდილ მიქასაძემ ჩვენი ექსპედიციის შესახებ უკვე იცოდა და გზად მიმავლებს თავად შეგვეხმიანა, ვიცეკონსული გელა ბოლქვაძე კი ქალაქის შესასვლელთან შეგვხვდა და საკონსულოში მიგვიყვანა. საკონსულოს შენობის უკან მდებარე პატარა ბაღში ტრაპიზონსა და ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების (ხანძთა, ოშკი, ხახული, ტბეთი, შატბერდი...) პატარა მუზეუმია მოწყობილი. ცენტრალურ ადგილზე ტრაპიზონში გარდაცვლილი და დასაფლავებული უკა-

ნასკნელი ქართველი მეფის — სოლომონ მეორის ტრაპიზონული საფლავის მაკეტია მოთავსებული (როგორც ცნობილია, 1990 წელს სოლომონ მეორის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მონასტერში დაკრძალეს).

ბატონი ავთანდილი ბევრს გვესაუბრება საკონსულოს საქმიანობასა და ქართულ-თურქულ ურთიერთობათა დიდ პერსპექტივებზე. იმის გამო, რომ ტრაპიზონის საკონსულოს დაფარვის ზონა დღეს-დღეობით თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, რომლებიც ისტორიულად ჩვენი ქვეყნის კუთვნილებას წარმოადგენდა, ხსენებული საკონსულოს თანამშრომლებს განსაკუთრებით რთული და საპასუხისმგებლო საქმეების კეთება უწევთ.

ამას ემატება საქართველოდან სამუშაოს საძებნელად ჩასულ ჩვენს თანამემამულეებთან დაკავშირებული პრობლემებიც. ერთ ასეთ პრობლემას ჩვენც შევესწარით: სამუშაოს ძებნაში ხელმოცარულ ერთ-ერთ ხულოელს პასპორტი დაკარგვოდა, უფულოდ დარჩენილი უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებდა და დასახმარებლად საკონსულოში იყო მისული. კონსულმა იგი ჩვენს საპატივცემულოდ გაშლილ სახელდახელო სუფრასთან მოიწვია და ოპერატიულად აღმოუჩინა დახმარება.

იმის გამო, რომ დროში ძალიან შეზღუდულები ვართ, ტრაპიზონის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად მხოლოდ ორიოდე საათით ვჩერდებით. ამ ძეგლების დათვალიერების დროს უმთავრეს ორიენტირებას 2008 წელს თურქოლოგ ზურაბ ბატიაშვილის მიერ გამოცემული წიგნი გვიწევს — „ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში.“ ვიცეკონსული გელა ბოლქვაძე მანქანაში გვიჯდება და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა სანახავად მიგვყვება.

სამწუხაროდ, დროის მსახვრალ ხელს ქართული ნაკვალევი თითქმის ყველგან წაუშლია. დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს და სწრაფად მზარდ ქალაქში ამგვარ ისტორიულ სიძველეთა არსებობის ამბავი ძირითადად მხოლოდღა სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებსა და პუბლიკაციებშია შემორჩენილი. აღარც სოლომონ მეფის ნასაფლავარი ჩანს სადმე, აღარც გურიის უკანასკნელი მთავრის — მამია გურიელის მეუღლის სოფიოს ძვალთშესალაგი...

ასევე განსაკუთრებული ინტერესითა და გულისტკივილით ვიხსენებთ გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ იმ წერილებს, რომლებშიც ტრაპიზონში არსებული ქართული ისტორიული არქივის შესახებაა საუბარი. როგორც ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 23 აპრილს გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, XVII საუკუნეში ტრაპიზონში კათოლიკე ბერებს მათ მიერ გაკეთებულ ეკლესიასთან საეკლესიო არქივი დაუარსებიათ, სადაც საქართველოსთან დაკავშირებით უამრავი მასალა ყოფილა დაცული. ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, ამ დროიდან მოყოლებული, „საქართველოს კათოლიკების მისიონთა ბინა ტრაპიზონი გახდა. რასაც ეს მისიონერები რამე ცნობებს სწერდნენ საქართველოს შესახებ, ამ მასალების თითო ასლს ამ ტრაპიზონის მისიონერთა არქივში ჰგზავნიდნენ შესანახად. თავის დროს ამ არქივში საქართველოს შესახებ იმდენი მასალები მოგროვდა, რომ აქ მისიონერები ამ მასალებით თავისუფლად გაიცნობდნენ ხოლმე საქართველოს...

ტრაპიზონის ისტორიულ არქივს მიხ. თამარაშვილიც მოიხსენიებს ხშირად. 1860 წელს ტრაპიზონში მოვიდა მოგზაური არენგო. ამ მოგზაურს სურდა საქართველოს გაცნობა. ტრაპიზონში მან იმდენი მასალები ნახა საქართველოს შესახებ, რომ ტრაპიზონში დარჩა, საქართველოში აღარ დაბრუნდა და იქვე არქივის მასალებით და მისიონერთა ცნობებით დასწერა საქართველოს ისტორია ფრანგულ ენაზედ, რომელიც 1880 წელს პარიზში დაიბეჭდა კიდეც.“

სამწუხაროდ, ტრაპიზონის ქართული არქივის ადგილსამყოფელი დღესდღეობით უცნობია და მიუკვლეველი. ასე რომ, „უცნობია, ეს არქივი ისევ ტრაპიზონშია, თურქეთის სხვა ქალაქში დაიდო ბინა, თუ რომში გადაიტანეს. იგი შესაძლოა იყოს სტამბოლის ოსმალეთის არქივში ან ანკარაში“ (ზ. ბატიაშვილი).

ტრაპიზონის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას სოლომონ მეორის ნასაფლავარი ადგილისა და აია-სოფიას ტაძრის ნახვით ვიწყებთ. XIII საუკუნეში აგებული აია-სოფიას მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც თავისი ზომებით სტამბოლში არსებული ამავე სახელწოდების ტაძრის შემცირებულ ვარიანტს წარმოადგენს, 1461 წელს თურქებს ჯამედ გადაუკეთებიათ. 1964 წლიდან კი იქ მუზეუმია გახსნილი და მის სანახავად ყოველდღიურად უამრავი ტურისტი

მოდის. მუზეუმში მისულები ნატაძრალშიცა და მის დიდ ეზოშიც, სადაც წარწერებიან ქვათა სტელები და სხვადასხვა სახის ისტორიული სიძველენია თავმოყრილი, ქართულ ნაკვალევს ვეძებთ. ტაძარში შემორჩენილი ნაფრესკალებისა და სამუზეუმო კომპლექსის სხვა აქსესუარების ამ თვალით დათვალიერება, ბევრი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ჩვენც განგვიმტკიცებს იმის რწმენას, აღნიშნული კუთხით ტრაპიზონის აია-სოფიას ტაძარი ნამდვილად რომ საჭიროებს მეცნიერულ შესწავლას. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ 1204-1461 წლებში ტრაპიზონი საქართველოს მოკავშირე იმპერიას წარმოადგენდა, სადაც ქართველები უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ.

ტრაპიზონის აია-სოფიას ტაძრის დათვალიერების შემდეგ სუმელას სამონასტრო კომპლექსის სანახავად მივდივართ. ციცაბო კლდეში გამოკვეთილი ეს ნამონასტრალი, რომელიც, გარდა სალოცავი დარბაზებისა, ბერების საცხოვრებელი სენაკებისგანაც შედგება, ტრაპიზონიდან 45 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მთის გიჟმაჟი და ჩანჩქერებად ქცეული მდინარის ხეობაში მიმავლებს ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს რაჭაში ვიმყოფებოდეთ.

ზოგიერთების აზრით, სუმელას მონასტერი დავით აღმაშენებლის მიერ უნდა იყოს აშენებული. ამ თვალსაზრისის გაჩენას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, თითქოს სახელწოდება — სუმელა მეგრულ-ლაზური სიტყვიდან — სუმი (სამი) მომდინარეობს და ქართულად წმინდა სამებას ნიშნავს.

ამ მოარული გადმოცემით ინტერესგაღვივებულები საგულდაგულოდ ვაკვირდებით ნამონასტრალში შემორჩენილ ფრესკებს, მაგრამ ქართულ ტაძრებში არსებული ფრესკებისაგან ვიზუალურად ისინი იმდენად განსხვავდებიან, რომ ხსენებული ვარაუდი, ვფიქრობ, რეალურ საფუძველს მოკლებული ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს.

ასე მიიწურა ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პირველი დღე. იმის გათვალისწინებით, რომ ტრაპიზონიდან სამსუნამდე საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს და მათთან შეხვედრების შედეგად ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები შეიძლება მოვიპოვოთ, ღამეს ქალაქ ფაცაში ვათევთ და მეორე დღის სამოქმედო გეგმაზე ვთანხმდებით.

ფაცელ ქართველებთან

ფაცა თურქეთის შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქია, დაახლოებით ასი ათასამდე მცხოვრებით. იქაურების თქმით, მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ეთნიკური წამომავლობით ქართველია. ქალაქის იმ უბანს, სადაც ჩვენი თანამემამულეები ყველაზე მრავლად ცხოვრობენ, ქართული უბანი ჰქვია. ფაცელ ქართველთა უმეტესობა (ინაიშვილები, მახარაძეები, შავიშვილები, ხინიკაძეები, მოწყობილები, მესხიძეები...) XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აჭარიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამოვალები არიან.

ცალკე არსებობს ქართული სათვისტომოც, რომელსაც ჰაილულა კაკალაძე ხელმძღვანელობს, ზვიად გამსახურდიას დროს თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტში, ნასწავლები ჩვენი თანამემამულე. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულ უმძიმეს მოვლენათა გამო, ბატონ ჰაილულას თბილისი სწავლის დამთავრებამდე დაუტოვებია და უკან დაბრუნებულა. ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დიდი გულშემატკივარი, ჩვენთან საუბარში იგი გულისტკივილით იმასაც ამბობს, ზვიადის შემდეგ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს მისნაირ ყურადღებას აღარავინ გვაქცევსო.

ქალაქში გასეირნების დროს პირველივე შემხვედრი ქართველი აღმოჩნდა. როცა ჩვენი ექსპედიციის მიზანი შეიტყო, მან გზად გამოვლილი ერთ-ერთი მანქანა გააჩერა და მძღოლს ჩვენი თავი წარუდგინა. ახლად გაცნობილი კაცი ფიჯრი მოწყობილი გამოდგა, ქართულად და მხიარულად მოსაუბრე ჩვენი თანამემამულე. ფიჯრიმ მე, ბატონი ტარიელი, გიგა და ონისე მანქანაში ჩაგვისვა და ფაცას მახლობლად მდებარე ქართულ სოფელ კონაკ ფაში საზდიბში წაგვიყვანა იქაურ ქართველებთან შესახვედრად.

თხილის პლანტაციებით დაფარულ ამ სოფელში, რომლის ქართული სახელიც ეწერი ყოფილა, თითქმის სულ ქართველები ცხოვრობენ. ფიჯრიმ თანასოფლელებს მობილური ტელეფონით ჩვენი სტუმრობის ამბავი შეატყობინა და შეკრების ადგილად მისი ბიძაშვილის — ჰუსეინ მოწყობილის სახლი დაუსახელა.

ჰუსეინი უაღრესად განსწავლული და შემოქმედებითი ნიჭით მადლცხებული პიროვნება აღმოჩნდა. ხეხილით აწალკოტებული მისი ეზოს სიღრმეში მდებარე ნალიის (სასიმინდის) ქვემოთ, ძელსკამებსა და ჯორკოებზე, ვსხდებით და დიდხანს ვსაუბრობთ იქაური ქართველების ცხოვრებაზე. ბატონი ჰუსეინის მეუღლე სახლიდან გამოვარდა და ქართული სტუმართმოყვარეობითა და თქვენი ჭირიმე-თქვენ გენაცვალეთი შინ დაგვიწყო მიპატიჟება, აქ სად დამსხდარხართ, სახლში შემობრძანდით, რაიმეს გამოვიტან, მოგვეჭრა თავიო.

ფიჯრი მხიარულად ენაწყლიანობს და ჩვენი თხოვნით ქართულ სიმღერებს მღერის. ჰუსეინი ადრე თურქული ენის მასწავლებელი ყოფილა, ახლა პენსიონერია და გარდა საოჯახო სამეურნეო საქმიანობისა, შემოქმედებითი მუშაობითაცაა გატაცებული. მისი მწერლური ინტერესები მოყვარული შემოქმედის მასშტაბებით რომ არ შემოიფარგლება, ეს თუნდაც იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ მის მიერ თურქულად თარგმნილი ილია ჭავჭავაძის, ირაკლი აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანისა და ფრიდონ ხალვაშის ლექსები სტამბოლში გამომავალ ლიტერატურულ გაზეთებშია გამოქვეყნებული.

ჩვენს საუბარს, რომელიც ნალიიდან ჰუსეინის სახლში ინაცვლებს, ნელ-ნელა უერთდებიან მეზობლად მცხოვრები ქართველები. ყველა მათგანი იმდენად კარგად საუბრობს ქართულად, რომ ყოველგვარი თარჯიმნის გარეშეც თავისუფლად ველაპარაკებით ერთმანეთს. გულსატკენი ამ შემთხვევაში მხოლოდ ისაა, რომ, დიდებისაგან განსხვავებით, ბავშვების დიდ ნაწილს ქართულად საუბარი უკვე აღარ შეუძლია. ამას ჩვენზე არანაკლებ მტკივნეულად თავად ჩვენებურები განიცდიან და ამ მდგომარეობის გამოსწორების ყველაზე რეალურ გზად ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბებას მიიჩნევენ. მარტო ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნით პრობლემა ვერ გადაიჭრებაო, — ამბობენ ისინი, — ქართული ცეკვებისა და სიმღერების სწავლება კი ენის შესწავლამდეც თავისთავად მიიყვანს ჩვენს შვილებსო.

როგორც ჩვენი მასპინძლები გვეუბნებიან, ამ საქმის მოსაგვარებლად ფაცელებმა პირველი ნაბიჯების გადადგმა უკვე ცადეს ქართული ხალხური ფესტივალების ჩატარების ტრადიციის დამ-

კვიდრებით. ასეთი ფესტივალი წელს, ივლისის თვეში, თურმე მეექვსედ უნდა გაიმართოს ქართულ სოფელ კაბაქტალში (ქართულად — ზეგანში). ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ამ ფესტივალს თურქეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ათასობით ჩვენებური ესწრება.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ჩვენი მასპინძლები თავშეკავებით იმასაც გვეუბნებიან, რომ ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ამ პროცესს მხარდამჭერების გარდა მოწინააღმდეგეებიც ჰყვანან. მართალია, თურქეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით, იქაურ ქართველებს სეპარატისტული პრობლემები ხელისუფლებისათვის არასოდეს შეუქმნიათ, მაგრამ აღნიშნული მიმართულებით სიფრთხილის გამოსაჩენად და მომავალში ვითარების ყოველგვარი შესაძლო გართულების თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღებას ზოგიერთები მაინც თვლიან საჭიროდ.

ჩვენს ეწერელ თანამემამულეებთან საუბარი იმდენად საინტერესო იყო, რომ უკან წამოსვლა აღარ გვინდოდა, მაგრამ ქალაქის ცენტრში ჩვენი ექსპედიციის სხვა წევრები გველოდებოდნენ და იძულებული ვიყავით გვეჩქარა. უკან დაბრუნებულებმა კი შევიტყვეთ, რომ დრო არც ჩვენს სხვა თანამგზავრებს დაუკარგავთ უქმად და მათაც გაეცნოთ არაერთი ფაცელი ჩვენებური.

ერთ-ერთი მათგანი ცნობილი ბიზნესმენი ავთანდილ ართმელიძე გამოდგა, თავისი ბიზნეს-საქმეებით საქართველოშიცა და უკრაინაშიც კარგად ცნობილი პიროვნება. ბატონმა ავთანდილმა ქალაქის ცენტრში მდებარე თავის ოფისში მიგვიწვია, სადაც ერთბაშად აღმოვჩნდით ქართულ გარემოში. საქართველოს რუკით, დროშითა და ფოტოსურათებით დამშვენებულ კაბინეტში ჩვენს მასპინძელს ფაქტობრივად პატარა საქართველო ჰქონდა მოწყობილი.

სახელდახელოდ გაწყობილ ქართულ სუფრასთან ბატონი ავთანდილი არა მარტო საქართველოსადმი მის დიდ სიყვარულსა და თავის ქართულ ფესვებზე გვესაუბრებოდა ემოციური აღგზნებით, არამედ იმ ბიუროკრატიულ სიძნელეებზეც გამოთქვამდა გულისტკივილს, რასაც იგი ჩვენს ქვეყანაში თავისი ბიზნეს-გეგმების განხორციელების დროს აწყდება ხოლმე. მისი ყველაზე დიდი საწუხარი ისაა, რომ

მიუხედავად აქტიური მცდელობისა, ჯერ-ჯერობით მაინც ვერ მოახერხა, საქართველოს მოქალაქე რომ გამხდარიყო.

სწორედ ზოგიერთი ბიუროკრატი მოხელის მიერ შექმნილ ამგვარ ხელოვნურ წინააღმდეგობათა შედეგია ის ფაქტი, რომ ბატონი ავთანდილი იძულებულია თავისი ბიზნეს-საქმიანობის ასპარეზი საქართველოს გარეთაც ეძებოს.

— ჩვენ თქვენგან სხვა არაფერი გვინდა, — გულახდილად გვეუბნება იგი, — გარდა იმისა, რომ საქართველო ააყვავოთ და გააძლიეროთ! საქართველო ხომ ჩვენი სამშობლოცაა და მისკენ სავალ გზაზე ვინმემ ხელოვნური სირთულეები რატომ უნდა შეგვიქმნას?

ამასობაში ბატონი ავთანდილის კაბინეტშიცა და მისი ოფისის გარეთაც მრავალმა ჩვენებურმა მოიყარა თავი. ისინი გატაცებით გვიყვებიან თავიანთ თავგადასავლებს. მათი თქმით, ფაცას გარდა, თურქეთის მთელი ეს შემოგარენიც — ორდუ, უნიე, გირესუნი, სამსუნი... — ქართული მოსახლეობით ყოფილა სავსე. მათი თქმით, მარტო უნიეს შემოგარენში თურმე 36 ქართული სოფელია და თითოეულ მათგანში 150 კაცი მაინც ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლობის დამკვიდრების დროიდან საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, ისინი თავიანთი ქართული იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებას მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებენ. ამას ჩვენებურები პირველ ყოვლისა იმით ახერხებენ, რომ მტკიცედ ცდილობენ დაიცვან ქართველზე თხოვა-გათხოვების წესი.

ბატონი ავთანდილის ოფისიდან ქუჩაში გამოსულებს მრავალი ჩვენებური შემოგვეგება. ბევრი მათგანი მრავალსართულიანი სახლების აივნებზე გადმომდგარა და იქიდან გვიქნევს ხელს. სამწუხაროდ, ჩვენებურთა შორის ისეთებიც საკმაოდ არიან, რომლებმაც თავიანთი ქართველობის ამბავი გადმოცემით კი იციან, მაგრამ წინაპართა ენაცა და გვარებიც დავიწყებული აქვთ. ამ და მსგავსი შეხვედრების უმთავრესი სიკეთე ის არის, რომ ეს ადამიანები ყოველივე ამის გამო უმძაფრეს გულისტკივილს გრძნობენ და ეროვნულ ცნობიერება გაღვიძებულნი აქტიურად იწყებენ თავიანთი ქართული ფესვების ძიებას.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დიდზე დიდი საქმეა, თუმცა ბევ-

რი მათგანი გულახდილად იმაზეც წუხს, რომ საქართველოსკენ სავალ გზაზე მათ არაერთი ისეთი წინააღმდეგობაც ელობებათ წინ, პირველ რიგში თავად დიდ მემლექეთში მცხოვრებმა მათმა თანამემამულეებმა რომ უნდა დაძლიონ რაც შეიძლება სწრაფად — ჩვენს ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობა და ეკონომიკური სიდუხჭირე.

საინტერესო შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, ნაშუადღევს ფაცელებს ვემშვიდობებით, გეზს ამასიისკენ ვიღებთ და საღამოს უკვე მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორით დასახლებულ ამ ქალაქში ვიდებთ ბინას.

ამასია

თურქეთის ეს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ჩვენთვის, ქართველებისთვის, საინტერესო იმითაცაა, რომ მის სახელთან საქართველოს შუა საუკუნოვანი ისტორიის ტრაგიკული ფურცელია დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს 1555 წელს თურქეთსა და სპარსეთს შორის ამ ქალაქში გაფორმებული ზავი, რითაც ჩვენი ქვეყნის ამ მრისხანე დამპყრობლებმა საქართველო ორ ნაწილად გაიყვეს. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილები ოსმალეთის იმპერიის კუთვნილება ხდებოდა, აღმოსავლეთი კი ირანისა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზავო ხელშეკრულების ეს უმთავრესი პირობა დროდადრო ირღვეოდა და საქართველოს მიმართ თურქეთ-ირანის დამპყრობლური გეგმები იცვლებოდა, ამასიის ზავმა იურიდიული უფლებამოსილება საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნა.

ამასიელ ქართველებთან გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ ტრაგიკული ეპიზოდის გახსენების დროს გაირკვა, რომ ზემოთ ხსენებული ზავის ამბავი მათთვისაც ყოფილა ცნობილი. თუმცა ამ მოვლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. მათი თქმით, ამგვარი დამპყრობლური აგრესიები იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო იმდროინდელი მსოფლიოსთვის, რომ მაშინ არა მარტო სხვადასხვა სახელმწიფოები იბრძოდნენ ერთმანეთის დასამორჩილებლად, არამედ ერთი ქვეყნის ცალკეული ნაწი-

ლებიც უმართავდნენ ერთიმეორეს სისხლისმღვრელ ომებს. მათი ხაზგასმით, ამგვარი მოვლენები უკვე ისტორიის კუთვნილებაა და ჩვენთვის დღეს მთავარი ამ და მსგავსი ამბების გახსენება კი არაა, არამედ ის ფაქტი, რომ თურქეთი და საქართველო მეგობარ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და კეთილმეზობლურად განაგრძობენ ცხოვრებას.

ამასიაში გამართულმა შეხვედრებმა ღრმად დაგვარწმუნეს იმაში, რომ იქაურები — თურქებიცა და ეთნიკური ქართველებიც — მზად არიან, მათაც შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩვენი ხალხების კიდევ უფრო მეტად დამეგობრებისა და დაახლოების საქმეში.

ამასია თავისი განუმეორებელი და კოლორიტული სილამაზით იმთავითვე იქცევს მნახველის ყურადღებას. ამგვარ განუმეორებლობას ქალაქს უპირველეს ყოვლისა მისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობა სძენს. იგი მწვანე მდინარის (სწორედ ასე ჰქვია) ვიწრო ხეობის ღრმა ტაფობშია გაშენებული და ორივე მხრიდან ცად აზიდული სალი კლდეების მთები ადგას. იმის გამო, რომ ხეობა მეტისმეტად ვიწრო ზოლს წარმოქმნის, მთელი ამასია ფაქტობრივად ერთ გრძელ სანაპირო პროსპექტს წარმოადგენს, რომელიც ათ კილომეტრზე მეტი სიგრძისაა. მშვენივრად კეთილმოწყობილი და ათასგვარი სამშვენისებითა და ისტორიული ძეგლებით დამშვენებული ეს სანაპირო ამასიელთა ყოველდღიური თავშეყრის ადგილია.

მიწის სიმცირის გამო სახლების დიდი ნაწილი, მსგავსად ძველი თბილისისა, კლდოვან მთათა ფერდობებზეა აშენებული. ვიწრო ქუჩები მანქანებითაა გადაჭედილი. ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ამასია ბუნებრივად საიმედოდ დაცულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ქალაქის შემოსასვლელისა და გასასვლელის ჩაკეტვით, რაც მათი სივიწროვის გამო სულაც არ წარმოადგენდა საძნელო საქმეს, იგი ფაქტობრივად აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცეოდა.

ამასიის განუმეორებელი სილამაზე ყველაზე მეტად მისი კლდოვანი მთის უმაღლეს მწვერვალზე აშენებული რესტორნიდან შევიგრძენით. მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებრივი ფაქტორის გათვალისწინებით, ამასიელები ალკოჰოლურ სასმელებს არ მიირთმევენ, ისინი რესტორნების ხშირი სტუმრები მაინც არიან. ცხელი ჩაითა და

გამაგრილებელი სასმელებით გაწყობილ სუფრასთან მათ საათობით შეუძლიათ ისხდნენ და ისაუბრონ.

იმ ღამითაც, როცა ჩვენმა მასპინძლებმა ამასიის ხსენებულ რესტორანში აგვიყვანეს, იქ იმდენად ბევრი ხალხი დაგვხვდა, რომ ადგილის მოძებნა გაძნელდა. როდესაც დამხვდურებმა ჩვენი ვინაობა შეიტყვეს, აივნის პირა ერთ-ერთი მაგიდიდან, საიდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით ჩანდა, მესუფრენი უსიტყვოდ წამოიშალნენ და ადგილი დაგვითმეს.

ამასიამ ჩვენი ყურადღება მის კლდოვან და ფრიალო კედლებზე ხელოვნურად გამოკვეთილი გამოქვაბულებითაც მიიპყრო. როგორც გვითხრეს, ამ გამოქვაბულებში ძველად მეფეებსა და სხვა წარჩინებულ პირებს ასაფლავებდნენ.

ამასიელები იმის შესახებაც საუბრობენ დიდის სიამაყით, რომ მათ ქალაქში ბევრი სახელოვანი ადამიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.) . როგორც მის ძეგლზე გაკეთებული წარწერიდან ვგებულობთ, სტრაბონს სწორედ ამ ქალაქში გაუტარებია თავისი ცხოვრების ბოლო 27 წელიწადი და აქვე ყოფილა დასაფლავებული.

იმ დღეებში, როცა ჩვენ ამასიაში მოგვიწია ყოფნა, იქ ხალხური სიმღერისა და ცეკვის დიდი ფესტივალი ტარდებოდა. ასეთ ფესტივალებს ამასიელები თურმე ყოველწლიურად ატარებენ და მასში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა ქვეყნებიდანაც, მათ შორის საქართველოდანაც, იწვევენ ფოლკლორულ ანსამბლებს. ფესტივალის გახსნის ცერემონიალი დიდ სახალხო ზეიმადაა ქცეული. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ყველა ქვეყნის დელეგაცია ცალ-ცალკე გამოდის ეროვნული დროშებითა და ნაციონალური სამოსით. საქართველოს წელს თბილისისა და კასპის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები წარმოადგენდნენ.

წლევანდელ ფესტივალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ მის გახსნას თურქეთის პრეზიდენტიც ესწრებოდა. როგორც ქართული დელეგაციის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, თურქულმა მხარემ ჩვენი ქვეყნისადმი გამორჩეული პატივისცემა თურმე იმითაც გამოხატა, რომ პრეზიდენტმა მათ სპეციალური მიღებაც გაუმართა.

ამასიაში ჩვენი გზამკვლევი და მასპინძელი იქაური ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ბაჰათდინ ულუდაღია (ხმალაძე). მისი ინფორმაციით, ქალაქში სამას ქართულ ოჯახზე მეტი ცხოვრობს. ისინი ძირითადად მაღალმთიანი აჭარიდან აქ გადმოსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავალნი არიან.

ბატონი ბაჰათდინი, რომელიც თავად მშვენივრად საუბრობს ქართულად, გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ იქაური ქართველების უმეტესობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა და ბავშვებმა, წინაპართა ენა უკვე აღარ იცის. სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ამ გარემოებას იგი იმითაც ხსნის, რომ ამასიელი ქართველები ფაქტობრივად მთლიანად არიან დარჩენილნი დედა მემლექეთის ყურადღების გარეშე და მათი ბედით დღემდე არავინ დაინტერესებულა.

პირველი ოფიციალური შეხვედრა, რომელიც ამასიაში ჩასვლის დღესვე მოეწყო ბატონი ბაჰათდინის ორგანიზებით, ქალაქის მერიაში გაიმართა. მიუხედავად პრეზიდენტის სტუმრობის გამო შექმნილი დაძაბულობისა, ამასიის ვიცემერმა ოსმან აქბაშმა მაინც გამოძებნა დრო ჩვენთან სასაუბროდ. იგი დედის მხრიდან ქართველი გამოდგა და ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ ქართული ენა არ იცოდა. ბატონმა ოსმანმა თავმომწონედ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ის სანახევროდ ქართველი იყო.

— ჩემი სხეული შუაზე რომ გაჭრან, ნახევარი თურქული იქნება და ნახევარი ქართული, თუმცა გული აუცილებლად ქართულ მხარეზე დარჩებაო, — აღნიშნა მან.

ამასიაში ჩვენი სტუმრობის მეორე დღე იქაურ ქართულ სოფლებში გასვლითა და იქაურ ქართველებთან შეხვედრებით იწყება. ქართული სოფლები კი ამასიის შემოგარენში საკმაოდ მრავლად ყოფილა. ჩვენი თანამგზავრი მეჰმედ გოგჩე (თავისი ქართული გვარი აღარ ახსოვს) და ბატონი ბაჰათდინი კონკრეტულადაც გვისახელებენ ამ სოფლების სახელებს: აჯიაზი, ბელდა, ჩათალჩა, ჩერმიკა, დარმადერესი, ჩივოკოი, თეკე... მათი ინფორმაციით, ამ სოფლების მცხოვრებთა უმეტესობას ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები წარმოადგენენ.

პირველად სოფელ აჯიაზში მივდივართ, რომლის 80 კომლიანი

მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართველია. სოფლის შესასვლელში, შაქრის ჭარხლის ყანასთან, მანქანა გავაჩერეთ და იქ მომუშავე ცოლ-ქმარს ქართულად მივესალმეთ. როგორც კი ქართული გაიგონეს, ორივემ მუშაობას თავი მიანება და ძახილით, — ჩვენებურები ხართო? — ჩვენკენ გამოიქცა.

კაცი ჩვენთან მოვარდა და სიხარულით გადაგვეხვია. მართალია, ქართული უჭირს, მაგრამ თურქულ-ქართული ნამოძახილებით თავისი დიდი სიხარულის გამოხატვას მაინც თავისუფლად ახერხებს. სამწუხაროდ, წინაპართა გვარი არც მას ახსოვს. ვერც საქართველოს შესახებ გვეუბნება რაიმე მნიშვნელოვანს. მისი ქართული ცნობიერება მხოლოდ იმის ცოდნით შემოიფარგლება, მისი წინაპრები გურჯისტანიდან რომ ყოფილან. ძალიან გული გვტკივა იმის გამო, რომ მსგავსი შემთხვევები გამონაკლისი არ არის და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ერთი ნაწილის ეროვნული ცნობიერება იმდენად მოწყდა წინაპართა ფესვებს, რომ ქართველობა მათი არსებობის განვლილ ეტაპად იქცა.

თუმცა, როგორც ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პერიოდში გამართული მრავალრიცხოვანი შეხვედრების შედეგად კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთთან შეუზღუდველი კავშირ-ურთიერთობის დამყარების შემდეგ ვითარება სასიკეთოდ იცვლება და ჩვენებურების ეროვნული ცნობიერების თვითგამორკვევის პროცესი უფრო და უფრო ფართო მასშტაბების მომცველი მოვლენა ხდება.

მოსახლეობასთან გასაუბრების მიზნით სოფლის ბირჟაზე, წყაროსთან, მივდივართ, მანქანას ვაყენებთ და ნაწილ-ნაწილ მივუყვებით ჩვენებურებით დასახლებულ შუკებს. აქაც და თურქეთის სხვა არაზღვისპირა სოფლებშიც ძირითადად ხანდაზმულები ცხოვრობენ, ახალგაზრდები (მათეული თქმით, გენჯები) კი ქალაქებში არიან წასულები, სადაც მუშაობენ და საარსებო სახსარს შოულობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ისინი თავიანთ ეკონომიკურ მდგომარეობას სტაბილურად იუმჯობესებენ, ქალაქებში დამკვიდრებით მათი უმეტესობა წინაპართა ეროვნულ ფესვებს უფრო და უფრო წყდება და ისედაც სუსტად ნასწავლი მშობლიური ენა თითქმის მთლიანად ავიწყდებათ.

ეს მოვლენა ჩვენზე მეტად ჩვენებურების იმ ნაწილს აქვს გაცნობიერებული, ვინც აქტიურადაა დაინტერესებული ხელი შეუწყოს ეროვნული ცნობიერების გაღვიძებისა და განმტკიცების პროცესს. ისინი გულისტკივილით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ განსხვავებით ქართული სოფლური კულტურისაგან, რაც ქართველ მუჰაჯირთა წინამორბედმა თაობებმა თურქეთში მათი ცხოვრების პერიოდში შექმნეს, ქალაქური ქართული კულტურა თითქმის არ არსებობს და მის შესაქმნელად მხოლოდ ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები.

მათი თქმით, ეს გარემოება ბევრი ობიექტური ფაქტორითაა განპირობებული. მათგან პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ქალაქში ისინი კომპაქტურად ცხოვრებას უკვე ველარ ახერხებენ, რის გამოც წინაპართა ენა ერთმანეთს შორის ყოველდღიურ საკომუნიკაციო ფუნქციას კარგავს. არაჩვენებურ გარემოში მოხვედრის შედეგად არა მარტო ენა იკარგება, არამედ წინაპართა ტრადიციებიც. თუ ადრე მათი ჭირისა და ლხინის მონაწილეთა უმეტესობა ქართველები იყვნენ და საჯარო შეკრებების დროს ძირითადად თაობიდან თაობას გადმოცემული ცეკვები, სიმღერები და ეროვნული ადათ-ტრადიციები იყო წინა პლანზე წამოწეული, ახლა უკვე ვითარება რადიკალურად იცვლება და ბევრ მათგანს მშობლიურ წიაღთან დამაკავშირებელი ეს ფესვები გაწყვეტილი აქვს.

გლობალიზაციისა და ასიმილაციის ამ მასშტაბური პროცესის სამწუხარო შედეგი ისიც არის, რომ წინამორბედი თაობების მიერ მტკიცედ დაცული იმ წესის შენარჩუნება, როცა ჩვენებურები ძირითადად მხოლოდ ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ, საკმაოდ ძნელდება.

სწორედ ამ ობიექტური და ძნელად შესაჩერებელი მოვლენის სამწუხარო ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენებურთა ერთი ნაწილი მათ ქართველობას საკუთარი ბიოგრაფიის განვლილ ეტაპად თვლის და წინაპართა ფესვებისაკენ მიბრუნებას აზრდაკარგულ ამბად მიიჩნევს. თურქულ რეალობაში დაბადებულნი და გაზრდილნი, ისინი თავიანთ თავს უკვე თურქული ეთნოსის ნაწილად თვლიან და ისტორიის წიაღში უკან დაბრუნება აღარ სურთ. მით უფრო, რომ ქვეყანა, რომლის სრულფასოვანი მოქალაქეებიც ეს ადა-

მიანები არიან, საქართველოსთან შედარებით, ეკონომიკურადაც და მშვიდობიანი ყოველდღიური ყოფითაც ბევრად წინაა წასული.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართველ მუჰაჯირთა დიდი ნაწილი თურქეთში დაახლოებით ამ 120-130 წლის წინათ გადასახლდა მაღალმთიანი აჭარიდან. სამწუხაროდ, თავისი ბუნებრივი პირობებით გამორჩეულად ლამაზი ეს რეგიონი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა სოფელი, ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ, თურქეთთან შედარებით, ჯერაც იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომელიმე ჩვენებურმა, თუნდაც თეორიულადაც კი, წინაპართა ნაფუძარზე დაბრუნება რომ იფიქროს. ჯერ-ჯერობით ჩვენი ქვეყანა საიმისოდ მზად არ არის, ამ ნაბიჯის გადასადგმელად მათ რეალურად რომ შესთავაზოს რაიმე „მაცდუნებელი“ და მომხიბვლელი.

თურქეთის თვით ყველაზე მაღალმთიან სოფლებშიც კი დღეს ისეთი გზები და საყოფაცხოვრებო პირობებია, რომ იქიდან აქ ჩამოსულ ადამიანს ძალზე გაუჭირდება უკან დასაბრუნებელი იმ ნაბიჯის გადადგმა, რითაც მან მთელი თავისი ცხოვრება უნდა შეცვალოს რადიკალურად.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ვინმემ ისე არ მინდა გამიგოს, თითქოს თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები იმდენად უზრუნველად ცხოვრობენ, რომ ყოველგვარი ეკონომიკურ პრობლემა აქვთ გადაჭრილი. რასაკვირველია, არა. ღარიბი და გაჭირვებული მათ შორისაც საკმაოდაა, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ გაჭირვების ჩვენეული და მათეული ხარისხები ხშირად ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს რომ მართლაც ასეა, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ თურქეთში დღესდღეობით საკმაოდ ბევრი ჩვენი თანამემამულეა საარსებო სახსრის საძიებლად გადახვეწილი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თურქეთის არაზღვისპირა მთიანი ქართული სოფლებიდან ახალგაზრდების დიდი ნაწილი ქალაქებშია გადასახლებული და იქ მუშაობს. ხანდაზმულთა უმეტესობაც სოფელში ძირითადად ზაფხულობით მოდის, გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე კი ისინიც ქალაქში გადასახლდებიან ხოლმე.

აჯიაზში სტუმრობის დროს ჩვენ სწორედ ერთ-ერთ ასეთ ოჯახ-

ში მოვხვდით. ჩვენი მასპინძელი მეჰმედ ხემალაძე სახლის აივნიდან გამოგვეპასუხა და შინ მიგვიწვია. მან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ ჭიშკართან ვერ შემოგვეგება:

— ჭლიკი (მუხლი) გამიხდა ავად და სიარული მიჭირსო, — გვითხრა.

69 წლის მეჰმედი წარმოშობით ხულოს რაიონიდანაა. ქართულად მშვენივრად საუბრობს. სოფელში ის და მისი მეუღლე ცხოვრობენ. ხუთი შვილი ჰყავს — ხუთივე ქალაქში დამკვიდრებული. გვიან შემოდგომიდან, როცა „ტაროსი მეიშლება“ (მისი ნათქვამია), ისიცა და მისი მეუღლეც ამასიაში გადაბარგდებიან, სადაც საკუთარი ბინა აქვთ.

როგორც მეჰმედი ამბობს, მისი ოჯახი გამონაკლისი არ არის და ამ წესით ფაქტობრივად თითქმის მთელი სოფელი ცხოვრობს. ენაწყლიანი მოხუცი დაუზარებლად გვიყვება ძველ ლექსებს, სიმღერებსა და შელოცვებს. თუმცა იმის გამოც წუხს, რომ სიბერემ ბევრი რამ დააავიწყა.

ბატონ მეჰმედთან საუბარი იმ მხრივაც აღმოჩნდა მეტად საინტერესო, რომ მან ჩვენებურების ლექსიკაში ფართოდ დამკვიდრებული ისეთი სიტყვებიც გაიხსენა, რომლებიც ჩვენს ენაში საერთოდ არაა ცნობილი. მაგალითად, მისი თქმით, იქაური გურჯები მანქანას თურმე საგორავს ეძახიან, თვითმფრინავს კი თეიარეს. ჩვენს ენაში ფართოდ დამკვიდრებული სიტყვებისა და გამოთქმებისაგან განსხვავებულ ასეთ ფორმებს სხვაგანაც შევხვდით. მაგალითად, ფევზი ჩელების (ჩელებაძის) თქმით, ჩვენებურები დასავლეთს ჩასავლეთს ეძახიან. როცა საუბარში ასეთი ფორმების ნაცვლად სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ სიტყვებს ვხმარობთო, — ამბობს იგი, — ძველები გვსაყვედურობენ:

— ლაპარაკი დეისწავლე და ისე მესაუბრეო!

აჯიაზიდან ბელდაღში მივდივართ, სადაც ძირითადად მაჭახელიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავალნი ცხოვრობენ. ჩვენი მეგზური მეჰმედ გოგჩე თავისი ცხოვრების ამბავს გვიყვება. რვა წელი ხოჯად უმუშავნია ამასიაში, შემდეგ ამ საქმისთვის თავი დაუნებებია და თავის ძირითად პროფესიას — ინჟინრობას მიბრუნებია.

მეჰმედი ბელდაღიდანაა. იქ ახლა მისი მშობლები, ძმა, და და სიძე სახლობენ, თავად კი ამასიაში ცხოვრობს.

მან თავდაპირველად სოფლის ცენტრში, მეჩეთთან, მიგვიყვანა. იმის გამო, რომ ლოცვის დრო იყო მოახლოებული, იქ ფაქტობრივად მთელი სოფელი (ასამდე კაცი) დაგვხვდა შეკრებილი. მართალია, ყველანი გურჯები არიან, მაგრამ არაქართულ გარემოში ცხოვრებასა და რელიგიურ ფაქტორს გარკვეულწილად მაინც შეუცვლია მათი იერსახე. ყველა მათგანი წვერმოშვებულია, თავზე ნაქსოვი ქუდები ახურავთ, მოხუცები ხელში კრიალოსანს ათამაშებენ და ჯოხდაბჯენილები დადიან.

უმეტესობა მეჩეთის გვერდით მდებარე გადახურულ ფანჩატურში, ლოცვის წინ განსაბან ონკანებთან, იჯდა, წრიულად გაკეთებულ ძელსკამებზე. ეს ადგილი, ეტყობა, სოფლის მთავარი ბირჟაცაა, სადაც საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობენ.

ჩვენი მისვლის ამბავი რომ შეიტყვეს, სოფლელები გარს შემოგვეხვივნენ. თავიდან ერთგვარი სიფრთხილითა და თავშეკავებით გამოგვყვნენ საუბარში. მერე და მერე კი, როცა გაგვიშინაურდნენ, ინტერესით დაგვიწყეს საქართველოს ამბების გამოკითხვა. ქართული იმდენად დავიწყებული აქვთ, რომ ბევრი მათგანი ძლივს ახერხებს სათქმელის გაგებინებას. ახალგაზრდებმა და ბავშვებმა კი წინაპართა ენა საერთოდ აღარ იციან. აღარც წინაპართა გვარები ახსოვს უმეტესობას. ბევრი მათგანის ქართული ცნობიერება მხოლოდ იმის ცოდნით ამოიწურება, მათი ძველები ოდესღაც გურჯისტანიდან რომ არიან მოსულები.

ყოველივე ამის მნახველთ, მართალია, იმედგაცრუება გვიპყრობს, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხთ და ჩვენს ირგვლივ შემოჯარული ჩვენი ყოფილი თანამემამულეების ნაუბარში იმ ნაპერწკლების გამონათებას ვეძებთ, რამაც შემდგომში მათი ეროვნული სული უნდა ააგიზგიზოს. საბედნიეროდ, ბელდაღში გატარებულმა ორიოდე საათმა ამ ნაპერწკლების პოვნის საშუალებაც მოგვცა.

ჩვენსა და ბელდაღელებს შორის თავიდან წარმოქმნილი სიფრთხილისა თუ უნდობლობის ბარიერი თანდათანობით აღმოიფხვრა და ერთმანეთთან გულახდილი საუბარი გავმართეთ. როგორც ამ საუბრის შედეგად დავრწმუნდით, ბევრმა ჩვენებურმა ან საერთოდ

არაფერი იცის საქართველოს შესახებ, ანდა მეტად მცდარი წარმოდგენა აქვს აქ არსებულ მდგომარეობაზე.

ერთ-ერთმა მათგანმა დრო იხელთა და დაბეჯითებით გვარწმუნებდა, რად გინდათ ქრისტიანობა, ეს ხომ მოგონილი რელიგიაა, გამუსლიმანდით, ჭეშმარიტი ღმერთი იწამეთო! მის ამ საუბარს იქვე მდგომმა ხოჯამაც მოკრა ყური და ამგვარი რჩევის მომცემს საყვედური უთხრა, ვისაც რომელი ღმერთიც სწამს, მასზე უნდა ილოცოსო.

სოფლის საფიხვნოდან წამოსულები მეჰმედმა თავისი მშობლების სახლში გამოგვატარა. ისეთი მშვენიერი ამინდია, შინ შესვლას გარეთ ყოფნას ვარჩევთ. ჩვენმა მასპინძლებმა, რომლებიც საგანგებოდ მომზადებულან ჩვენს დასახვედრად, მოლზე ფარდაგი გააფინეს, სკამების მაგივრად ზედ ბალიშები დაგვიწყვეს და მათეული წესით დამზადებული კერძები შემოგვთავაზეს.

სახელდახელო სუფრას მეზობლებიც უერთდებიან საკმაოდ მრავლად და მეჩეთთან დაწყებული საუბარი ახლა აქ გრძელდება უფრო გულახდილად და გამძაფრებული ინტერესით. შეკრებილთა შორის ბავშვებიც არიან. ისინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ჩვენ მიერ ნაჩუქარ ქართულ წიგნებს და უხერხულად იღიმებიან იმის გამო, რომ ქართულად კითხვა არ იციან. ჩვენ მათ იქვე პირველ სახელდახელო გაკვეთილს ვუტარებთ და რადგანაც „დედაენის" სახელმძღვანელო თან არ გვქონდა წაღებული, რვეულში ვუწერთ ქართულ ანბანს თავისი თურქული შესატყვისებით.

ამასიაში ჩვენი ყოფნის მეორე დღე ქალაქის ცენტრალურ სანაპიროზე გვიან ღამემდე სეირნობით მთავრდება. საზეიმოდ მორთული და ფერადი ლამპიონებით გაჩირაღდნებული ქალაქი ფესტივალის გახსნას დღესასწაულობს. ირგვლივ იმდენი ხალხია, გავლა ჭირს. სახელდახელოდ მოწყობილ ჯიხურებში ნაირ-ნაირი სუვენირები იყიდება. ბევრ რამეს საჩუქრადაც არიგებენ. ბატონ ბაჰათდინთან ერთად მოსეირნეებს გზად მრავალი იქაური ქართველიც გვხვდება, რომელთაც ჩვენი მასპინძელი ჩვენს თავს სიამოვნებით აცნობს.

ადგილ-ადგილ, პირდაპირ ქუჩაში, მსურველები ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შესრულებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. საფესტივალო დღესასწაულისადმი მიძღვნილი სახალხო სეირნობის

გვირგვინად ფერადოვანი მაშხალების გრანდიოზული ფეიერვერკი იქცა, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

დუზჯელ ქართველებთან

დუზჯეს, როგორც თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე ახალი ინდუსტრიული ცენტრის, მშენებლობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები 1999 წლის მიწისძვრის შემდეგ შეიძინა. ამ მიწისძვრამ იგი იმდენად დაანგრია და გაანადგურა, რომ ფაქტობრივად ახალი ქალაქის აშენება გახდა აუცილებელი. დღეს დუზჯეში დაახლოებით 120 ათასი მცხოვრებია. ქალაქსა და მის შემოგარენში მდებარე ქართულ სოფლებში (აკსუში, მუნჯურლუში, ასარში, შიმშილში, სულეიმან ბეიში, ჩამლიში, ჯივითში, ეფთენში, ჯევიზლიში, ჩილიმლში, შიფირქიში, ახჩო ხოჯაში, კოზლოღლიში, დემირ აჩმაში, გურჯუ ქოიორიში...), იქაურების ინფორმაციით, 15 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს — კობალაძეები, გოგიტიძეები, კოშაძეები, დედაბრიშვილები, ხიმშიაშვილები... მათი დიდი ნაწილი აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

ჩვენი მასპინძლები გზაში ისე ხშირად გვეხმიანებიან, რომ, ეტყობა, ჩვენთან შეხვედრას მართლაც მოუთმენლად ელოდებიან.

დამხვდურთა ერთი ჯგუფი — ადგილობრივი ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი აქტივისტი — ჯემილ თინაზი და მისი მეშვიდე კლასელი გოგონა ესინი ავტობანის ბოლოს, ქალაქის შესასვლელთან, შეგვეგებნენ. მათთან ერთად იყვნენ მუჯელა ულიჯაი (კოშაძე) და თბილისელი ქალბატონი თამარ მიქაძე თავის მეექვსეკლასელ გოგონასთან — ქეთევანთან ერთად. როგორც შემდეგ გავიგეთ, ქალბატონი თამარი, რომელიც ამ ქალაქში 2000 წლიდან ცხოვრობს და დღეს უკვე თურქეთის მოქალაქეცაა, პროფესიით სტომატოლოგია. ეკონომიკური პრობლემების გამო იგი იძულებული გამხდარა, სამშობლო დაეტოვებინა და თავი აქაურობისთვის შეეფარებინა.

იგი გულახდილად გვიამბობს თავისი ცხოვრების ამბავს და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს მისი დუზჯელი თანამემამულეებისადმი, რომელთაც აქ პატარა საქართველო აქვთ შექმნილი. სწორედ

ამ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა უქარვებს მას სამშობლოს სიშორით გამოწვეული ნოსტალგიის მძაფრ გრძნობას.

ქალბატონი თამარის მეექვსე კლასელი გოგონა თურქულ სკოლაში სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცნობიერების ფორმირების პროცესი ძირითადად არაქართულ გარემოში მოხდა, ქეთევანი სულითაც და გულითაც იმ ქართველად იზრდება, რომლისთვისაც მარადიული ოცნების საგნად ქცეული საქართველოსადმი სიყვარული მთელი მისი თვითშეგნების განმსაზღვრელი უწმინდესი გრძნობაა.

ნათქვამის ნათელსაყოფად აქ გოგონას თუნდაც ამ მონათხრობის გახსენებაც იქნება საკმარისი:

ერთ-ერთ გაკვეთილზე რელიგიის მასწავლებელს მოსწავლეებისთვის უკითხავს, მათ შორის არამუსულმანი ხომ არ იყო ვინმე. მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება, მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, ადვილი არ იყო, ქეთევანი უყოყმანოდ წამომდგარა ფეხზე. იმ დღიდან მოყოლებული, ზოგიერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა ჩემთან ურთიერთობას მოუკლო და ჩვენს შორის თითქოს რაღაც დისტანცია გაჩნდაო, — გულახდილად გვითხრა გოგონამ. მაგრამ მალე ყოველგვარი გაუგებრობა გაფანტულა და ქეთევანს მისი ქრისტიანული რწმენის გამო არავითარი წინააღმდეგობა არ ექმნება.

ქალბატონი თამარისა და მისი გოგონას სასახელოდ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ისინი ბევრს აკეთებენ საიმისოდ, საქართველოსა და ქართულ კულტურას იქ დიდი პროპაგანდა რომ გაუწიონ. მაგალითად, ქეთევანის სკოლის საიუბილეოდ გამართულ საზეიმო კონცერტზე მათ აქტიურად იზრუნეს იმაზე, საკონცერტო პროგრამაში ქართული ცეკვაცა და სიმღერაც რომ ყოფილიყო შეტანილი.

რესტორანში გამასპინძლების შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ სასტუმროში დაგვაბინავეს, შემდეგ კი ქართულ სოფელ გურჯუ ჩიფტლიქში წაგვიყვანეს იქაურ ჩვენებურებთან შესახვედრად.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ (დაახლოებით 200 ოჯახი), მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მშობლიური ენა ან საერთოდ აღარ იცის, ანდა ძალზე ცუდად საუბრობს. ეს განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ითქმის.

ჩვენმა მეგზურებმა ხალხთან გასასაუბრებლად სოფლის გამგეობის ეზოში მიგვიყვანეს. იქვეა მეჩეთიც. ასე რომ, მომსვლელ-წამსვლელი საკმაოდ მრავლადაა.

როცა იქაურებმა ჩვენი მისვლის მიზანი შეიტყვეს, მახლობლად მცხოვრებ მათ ერთ თანასოფლელს — უსუპაი კობალაძეს მოუხმეს, 78 წლის მოხუცს, რომელმაც ერთი, მეტად მნიშვნელოვანი, ინფორმაცია მოგვაწოდა. მისი თქმით, ადაფაზარის ვილაიეთის ქალაქ ყარაპურჩეკის რაიონის სოფელ მეჯიდიეში მცხოვრებ ერთ-ერთ ჩვენებურს — ჰუსეინ მუმინს (გაბაიძეს), რომელიც წარმოშობით აჭარიდან ყოფილა, რაღაც ქართული წიგნი ჰქონია.

იმის გამო, რომ სოფელ მეჯიდიეში გავლასა და ხსენებული წიგნის მფლობელთან შეხვედრას ვერ ვახერხებდით, ამ საქმის მოგვარებაში დახმარება ჩვენს ახლად გაცნობილ მეგობარს, ქალბატონ თამარ მიქაძეს ვთხოვეთ.

როგორც საქართველოში დაბრუნებიდან ერთი კვირის შემდეგ ქალბატონმა თამარმა ელფოსტით მაცნობა, ხსენებული წიგნი საქართველოში 1975 წელს გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ აღმოჩნდა. იგი მეჯიდიეში იქ მცხოვრებ ჰუსეინ გაბაიძეს (მთელს ამ მხარეში ქართული წერა-კითხვის მცოდნე ერთადერთ ქართველს) ჩაუტანია ბათუმიდან 1989 წელს. ჰუსეინი მის ძმასთან და სხვა ორმოც ქართველთან ერთად მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გადასულა თურქეთში ყარსის გზით და ქართველი მუჰაჯირებით დასახლებულ სოფელ მეჯიდიეში დამკვიდრებულა. 1989 წელს, სარფის კარის გახსნის შემდეგ, ის საქართველოში ნათესავების მოსანახულებლად ჩამოსულა და სწორედ აქ უჩუქებიათ მისთვის ხსენებული წიგნი.

მიუხედავად იმისა, რომ უცნობი წიგნისა თუ ხელნაწერის ნახვის იმედი გამიცრუვდა, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამანახა ის სისხლხორცეული სიყვარული, რითაც თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები საქართველოსთან და ყოველივე ქართულთან არიან დაკავშირებულნი. მართალია, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ჩვენებურებმა წინაპართა ენაზე დაწერილი ხსენებული წიგნის შესახებ კონკრეტულად არაფერი იცოდნენ, მაგრამ მას, როგორც ეროვნულ საუნჯეს, მაინც ეპყრობოდნენ განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებით.

ბატონ უსუპაისთან შეხვედრა საინტერესო იმ თვალსაზრისითაც გამოდგა, რომ მას თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებში კარგად ცნობილი „გურჯული ვაიზის" (სწავლების, დარიგების) აუდიო ჩანაწერიც აღმოაჩნდა. ეს არის ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრება, რითაც ქართველ მორწმუნე მრევლს მიმართავს ხოლმე იქაური ხოჯა. ლექსად დაწერილი ამ რელიგიური ქადაგების ტექსტი, რომელიც მოცულობით საკმაოდ დიდია, პირველად პროფ. შუშანა ფუტკარაძემ ჩაიწერა და გამოაქვეყნა თავის „ჩვენებურების ქართულში" (ბათუმი, 1993 წ. გვ. 275).

როგორც ბატონმა უსუპაიმ გვითხრა, „გურჯული ვაიზის" ეს აუდიო ჩანაწერიც იქ ბათუმიდან ყოფილა ჩატანილი.

დუზჯეში გამართულ შეხვედრათა გვირგვინს იქაურ ქართულ სათვისტომოში სტუმრობა წარმოადგენდა. ქალაქის ცენტრში მდებარე სათვისტომოს ოფისში ოცდაათამდე ჩვენებურმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ სათვისტომოს თავმჯდომარე აიდინ კუბილაი (კოშაძე) და სათვისტომოს აქტივისტები: მუჯელა ულიჯაი (კოშაძე), ჯემილ თინაზი, ეროლ კილიჩი, ბურჰან ულიჯანი და სხვები.

გადაუდებელ საქმეთა გამო დუზჯეში გამართულ შეხვედრებს მოგვიანებით თავისი წარმატებული ქართული საქმიანობით გამორჩეული ფევზი ჩელებიც (ჩელებაძე) შემოუერთდა. როგორც მისი მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართული ენა მას დამოუკიდებლად შეუსწავლია რადიო „თავისუფლებისა" და „ამერიკის ხმის" დახმარებით. ეს ის დრო იყო, როცა საქართველო საბჭოთა იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და თურქეთთან დამაკავშირებელი გზები მტკიცედ იყო ჩარაზული. სარფის კარის გახსნის შემდეგ ბატონი ფევზის ქართულმა ინტერესებმა ახალი მასშტაბები შეიძინა. კერძოდ, იგი საქართველოს შესახებ ინტერნეტ-საიტებით გავრცელებული საინტერესო წერილების ავტორია.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს საქართველოსადმი დუზჯელ (და არა მარტო დუზჯელ) ქართველთა სიყვარულზე, აქ ერთ კონკრეტულ ფაქტსაც გავიხსენებ:

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ზემოთ უკვე მოხსენიებული ეროლ კილიჩი თურმე იქ მცხოვრებ ერთერთ აფხაზს შეხვედრია, რომელიც აფხაზეთში აპირებდა წამოსვლას

ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ამბის შეტყობით აღშფოთებულ ეროლს მისთვის უთქვამს:

— ვის წინააღმდეგ აპირებ საბრძოლველად წასვლას?! ჩემი ძმებისა?! თუ ქართველი კაცის მოკვლა გინდა, რაღას უცდი, მოდი და მე მომკალი! არ გაბედო ასეთი უგუნური ნაბიჯის გადადგმა, თორემ განანებ!

ამ ამბავს მაშინ თურმე იმდენად დიდი რეზონანსი მოჰყოლია, რომ იგი მთელ დუზჯეში გახმაურებულა.

სათვისტომოში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა და ტრადიციული ქართული სუფრით დაგვირგვინდა, დუზჯელმა ჩვენებურებმა საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვეს მათი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებასთან და ჩვენი ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებასთან დაკავშირებით. რაც დრო გადის, ბევრი მათგანი უფრო და უფრო ღრმად რწმუნდება იმაში, რომ „ენა მათი ეროვნულობის განმსაზღვრელი ნაწილია“ (ერთერთი მათგანის სიტყვებია) და მისი დავიწყების უფლება არა აქვთ.

დუზჯელი ჩვენებურები (და არა მარტო ისინი) ძალიან წუხან იმის გამო, რომ ახალმა ცხოვრებისეულმა რეალობამ, რასაც გლობალიზაციის პროცესი ამკვიდრებს ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, წინაპართა ენას საკომუნიკაციო ფუნქცია შეუზღუდა (ხშირ შემთხვევაში დაუკარგა კიდეც).

— ჩვენი ენა რეალურად იმიტომ კი არ დადგა დაკარგვის საფრთხის წინაშე, რომ არ გვიყვარს და არ გვინდა ვიცოდეთ იგი, არამედ იმიტომ, რომ მას ფაქტობრივად ვერაფერში ველარ ვიყენებთო, — გულისტკივილით ამბობენ ისინი.

როგორც ჩვენს დუზჯელ თანამემამულეებთან გამართულმა შეხვედრებმა დაგვარწმუნეს, იქაური ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს იმ რწმენითა და თვითშეგნებით იღვწის, მათი ქართული სათვისტომო არა მარტო უბრალო თავშეყრის ადგილად რომ იქცეს, არამედ წინაპართა ენისა და ადათ-ტრადიციების შემსწავლელ ცენტრადაც. ისინი აშკარად გამოხატავდნენ გულისტკივილს იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში „ძალიან გედევერიეთ ერთმანეთშიო.“

ერთადერთი, რაც დუზჯელთა ქართული სათვისტომოს წევრებ-

მა გვთხოვეს, მშობლიური ენისა და მუსიკალური ფოლკლორის შესწავლაში პრაქტიკული დახმარების გაწევაა. როგორც მათ თქვეს, ამ მიზნით ისინი სიამოვნებით მიიღებენ ჩვენგან წარგზავნილ მასწავლებელს, რომელსაც ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებსაც შეუქმნიან და ყურადღებასაც არ მოაკლებენ.

თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების ესოდენი გამძაფრებული სწრაფვა წინაპართა ქართული ფესვებისაკენ მხოლოდ ემოციური აღტკინების გამოვლინებას რომ არ წარმოადგენს და დიდ მემლექეთზე ფიქრი და ოცნება მართლაც რომაა ქცეული მათი ყოველდღიური ყოფის სისხლხორცეულ ნაწილად, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს ნათლად და დაუეჭვებლად, რომ ყველგან, სადაც კი ჩვენებურების თავშეყრის ადგილებში მოგვიწია მისვლა (ოფისებში, რესტორნებშიც, სასტუმროებშიც...), იქაურები ქართულ ტელეგადაცემებსაც უსმენენ სისტემატურად, რითაც მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან ჩვენს ქვეყანასთან.

სათვისტომოში გამართულ შეხვედრაზე ჩვენმა მასპინძლებმა იმ მეგობრულ ურთიერთობებსაც გაუსვეს ხაზი, რაც მათ კავკასიელ ხალხთა იქაურ წარმომადგენლებთან აქვთ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეტყობა იმისა, რომ საქართველოში ქართველებსა და აფხაზებს შორის რუსეთის ინსპირირებით წარმოქმნილ საომარ დაპირისპირებას იქ მცხოვრები ამ ორი ხალხის მეგობრულ სიახლოვეზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იქაური გურჯები და აფხაზები ერთმანეთზეც არც თუ იშვიათად ქორწინდებიან ხოლმე.

აღარაფერს ვამბობთ იმ ახლო ურთიერთობაზე, რომელიც თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და ლაზებს შორის არის დამკვიდრებული. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არაერთგზისი ხაზგასმა იმისა, რომ ამ ურთიერთობის განმსაზღვრელ საფუძვლად მათ უპირველეს ყოვლისა ჩვენი სისხლისა და გენის საერთოობა მიაჩნიათ.

ხენდეკში

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის შემდეგი სამუშაო ადგილი ქალაქი ხენდეკი იყო, ბატონ ტარიელ ფუტკარაძის ბიძაშვილების მშობლიური ქალაქი. სეზაი სეფა (ფუტკარაძე) და მთელი მისი ოჯახი (მათთან ამ ორი წლის წინათაც ვარ სტუმრად ნამყოფი სტამბოლში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის პერიოდში) — მშობლები, და, დისშვილები და სხვა მახლობელი ადამიანები საგანგებოდ მომზადებულან ჩვენთან შესახვედრად. ხენდეკის ცენტრში შეკრებილებმა, მათ საზეიმო დახვედრა მოგვიწყვეს იქაური ქართული სათვისტომოს წევრებთან ერთად.

სეზაის ორგანიზებით, ჩვენს დელეგაციას ქალაქის მერმაც და ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატებმაც მოუწყვეს შეხვედრა, სადაც ბატონმა ამირან ხვადაგიანმა და დამხვდურმა ოფიციალურმა პირებმა საქმიანი საუბრები გამართეს ქუთაისსა და ხენდეკს შორის სამომავლო ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით.

ხენდეკსა და მის შემოგარენში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს — დაახლოებით 10 ათასი კაცი, აქაც ძირითადად აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალნი. ჩვენი მასპინძლების ინფორმაციით, ამ რეგიონის ოცი სოფლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ჩვენებურები წარმოადგენენ, რაზეც მათი ქართული სახელწოდებებიც მეტყველებს. ეს სოფლებია: გევლი, თოხვეტი, ტრაპენი, ორჯი, ქამელეთი, ომანა, ხატილა, არხვა, ქართლა, ურზუმა...

სასტუმროში დაბინავების შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წაგვიყვანეს. ქალაქგარეთ, მაღალ მთაზე, აგებული ეს მუზეუმი, საიდანაც არა მარტო ხენდეკი, არამედ მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიაც ჩანს ხელისგულივით, აქაურებისათვის, ეტყობა, გართობისა და კულტურული დასვენების საყვარელ ადგილს წარმოადგენს. ამაზე მის გვერდით არსებული დიდი საკონცერტო ამფითეატრიცა და რესტორანიც მეტყველებს.

მუზეუმში, რომლის ერთი ნაწილი ღია ცისქვეშაა მოწყობილი, მრავალადაა გამოფენილი არა მარტო საკუთრივ თურქების ისტორიის ამსახველი მასალები, არამედ ყველა იმ ხალხისაც, ვინც მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა საუკუნეების განმავლო-

ბაში (ურარტუელები, ხეთები, ხათები, ქალდეველები...). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ამ მასალებს შორის ქართული (უფრო ზუსტად, აჭარიდან ჩატანილი) ძველისძველი საყოფაცხოვრებო ნივთებიც იყო გამოფენილი.

მუზეუმის დათვალიერების დროს ჩვენთან ერთად მყოფი ფევზი ჩელები იქაურ ქართულ შელოცვებს გვიყვება. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც თვალცემულის გამოლოცვას წარმოადგენს, მლოცველი წმინდა გიორგისაც მოიხსენიებს, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ხსენებული შელოცვის ტექსტი იმდროინდელია, როცა მისი შემთხზველები და გამავრცელებლები ჯერაც ქრისტიანები იყვნენ.

მუზეუმში ყოფნის პერიოდში ჩვენს ჯგუფს კედევ ერთი ჩვენებური შემოუერთდა — ერდოგან დავითაძე (შენოლე), წარმოშობით ქედელი. მას ადრეც ვარ შეხვედრილი — თურქეთშიცა და ქუთაისშიც. იგი ადაფაზარიდანაა და უმაღლესი განათლება თბილისში აქვს მიღებული. საქართველოზე იმდენადაა შეყვარებული, რომ გადაწყვეტილი აქვს მის ორ შვილს, რომლებიც ჯერ სკოლის მოსწავლეები არიან, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში მიაღებინოს უმაღლესი განათლება, არამედ აქვე დაასახლოს კიდეც.

მუზეუმის დათვალიერებისა და გამასპინძლების შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა ერთ-ერთ ქართულ სოფელ ქართლაში წაგვიყვანეს. როგორც იქ გატარებული ორიოდე საათის განმავლობაში დავრწმუნდით, სოფელს არა მარტო სახელწოდება შემორჩენია ქართული, არამედ მრავალი ადათ-ტრადიციაც. მართალია, აქაურების დიდ ნაწილს წინაპართა ენაზე მეტყველება უჭირს, მაგრამ ქართული გენი მათ ყოველდღიურ ყოფასა და ურთიერთობებში მაინც საკმაოდ შესამჩნევადაა შემონახული.

ქართლაში ჩვენი სტუმრობის ამბავი ისე ელვისებურად გახმაურდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი იქაური მასპინძლის ეზოში თავმოყრილებს სულ მალე მახლობელი სოფლებიდანაც შემოგვიერთდა უამრავი ჩვენებური. ჩვენს შორის გამართულ გულითად საუბრებს მალე იქაურების ცეკვები და სიმღერები მოყვა. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე არაქართულ გარემოში ჩამოყალიბებული მათი მუსიკალური ფოლკლორი ბევრი რამით განსხვავდება ჩვენი ცეკვებისა და სიმღერებისაგან, დაკვირვებული თვალი მათ შორის

შინაგანად არსებულ არაერთ საერთო ნიშან-თვისებას მაინც აღმოაჩენს. ეს განსაკუთრებით მათ ხალხურ ცეკვაზე ითქმის, რომელიც ქართული ხორუმის ელემენტებითაცაა გაჯერებული.

რაც შეეხება ჩვენებურების იმ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც იქაურებმა ჩვენთან შეხვედრის დროს შეასრულეს, მათ მუსიკალურ ჟღერადობას აშკარად ეტყობა თურქული ზეგავლენის კვალი. ქართულ-თურქული სიტყვები მათში ისეა ერთმანეთში არეული, რომ ხსენებული ტექსტები ფაქტობრივად მხოლოდ სანახევროდ შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენობრივი სამყაროს კუთვნილებად.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენებურების ღრმა რწმენით, მათი მუსიკალური ფოლკლორი ქართული წიაღიდანაა აღმოცენებული და ყველაფერ ამას დაცვა და გადარჩენა სჭირდება.

ერთ-ერთი მათგანი — ცეკვის მასწავლებელი ჯემალ შანიძე, რომელიც პროფესიული თვალითაც აფასებს ჩვენებურების მიერ ძველქართულად მიჩნეული ცეკვების განსხვავებას ნამდვილქართული ცეკვებისაგან, გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ წინაპართა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის შესაძლებლობა მათ ფაქტობრივად არა აქვთ. მისი თქმით, თურქეთში მცხოვრებ ბევრ ჩვენებურს, მართალია, გულით სურს, შვილები ამ მიზნით საქართველოშიც რომ გამოაგზავნოს, მაგრამ აქ არსებული არასტაბილური მდგომარეობის გამო ამის გაკეთება ეშინია.

რაც შეეხება წინაპართა ენის შენარჩუნების პრობლემას, ბატონი ჯემალის თქმით, ახალი ცხოვრებისეული რეალობა ამის გაკეთებას მეტისმეტად ძნელ საქმედ ხდის. მისი ხაზგასმით, ასიმილაციის პროცესი იმდენად დაჩქარებულად მიმდინარეობს, რომ „ჩვენი ენა მეიშალა და თურქული სიტყვებით წეილეკა. განსხვავებით უფროსებისაგან, რომელთაც გურჯულად ლაპარაკი მათი მშობლებისგან ისწავლეს, ახალგაზრდები და ბავშვები ქართულად უკვე თითქმის ვეღარ საუბრობენ. აღარც მათი მშობლები არიან ამით დაინტერესებული, რადგანაც ეს ენა პრაქტიკულად უკვე აღარსადაა საჭირო.“

ქართლაში გაცნობილ ჩვენებურთაგან აქ გიორგი სააკაძეც მინდა გავიხსენო, დიახ, დიდი გიორგი სააკაძის გვარ-მოსახელე კაცი, რომელიც თავის სეხნიას ფიზიკური აღნაგობითაც ჰგავდა — მასა-

ვით ბუმბერაზ ვაჟკაცს წარმოადგენდა. მართალია, დიდი მოურავის სეხნიას ქართულად საუბარი ძალიან უჭირდა, მაგრამ ხაზგასმული სიამაყით იმის თქმას კი ახერხებდა, ძალზე რომ ამაყობდა მისი სახელოვანი მოგვარ-მოსახელის სეხნიობით.

ჩვენებურებთან შეხვედრა ეზოში გაშლილი სუფრით დამთავრდა. კოინდარზე გაფენილ ნოხზე ფეხმორთხმით მსხდომთ მასპინძლები ჩვენთვის უცნობი იქაური კერძებით გაგვიმასპინძლდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავსაფარმოხვეული ქალბატონების დიდი ნაწილი, ჩვენგან რამდენადმე გამიჯნული, სახლის აივანზე ისხდა და იქედან გვეკონტაქტებოდა.

ასე დამთავრდა ქართლასა და მის მეზობელ ქართულ სოფლებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან ჩვენი ღრმად შთამბეჭდავი შეხვედრა. მიუხედავად მათთან გატარებული ხანმოკლე დროისა, უკან მომავალნი დიდხანს ვსაუბრობდით იმაზე, რომ ამ მღელვარე შეხვედრამ მათ ცნობიერებას მაინც შესძინა ის მუხტი და ენერგია, რომელიც ბევრი მათგანის სულსა და გულში მომავალში უსათუოდ აღაზევებს გაქრობის პირამდე მისულ ეროვნულ თვითშეგნებას.

სტამბოლში

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის სტამბოლური ნაწილი იმდენად მრავფალფეროვანი და გადატვირთული იყო, რომ საამისოდ გამოყოფილ ორ დღეში წინასწარ შედგენილი პროგრამის მხოლოდ სანახევროდ განხორციელებაღა მოვახერხეთ. სტამბოლში ჩასულები აქსარაიში მდებარე ერთ-ერთი იქაური ჩვენებურის სასტუმრო „გულსოიში“ (გულის ვარდს ნიშნავს) დავბინავდით. მსოფლიოს ორი კონტინენტის შესაყარზე გაშენებულ ამ მეგაქალაქში მეგზურობას ჩვენი ძველი მეგობარი ელიზბარ ცივნარიძე გვიწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, მან უკვე მოასწრო ბევრი დიდი ქართული საქმის გაკეთება. კერძოდ, მისი აქტიური ინიციატივითა და ძალისხმევით, წარმატებით ფუნქციონირებს ჩვენებურების ინტერნეტრადიო და ტელევიზია. 2007 წლიდან კი მისი თანარედაქტორობით გამოსვლა დაიწყო თურქეთის ისტორიაში პირველმა

ყოველკვარტალურმა ორენოვანმა (ქართულ და თურქულ ენებზე) ლიტერატურულმა ჟურნალმა „ფიროსმანმა.“

პირველი, რითაც, ჩვენი ექსპედიციის სტამბოლური პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას ვიწყებთ, საქართველოს საკონსულოში მისვლა და გენერალურ კონსულთან, ბატონ ზვიად კვაჭანტირაძესთან შეხვედრაა მისგან სათანადო კონსულტაციის მისაღებად. ბატონმა ზვიადმა, რომელმაც ქუთაისიდან უკვე იცოდა ჩვენი სტუმრობის ამბავი, ყურადღებით მოგვისმინა და იმ პრობლემურ საკითხებზეც გვესაუბრა გულახდილად, რომელთაც საკონსულო ჩვენებურებთან ურთიერთობის დროს აწყდება ხოლმე დროდადრო.

ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან პრობლემად მას თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მეტი გააქტიურება მიაჩნია მათი ქართული ინტერესების დაცვისა და გამოხატვის დროს. ბატონ ზვიადის შეფასებით, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პოლიტიკური იმიჯის განსამტკიცებლად ჩვენებურები უდიდეს ძალას წარმოადგენენ და ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ ამ ძალის კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას ჩვენს სასარგებლოდ.

თუმცა გენერალური კონსული ჩვენთან საუბარში გულახდილად იმასაც აღიარებს, რომ ჩვენებურების ერთი ნაწილი კრიტიკულ სიტუაციებში მეტისმეტ სიფრთხილესაც იჩენს და სხვადასხვა გარემოებათა გამო ერიდება თავისი პროქართული პოზიციების ხმამაღლა გამოხატვას. ასე მოხდა, მაგალითად, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როცა თურქეთის ხელისუფლების მიერ საქართველოსადმი მხარდამჭერი პოზიციის ოფიციალურ დაფიქსირებამდე ზოგიერთმა ჩვენებურმა აქაური ქართველების მიერ გამართულ ანტირუსულ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისაგან შეგნებულად შეიკავა თავი.

ბატონი ზვიადის თქმით, არც ისაა დასამალი, რომ ზოგიერთი აქაური ქართველი ორმაგი მოქალაქეობის მიღებას ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობის განსამტკიცებლად კი არ ცდილობს, არამედ თავისი ბიზნესინტერესების გასაიოლებლად და დასაცავად.

მიუხედავად ამგვარი პრობლემებისა, გენერალური კონსული უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მნიშვნელოვან ნაწილში აშკა-

რად იგრძნობა აქტიური სწრაფვა ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისაკენ. ამ მოვლენას თუნდაც ის ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ ბოლო პერიოდში ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში წარმატებით ფუნქციონირებენ ქართული სათვისტომოები. მარტო სტამბოლში დღესდღეობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული ოთხი ასეთი სათვისტომო მოქმედებს.

სტამბოლში საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მძლავრი ქართული დიასპორა არსებობდა — როგორც თურქეთში მცხოვრები მუსულმანი ჩვენებურების, ისე საქართველოდან ემიგრირებული ქრისტიანი ქართველებისა. მათი რაოდენობა იმდენად დიდიც კი ყოფილა, რომ სტამბოლის ცალკეულ რაიონებში ქართული უბნებიცა და კათოლიკური ეკლესიებიც საკმაოდ მრავლად არსებულა.

მათგან ეროვნული კულტურისა და განათლების ყველაზე მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა 1861 წელს პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ ქალაქის ცენტრალურ უბანში — ფერი-ქოიში აგებული ქართული კათოლიკური ეკლესია.

ქართული ეკლესია არსებულა აგრეთვე გალათას იმ უბანში, რომელსაც თავად თურქებმა გურჯი-კაპი (ქართული კარი) უწოდეს: ასევე ვეზირ-ხანშიც, რომლის მკვიდრი ქართველები ძირითადად თურმე წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ. ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ გამოქვეყნებული წერილის სტამბოლელი ავტორის თქმით კი იენი ჯამე (ახალი მეჩეთი) ძველთაგანვე წარმოადგენდა „ქართველთა ბუდეს“, სადაც ქართველებს შეძენილი ჰქონიათ სავაჭრო და სასტუმრო სახლები (ოდები).

საკუთარი საცხოვრებელი უბანი გააჩნდათ ქართველებს ტაქსიმშიც. აქვე ყოფილა მათი სასაფლაოც.

იტალიელი დიპლომატის — დალეჯიოს მტკიცებით, „ქართული ძველი სავანის ნაადგილევი არის ფიალი ფაშის მეჩეთიც. ეს მეჩეთი არის ბეუკ-ფიალიაში, კასიმ-ფაშის უბანში, რომელიც მდებარეობს პერის დასავლეთ ნაწილში და ოქროს რქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.“ გადმოცემის მიხედვით, ფიალი ფაშა წარმოშობით ქართველი ყოფილა და მის მიერვე აგებული მეჩეთის ეზოშია დაკრძალული. ქართველ მღვდლებს სასწავლებლები და ეკლესიები ჰქონიათ აგრეთვე ვეზირხანში, პერას უბანსა და პაპას-კვერში.

მ. თამარაშვილის გადმოცემით, ქართული უბნები ასევე უნდა არსებულიყო ჰრომანას ხევში, სოსთენესა და ანასტაზიას რაიონებშიც. ქართული სკოლები კი, ფერი-ქოიში მდებარე ქართული მონასტრის გარდა, უსკუდარსა და იენი ჩარშიც ყოფილა გახსნილი.

სამწუხაროდ, უამთა სვლამ სტამბოლში არსებული ქართული უბნებისა და ეკლესია-მონასტრების ნაკვალევი თითქმის მთლიანად წაშალა. ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც ფასდაუდებელ ქართულ განძად შემორჩენია დღევანდელ სტამბოლს, მხოლოდღა ფერი-ქოის ზემოთ ხსენებული ქართული კათოლიკური ეკლესიაა. თუმცა, ისტორიული ავბედობის გამო, ამ ეკლესიაში დღეს არც ქართული წირვა-ლოცვა ისმის და არც ის დიდი ქართული საქმეები კეთდება, რასაც თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში აკეთებდნენ აქ ჩვენი ერის სახელოვანი შვილები.

სტამბოლში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის გამგზავრების ერთერთი უმთავრესი მიზანი ზემოთ ხსენებულ ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული და ქართული სავანის სახელით ცნობილი კულტურის ცენტრის მონახულება იყო. აღნიშნულ ცენტრში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა სარწმუნოებრივ და მეტად ნაყოფიერ მამულიშვილურ საქმიანობას განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ჰქონდა შეძენილი XIX საუკუნის ბოლო ოთხ ათწლეულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი ეროვნული მნიშვნელობით, ქართული კულტურის ხსენებული ცენტრი XIX-XX საუკუნეებში საზღვარგარეთ არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ რელიგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. პირობითად თუ ვიტყვით, გარკვეულწილად, იგი იმავე როლისა და მიზანდასახულობის მქონე ქართულ მამულადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, რა მნიშვნელობაც ჰქონდა თავის დროზე ლევილის ქართულ კერას ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის.

ეკლესიის დათვალიერების შემდეგ კოლეჯში პოლ ზაზაძესა და ფარნა ჭილაშვილს (ფაჰრედინ ჩილოღლუს) ვხვდებით (სამწუხაროდ, სტამბოლში არყოფნის გამო ბატონ სიმონთან შეხვედრა ვერ მოხერხდა).

ბატონი ფაჰრედინი ცნობილი მწერალია, თურქულ ენაზე დაწერილი საინტერესო მოთხრობებისა და ქართულად შექმნილი ლექსების ავტორი. მისი შემოქმედებისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ მის ნაწარმოებებში უმთავრესი ადგილი ქართულ თემატიკას აქვს დათმობილი. გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ბატონი ფაჰრედინის წიგნი „ქართველების ისტორია“ (სტამბოლი, 1993 წ.). ცნობილ თურქოლოგ ლია ჩლაიძის შეფასებით, „ფ. ჩილოღლუ პირველია თურქეთის მეისტორიეთაგან, ვინც იქაურ გურჯებს სიმართლე უთხრა თავიანთი ვინაობის შესახებ.“

ფაჰრედინის შემოქმედებით მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მისი მთარგმნელობითი საქმიანობაც წარმოადგენს. კერძოდ, ქართველ მწერალთა შემოქმედების ცალკეული ნიმუშების მისეული თარგმანები სისტემატურად იბეჭდება თურქულ ლიტერატურულ გამოცემებში. 1997 წელს კი სტამბოლში ცალკე კრებულად გამოიცა მისი პოეტური თარგმანების წიგნი, რომელშიც XX საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტების შემოქმედების რჩეული ნიმუშებია შეტანილი.

ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს ფაჰრედიდ ჩილოღლუს მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული დევიდ ლენგის წიგნი „ქართველები“ და 1893 წელს ძველ ოსმალურ ენაზე დაწერილი ისმეთზადე მეჰმედ არიფის წიგნის — „ქართული სოფლების“ თარგმანი თანამედროვე თურქულ ენაზე.

ფაჰრედინის ქართული ღვაწლის შეფასების დროს აქ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ 2007 წლიდან სწორედ მისი მთავარი რედაქტორობითა და აქტიური ძალისხმევით გამოდის მის მიერვე დაარსებული ქართულ-თურქული ლიტერატურული ჟურნალი „ფიროსმანი“, რომელშიც მეტად საინტერესო მასალები იბეჭდება თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებსა და საქართველოზე.

თურქეთში გამომავალ ქართულ გამოცემებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა ჟურნალ „ჩვენებურზეც“ მინდა ვთქვა. მართალია, „ფიროსმანისაგან“ განსხვავებით, იგი თითქმის მთლიანად (უიშვიათესი გამონაკლისების გარდა) თურქულენოვან გამოცემას წარმოადგენს, მაგრამ ქართული საზოგადოების ინტერესი მის მი-

მართ მაინც ძალზე დიდია. ამ ინტერესის საფუძველს პირველ ყოვლისა ის ფაქტი წარმოადგენს, რომ „ჩვენებური" ძირითადად ქართული თემატიკით შემოფარგლული ჟურნალია, რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით (6000 ეგზემპლარი) გამოდის.

ეს ჟურნალი 1977 წელს დააარსეს ახმედ მელაშვილმა და შენვერ აქინმა (შალვა თევზაძემ) და ამ დროიდან მოყოლებული, თუმცა გარკვეული შეფერხებებით, მაგრამ მაინც ახერხებს გამოსვლას. ჩვენთან შეხვედრის დროს „ჩვენებურის" ამჟამინდელმა მთავარმა რედაქტორმა და გამომცემელმა ოსმან ნური მერჯანმა (ოთარ იმედაშვილმა) ბევრი ისაუბრა ჟურნალის პერსპექტიულ გეგმებზე და მასში მასალების უმთავრესი ნაწილის თურქულ ენაზე გამოქვეყნების ფაქტი იმით ახსნა, რომ თურქეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, გარდა უმცირესი გამონაკლისისა, ქართულად წერა-კითხვა არ იციან. ბატონი ოსმანის თქმით, ჟურნალში გამოქვეყნებული ქართულენოვანი მასალებით (მათი მოცულობა მომავალში დაახლოებით ათ პროცენტამდე გაიზრდება) იგი შეეცდება პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს ამ პრობლემის მოგვარების მსურველ ჩვენებურებს.

სტამბოლში გაცნობილ ჩვენებურთაგან ასევე ცალკე მინდა მოვიხსენიო 2008 წლის აპრილში შექმნილი ქართული კულტურის ასოციაციის პრეზიდენტი ეშრეფ იილმაზი (მახარაძე). როგორც ასოციაციის ოფისში იქაურ აქტივისტებთან გამართული შეხვედრის შედეგად შევიტყვეთ, კულტურის ცენტრში გაერთიანებულ ჩვენებურებს ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო პროგრამა აქვთ ჩამოყალიბებული თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ინტერესების პრაქტიკულად ხორცშესასხმელად.

კერძოდ, ზემოთ ხსენებული პროგრამის უმთავრესი პრინციპები ნათლადაა ფორმულირებული ქართული კულტურის ცენტრის სპეციალურ ბიოლეტენში, რომელიც ქართულ და თურქულ ენებზეა გამოცემული. ასოციაციის მესვეურთა ხაზგასმით, „ქართული კულტურის ცენტრი მიზნად ისახავს ისტორიის, კულტურის, ენის, მუსიკის და ხელოვნების სხვა სიმდიდრეთა მომავალი თაობებისათვის გადაცემის ნამდვილ კერად დაფუძნებას.

ასოციაციის მთავარი მიზანია თურქეთისა და საქართველოს ქართველების ერთმანეთისათვის შეხვედრა, მათი დაახლოება და არსებული პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის ცენტრად ჩამოყალიბება.

კულტურის ცენტრის მიზანია ენისა და კულტურის სიმდიდრეთა გამოყენება და ამ დრომდე დაუწერელი „თურქეთის ქართველთა ისტორიის“ შექმნისთვის დოკუმენტაციის შეგროვება.“

ცენტრის საქმიანობის მასშტაბებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ ღონისძიებათა ჩამონათვალიც, რასაც ასოციაციის ხელმძღვანელები ზემოთ ხსენებულ „ბიულეტენში“ აქვეყნებენ. კერძოდ, უახლოეს პერიოდში სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის მესვეურები მიზნად ისახავენ შემდეგი საქმეების პრაქტიკულ განხორციელებას: ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნას; ქართული მუსიკის საღამოების მოწყობას; ქართული ფილმების ჩვენებას; საქართველოსთან დაკავშირებით ლექცია-საუბრების ჩატარებას; ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შემსწავლელი კურსების დაარსებას; ქართული კულტურის კვირეულის ჩატარებას ყოველწლიურად და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს იმ სურვილების შესახებაც, რომელთა რეალურად განხორციელებას ასოციაციის ხელმძღვანელები თავიანთი საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევენ. ესენია:

„1. ქართულ ენაზე განათლების მიღებისა და გამომცემლობის უფლება;

2. უნივერსიტეტებში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაარსება;

3. საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული ორმხრივი მოქალაქეობის ხელშეკრულების შესრულება.“

როგორც ვხედავთ, ცენტრის ხელმძღვანელების მიერ შემუშავებული მეტად მასშტაბური პროგრამის პრაქტიკული განხორციელება დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში. ცენტრის აქტივისტებმა ზემოთ აღნიშნულ ინიციატივათა რეალურად ხორცშესხმის მიზნით უკვე რომ გადადგეს პირვე-

ლი პრაქტიკული ნაბიჯები, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში ისინი მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსული აგრესიის წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო გამოსვლებში.

კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ მოხსენიებული „ბიულეტენი" გვაუწყებს: „რუსეთის მიერ საქართველოსადმი განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის დასაგმობად გამართულ მიტინგზე წაკითხულ იქნა საპროტესტო ნოტა, რომელიც დაურიგდათ მომიტინგეებსა და მედიის წარმომადგენლებს. ცენტრმა ომის მსვლელობის დროს რამდენიმეჯერ მოამზადა მწვავე საპროტესტო აქციები."

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცენტრს უკვე ჰქონდა ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორი გამოშვებაც.

გარდა ეშრეფ მახარაძისა, სტამბოლის „ქართული კულტურის ცენტრის" დამფუძნებელნი არიან: ფაზლი კაია, ჯენგიზ ინაიშვილი, ილკაი ერარსლანი, ფემი უზალი, ცირა ჯიოშვილი, ეროლ ტემელი, სალომე გონენჩი, მაყვალა ასლანი, ნევზათ კაია, ფიგენ ჯენგიზი, რამაზან უჩანი, ბაჰრი ოლგუნი და თამარ ლაზარაშვილი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კულტურის სტამბოლური ცენტრის პრეზიდენტი ეშრეფ მახარაძე საინტერესო პოეტიცა და მთარგმნელიცაა. ქართული პოეზიის მისეული თარგმანები სისტემატურად იბეჭდება სტამბოლურ ლიტერატურულ გამოცემებში, დავით მაღრაძის ლექსების მისეული თარგმანები კი ცალკე კრებულადაც გამოვიდა გასულ წელს.

შარშან ბატონმა ეშრეფმა საკუთარი ლექსების წიგნიც გამოსცა. ხსენებული კრებული ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო პირველ ყოვლისა იმითაა, რომ მასში ქართულ თემატიკას, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის ამბებსაც, ეთმობა საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი.

სტამბოლური შეხვედრებიდან ასევე ცალკე, საგანგებოდ, უნდა გამოვყოთ საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციაში გამართული შეხვედრა, სადაც საინტერესო საუბარი გვქონდა ამ ასოციაციის პრესიდენტ ალი რიზა ალთინელთან და პრეზიდიუმის წევრებთან.

ქალაქის ცენტრალურ რაიონში მდებარე საკუთარ ოფისში განთავსებული ეს ასოციაცია ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს საქართველოსთან ჩვენებურების კავშირურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად.

ასოციაციის ოფისში მისულნი, იმთავითვე ვგრძნობთ იმ მძლავრი სიყვარულის ვიზუალურ გამოვლინებას, რითაც აქაურები მათი წინაპრების სამშობლოსთან არიან სისხლხორცეულად დაკავშირებულნი. ოფისის კედლები საქართველოს დროშით, რუკებითა და ჩვენი ერის დიდი შვილების სურათებითაა დამშვენებული, კარადებში კი ქართული წიგნებია მოთავსებული.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმის შეტყობა, რომ ამ წიგნების ერთი ნაწილი თავად ამ ასოციაციის მიერაა გამოცემული. მათ შორის უპირველეს ყოვლისა „დედა ენა“ უნდა მოვიხსენიოთ, რითაც ასოციაცია მსურველებს ქართულ ენას ასწავლის.

ასოციაციის სამოქმედო გეგმებზე საუბრის დროს ბატონმა ალი რიზა ალთინელმა ერთი დიდი, 537 კომპიუტერული გვერდისაგან შემდგარი, თურქულენოვანი საქალაქლდეც გვაჩვენა, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოსაცემი წიგნის ხელნაწერს წარმოადგენს. ამ წიგნის ავტორი ამ ასოციაციის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრია, პროფესიით ისტორიკოსი. თურქეთის არქივებში დაცულ პირველწყაროებზე დაყრდნობით, წიგნში საფუძვლიანად იქნება მოთხრობილი ოსმალეთში მცხოვრები ქართველების ისტორია.

როგორც ხსენებული ხელნაწერისა და მასში მრავლად თავმოყრილი დოკუმენტების (მათ შორის ფოტომასალებისაც) ვიზუალური ნახვითაც ვრწმუნდებით, ამ წიგნის გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება როგორც თურქეთის, ისე საქართველოს ისტორიაშიც. ბატონი ალი რიზას დაპირებით, წიგნის თურქულენოვანი ვარიანტის შემდეგ ისინი ქართულ ენაზე მის გამოსაცემადაც იზრუნებენ აქტიურად.

ასოციაციაში 2004 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართული ენის შემსწავლელი კურსები, სადაც სწავლება მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. იმის გამო, რომ სტამბოლი ძალზე დიდი ქალაქია და მის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ჩვენს თანამემამუ-

ლეებს ენის შემსწავლელ კურსებზე რეგულარულად მისვლა უძნელდებათ, ასოციაციის მესვეურები ცდილობენ, ხსენებული კურსების სკოლებში გახსნასთან დაკავშირებითაც მიიღონ ხელისუფლებისაგან სათანადო უფლება.

ასოციაციის წევრთა ქართულ საქმიანობაზე საუბრის დროს აქ იმ აქტიურობასაც უსათუოდ უნდა გაესვას ხაზი, რასაც ისინი 2008 წლის აგვისტოში გამართული რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში იჩენდნენ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. მათი ორგანიზებით მოწყობილ საპროტესტო მიტინგებზე პრინციპულად იქნა ჰხილებული და დაგმობილი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ის სისხლიანი აგრესია, რომლის უმთავრესი მიზანი ჩვენი ქვეყნის დაპყრობა იყო.

შეხვედრის ბოლოს პრეზიდიუმის ერთ-ერთმა წევრმა ორჰან ბერიძემ ზეპირად წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ მოზრდილი ნაწყვეტი.

ამით მთავრდება ჩვენი ორდღიანი სტამბოლური შეხვედრების საქმიანი ნაწილი. სტამბოლიდან უკვე ბურსასა და ინეგოლში მივემგზავრებით იქაურ ქართველებთან შესახვედრად. მანამდე კი გვიან ღამემდე დავსეირნობთ ქალაქის ქუჩებში და კიდევ ერთხელ ვტკბებით მისი ზღაპრული სილამაზით.

სასტუმროში ღამის 12 საათზე დაბრუნებულს სასტუმროს ქართველი მენეჯერი გვეუბნება, რომ აქ ჩვენთან შესახვედრად სპეციალურად ყოფილა მოსული ახმედ მელაშვილის ვაჟი იბერია. იგი ამჟამად სტამბოლში ცხოვრობს და ჩვენი აქ ყოფნის ამბავი რომ შეუტყვია, თავად მოუნდომებია ჩვენი ნახვა. მართალია, ჩემგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო პირადად მე მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, მაგრამ ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს უნახავს, მამამისის შესახებ დაწერილი ჩემი წიგნი საჩუქრად გადაუცია და ერთად შეთანხმებულან იმაზე, ბურსაში სად და როგორ უნდა შევხვედროდით მის დედასა და დას.

ბურსასა და ინეგოლში

სტამბოლიდან ბურსაში მიმავლებმა გზად ქალაქ გებზეში გავიარეთ. გარდა იმისა, რომ იქ საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს და მათი სათვისტომოცაა დაარსებული, ამ ქალაქში ჩვენი გავლა იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ იქაური ქართული სათვისტომოს დამფუძნებელი ივერი ზუმბაძე ჩვენი ახლო მეგობარია. იგი წარმოშობით იმერხევიდანაა, სადაც ჩვენებურებს ყველაზე კარგად აქვთ შენარჩუნებული მშობლიური ენა და წინაპართა ადათ-ტრადიციები.

ივერის მშობლები დღესაც იმერხევში, კერძოდ კი სოფელ ბაზგირეთში, ცხოვრობენ. მამა ადრე მასწავლებელი ყოფილა, ახლა კი პენსიონერია. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა შეტყობა იმისა, რომ იგი მწერლობითაც ყოფილა გატაცებული და ადგილობრივ გაზეთებში თურმე ხშირად აქვეყნებს წერილებს საქართველოსა და იმერხეველ თანამემამულეებზე.

თავად ივერს უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქვს მიღებული (დამთავრებული აქვს საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობა) და თბილისელი მეუღლე ჰყავს. იგი ტელე-რადიო „ჩვენებურის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მართალია, მსმენელსა და მაყურებელს „ჩვენებური“ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოყვარულთა დონეზე, ინტერნეტით, ეკონტაქტება, მაგრამ ამ საქმის ინიციატორები იმედოვნებენ, რომ პროფესიული მაუწყებლობის უფლებასაც მალე მიიღებენ. ივერის თქმით, ბოლო ხანს ადრე არსებული ვითარება სასიკეთოდ იმდენად სწრაფად იცვლება და უმჯობესდება, რომ ამის გაკეთება უკვე სულაც აღარ არის უსაფუძვლო ოცნების ნაყოფი.

ბატონ ივერს მდგომარეობის სწორედ ამგვარი სასიკეთო შეცვლის გამოხატულებად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ჩვენებურებს არა მარტო უბრალოდ აძლევს მათი სათვისტომოების გახსნის უფლებას, არამედ შეძლებისდაგვარად ეხმარება კიდეც.

ჩვენი მასპინძლის ინფორმაციით, გებზესა და მის შემოგარენში დღესდღეობით დაახლოებით 60 ათასი ქართველი ცხოვრობს. მათი უმეტესობა აჭარელ, ართვინელ და იმერხეველ მუჰაჯირთა შთამომავალია.

გებზეს ქართული სათვისტომო ბატონი ივერის საკონსულტაციო-მთარგმნელობითი ფირმის ოფისშია განთავსებული. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო აღმოჩნდა შეტყობა იმისა, რომ მის მთარგმნელობით-სათარჯიმანო ოფისს დასახმარებლად არა მარტო ევროპულ ენებთან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული...) დაკავშირებით მიმართავენ, არამედ ქართულთანაც.

მსგავსად სხვა სათვისტომოებისა, იქ მისულებსაც ქართული მიკროსამყარო დაგვხვდა, მასპინძლის მიერ სიყვარულით მოწყობილი პატარა საქართველო. გარდა იმისა, რომ ოფისის კედლები საქართველოს დროშით, რუკითა და სურათებითაა დამშვენებული, კარადები ქართული საკრავებითაც (დოლი, სალამური, ფანდური, აკარდეონი, ჩონგური...) და კასეტებითაცაა სავსე.

როგორც ამ შეხვედრის დროს თავადაც დავრწმუნდით, ივერი თვითონაც მშვენივრად უკრავს და მღერის ქართულ ხალხურ სიმღერებს. ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად ჩვენი მასპინძელი და მისი თანამოაზრეები აქტიურ პრაქტიკულ მზრუნველობასაც რომ იჩენენ, ამას მათ მიერ ჩამოყალიბებული ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლიც თვალნათლივ ადასტურებენ.

ჩვენებურების პრობლემებზე გულახდილი საუბრის დროს ბატონი ივერი განსაკუთრებულ გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების კულტურა ფაქტობრივად მხოლოდ სოფლური მასშტაბებით შემოიფარგლება და ქალაქური ქართული კულტურა დღესდღეობით მარტოოდენ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პროცესი ამ ბოლო დროს ქალაქებში დამკვიდრებული ჩვენებურების საგრძნობი ნაწილის ცნობიერებაშიც მიმდინარეობს, ურბანისტული გარემო მათ უმეტესობას მაინც უფრო და უფრო წყვეტს წინაპართა ადათ-ტრადიციებსა და ეროვნულ ფესვებს.

სათვისტომოების შექმნის უმთავრეს მიზნად და დანიშნულებად ბატონი ივერი პირველ ყოვლისა იმას მიიჩნევს, რომ ისინი აქტიურად უნდა აღუდგნენ წინ ასიმილაციის ამ პროცესს და ჩვენებურებმა არა მარტო მათი წინამორბედი თაობების ენა და კულტურა უნდა დაიც-

ვან და შეინარჩუნონ, არამედ თავადაც შეუწყონ ხელი წინაპართა ეროვნული ადათ-ტრადიციების შემდგომ განვითარებას.

დროის სიმცირის გამო ჩვენს გებზელ მასპინძელს მალე ვემშვიდობებით და გეზს ბურსასკენ ვიღებთ. მიუხედავად იმისა, რომ ბურსაში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს, სამწუხაროდ, ამჯერად მათთან შეხვედრის შესაძლებლობა არა გვაქვს. ერთადერთი ადგილი, სადაც ქალაქ ინეგოლში მიმავლებმა გზად უნდა გავიაროთ, თურქეთში გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე დიდი ქართველი მამულიშვილის ახმედ მელაშვილის ოჯახია.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ ორგანიზებულ და ჩვენი საზოგადოების აქტიური თანამონაწილეობით ჩატარებულ ამასწინანდელ საკონკურსო გამოკითხვაში, რომელსაც ქართველი ხალხის ყველაზე მეტად ღვაწლმოსილი შვილები უნდა გამოევლინებინა, ბევრ სხვა სახელოვან მამულიშვილთან ერთად, ხალხმა ახმედ მელაშვილიც დაასახელა.

თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ქართველთაგან თავისი აქტიური ქართული საქმიანობით გამორჩეული ეს დიდი პატრიოტი საუკუნეების მანძილზე მშობლიურ წიაღს იძულებით მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების ყველაზე წმინდა ოცნების აღსასრულებლად მებრძოლ იმ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელიც საზღვრის იქით და აქეთ დარჩენილი ქართველებისათვის ფაქტობრივად ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდის როლს ასრულებდა.

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ახმედ მელაშვილის დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ღვაწლის შეფასებისა და წარმოჩენის დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინაპართა ისტორიული სამშობლოს სიყვარულით რომანტიკულად გულანთებული ეს რაინდი კაცი არანაირ სირთულეს არ შეეპუა და თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად მარადიული ნატვრის საგნად ქცეული მემლექეთის მსახურება დაისახა.

თურქულად ოზქანის გვარით ცნობილი ახმედ მელაშვილი დაიბადა 1922 წელს ბელიქესირის ვილაიეთის გიონენ ილჩეს (ილჩე — ადმინისტრაციული ერთეული თურქეთში) სოფელ ქოჩბაირში. მისი წინაპრები ამ მხარეში ართვინის ვილაიეთის მურღულის ილჩეს სო-

ფელ არხვიდან იყვნენ გადასახლებულნი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ.

როგორც ცნობილია, სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ოსმალეთის შემადგენლობაში შემავალი ეს ქართული რეგიონი ამ ომის შედეგად, მართალია, დედასამშობლოს დაუბრუნდა, მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ საქართველოში ცხოვრებას ხსენებული რეგიონის გამაჰმადიანებული მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ოსმალეთის იმპერიის სხვა ადგილებში გადასახლება არჩია. მათ შორის ყოფილან ახმედ მელაშვილის წინაპრებიც.

ბაირამიჩის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, ახმედმა სწავლა ჯერ ბელიქესირის საშუალო სკოლაში განაგრძო, შემდეგ კი იზმირის ვაჟთა ლიცეუმში, რომელიც 1943 წელს დაასრულა. იმის გამო, რომ მის ირგვლივ მყოფ ქართველთაგან ქართული წერა-კითხვა არავინ იცოდა, ლიცეუმში სწავლის პერიოდში ახმედი და მისი მეგობრები ქართულ წერილებს ერთმანეთს ლათინური ანბანის გამოყენებით წერდნენ.

ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ახმედმა სწავლა სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში, არქიტექტურის ფაკულტეტზე, განაგრძო. სტამბოლში სწავლის პერიოდში მისი ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვა კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა და გაფართოვდა. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი პირველ ყოვლისა იმ ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ შეასრულა, რომელიც ახმედ მელაშვილმა სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურებთან დაამყარა.

ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, ა. მელაშვილი იძულებული გახდა 1946 წელს სწავლისთვის თავი დაენებებინა და შინ დაბრუნებულიყო.

1960 წელს, მატერიალური მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესების შემდეგ, მან კვლავ მიაშურა სტამბოლის უნივერსიტეტს 14 წლის წინათ შეწყვეტილი სწავლის დასასრულებლად.

ა. მელაშვილმა 1962 წელს უნივერსიტეტი დაასრულა, ბურსაში დაბრუნდა და ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოში დაიწყო მუშაობა. თანასოფლელ ფაილ ერთანთან (ხენკალაძესთან) ერთად, სოფელ ჰაირიეში მან ჩამოაყალიბა ტურიზმისა და ინფორმაციის

საზოგადოება, რომლის უმთავრესი მიზანიც ჩვენებურებში საქართველოსთან დაკავშირებული ამბების პოპულარიზაცია იყო. იქვე, 1962 წელს, მან ქართული ცეკვის ფოლკლორული ანსამბლიც შექმნა, რომელმაც იმავე წელს გამართულ ბურსას ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა. ეს წარმატება გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავსი მიღწევებისთვის ჰაირიეს ანსამბლს სხვა დროსაც არაერთგზის მიუღწევია.

1967 წელს ა. მელაშვილი ტურიზმისა და ინფორმაციის სამინისტროს ტურისტული პროფესიული ორგანიზაციის რეგიონულ ხელმძღვანელად დაინიშნა, 1969 წელს ბურსას სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრი გახდა, 1973 წელს — რესპუბლიკურ სახალხო პარტიაში შევიდა, 1978 წელს კი სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის არქიტექტურის ისტორიისა და რესტავრაციის ინსტიტუტის წევრად აირჩიეს.

1955 წელს ა. მელაშვილმა ცოლად შეირთო იუქსელა ერგუნზე (ჯინჭარაძე), რომელთანაც ორი შვილი შეეძინა — 1956 წელს ვაჟი იბერია და 1957 წელს - თამარი. შვილებისათვის ამ სახელების დარქმევით ახმედ მელაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ისტორიული სამშობლოსადმი დაუცხრომელი სიყვარული მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის მიმართულების მიმცემ უმთავრეს ძალად იყო დამკვიდრებული და მხოლოდ ემოციური აღტკინების შედეგს არ წარმოადგენდა.

მართალია, ქართული საქმეების კეთებით ახმედ მელაშვილი მანამდეც აქტიურად იყო დაინტერესებული, მაგრამ მისმა ეროვნულმა მოღვაწეობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მაინც უნივერსიტეტის დამთავრებისა და ბურსაში დამკვიდრების შემდეგ შეიძინა.

ამ დროიდან მოყოლებული, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნად ჯერ კიდევ საბჭოური რეჟიმით საგულდაგულოდ დაგმანულ საქართველოსთან თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების დამაკავშირებელ გზათა ძიება იქცა. ა. მელაშვილის ღვაწლი და დამსახურება ამ მიმართულებით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველები მას თავიანთ ილია ჭავჭავაძესაც კი უწოდებენ.

1962 წელს, ა. მელაშვილის აქტიური ძალისხმევითა და უშუალო ხელმძღვანელობით, ბურსას ვილაიეთში შემავალ სოფელ ჰაირიეში დაარსდა და წლების განმავლობაში წარმატებით ეწეოდა დიდ შემოქმედებით საქმიანობას ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

განსაკუთრებით დიდი აღიარება მოუტანა ახმედ მელაშვილს ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაწერილმა და 1968 წელს თურქულ ენაზე გამოცემულმა წიგნმა „გურჯისტანი", რომლის დაწერისა და დაბეჭდვისათვის მას პოლიტიკური ბრალდებები წაუყენეს და დააპატიმრეს. კერძოდ, ხსენებული ავტორს ბრალი ედებოდა როგორც ისლამისა და თურქი ხალხის უპატივცემულობაში, ისე კომუნისტური იდეების პროპაგანდაში.

საბედნიეროდ, ორთვიანი პატიმრობის შემდეგ, სასამართლომ ა. მელაშვილი უდანაშაულოდ ცნო, ციხიდან გაათავისუფლა და წიგნის გავრცელების უფლება მისცა.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ა. მელაშვილის ხსენებული წიგნის გამოცემით თურქეთში მცხოვრები ქართველების ისტორიაში ფაქტობრივად ეროვნული ცნობიერების აღმავლობის ახალი, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. პირველ ყოვლისა სწორედ ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ქართველს შორის ა. მელაშვილი ფაქტობრივად პირველი იყო, ვინც თავისი ისტორიული სამშობლოს შესახებ წიგნი დაწერა და მის თანამემამულეებს საშუალება მისცა უფრო ნათელი წარმოდგენა შექმნოდათ საკუთარ ეროვნულ ფესვებსა და წარმომავლობაზე.

ა. მელაშვილის მამულიშვილურ მოღვაწეობას ფართო მასშტაბებს ის ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობებიც სძენდა, რომლებიც მას უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ჰქონდა დამყარებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის სიახლოვე, რომელიც ახმედს საფრანგეთში მოღვაწე ქართველებთან აკავშირებდა.

ა. მელაშვილის ეროვნული ღვაწლის წარმოჩენისა და შეფასების დროს, ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რომელიც მას ქალაქ ინეგოლში კავკასიელ ხალხთა კულტურისა და

ფოლკლორის საზოგადოების შექმნისა და ფუნქციონირების საქმეში მიუძღვის.

ა. მელაშვილის ამგვარი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობა თურქეთის ხელისუფლების გარკვეული ნაწილის აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს მასზე ბოლო ხანს საიდუმლო მეთვალყურეობაც ჰქონდა დაწესებული. რაც დრო გადიოდა, ეს მეთვალყურეობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ფარული ზედამხედველობის ფარგლებს ცილდებოდა.

მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, ა. მელაშვილს თავის ქართულ მოღვაწეობაზე ხელი არც ამის შემდეგ აუღია და კვლავაც აქტიურად განაგრძობდა ქართულ საქმეთა კეთებას.

ცხოვრების ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მისი ამ საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებად ქართული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშების თურქულად თარგმნა და გამოცემა იქცა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ა. მელაშვილი განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად თარგმნაზე. სამწუხაროდ, ტრაგიკული სიკვდილის გამო, მას თავისი ამ ყველაზე დიდი შემოქმედებითი ოცნების ბოლომდე ხორცშესხმა — პოემის თარგმნის დასრულება და წიგნად გამოცემა - განუხორციელებელი დარჩა.

ა. მელაშვილის ეროვნული მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდად თურქეთის ისტორიაში პირველი ქართული ჟურნალის — „ჩვენებურის“ გამოცემაც იქცა. მისი ხელმძღვანელობით დაარსებული ამ ჟურნალის პირველი ნომერი შენვერ აქინმა (თევზაძემ) 1977 წელს შვედეთში დასტამბა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი თურქულენოვან გამოცემას წარმოადგენდა, მისი როლი თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში მაინც უაღრესად მნიშვნელოვანია.

ა. მელაშვილს ასევე ბევრი რამ აქვს გაკეთებული თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესაგროვებლადაც. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენებურებს არაქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში თითქმის ოთხსაუკუნოვანი ცხოვრების გამო ქართულ ენაზე ფაქტობრივად არაფერი შეუქმნიათ და დაუწერიათ, მათი ფოლკლორული შემოქმედება, რო-

გორც ეროვნული სულისა და ცნობიერების სიტყვიერი გამოხატვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ა. მელაშვილის უშუალო ინიციატივითა და ორგანიზებით გაკეთებულ ქართულ საქმეთაგან ასევე უნდა აღინიშნოს ინეგოლის რაიონის ქართულ სოფელ ჰაირიეში კულტურის ორსართულიანი სასახლის აგებაც. ეს სასახლე ჩვენებურებისგან მიღებული ფულადი შეწირულობებით აშენდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევი სიკვდილის გამო პირადად მან ქართული კულტურის ცენტრად ჩაფიქრებული ამ სასახლის მშენებლობის დასრულება ვერ მოასწრო, მისი ვაჟისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა აქტიური ძალისხმევის შედეგად, ა. მელაშვილის ამ ოცნებამ ფრთები მაინც შეისხა.

საქართველოს ა. მელაშვილი მხოლოდ ორჯერ სტუმრობდა — პირველად 1977 წელს, მეორედ კი 1978 წელს. იმ მრავალრიცხოვანი შეხვედრებიდან, ისტორიულ სამშობლოში მეუღლესთან ერთად ჩამოსულ საპატიო სტუმარს რომ მოუწყვეს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან შეხვედრას მოუხდენია. აი, რას წერს ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ლია ჩლაიძე: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების მეორე დღეს სა-პატრიარქოში იყო მიწვეული. ძალიან ღელავდა. „მე მაჰმადიანი რომ ვარ, არაფერია? — კითხულობდა წამდაუწუმ და თავადვე პასუხობდა: „მერე რა, მაინც ქართველი ხომ ვარო.“ როცა უწმინდესმა ჩვეული სითბოთი მიიღო, მოეფერა, დაძაბულობამ გაუარა და ცრემლები ვეღარ შეიკავა.“

სამწუხაროდ, ა. მელაშვილის აქტიური ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა ნაადრევად, 58 წლის ასაკში, შეწყდა; შეწყდა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ უზღვავი ენერგიით შემართულსა და დიდმნიშვნელოვანი იდეებით გულანთებულს თავისი სათაყვანებელი ქვეყნისათვის კიდევ ბევრი რამის გაკეთება ჰქონდა მიზნად დასახული. 1980 წლის 5 ივლისს დიდი ქართველი მამულიშვილის საქმიანობით გაბოროტებულმა ექსტრემისტმა ნაციონალისტებმა იგი ქალაქ ბურსაში ბარბაროსულად გამოასალმეს სიცოცხლეს, მისი ვაჟი იბერია კი მძიმედ დაჭრეს.

მათი დიდი თანამედროვის ბარბაროსული მკვლელობით აღშფო-

თებულმა და გულნატკენმა ჩვენებურებმა და თურქეთში მცხოვრებმა კავკასიელ ხალხთა სხვადასხვა წარმომადგენლებმა ღირსეული პატივი მიაგეს მის ხსოვნას. კერძოდ, ა. მელაშვილს ქართველებთან ერთად ცხარე ცრემლებით დასტიროდნენ აფხაზებიც, ჩერქეზებიც, ქურთებიც... გლოვობდნენ თავად თურქებიც...

ტრაგიკულად დაღუპულ დიდ მამულიშვილს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებია ქართველი ემიგრანტებიც გამოეთხოვენ გულისტკივილით. რაც შეეხება საქართველოს, აქედან ჩვენი დიდი თანამედროვის დაღუპვას პირველი პოეტი ფრიდონ ხალვაში გამოეხმაურა ამ ტრაგიკული მოვლენიდან სულ რამდენიმე დღეში დაწერილი ლექსით. ფ. ხალვაშის შეფასებით, ა. მელაშვილი ის მამულიშვილი იყო, რომელმაც „სადაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველა, იქ მან მამულის სიყვარული აგო ტაძრებად, იქ ცივი ფერფლიც სულის ბერვით გამოაღვიძა,.. რათა ძმებს დედო-მემლექეთი არ დავიწყნოდათ."

ახმედის ლაზმა მეგობარმა ჯენგიზ ერუზუნმა კი მის ეროვნულ ღვაწლს ასეთი შეფასება მისცა: „მან მიწას გართხმული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ასწია, აგვამაღლა, ჩვენც ავყევით, მაგრამ ვერკი გავუტოლდით."

მკვლელობიდან მეორე დღეს ა. მელაშვილი პაირიეში მიაბარეს მიწას.

საბედნიეროდ, ახმედ მელაშვილის მიერ ჩვენებურთა გულებში გაღვივებული ეროვნული ცეცხლი მისი სიკვდილით არა თუ არ მინავლულა, არამედ, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტად ღვივდება და ძლიერდება. როგორც ჟურნალ „ჩვენებურის" განახლებული გამოცემის 1993 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილშია აღნიშნული, „ბატონი ოზქანის მიერ დაწყებული ზნეობრივი შუქით გაბრწყინებული საქმენი ახლაც გრძელდება" და „ლეგენდების წმინდანებივით უმწიკვლო და სიყვარულით მკერდსავსე" ამ დიდი მამულიშვილის უწმინდესი სახელი „მანამ იკაშკაშებს მზესავით, სანამ ამქვეყნად კავკასიელი ხალხები იქნებიან და სანამ ქართული ენა იარსებებს."

ახმედ მელაშვილის მეუღლე — იუქსელა და ქალიშვილი — თამარი ამჟამად ბურსაში ცხოვრობენ, ვაჟი — იბერია კი, როგორც უკვე ით-

ქვა, სტამბოლში. წინასწარი შეთანხმებისამებრ, ქალბატონ იუქსელას (მისი ქალიშვილობის გვარი ჯინჭარაძეა) მის ბინაში ვხვდებით. იბერიამ უკვე გვთხოვა, რომ მეუღლის მკვლელობასთან დაკავშირებით მასთან საუბარს მოვრიდებოდით, რადგან ამ ამბავს ძალიან განიცდის და ცუდად ხდებაო.

ჩვენს საუბარს მალე თამარიცა და მისი ქალიშვილი — დილაც შემოუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ ახმედის ტრაგიკული დაღუპვიდან უკვე 29 წელიწადია გასული, ქალბატონი იუქსელა მეუღლეზე უცრემლოდ დღესაც ვერ საუბრობს. როგორც თავად ამბობს, იმის გამო, რომ ქართულად დამლაპარაკებელი აღარავინ ჰყავს, მშობლიურ ენაზე ძველებურად საუბარი უჭირს. თამარი, მართალია, ქართულად ვეღარ ლაპარაკობს, მაგრამ გაგებით ყველაფერს გებულობს. რაც შეეხება დილას, მან ქართული თითქმის საერთოდ აღარ იცის.

ეს ყველაფერი უაღრესად საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ ნათლად ავლენს ჩვენებურებში მშობლიური ენის ფლობის თვალსაზრისით თაობების მიხედვით საზოგადოდ არსებულ სამწუხარო ტენდენციას.

ძალიან გულსატკენია, რომ ამ მოვლენას ვერც ახმედ მელაშვილის ოჯახი აცდა. რაც შეეხებათ იბერიასა და მისი ოჯახის წევრებს, წინაპართა ენის ცოდნის თვალსაზრისით აქ მდგომარეობა უკეთესადაა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მელაშვილების ბინაში კვლავაც ძველებურად გიზგიზებს ახმედის მიერ დანთებული ქართული ცეცხლი. სათუთად მოვლილ მის კაბინეტში თვალშისაცემად მიკროქართული გარემოა შენარჩუნებული — კედლებზე ახმედის ფოტოები და საქართველოს ამსახველი სურათებია გაკრული, კარადა კი ქართული წიგნებითაა სავსე. აქვეა ახმედის ცნობილი წიგნიც — „გურჯისტანი.“

ქალბატონი იუქსელა ცრემლიანი სიტყვებით გვესაუბრება მისი მეუღლის საქმიანობის შესახებ:

— ძალიან რთულ პერიოდში უხდებოდა იმ საქმის კეთება, რასაც შეეწირა კიდეც. მაშინ იმის გამხელაც კი იყო საშიში, ქართველი რომ იყავი. ქართულად დალაპარაკებასაც ძნელად თუ გაბედავდა ვინმე! საქართველოსთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება ხომ ფაქტობ-

რივად ყოვლად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. ოთარ გიგინეიშვილი თურქეთში რომ ჩამოვიდოდა, ტელეფონზეც კი ვერ დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ამ ამბავს მხოლოდ შორიდან ვიგებდით, სხვების მეშვეობით შეგვეხმიანებოდა ძალზე საიდუმლოდ. ამისდა მიუხედავად, უკან მაინც არასოდეს დაუხევია და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, ჩვენებურებს თავიანთი ეროვნული წარმომავლობა რომ ხსომებოდათ. ყველას მუდამ იმას ეუბნებოდა, არასოდეს დაივიწყოთ, ქართველები რომ ხართო. საბედნიეროდ, დღეს სულ სხვა მდგომარეობაა და ჩვენი ქართველობის გამო უკვე აღარავინ გვსჯის. მიხარია, რომ ეს ყველაფერი ახმედის დიდი ღვაწლის შედეგიცაა. რა ბედნიერი იქნებოდა, ამ დღეს რომ მოსწრებოდა! რამდენ სასიკეთო საქმეს გაუკეთებდა ჩვენებურებს!

ბურსაში, ახმედ მელაშვილის ოჯახში, მის დიდ ეროვნულ მოღვაწეობაზე დაწყებულ ამ საუბარს მეორე დღეს ქართველებით დასახლებულ სოფელ ჰაირიეში განვაგრძობთ, სადაც მელაშვილია დასაფლავებული. ეს სოფელი 1870 წელს დაუარსებია ჰაჯი მეჰმედ სტეკს, რომელიც აჭარელი მუჰაჯირი ყოფილა. სოფელში ფაქტობრივად მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ: გოგიტიძეები, ხინიკაძეები, ბასილაძეები, კახიძეები, ფუტკარაძეები, ჭელიშვილები, გორგილაძეები, გურგენიძეები, ქოქოლაძეები, კირკიტაძეები, მალაყმაძეები, გორაძეები..., _ ძირითადად აჭარელ და მაჭახელელ მუჰაჯირთა შთამომავალნი და ამჟამად თურქულ ყაიდაზე გვარებგადაკეთებულნი (სამწუხაროდ, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წინაპართა ქართული გვარები აღარ ახსოვს). სოფლის კულტურის სახლში, სპეციალურად მოწყობილ დაფაზე, სოფლის დამაარსებლისა და გამგებლების სურათებია გამოფენილი. როგორც გვეუბნებიან, ყველა მათგანი ქართველი იყო.

სამწუხაროდ, როგორც ჰაირიეში სტუმრობის შედეგად დავრწმუნდით, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აქაურების გულში ახმედ მელაშვილის მიერ დანთებული და აგიზგიზებული ქართული ცეცხლი დღეს რამდენადმე მიმცხრალ-მინავლებულია. ეს გარემოება იმანაც განაპირობა არსებითად, რომ სოფელი თანდათანობით იცლება მოსახლეობისაგან _ ნაწილი ქალაქებში გადასახლდა, ნაწილი კი უცხოეთშია (ძირითადად გერმანიაში) გახიზნული.

საფლავზე მისულები უღრმესი შინაგანი მღელვარებით ვკითხულობთ მემორიალურ დაფაზე ამოტვიფრულ სიტყვებს — „მე უკვდავებისთვის კი არა ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე! ახმედ ოზქან მელაშვილი. 1922-05.07.1980.“ ფაქტობრივად, ეს იყო შენობის გარეთ არსებული ერთადერთი ქართული წარწერა, რომელიც ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პერიოდში ვნახეთ მთელ თურქეთში.

* * *

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის ბოლო ორი სამუშაო დღე ინეგოლელ ქართველებთან შეხვედრებს დაეთმო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ინეგოლის ქართული სათვისტომო მთელ თურქეთში ფაქტობრივად ყველაზე ძველიცაა (შეიქმნა 1977 წელს) და ყველაზე აქტიურიც, ეს შეხვედრები, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდნენ.

ინეგოლელ ქართველთა თავკაცი მამია დუმბაძე (მეჰმედ ნური თაია) მობილური ტელეფონით გზაში ხშირად გვეხმიანება და ჩვენი მგზავრობის ამბავს კითხულობს. როგორც ამ შეხმიანებებით ვრწმუნდებით, იქაურები გამორჩეული მღელვარებით ელოდებიან ჩვენს სტუმრობას.

ქალაქის მერიასთან მისულებს ფაქტობრივად სათვისტომოს მთელი ხელმძღვანელობა შეგვეგება. მათ შორის არიან ბატონ მამიას მოადგილე გიორგი ხაზინადარი, თბილისში უმაღლეს საინჟინრო განათლება მიღებული ჩვენებური ნოდარ ქავჟარაძე, ინეგოლის საკრებულოს წევრი და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

პირველი ოფიციალური შეხვედრა მისვლისთანავე მოგვიწყვეს ქალაქის მერიაში. იმის გამო, რომ ინეგოლის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ქართველია (ქალაქში დღესდღეობით 168 ათასი კაცი ცხოვრობს, შემოგარენიანად — 250 ათასი), ხელმძღვანელ პირთა დიდი ნაწილი ქართველია. კერძოდ, ქართველები არიან ქალაქის მერი ალეკო ქოქოლაძე, მისი მოადგილე იუსუფ აბულაძე, საკრებულოს წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი... ასე რომ, ჩვენი ინეგოლელი თანამემამულეების ნათქვამს თუ გავიმეორებთ, ქართველები ფაქტობრივად იქაურობის სრულ ბატონ-პატრონებს წარმოადგენენ,

რის გამოც თურმე ხშირად ეხუმრებიან კიდეც მათ თურქ თანამემამულეებს:

— ჩვენ რომ არ გყოლოდით, რა გეშველებოდათო!

გარდა ინეგოლისა, ქართველები მის შემოგარენში მდებარე სოფლებშიც საკმაოდ მრავლად ცხოვრობენ. კერძოდ, რეგიონის 16 სოფელი მხოლოდ ქართველებით ყოფილა დასახლებული.

ქალაქის მერიიდან ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დასათვალიერებლად მივდივართ. ძველი ექსპონანტებით მდიდარი ეს ახლადგახსნილი მუზეუმი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმ თვალსაზრისითაც გამოდგა, რომ იქ ქართული ნაკვალევიც საკმაოდ მრავლად გვხვდება. კერძოდ, მუზეუმში გამოფენილ საყოფაცხოვრებო ნივთებს შორის აჭარელ მუჰაჯირთა მიერ აქ ჩამოტანილი ნივთებიც გვხვდება ხოლმე (მაგალითად, საჩეჩელი, კაბა, ქართული ხანჯალი, სკივრი...). ჩვენდა გასახარად, მუზეუმის დარბაზებში ამ ნივთებს ქვემოთ მათი წარმომავლობის ადგილიც აქვს მიწერილი.

აქვე უსათუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუზეუმის დარბაზებში წარმოდგენილ ისტორიულ პირთა შორის იქაური ქართველების ფოტოსურათებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება (მაგალითად, ქალაქის ყოფილი მერების: ჯემალ ცეცხლაძისა და აქრიდ შაინიძისა). ერთ-ერთი მათგანი ბატონ მამია დუმბაძის ბაბუაა. იგი 1878 წელს, 12 წლისა, ჩამოსულა ინეგოლში და თავი იმით უსახელებია, რომ თურქეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად 17 წელი უბრძოლია ათა თურქის არმიაში.

მუზეუმიდან სათვისტომოში მივემართებით — ინეგოლელთა ამ პატარა საქართველოში, სადაც უამრავი ჩვენებური გველოდება. სათვისტომოს საკმაოდ დიდი და კეთილმოწყობილი შენობა ქალაქის ცენტრში, შუაგულ ბაღში, მდებარეობს. როგორც მისი დათვალიერებისა და იქ არსებული შთაბეჭდილებების წიგნიდან ვგებულობთ, სათვისტომოს ძალზე ხშირად ჰყავს სტუმრები საქართველოდან. მათ შორის ისეთი ცნობილი პიროვნებანიც არიან, როგორიც ბატონი ანზორ ერქომაიშვილია.

ჯერ ბატონ მამიას კაბინეტში, შემდეგ კი სათვისტომოს ბაღნარ ეზოში ჩვენებურებთან ერთად შეკრებილნი, დიდხანს ვსაუბრობთ მათი საქმიანობის შესახებ. ამ საქმიანობის ერთ-ერთი ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის სწავლება აქაურებისთვის. ამ საქმის მაღალ დონეზე მოსანესრიგებლად ინეგოლელები საქართველოდანაც ხშირად იწვევენ ხოლმე სპეციალისტებს, რომლებიც მათ ხალხურ ცეკვებთან და სიმღერებთან ერთად წინაპართა ენასაც ასწავლიან.

ერთ-ერთი მათგანი — ბათუმელი ქორეოგრაფი სიმონ ფუტკარაძე — ჩვენც გავიცანით. იგი უკვე თითქმის მთელი წელიწადია ასწავლის აქაურებს ქართულ ცეკვას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო იმის შეტყობაც იყო, რომ მის მოსწავლეთა შორის ახალგაზრდებთან და ზრდასრულ ადამიანებთან ერთად ბავშვებიც საკმაოდ მრავლად არიან.

სწორედ ამგვარი მიზანმიმართული და სისტემატური შრომის შედეგია ის ფაქტი, რომ ინეგოლის ქართული ხალხური ანსამბლი საკმაოდ დიდი წარმატებით გამოდის ხოლმე თურქეთში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალებზე.

ინეგოლელი ქართველები ემოციური აღტკინებით საუბრობენ საქართველოსადმი თავიანთ დიდ სიყვარულზე. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამ გვითხრა:

— მემლექეთში თქვენ რომ დაახველებთ, აქ ჩვენც ვხდებით ავადო!

თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი ამგვარი სიყვარულის გრძნობა მათ პირველ ყოვლისა თავიანთი წინამორბედი თაობებისაგან გადაეცათ გენეტიკურად. მიუხედავად მშობლიური ფუძეებიდან იძულებითი აყრისა და აქ გადმოხვეწისა, მათ ცნობიერებას დღემდე შემორჩა საქართველოსთან სისხლხორცეულად დაკავშირებულ მოგონებათა წარუშლელი ხსოვნა.

მაგალითად, ბატონი მამიას თქმით, ბებიამისი თურმე კეცებზე მჭადს რომ დააკრავდა, ზედ ჯვარსაც დაუსვამდა ხოლმე აუცილებლად.

— მაშინ აბა როგორ ვიფიქრებდით, თუ მჭადის იოლად გასატეხად მიჩნეული ეს თითქოსდა უბრალო ყოფითი ტრადიცია ჩვენი წინაპრების ქრისტიანული რწმენის ანარეკლს წარმოადგენდაო, — ბრძანა ბატონმა მამიამ.

მიუხედავად საქართველოსადმი ამგვარი დაუცხრომელი სიყვარულისა, ჩვენებურებს ის გარემოებაც კარგად აქვთ გაცნობიერებუ-

ლი, ეროვნული იდენტობის შენარჩუნება გლობალიზაციის ეპოქაში მეტად რთულ საქმეს რომ წარმოადგენს. მკაცრი ცხოვრებისეული რეალობით განპირობებულ ამ სამწუხარო ჭეშმარიტებას თურქეთში მშობლიური ენის ფლობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ეს დინამიკაც ნათლად ადასტურებს:

თუ ადრე ჩვენებურების უდიდესი ნაწილისათვის უმთავრეს საკომუნიკაციო საშუალებას ქართული ენა წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში ამ ენის რეალურად გამოყენების არეალი იმდენად შემცირდა, რომ დღეს მათმა დიდმა ნაწილმა ქართული უკვე ან საერთოდ აღარ იცის, ანდა ძალზე ცუდად. ეს სამწუხარო ტენდენცია განსაკუთრებით ფართო მასშტაბების მომცველ მოვლენად მას შემდეგ იქცა, რაც ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი ქალაქურ გარემოში დამკვიდრდა.

ასე რომ, თუ ადრე ქართულ მიკროგარემოში მცხოვრებ ჩვენებურთაგან ზოგიერთი ისეც კი განლევდა თავის წუთისოფელს, რომ თურქული საერთოდ არ იცოდა, დღევანდელი ახალგაზრდებისა და ბავშვების უმეტესობა წინაპართა ენაზე უკვე საერთოდ ვეღარ საუბრობს.

გარდა ქართველებისა, ინეგოლსა და მის შემოგარენში კავკასიელ და ბალკანელ ხალხთა წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. მათ შორის ყოფილან აფხაზებიც (დაახლოებით 2 000-მდე კაცი). განსხვავებით საქართველოსაგან, სადაც რუსეთის მიერ ინსპირირებული საომარი კონფლიქტის გამო ქართველები და აფხაზები უმწვავესად არიან დაპირისპირებულნი, ინეგოლში, ისევე როგორც მთელს თურქეთში, ეს დაპირისპირება ნაკლებად იგრძნობა და იქაურ ქართველებსა და აფხაზებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონიათ ერთმანეთთან.

როგორც ინეგოლელი ქართველები ამბობენ, საქართველოსადმი მათი სიყვარული მხოლოდ წინამორბედი თაობებისაგან მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკური გრძნობა კი არ არის, არამედ დიდი მემლექეთის დღევანდელ წარმომადგენლებთან ურთიერთობებითაცაა განმტკიცებული. ნათქვამის დასტურად აქ ბატონი მამიას შემდეგი მონათხრობი მინდა გავიხსენო:

ამ 17 წლის წინათ, ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის მძვინვარების პერიოდში, ქუთაისში მათ ქალაქთან დაძმობილებულ რუსთავში

სტუმრად მიმავალ ხუთ ინეგოლელს გამოუვლია. სტუმრებს მოსაღამოვებულზე დასანაყრებლად რესტორნის ძებნა დაუწყიათ, მაგრამ იმჟამინდელი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა და ქვეყანაში არსებული არასტაბილური ვითარების გამო ყველაფერი დაკეტილი დახვედრიათ. შიმშილით შეწუხებულები ერთ-ერთ ოჯახს მიდგომიან და მასპინძლისთვის სასურველი ადგილის მიგნებაში დახმარება უთხოვიათ. მასპინძელს, რომელსაც ქალიშვილის დაბადების დღე ჰქონია, სტუმრების ამბავი რომ შეუტყვია, შინ მიუწვევია, თან გადაყოლია და მხოლოდ მეორე დღეს გაუცილებია რუსთაველში. ერთადერთი რამ, რასაც ამ რომანტიკული ამბიდან ბატონი მამია გულისტკივილით იხსენებდა, მხოლოდღა ის იყო, რომ მასპინძლის სახელი აღარ ახსოვდა და ჩვენ გვთხოვა, იქნებ მისი მისამართის მიგნებაში დაგვეხმაროთო.

მეორე დღეს, ინეგოლის რამდენიმე ქართული სოფლის მოვლის შემდეგ, ქართულ სათვისტომოში კიდევ ერთხელ შევხვდით იქაურ ჩვენებურებს და მღელვარე შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, ანკარის გავლით, საქართველოსკენ გამოვემართეთ. მთავარ გზამდე გამოყოლილ ჩვენს მასპინძლებს გულმხურვალედ გამომშვიდობებულნი ნათლად ვგრძნობდით, რომ ფიზიკური განშორების მიუხედავად, ისინიცა და მათი მემკვიდრეებიც მუდმივად ივლიან თურქეთიდან საქართველოსკენ მომავალი ამ მარადიული გზით და ყველაზე ძვირფასი ოცნების ქვეყნად ქცეულ დიდ მემლექეთთან სისხლხორცეულ კავშირს არასოდეს გაწყვეტენ.

წარსულიდან აწმყოში დაბრუნება

ჩვენებურებთან გატარებული ათი მღელვარე დღის შემდეგ გეზს სამშობლოსკენ ვიღებთ, მაგრამ ვიდრე ჩვენი ცხოვრების ამ ემოციური სიზმრებიდან საბოლოოდ გამოვერკვეოდეთ და კვლავ დავუბრუნდებოდეთ ქართული ყოფის ყოველდღიურ რეალობას, რამდენადაც მკაცრად განსაზღვრული მგზავრობის დრო ამის შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენი ხალხის დიდი ისტორიის ნაკვალევზეც უნდა გავიაროთ.

ანკარიდან წამოსულები ამ მიზნით პირველად კაპადოკიაში (ძველსპარსულად თეთრი ცხენების ქვეყანას ნიშნავს) ვჩერდებით რამდენიმე საათით. დედამიწის მერვე საოცრებად სახელდებული ამ ზღაპრული მხარის სრულყოფილად დასათვალიერებლად არა თუ რამდენიმე საათი, არამედ თვეებიც კი არ იქნება საკმარისი, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, დროში იმდენად შეზღუდულები ვართ, მეტხანს გაჩერება აღარ შეგვიძლია.

საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებლის — ნინო კაპადოკიელისა და ჩვენი ხალხის მფარველ წმინდანად მიჩნეული დიდმოწამე გიორგის ეს მშობლიური მხარე ყოველი ქართველისთვის განსაკუთრებით სათაყვანებელია, ჩვენი მექა და სალოცავი ადგილი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეფასებით, „კაპადოკია ეს არის საოცრება. რომ წარმოვიდგინოთ ვარძია ან დავით გარეჯის მონასტერი, ეს არის ათასი ვარძია ან თუნდაც ნახევარი საქართველო... ეს ის გამოქვაბულებია, სადაც ასიათასობით ბერი და მონაზონი მოღვაწეობდა... ეს საოცრებაა. მსოფლიოში ერთადერთი ადგილია ასეთი.“

ამ ზღაპრული მხარისადმი ქართველთა სიყვარულს არა მარტო ის ფაქტი განამტკიცებს, გარდა ზემოთ ხსენებული წმინდანებისა, იგი ქრისტიანული სარწმუნოებისთვის თავგანწირული ბევრი სხვა წმინდანის სამშობლოც რომ არის (მაგალითად, წნინდა ბასილი დიდისა, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, წმინდა გრიგოლ ნოსელისა...), არამედ ჩვენში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ „კაპადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ.“ ილია ჭავჭავაძის აზრით, „ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებსა და მთებს, სადაც კაპადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ.“ მაგალითად: თიანეთი, თავია, ორგუბე, ჭიჭაკის მთა, ქუთაია, ენგური, ქიზიყი, ონი, ატენი, თეძამი („ქვათა ღაღადი“).

გარდა დასახელებული ტოპონიმებისა, თურქოლოგი ზ. ბატიაშვილი ხსენებულ რეგიონში არსებულ სხვა ქართულენოვან სახელწოდებებსაც ასახელებს. მაგალითად: ხაშური, ლარი, კახთა, თუთი, დოლი, სამსათი, წუკატი, ნაზრახული, თუთბა, ფაზართა, გორჯი...

სამწუხაროდ, ერთ დროს ქართული და მათი მონათესავე ტომებით დასახლებული ამ ადგილებიდან დღეს თითქმის მთლიანად გამქრალა ქართული ნაკვალევი და მათი ნამცვრევები ფაქტობრივად მხოლოდღა ამ ტოპონიმებს შემორჩენიათ ბუნდოვნად.

როგორც ამბობენ, კაპადოკიაზე მეტნაკლებად სრულყოფილი ნარმოდგენა რომ შეგექმნეს, იგი ერთდროულად სამი მხრიდან უნდა დაათვალიერო — მიწიდან, ზეციდან და მიწისქვეშეთიდან. გარდა მიწის ზემოთ ხილული სასწაულებისა, ეს ზღაპრული მხარე მნახველის განცვიფრებას მიწის ქვემოთ არსებული მრავალსართულიანი სახლებითაც იწვევს (მათგან ყველაზე დიდი რვასართულიანი ნაგებობაა). ერთმანეთთან მრავალკილომეტრიანი გვირაბებით დაკავშირებული ამ მიწისქვეშა ქალაქების მშენებლობის საიდუმლო მეცნიერებისათვის დღემდე ამოუხსნელია და ბურუსით მოცული.

ამ საოცრებათა გრძნეულ სამყაროში მოხვედრილები გაოგნებულები ვათვალიერებთ უკიდეგანო სივრცეზე გადაჭიმულ არამიწიერ სილამაზეს და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს დედამიწაზე კი არა რომელიღაც უცხო კონტინენტზე ვიყოთ მოხვედრილები.

ნაირგვარი ხეობებით დასერილი კლდოვანი პანორამა, რომელიც ბუნების გრძნეული ხელით გამოქანდაკებული ზღაპრული ქანდაკებებითაა სავსე, ზოგან ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს სივრცეში ცხენების გაქცეული რემა იყოს მყისიერად გაქვავებული. ტყედ წამომართულ კლდოვან სვეტებს ათასნაირი ფორმა აქვთ მიღებული — ზოგან გეგონება, ზღვის ნაპირას დასასვენებლად გამოსულ სელაპებს ჩასძინებიათო; ზოგიერთები მიწის ზემოდან თავდაღმა დამხობილ ქვევრებს გვანან, ზოგიერთები კი პირამიდების თვალგაუწვდენელ ტყეს...

ეს ადგილები მნახველის ფანტაზიას ამგვარი წარმოსახვებისთვის შეუზღუდველ იმპულსს რომ სძენენ, იმ მრავალგვარი პოეტური სახელებითაც კარგად ჩანს, რომლებიც აქაურ ადგილებს აქვთ ხოლმე ხშირად შერქმეული. მაგალითად, ნამონასტრალებით სავსე ერთ-ერთი ხეობისათვის, რომელსაც იქედან ბერების წასვლის შემდეგ მტრედები დაპატრონებიან, მტრედების ხეობა დაურქმევიათ; მეორისათვის — ნაპოლეონის ქუდი, მესამისათვის — ჩიტები კოცნიან ერთმანეთს და ა. შ.

თუმცა საკმაოდ ხანგრძლივი და დამღლელი, მაგრამ ინტერესის დაუცხრომლად გამმძაფრებელი ჩვენი დიდი მოგზაურობის შემდეგი ღრმად შთამბეჭდავი ეპიზოდი იმიერტაოს ცენტრში, მდინარე ოლთისისწყლის (თურქულად ოლთუჩაის) ნაპირზე, მდებარე ციხე-ქალაქ ოლთისს (თურქულად ოლთუს) უკავშირდება. ადრინდელ შუა საუკუნეებში იგი იმდენად მნიშვნელოვან ადგილსაც კი წარმოადგენდა, რომ ქართველ მეფეებს იქ საკუთარი რეზიდენციაც ჰქონიათ მოწყობილი.

XI საუკუნეში ოლთისი ბიზანტიელებმა მიიტაცეს, თუმცა გიორგი პირველმა და დავით აღმაშენებელმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვლავ მოახერხეს მისი გამოხსნა და ქართული სახელმწიფოსთვის დაქვემდებარება. XII-XV საუკუნეებში ოლთისი არაერთხელ ქცეულა საომარი აგრესიის ობიექტად და იგი ხან ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა, ხან თურქეთისა, ხან კი ბიზანტიისა. საბოლოოდ, XVI საუკუნიდან, ოლთისს უკვე თურქული სახელმწიფო დაეპატრონა.

ოლთუში ღამით მივედით და ქალაქზე პირველი შთაბეჭდილებაც სწორედ ოლთისის ციხით შეგვექმნა. მაღალკლდოვან მთაზე წამომართული და თურქული დროშით დამშვენებული ეს გრანდიოზული ბასტიონი გაჩირაღდნებული გადმოჰყურებდა შიშველი კლდეების ტაფობში მოქცეულ ქალაქს, რომელიც იმდენად პატარაა, რომ ჩვენი სასტუმროს მესამე სართულიდან მთელი მისი პანორამა ჩანს ხელისგულივით.

ოლთისის ციხის სანახავად მეორე დღეს, დილით ადრე, მივდივართ. სამწუხაროდ, არსად, არც ციხის შესასვლელთან გაკეთებულ საცნობარო დაფაზე და არც თავად ციხის კედლებზე შემორჩენილ წარწერებში, საქართველოსთან მის რაიმე კავშირზე სიტყვაც კი არაა ნათქვამი. ოლთისის ციხე-სიმაგრეს სტრატეგიულად იმდენად მნიშვნელოვანი ადგილ-მდებარეობა აქვს, რომ მისი უბრალო დათვალიერების დროსაც კი ადვილად დარწმუნდები კაცი, სხავადასხვა სახელმწიფოები საუკუნეების განმავლობაში ასეთი გააფთრებით რატომ ეცილებოდნენ ერთმანეთს მის დასაუფლებლად.

ოლთისიდან წამოსულებმა გზად ბანას (თურქულად დღეს ფენეკი ჰქვია) სანახავადაც შევიარეთ. ტაოში, ჭოროხის ხეობაში, ოლ-

თისიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მდებარე ეს საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი, რომელიც VII საუკუნეშია აგებული, ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოში მძლავრ საეკლესიო და სახელმწიფოებრივ ცენტრს წარმოადგენდა.

კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ბანა გარკვეული დროის განმავლობაში ქართველ მეფეთა ადგილ-სამყოფელსაც წარმოადგენდა; ბაგრატ მეოთხისათვის კი სწორედ აქ უკურთხებიათ სამეფო გვირგვინი. ვახუშტის თქმით, ბანაში ყოფილან დასაფლავებული მეფე ვახტანგ მეოთხე და მისი მეუღლე.

ადარნესე მეორის დროს (881-923 წწ.) ბანა საეპისკოპოსო რეზიდენციად იქცა. X-XI საუკუნეებში იგი ქართული კულტურის, განათლებისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, ამ გრანდიოზული ტაძრიდან, რომელსაც 40 მეტრი დიამეტრის მრავალწახნაგა გარშემოწერილობა და 30 მეტრი სიმაღლის გუმბათი ჰქონდა, დღეს მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. გულსაკლავი ამ შემთხვევაში ისიცაა, რომ ტაძრის იავარქმნის ეს ტრაგიკული პროცესი ამჟამადაც გრძელდება და დღემდე შემორჩენილი თუნდაც ამ ნანგრევების გადასარჩენადაც ვინმემ სასწრაფოდ რაიმე თუ არ გააკეთა, რამდენიმე წელიწადში ამ დიდი ისტორიული ძეგლის ნაკვალევი მთლიანად აღიგვება პირისაგან მიწისა.

ბანაში სტუმრობასთან დაკავშირებით აქ ერთ ღრმად შთამბეჭდავ ამბავსაც გავიხსენებ: ტაძრის ნანგრევების დათვალიერების დროს იქ მყოფი ჩიტების გუნდს ერთი ჩიტი გამოეყო, განუშორებლად თავს დაგვტრიალებდა და ჭიკჭიკით თითქოს რაღაცას გვესაუბრებოდა. ჩვენდა გასაოცრად, ჩიტის ამდაგვარი უცნაური საქციელი ამით არ დამთავრებულა — იგი უკან გამობრუნებულებს ჩვენს მანქანასაც გამოყვა კარგა შორს მანძილზე, — თითქოს მის არსებაში ჩასახლებული ჩვენი წინაპრის სული მოგვაცილებდა წინაპართა ღვთაებრივი საუფლოდან.

ჩვენი სამეცნიერო მოგზაურობის ბოლო, დამაგვირგვინებელ, ეპიზოდად იშხნის მონასტერი იქცა. ისტორიულ ტაოში, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავი ძეგლის ისტორია VII საუკუნიდან იწყება.

მაგრამ იმდროინდელი ეკლესიის შენობა არაბებმა გადაწვეს და გაანადგურეს. IX საუკუნეში იგი გრიგოლ ხანძთელის ძმობის წევრმა საბა იშხნელმა აღადგინა და განაახლა, საბოლოოდ დასრულებული სახე კი 1032 წელს, ბაგრატ მეოთხის მეფობის პერიოდში, მიიღო.

მაღალმხატვრული ჩუქურთმებითა და ორნამენტებით დამშვენებული ეს დიდებული ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მტერმა იგი არაერთგზის ხელყო და შემუსრა, ის, რაც თუნდაც დღემდეა მოღწეული, მნახველს მაინც აოცებს და აჯადოებს თავისი გრანდიოზულობითა და გრძნეული ხელოვნებით.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იშხანმა მეტად მნიშვნელოვანი როლი იმითაც შეასრულა, რომ შუა საუკუნეებში იგი ქართული მწიგნობრობისა და განათლების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა და იქ მოღვაწე ბერების მიერ შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებები და თარგმნილი წიგნები ქართული კულტურის შენაძენად იქცა.

ასე მთავრდება თურქეთში ჩვენი 12 დღიანი სამეცნიერო ექსპედიციის ბოლო დღე. ფაქტობრივად ეს იყო უმძაფრესი ემოციებით დატვირთული მოგზაურობა ქართველი ხალხის დიდ ისტორიულ წარსულში, მოგზაურობა, რომლის დროსაც მეტად მღელვარე შეხვედრები გვქონდა ამ ისტორიის ნამსხვრევებად და უმკაცრესი ცხოვრებისეული რეალობის მსხვერპლად ქცეულ ჩვენს თანამემამულეებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ტრაგიკულ ეპოქალურ მოვლენათა გამო მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილ ჩვენებურთა შთამომავალნი, აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, არამშობლიურ გარემოში ლევენ მათ წილხვედრ წუთისოფელს, ამ მოგზაურობამ მაინც დაუეჭვებლად დაგვარწმუნა იმაში, რომ ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან კვლავაც განუყოფელად არიან შესისხლხორცებული.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს კავშირი იმდენად ძლიერია, რომ იგი მომავალში არა თუ შესუსტდება და გაწყდება, არამედ კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება და გამყარდება.

უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს გახლავთ ის ყველაზე დიდი რეალური შედეგი, რომელიც ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის უმთავრეს და უპირველეს აღმოჩენად იქცა!

2009 წ.

სტუმრად თურქ მეგობრებთან

ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ან უკვე გარდაცვლილი რექტორის, პროფ. არჩილ კოსტავას ინიციატივითა და ძალისხმევით თურქეთის რესპუბლიკის სამსუნის 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად 1998 წლის 12 ივნისს სამსუნში ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი დელეგაცია გაემგზავრა. ათკაციანი დელეგაციის შემადგენლობაში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მე, პრორექტორი ჯამბულ ბიწაძე და თურქოლოგი გია ჯანელიძე, ტექნიკური უნივერსიტეტიდან კი ბატონი არჩილი, პრორექტორი კარლო მგალობლიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი თამაზ რუსაძე, საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგე ვახტანგ გოგისვანიძე, სამსუნში ქუთაისის წარმომადგენელი ალეკო ახალაძე, ბატონ არჩილის ვაჟი და ტელეოპერატორი. შევდიოდით.

ქუთაისიდან დილით ადრე, 7 საათზე, გავემგზავრეთ მსუბუქი ავტომანქანებით. გზად მიმავლებმა ქობულეთში ჩვენი უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დარგის პრორექტორი ვახტანგ ამაღლობელი მოვინახულეთ, რომელიც ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად სანატორიუმ „საქართველოში“ ისვენებდა.

ქობულეთიდან გასულებს ბათუმის საზღვაო აკადემიის წარმომადგენლები შემოგვეგებნენ, რომელთაც გულითადად გვიმასპინძლეს და სარფამდე მიგვაცილეს. სავალდებულო სასაზღვრო შემოწმება და უკვე თურქეთში ვართ. რადგანც წინ საკმაოდ შორი გზა გვიდევს (ქუთაისიდან სამსუნამდე 750 კილომეტრია), მიუხედავად დიდი სურვილისა, რაიმეს სანახავად საგანგებოდ აღარსად ვჩერდებით, გეზს პირდაპირ სამსუნისკენ ვიღებთ და ცნობისმოყვარეობას მხოლოდ მანქანის ფანჯრიდან აღქმული გარემოს შთაბეჭდილებებით ვიკმაყოფილებთ. შთაბეჭდილებები კი საკმაოდ მძაფრია

და ემოციური. ქართველი კაცისათვის განსაკუთრებით საინტერესო ეს ადგილები, სადაც ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს, განახლებული ძალით შეგვახსენებს ისტორიული წარსულის ტრაგიკულ ეპიზოდებს.

პირველი, რაც იმთავითვე გვხვდება თვალში, გამალებული საამშენებლო საქმიანობაა. იმის გამო, რომ სარფისკარის გახსნის შემდეგ საქართველოსთან დამაკავშირებელმა ავტომაგისტრალმა დიდი საერთაშორისო ფუნქცია შეიძინა, გზის გასაფართოებლად და კეთილმოსაწყობლად გრანდიოზული სამუშაოები სრულდება — შენდება გვირაბები, ფართოვდება სავალი ნაწილი, იგება ასფალტი. ჩვენგან განსხვავებით, თურქეთის კუთვნილი შავი ზღვის სანაპირო ზოლი სარფიდან ლამის სამსუნამდე ზღვას კლდოვანი მთებით ემიჯნება. ასე რომ, ჩვენნაირ პლაჟებსა და ფართოდ გაშლილ ვაკე ადგილებს თითქმის ვერსად შეხვდებით, რაც ამ მხარეს არა მარტო საკურორტო თვალსაზრისით ხდის ნაკლებმნიშვნელოვან რეგიონად, არამედ ქალაქმშენებლობის მხრივაც დიდ პრობლემებს წარმოქმნის.

მიუხედავად ამისა, მთელი ზღვისპირა ზოლი უზარმაზარ საამშენებლო მოედნადაა ქცეული და მნახველს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უქმნის ნათელ წარმოდგენას იმ გრანდიუზულ მიღწევებზე, რითაც სახელმწიფოებრივი აღმავლობის გზაზე დამდგარი თურქეთის ბოლოდროინდელი ყოფა ხასიათდება.

ათეულობით კილომეტრზე ქვის უზარმაზარი ლოდებისაგან გაკეთებული ჯებირებით თურქები ცდილობენ ზღვას გზა გადაუკეტონ და სანაპირო ზოლი რამდენადმე მაინც გაავაკონ. საცხოვრებელი ადგილების ნაკლებობის გამო ზღვისპირეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი მრავალსართულიან სახლებში ცხოვრობს. სახლების უმეტესობა ლამის ხელის ერთ განვდენაზე დგას ერთმანეთთან.

მთელი ქვეყანა მეჩეთებითაა მოფენილი. არათუ დასახლებულ პუნქტს, არამედ უბანსაც კი ვერ ნახავ, სადაც მეჩეთი არ იყოს აღმართული. ქვეყანაში რელიგიური ფაქტორის მნიშვნელოვან როლზე მოსახლეობის საგულისხმო ნაწილის ჩაცმულობაც ნათლად მეტყველებს. ასაკოვან ქალთა უმეტესობა ქუჩებში მუსულმანური წესით თავსაფარმოხვეული დადის.

ტრაპიზონსა და ორდუში გზადგავლილებმა ძველ ქრისტიანულ

ეკლესიებსაც მოვკარით თვალი. საუკუნეთა წინათ ქართველთა კუთვნილ ამ ეკლესიებში, როგორც ამბობენ, დღეს მუზეუმები და სხვადასხვა სახის დაწესებულებებია გახსნილი.

ღამის ათ საათზე უკვე სამსუნში ვართ. ლამპიონებით გაჩირაღდნებული ქალაქი პირველ ეფექტურ შთაბეჭდილებას ახდენს. ბატონმა ალეკო ახალაძემ მანქანები ქალაქის მერიასთან მიგვაყვანინა, საიდანაც პარტნიორი უნივერსიტეტის რექტორს ჩვენი ჩასვლის ამბავს ატყობინებენ. მერიიდან გამოყოლილ მეგზურს უნივერსიტეტის სასტუმროში მივყავართ, სადაც ვბინავდებით და მეორე დღისთვის მასპინძლებთან შესახვედრათ ვემზადებით.

დილით ადრე, იქაური დროით ექვს საათზე (ჩვენთან ამ დროს შვიდი საათია), ვდგები და სასეირნოდ გამოვდივარ. ჩვენი სასტუმრო პატარა, ერთსართულიან გრძივ შენობაშია მოთავსებული და უნივერსიტეტის სტუმრებისთვისაა განკუთვნილი. უკეთესი სასტუმრო უნივერსიტეტს ახალ კამპუსში ჰქონია, მაგრამ ახლა რემონტი აქვთ, რის გამოც აქ მოგვიწია დაბინავება.

ადგილი, სადაც ჩვენი სასტუმრო იმყოფება, უნივერსიტეტის ძველ კამპუსს წარმოადგენს. იმის გამო, რომ ახალი საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობა ბოლომდე დამთავრებული ჯერ კიდევ არ არის, მისი რამდენიმე სპეციალობა დროებით აქაა განთავსებული. რკინის ღობით შემორაგვული უზარმაზარი ეზო, რომელიც ზღვისპირა ტერიტორიას მოიცავს, საიმედოდაა დაცული და შიგ შესვლა მხოლოდ სათანადო ნებართვითაა შესაძლებელი. რადგანაც უახლოეს პერიოდში აქ არსებული სპეციალობებიც უნივერსიტეტის ახალ კამპუსში უნდა გადავიდეს, აქაურობის მოსავლელად, ეტყობა, ნაკლებ ფულს ხარჯავენ, რაც აშკარად ემჩნევა შენობა-ნაგებობებსაც და ეზო-გარემოსაც.

ქუჩაში სასეირნოდ გამოსული, მყუდრო ეზოდან ხმაურიან გარემოში აღვმოვჩნდი. სტამბოლისაკენ მიმავალი ცენტრალური ავტომაგისტრალი, რომლის სიახლოვესაც უნივერსიტეტის ძველი კამპუსი მდებარეობს, მანქანებითაა სავსე. იმის გამო, რომ ქალაქის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით ვართ მოშორებული, იქ ფეხით წასვლა შეუძლებელია და ცნობისმოყვარეობას მხოლოდ შემოგარენში სეირნობით ვიკმაყოფილებ.

ამასობაში დელეგაციის სხვა წევრებმაც გაიღვიძეს და მასპინძლებთან შესახვედრად მოვემზადეთ. პირველად ჩვენი თურქი სტუდენტი მუზაფერ ქირი მოვიდა. იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობაზე სწავლობს და შესანიშნავად საუბრობს ქართულად.

მუზაფერი სამსუნთან ახლოს ცხოვრობს და აქაურობას კარგად იცნობს. ამ დღეებში იგი ჩვენთან ერთად იქნება და თარჯიმნობასაც გაგვიწევს. თავის დიდ სიხარულს მუზაფერი იმითაც გამოხატავს, რომ დაბეჯითებით გვეპატიჟება შინ. მაგრამ უდროობის გამო მას ეს სურვილი ვერ შევუსრულეთ, რითაც ძალზე დავწყვიტეთ გული.

თერთმეტ საათზე ჩვენთან შესახვედრად უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ოსმან ჩექირი მობრძანდა. სამუშაო პროგრამის გაცნობისა და დაკონკრეტების შემდეგ იგი ჩვენთან თავის წარმომადგენელს ტოვებს და შაბათ-კვირის საინტერესოდ გატარების სურვილით ორშაბათამდე გვემშვიდობება.

ამის შემდეგ ჩვენთვის სპეციალურად გამოყოფილი მიკროავტობუსით ქალაქის ვიცემერს — ქემალ ბეის სამსუნის დასათვალიერებლად მივყავართ. სამსუნი ქართველთათვის კარგად ცნობილი ისტორიული ქალაქია, სადაც არაერთი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანია სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორი ბილალ დინდარი, რომლის ქართული გვარი მიქელაძეა. იგი თურქეთში კარგად ცნობილი მეცნიერი და მთარგმნელია. წლების განმავლობაში ის სამსუნის უნივერსიტეტის პრორექტორიც იყო, მაგრამ ახალ რექტორთან უთანხმოების გამო ამ თანამდებობიდან გადადგა და ახლა რიგით პროფესორად მუშაობს.

ბატონი ბილალის სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თურქული თარგმანია, რომელიც 1991 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ შეხვედრებში მას მონაწილეობა არ მიუღია, სასტუმროში ორჯერ მოგვაკითხა, სიყვარულით გვესაუბრა და პირადადაც და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებისთვისაც „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანებით დაგვასაჩუქრა.

ამ შეხვედრებმა ბილალ დინდართან იმდენად დაგვაახლოვა, რომ ორი წლის შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად იგი რამდენიმე დღით გვესტუმრა და ჩვენს უნივერსიტეტებს შორის სათავედადებული მეგობრობის სამომავლო პერსპექტივებზე საინტერესო წინადადებები შემოგვთავაზა. მისი ამგვარი ძალისხმევის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ ბატონი ბილალი უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა კვლავ პრორექტორად დანიშნა და პირადად დაავალა ჩვენს უნივერსიტეტებთან კავშირურთიერთობის განმტკიცებაზე ზრუნვა.

ქუთაისში ყოფნის პერიოდში ყველაფერი გავაკეთეთ ბატონი ბილალის ცნობიერებაში ეროვნულ გრძნობათა კიდევ უფრო მეტად გასაღივივებლად. ამ თვალსაზრისით აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ჩვენი უცხოელი სტუმრების საპატივცემულოდ გამართულ გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე საქართველოს სადღეგრძელოს შესმის შემდეგ მუსიკოსებმა, ჩემი თხოვნით, ფართოდ ცნობილი პატრიოტული სიმღერა — „ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო!“ შეასრულეს. სადღეგრძელოს ამაღლებულმა და სენტიმენტალურმა შინაარსმა, რომელსაც რეზო ჩხეიძის კინოფილმიდან კარგად ნაცნობი ამ სიმღერით გამოხატული ეროვნული ტკივილის შინაგანი სიმწვავეც დაემატა, ყოველ ჩვენგანზე, პირველ ყოვლისა კი ბატონ ბილალზე, ისე მძაფრად იმოქმედა, რომ აღელვებულმა ცრემლები ვეღარ შეიკავა.

— ეს რა მიქენით, როგორ ბავშვივით ამატირეთ ამხელა კაციო, — თვალებიდან ცრემლების წმენდით გვეუბნებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე გულით სათუთად ნატარები ტკივილის ასეთი საჯარო გამოხატვით წონასწორობადაკარგული ჩვენი გაუცხოელებული თანამემამულე და ყოველ ჩვენგანს გრძნობამორევით გვიკრავდა გულში.

ქემალ ბეი მანქანით დაგვატარებს სამსუნის ქუჩებში და მის ღირსშესანიშნაობებს გვათვალიერებინებს. თურქეთის ეს უმნიშვნელოვანესი სამრეწველო, საპორტო და სარკინიგზო ცენტრი, სადაც 350 000 კაცი ცხოვრობს, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული განვითარების დიდ გზასაც ადგას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს პირველ ყოვლისა 19 მაისის სახელობის უნივერ-

სიტეტი ასრულებს, რომლის ავტორიტეტი მთელს ქვეყანაში, მისი ახლადდაარსებულობის მიუხედავად, საკმაოდ მაღალია. დავათვალიერეთ კულტურის მშენებარე ცენტრი, სადაც თეატრი და საკონცერტო დარბაზი განთავსდება.

სამსუნის დათვალიერების შემდეგ მახლობელ ქალაქ ბაფრაში მივდივართ მეფრინველეობის ფაბრიკის სანახავად. დირექტორი ახმედ ბეი კარგა ხანს დაგვატარებს ფაბრიკის უზარმაზარ და კარგად მოვლილ ტერიტორიაზე. თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი ეს ფაბრიკა, სადაც 150 კაცი მუშაობს, ყოველწლიურად 3 500 ტონა მაღალხარისხოვან ხორცს ყიდის. მეფრინველეობის ამ უზარმაზარ კომპლექსში საქმე ისეა გამართული, რომ ფრინველის კვებასთან და მოვლა-რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა ტექნოლოგიური საკითხი ადგილზე წყდება, რაც პროდუქციის თვითღირებულებას ძალზე აიაფებს.

ფაბრიკის დათვალიერების შემდეგ ახმედ ბეის თავის ოფისში მივყავართ და გულუხვად გვიმასპინძლდება ქათმის შემწვარი ფრთებით, რომლებიც აქ დელიკატესად ითვლება. მასპინძლების მიერ გაწყობილ სუფრას ჩვენმა ბიჭებმა მალე ღვინოც შემოამატეს. თავდაპირველად, რელიგიური ფაქტორის გამო, მასპინძლები ღვინის სმისგან თავს იკავებდნენ, მაგრამ შემდგომში, როცა მათი სადღეგრძელო ვთქვით, ისინიც სიამოვნებით შემოგვიერთდნენ და სუფრას მეტი ხალისი და ემოციური მუხტი შემოემატა.

ფაბრიკიდან წამოსულები მასპინძლებმა, ჩვენი თხოვნით, ბაფრას ერთ-ერთ მეჩეთში გამოგვატარეს. XVI საუკუნეში აგებულ ამ მეჩეთთან, რომელიც იქაურებისათვის განსაკუთრებულ ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, მუსულმანური სკოლაცაა გახსნილი. მეჩეთში მისულებს დიდი პატივისცემით გამოგვეგება ხოჯა, რომელიც კარგხანს გვესაუბრა როგორც მაჰმადიანობასა და ყურანზე, ისე ქრისტიანობასა და ბიბლიაზე. იგი საკმაოდ ღრმად განსწავლული პიროვნება გამოდგა, რელიგიური დოგმატური პრინციპებით შეუზღუდავი ღვთისმსახური, ქართველების მიმართ დიდი პატივისცემით განმსჭვალული კაცი.

მეჩეთიდან გამოსულები ხოჯამ გვერდით შენობაში შეგვიყვანა, სადაც, როგორც ითქვა, მუსულმანური სკოლაა გახსნილი. ფეხსაც-

მელებგახდილები ავდივართ მეორე სართულზე. დიდ დარბაზში ორმოცამდე ბავშვი, რომლებიც 10-15 წლისანი არიან, იატაკზე განმარტოებულები სხედან, წინ ყურანი უდევთ და ხოჯას მიერ წინასწარ მონიშნულ ტექსტს ჩუმი ბუტბუტით იზეპირებენ. გარესამყაროსაგან მთლიანად მოწყვეტილ ამ რელიგიურ სკოლაში მოხვედრილი ბავშვი ვალდებულია თავიდან ბოლომდე ზეპირად დაისწავლოს ყურანი და საფუძვლიანად დაეუფლოს მუსულმანური აღმსარებლობის წესჩვეულებებს. ამ საქმის მოგვარებამდე მას აქედან წასვლის უფლება არა აქვს. ხოჯამ იქვე მათი საცხოვრებელი ოთახიც გვანახა. ყველა ბავშვს ამ ერთ ოთახში ძინავს ორ-ორ სართულად განლაგებულ საწოლებზე.

დარბაზში შესულებს ბავშვებმა, მართალია, ცნობისმოყვარეობით კი მოგვაპყრეს თვალები, მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა. მე და ბატონი არჩილ კოსტავა თარჯიმანთან ერთად ბავშვებთან მივდივართ და ყურანიდან რამდენიმე ფრაგმენტის მოყოლას ვთხოვთ. ისინი სიამოვნებით ასრულებენ ჩვენს თხოვნას და ტექსტს სხაპასხუპით ყვებიან.

ჩვენს შეკითხვაზე, ესმით თუ არა მოყოლილის შინაარსი, ისინი მხრებს უხერხულად იჩეჩავენ და არაფერს ამბობენ. მათ მაგივრად ხოჯა გვპასუხობს. მისი თქმით, დასასწავლი ტექსტის შინაარსი ბავშვებისათვის ჯერ-ჯერობით უცნობია, რადგანაც ყურანი მათთვის უცხო არაბულ ენაზეა დაწერილი. მაგრამ ხოჯას ეს ამბავი სრულებით არ აღელვებს, ვინაიდან ტექსტის შინაარსს ბავშვები მოგვიანებით გაიგებენ. ხოჯას ინფორმაციით, მათ ქვეყანაში მსგავსი ხასიათის სკოლებში დაახლოებით ახალგაზრდების ოცი პროცენტი სწავლობს.

ბაფრას მუსულმანური სკოლის მოსწავლეთა შორის ორი ბავშვი ქართველიც გამოდგა - პაპიძე და კაკაბაძე. ამ ფაქტმა ყოველ ჩვენგანში, ბუნებრივია, საოცარი მღელვარება გამოიწვია. ბავშვები ქართულად ლაპარაკსაც ახერხებდნენ. მათი თქმით, ქართული ენა მათ მშობლებისაგან ჰქონდათ ნასწავლი. ბავშვების გვერდით ჩაცუცქულები ჩვენს გათურქებულ თანამემამულეებს მათ ნამდვილ ეროვნულ წარმომავლობას შევახსენებთ. ისინი გაცხოველებული ინტერესით გვისმენენ, გვიღიმიან და ჩვენს ნათქვამზე, — არასო-

დეს დაივიწყონ, რომ ქართველები არიან, — მრავალმნიშვნელოვნად გვიქნევენ თავს. ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ამ ბავშვებისა და მათი ახლობლების ცნობიერებაში განახლებული ძალით გააღვივა თუმცა ნავლწაყრილი, მაგრამ მაინც მარადიულად მოგუზგუზე ის დიადი გრძნობა, რომელსაც ეროვნული ჯიშისა და გენის იდუმალი წიაღი წარმოქმნის ხოლმე ყოველი ადამიანის გულში.

სკოლიდან გამოსულებს მეჩეთის ეზოში თავმოყრილი ადამიანები შემოგვეხვივნენ. მათ შორის ქართველებიც საკმაოდ იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, გვარად ქათამაძემ, ისიც გვითხრა, თურქეთში ოთხი მილიონი ქართველი ვცხოვრობთო, მართალია, ქართული გვარები აღარ გვაქვს, მაგრამ ჩვენი წინაპრების ვინაობა კარგად ვიცით და ჩვენს ქართველობას არასოდეს ვივიწყებთო.

ბაფრადან კვლავ სამსუნში ვბრუნდებით, სადაც ბაზრობის დასათვალიერებლად მივდივართ. ესაა დახლებად დაყოფილი უზარმაზარი ტერიტორია, სადაც ნებისმიერი სახის საქონელი იყიდება. გამყიდველთა შორის ქართველებიც საკმაოდ იყვნენ. საარსებო სახსრის საძიებლად აქ ჩამოსული ჩვენი თანამემამულენი თავიანთი დამტვრეული თურქულით გულითადად ეპატიჟებოდნენ კლიენტებს პროდუქციის შესაძენად.

გვიან ღამით ალეკო ახალაძემ ქალაქის ცენტრში მდებარე კაფეში გამოგვატარა მისი თურქი მეგობრის - შუქრუს სანახავად. შუქრუ, რომელიც ამ კაფეს მეპატრონეა, ხალისით შეგვხვდა და ჩვენდამი პატივისცემა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიპატიჟებით გამოხატა. იგი საქართველოშიცაა ნამყოფი და ქართული სტუმარმასპინძლობით მოხიბლული სიყვარულით საუბრობს ჩვენს ქვეყანაზე. საუბარს კიდევ უფრო მეტ ემოციურ მუხტს სძენს ჩვენების მიერ სუფრას შემომატებული ქართული ღვინო.

სასტუმროში დაბრუნებულები ახლა იქ ვაგრძელებთ ტრადიციულ ქართულ ქეიფს. თამაზ რუსაძე მთელი გატაცებით უკრავს ქუთაისიდან საგანგებოდ წამოღებულ დოლს.

მეორე დღეს, კვირას, მე, ბატონი არჩილი და გია ჯანელიძე სინოპში მივდივართ. სამსუნიდან სინოპამდე 165 კილომეტრია. სინოპის ნახევარკუნძულზე მდებარე ეს საკურორტო ქალაქი, რომელიც

ანტიკური დროიდან მოყოლებული შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთ მძლავრ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, ქართველი კაცისათვის საქართველოს ისტორიიდანაც კარგად ცნობილი ადგილია.

გზა ძირითადად ზღვის სანაპიროს მიუყვება. ზღვისპირა ტყეებსა და პარკებში უამრავი ხალხია გამოსული დასასვენებლად. ბევრი მათგანი სახელდახელოდ გაშლილ კარვებში ატარებს დასვენების დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის პაპანაქება სიცხეა, ველმინდვრები სამუშაოდ გასული ადამიანებითაა სავსე. მათი უმეტესობა ქალია, რასაც ჩვენი თურქი თანამგზავრი ხუმრობით ასეთ შეფასებას აძლევს:

— ჩვენი მოსახლეობის პირველი ნახევრისაგან (ე. ი. კაცებისაგან) განსხვავებით, ხომ ხედავთ, როგორი მონდომებით შრომობს მისი მეორე ნახევარი. პირველი ნახევარიც რომ ასეთი თავდადებით ვმუშაობდეთ, მაშინ რაღა გვიჭირდა, ასე ნახევრად განვითარებული ქვეყანა კი აღარ ვიქნებოდით!

სინოპის ნახევარკუნძული ზღვაში გრძივად შეჭრილ ყელვიწრო მთიან კონცხს წარმოადგენს. მისი სიგრძე 13 კილომეტრია, სანაპირო ზოლთან, დასაწყისში, მას მხოლოდ 80 მეტრი აქვს სიგანე. რაც უფრო მეტად შედიხართ ზღვის სიღრმეში, კონცხის სიგანე უფრო და უფრო იზრდება და ნახევარკუნძული თავკომბალას ფორმას იძენს. ამას ემატება ისიც, რომ კლდოვანი რელიეფი ნაპირთან შედარებით საგრძნობლად მაღლდება და კონცხის სასრული მხარე ზღვას 800 მეტრი სიმაღლის ფრიალო კედლით ემიჯნება.

მეტად მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობის გამო სინოპის ნახევარკუნძული საუკუნეთა მანძილზე მძლავრ საომარ პლაცდარმად იყო გამოყენებული. მასპინძლების ინფორმაციით, საბჭოთა კავშირის შავი ზღვისპირეთის გასაკონტროლებლად აქ ამერიკელების სამხედრო ბაზებიც კი ყოფილა განთავსებული და მათ კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლის უფლება არავის ჰქონდა. სამი წლის წინათ ამერიკელებს იქაურობა დაუტოვებიათ და ახლა მისი ნახვის უფლებას არავის უზღუდავენ.

კონცხის თავიდან სინოპის მთელი ნახევარკუნძული მოჩანს თავისი თვალწარმტაცი სილამაზით. კლდოვან ფრიალო კედელთან

შორიახლოს მისულები შიშით გადავცქერით ზღვის თვალუწვდენელ სივრცეს და ნაღველნარევი ემოციურობით ვიხსენებთ ამ ადგილებთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ ეპიზოდებს.

შესანიშნავი მდებარეობისა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო სინოპი ფართოდ განთქმულ საკურორტო ქალაქს წარმოადგენს, სადაც უამრავი უცხოელიც ჩამოდის დასასვენებლად. სამსუნის უნივერსიტეტს აქ ფილიალიც აქვს გახსნილი, რომლის ხელმძღვანელობა წინასწარ იყო ინფორმირებული ჩვენი სტუმრობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დასვენების დღეა, ფილიალის მესვეურები ჩვენთან შესახვედრად მაინც მოვიდნენ.

უნივერსიტეტის ფილიალის დათვალიერების შემდეგ დირექტორმა, ბატონმა ოსმანმა ჯერ მთელი ქალაქი მოგვატარა, შემდეგ კი შინ მიგვიპატიჟა და თავისი ოჯახი გაგვაცნო. იგი გატაცებით გვესაუბრება სინოპის წარსულსა და დღევანდელობაზე და საფუძვლიანად გვათვალიერებინებს მის ღირსშესანიშნავ ადგილებს — ძველ ციხე-ნანგრევებს, ყვავილებით მოჩითულ ტყე-პარკებს, სადაც უამრავი ხალხი ისვენებს, ტყის მასივში ღრმად შეჭრილ ზღვის უბეებს, სადაც ადრე მეკობრეები მოპარულ გემებს მალავდნენ.

დიდი ისტორიული წასრულის მქონე ეს ლამაზი ქალაქი, სადაც ბევრი სახელოვანი პიროვნება დაიბადა და აღიზარდა, მათ შორის ანტიკური ხანის დიდი ბერძენი ფილოსოფოსი — დიოგენე, დღეს ევროპულად კეთილმოწყობილ კურორტს წარმოადგენს, სადაც ზაფხულობით უამრავი ადამიანი ჩამოდის დასასვენებლად.

გამომგზავრების წინ ბატონი ოსმანი ზღვისპირა კაფეში გვეპატიჟება. მაგიდები ნაირგვარი ყვავილებითა და ეგზოტიკური ხეებით დამშვენებულ ეზოშია გამოდგმული. კლიენტთა მოზიდვის მიზნით აქვე მინიზოოპარკიც აქვთ მოწყობილი, სადაც სხვადასხვა სახის ფრინველები და ცხოველები არიან მოთავსებულნი.

მოულოდნელად ირგვლივ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა - ერთ-ერთ მაიმუნს გალიის კარების გაღება მოეხერხებინა და გაქცეულიყო. თუმცა იქაურობას იმდენად იყო მიჩვეული, რომ შორს კი არ წასულიყო, არამედ ჩვენთან ახლოს დაძვრებოდა ხეებზე. კაფეს მესვეურებმა

ადვილად მოახერხეს ბუნტარი მაიმუნის დაჭერა და მისი ძველ ადგილზე დაბრუნება.

სინოპიდან სამსუნში მომავლებმა გზად მდინარე ჰალისზე აგებული ჰესის სანახავად გამოგვატარეს. ჰალისი აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავიდან“ კარგად ცნობილი მდინარეა. ჰესის წყალსაცავი, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს, საიმედოდაა დაცული და შეიარაღებული დაცვის სპეციალური შენაერთი მის სანახავად მისულ ყოველ ადამიანს საგულდაგულოდ ამოწმებს. წყალსაცავის ადგილზე მის აგებამდე სოფელი დერბენტი ყოფილა გაშენებული. ამ სოფლიდან დღეს მხოლოდ სახელწოდებაღაა დარჩენილი. წყალსაცავს მის მიერ შთანთქმული სოფლის საპატივცემულოდ სწორედ ეს სახელი ჰქვია. ინტერესით ვათვალიერებთ წყლის შეტბორებული მასიდან ამოშვერილ მინარეთის წვერს, ორიოდე სახლის სახურავსა და გადარჩენილ ხეთა კენწეროებს... წყალსაცავის უზარმაზარმა სივრცემ სოფლის მოსახლეობას, მათი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მამაპაპური ფუძიდან გუდა-ნაბადი აუკრა და სხვაგან გადაასახლა.

ორშაბათს, 15 ივნისს, ორდღიანი დასვენება-მოგზაურობის შემდეგ, დილით უკვე სამსუნის უნივერსიტეტში მივდივართ. სამსუნის უნივერსიტეტი არც თუ ისე დიდი ხნის უმაღლესი სასწავლებელია. იგი 1977 წელს შეიქმნა და 19 მაისის სახელს ატარებს. ეს თარიღი თურქეთის ისტორიის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება - მუსტაფა ქემალ ათა თურქის მიერ ეროვნულ-განმათავსუფლებელი ბრძოლის დაწყებას, რაც თურქეთის რესპუბლიკის შექმნით დაგვირგვინდა.

სამსუნის უნივერსიტეტი თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ფილიალებიანად 25 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. სახელმწიფო საუნივერსიტეტო განათლების სრულსაყოფად და განსავითარებლად ძალასა და მონდომებას არ იშურებს. უნივერსიტეტის ახალი კამპუსი ათეულობით ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს ზღვის ამაღლებულ სანაპიროზე. საგულდაგულოდ შემორაგვულ ამ ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ სპეციალური დაცვის ნებართვითაა შესაძლებელი. წიწვოვანი ტყის კორომები და

ბაღები, რომელთაც აქ რუდუნებით უვლიან, ირგვლივ თვალწარმტაც ესთეტიკურ გარემოს ქმნიან. უნივერსიტეტის პროფესურის დიდი ნაწილი მათთვის აგებულ კორპუსებში ცხოვრობს. რექტორს ცალკე საცხოვრებელი რეზიდენცია აქვს გამოყოფილი. ცალკეა განთავსებული სტუდენტთა საცხოვრებელი კორპუსები.

რექტორისადმი ხაზგასმულად პატივისმცემლური დამოკიდებულება ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. სამანქანო ნომრების ათვლაც კი მთელი ვილაიეთის მასშტაბით სწორედ რექტორის სამსახურეობრივი მანქანის ნომრიდან იწყება - მისი ნომერი 001-ია. მანქანიდან გადმოსვლის ან მასში ჩაჯდომის დროს კარებს მას, როგორც წესი, მძღოლი უღებს ხოლმე.

უნივერსიტეტი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე კეთილმოწყობილი კორპუსებისაგან შედგება. პირველად ადმინისტრაციულ კორპუსში მივდივართ. მსგავსად მდიდრულ და დამშვენებულ შენობას კაცის თვალი იშვიათად თუ ნახავს. ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის არსებული იერარქია. გუშაგები რიტუალური წესების სრული დაცვით გვიღებენ ჯერ შენობის, შემდეგ კი ლიფტის კარებს და მეორე სართულზე სამეცნიერო საბჭოს სხდომათა დარბაზში ავდივართ. ხაზგასმული პატივისცემით გვეგებებიან რექტორი, პრორექტორები, დეკანები და სამეცნიერო საბჭოს სხვა წევრები. საბჭოს სპეციალურ სხდომაზე ხანგრძლივად ვმსჯელობთ ჩვენი სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებსა და გასაფორმებელი ხელშეკრულების ცალკეულ დეტალებზე. განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს მუზაფერის ჩვენთან ყოფნა და იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი თურქი სტუდენტი სწავლობს სხვადასხვა სპეციალობაზე.

საბჭოს სხდომაზეც და რექტორატთან გამართულ სხვა შეხვედრებზეც ტაქტიანად ვამახვილებთ ყურადღებას სამსუნის უნივერსიტეტში ქართული ენის კაბინეტის გახსნის საჭიროებაზე. მასპინძლებს დიპლომატიურად შევახსენებთ იმ ფაქტს, რომ ამის აუცილებლობას არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიული ურთიერთობა განაპირობებს, არამედ თანადროული ყოფაც. სარფისკარის გახსნის შემდეგ საქართველოსა და თურქეთს შორის აქტიურად განვითა-

რებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ერთმანეთის ენების ცოდნის პრაქტიკული აუცილებლობაც წარმოქმნა. ამ საქმის რეალურად მოგვარების მიზნით ბევრი რამ კეთდება ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თითქმის ათი წელია წარმატებით ფუნქციონირებს თურქოლოგიის სპეციალობა, რომელსაც ყოველწლიურად 10-15 სტუდენტი ამთავრებს.

რასაკვირველია, ქართველოლოგიური სპეციალობის ამგვარი ფორმით გახსნა სამსუნის უნივერსიტეტში ვერაფრით მოხერხდებოდა, მაგრამ იმაში ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ქართული ენის შესწავლის რაიმენაირი ფორმით მათთანაც შემოღება უსაფუძვლო ოცნების ნაყოფი არ იყო. ამ გარემოების გათვალისწინებით მასპინძლებს შევთავაზე, ეს ფაქტი სათანადოდ ასახულიყო ხელშეკრულებაში. სამწუხაროდ, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელებისაგან ტაქტიანად შეიკავეს თავი.

ჩვენგან განსხვავებით, თურქეთში საუნივერსიტეტო მართვის უფრო ცენტრალიზებული სისტემაა დამკვიდრებული. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ტექსტზე ხელმოწერის ცერემონიალი მანამ არ გაიმართა, სანამ რექტორმა მისი საბოლოო ტექსტი შესაბამის ზემდგომ უწყებას არ შეათანხმა ანკარაში.

საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ რექტორს თავის კაბინეტში მივყავართ. სხვადასხვა დანიშნულების მქონე რამდენიმე დიდი ოთახისაგან შემდგარი მისი კაბინეტი აღმოსავლურ-ევროპული წესების სინთეზირებითაა მოწყობილი და ყოველ ჩვენგანზე უდიდეს ეფექტს ახდენს. შემდეგ სხვა კორპუსების დასათვალიერებლად მივდივართ. ფაკულტეტებს ცალ-ცალკე კორპუსები აქვთ გამოყოფილი. სწავლების სისტემა ამერიკულია, ყველა პროფესორსა და დოცენტს კომპიუტერული ტექნიკითა და მინი ბიბლიოთეკით მოწყობილი საკუთარი სამუშაო კაბინეტი აქვს გამოყოფილი. უნივერსიტეტში სწავლა უფასოა. ერთადერთი გადასახადი, რომელსაც სტუდენტები იხდიან, საორგანიზაციო ხარჯებისათვის ერთჯერადად გაღებული ასიოდე დოლარია.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფაკულტეტი შესანიშნავადაა მოწყობილი, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მაინც თეოლოგიისა და სამედიცინო ფაკულტეტები ახდენენ. სამედიცინო ფაკულტეტი უნივერსიტეტის კუთვნილ ათსართულიან საავადმყოფოშია განთავსებული. უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო ყველა პროფილის 800 ავადმყოფს ემსახურება და დიდ ფინანსურ შემოსავალსაც აძლევს უნივერსიტეტს. საავადმყოფოს დათვალიერების დროს ერთ-ერთმა ჩვენგანმა განსაკუთრებული დაინტერესება დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისადმი გამოიჩინა. როცა მასპინძლებმა შეიტყვეს, რომ ამ საკითხით ესოდენ დაინტერესებული ჩვენი მეგობარი თავადაც დიაბეტით დაავადებული იყო, უყოყმანოდ შესთავაზეს საჭირო გამოკვლევის სასწრაფოდ ჩატარება, რაც ოპერატიულად გაუკეთეს კიდეც.

ნაშუადღევს უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც პროფესორ-მასწავლებელთა გარდა ვიცეგუბერნატორი და სხვა საპატიო სტუმრებიც დაესწრნენ. უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილ სახელდახელო სცენაზე ჯერ დიდი სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა, შემდეგ კი დიპლომების გადაცემის რიტუალი. სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილ კურსდამთავრებულებს ასევე სპეციალური სამოსით მორთული რექტორი, პრორექტორები, დეკანები და პროფესორ-მასწავლებლები ინდივიდუალურად აძლევდნენ უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომს. მასპინძლებმა ეს პატივი ჩვენც გვარგუნეს.

კურსდამთავრებულები სიხარულს ხმამაღალი ყიჟინითა და ქუდების მაღლა ატყორცნით გამოხატავდნენ. აქ ერთ დეტალსაც მინდა ყურადღება მივაქციო - გოგონებში რელიგიური რწმენის ვიზუალური გამოვლინების მეტ-ნაკლებ ხარისხს. მათ უმეტესობას ამ თვალსაზრისით ვერაფრით განარჩევდი თანამედროვე ევროპელი თანატოლებისაგან. დიპლომის გადაცემის შემდეგ ისინი გულითადად გადაეხვეოდნენ ხოლმე თავიანთ მასწავლებლებს მადლობის ნიშნად. ზოგიერთები, მუსულმანური წესით თავსაფარმოხვეულნი, დიპლომის აღების შემდეგ მასწავლებელს ხელსაც კი არ უწვდიდ-

ნენ ჩამოსართმევად და მხოლოდ თავის მოკრძალებული დაკვრით იფარგლებოდნენ, ზოგიერთები კი მარტოოდენ ხელის შორიდან ჩამორთმევით კმაყოფილდებოდნენ.

მიუხედავად საზოგადოების ამგვარი დიფერენცირებისა, რასაც ყველგან და ყოველთვის ვგრძნობდით მეტ-ნაკლები ძალით, აქვე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ერთხელ კიდევ დაბეჯითებით აღვნიშნავ იმას, რომ დღევანდელი თურქეთი რელიგიური ფანატიზმით შეუბოჭავი და ევროპული ცივილიზაციის გზაზე მძლავრად წინმავალი დიდი ქვეყანაა.

საღამოს ქალაქის მერსა და სამსუნის ვილაიეთის გუბერნატორს ქუთაისის მერისა და იმერეთის გუბერნატორის თეიმურაზ შაშიაშვილის წერილები გადავეცით. მერიცა და გუბერნატორიც უკვე არიან ქუთაისში ნამყოფნი და კმაყოფილებით იხსენებენ აქაურ შეხვედრებს. საჩუქრების ურთიერთგაცვლის შემდეგ ისინი რესტორანში ჩვენს საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე გვეპატიჟებიან და დიდ კმაყოფილებას გამოხატავენ სამსუნის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების გამო.

16 ივნისს, უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებთან შეხვედრების შემდეგ, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროც დგება. ამ დოკუმენტის გაფორმებით ჩვენს უნივერსიტეტებს შორის დამყარებულმა საქმიანმა და მეგობრულმა ურთიერთობამ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქოლოგიის სწავლებას ახალი იმპულსი შესძინა და ორ ქვეყანას შორის სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავებას გარკვეულწილად ამ ფაქტმაც შეუწყო ხელი.

სამსუნიდან მეორე დღეს, 17 ივნისს, დილით ადრე გამოვემგზავრეთ. გზად პატარა ქალაქ ფაცაში გამოვიარეთ, სადაც უამრავი ქართველი ცხოვრობს. ჩვენი თანამემამულეები ასევე მრავლად და კომპაქტურად ცხოვრობენ უნიეში, ართვინში, ბურსაში... ფაცას თევზგადამამუშავებელ ქარხანაში მისულებს ჯგროდ შემოგვეხვივნენ იქ მომუშავე ქართველები - ქათამაძეები, მიქელაძეები, ჟღენტები, გოგიტიძეები... ქარხნის დირექტორმა რეზო ქათამაძემ არ იცის სიხარული როგორ გამოხატოს.

ქარხანა ყოველწლიურად ათას ტონა „ქაფშიას“ ამუშავებს, ძვლებს აცლის, აკონსერვებს და ამგვარი სახით აწვდის მომხმარებელს. დირექტორის თქმით, მის პროდუქციაზე ევროპასა და ამერიკაში იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ იგი მომხმარებელთა ინტერესს მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს. 50 გრამიან ქილაში ამგვარად დაკონსერვებული პროდუქტის ღირებულება მსოფლიო ბაზარზე 1,5 დოლარი ყოფილა. იმის გამო, რომ ამ სახის პროდუქციის გამოშვება მეტად შრომატევადი სამუშაოს შესრულებასთანაა დაკავშირებული, მისი წარმადობის გაზრდა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ ბატონმა რეზომ რესტორანში დაგვპატიჟა. იგი გულისამაყუჩებელი ემოციურობით ყვება საქართველოზე. წარმოშობით აჭარიდან ყოფილა. როგორც თავად ამბობს, მამამისს სიკვდილის წინ მისთვის ასეთი ანდერძი დაუტოვებია:

— შვილო, არასოდეს დაივიწყო, რომ ქართველი ხარ, საქართველოდან. როცა საზღვრები გაიხსნება და იქ წასვლის შესაძლებლობა მოგეცემა, აუცილებლად წადი და ინახულე შენი სამშობლო. თუ ფული არ გექნეს, ჩემგან დანატოვარი მიწა გაყიდე და მაინც წადი!

ბატონმა რეზომ მართლაც შეასრულა მამის ანდერძი და თავისი წინაპრების სამშობლოს სანახავად და აქ მცხოვრებ ახლობლებთან კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოში. იგი ამაყად გვესაუბრება იმაზე, რომ იქაური ქართველები საკმაოდ კარგად ცხოვრობენ და თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას არ ივიწყებენ. მისი თქმით, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ქალაქ ბურსადან, სადაც ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათთან სპეციალური დელეგაცია ჩამოსულა და თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყრილობის ჩატარება შეუთავაზებიათ. ეს ამბავი მათ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისთვისაც შეუტყობინებიათ, მაგრამ პრეზიდენტს ურჩევია, ხელისუფლებასთან ვითარება არ გაემწვავებინათ და ყრილობის ჩატარებისაგან დროებით თავი შეეკავებინათ.

საღამოს, ტრაპიზონში ჩასულები, იქაურ უნივერსიტეტსაც ვსტუმრობთ. სამსუნის უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ოს-

მან ჩექირმა ამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წინასწარ შეატყობინა ჩვენი სტუმრობის ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ გვიანია, რექტორატში მაინც ელოდებოდნენ ჩვენს მისვლას. სამსუნის უნივერსიტეტისაგან განსხვავებით, ტრაპიზონის უნივერსიტეტი უფრო ძველი უმაღლესი სასწავლებელიცაა და უფრო პრესტიჟულიც. იგი ძირითადად ტექნიკური პროფილის უმაღლესი სკოლაა, თავისი მაღალი აკადემიური დონით მთელ თურქეთში ფართოდ ცნობილი უნივერსიტეტი, სადაც 30 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

უნივერსიტეტის სახელდახელო დათვალიერების შემდეგ მასპინძლები ჯერ თავიანთ მშვენიერ სასტუმროში გვათავსებენ, შემდეგ კი ჩვენს საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე გვეპატიჟებიან. მოვვიანებით ხანმოკლე დროით ქალაქში გასეირნებასაც ვასწრებთ, დილით კი, შთაბეჭდილებებით დატვირთულნი და უსაზღვროდ კმაყოფილები, ქუთაისისაკენ მომავალ გზას ვადგებით.

1999 წ.

ანკარიდან კაპადოკიამდე

იყო დრო, როცა მკითხველი არა თუ უცხოეთში ტურისტად ყოფნის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების მიმართ იჩენდა განსაკუთრებულ დაინტერესებას, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისადმიც კი. ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში ფართოდ შემოჭრილმა ინტერნეტმა, ტელევიზიამ და მასმედიის სხვა საშუალებებმა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია მიიღოს ნებისმიერ ქვეყანასთან დაკავშირებით მისთვის საინტერესო უმდიდრესი ინფორმაცია, პროვინციის ცნებას ფაქტობრივად ჩვენს თვალწინ გამოაცალეს საფუძველი და ყოველი ჩვენგანი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიმდინარე მოვლენათა ეპიცენტრში მოაქციეს.

ასეთ ვითარებაში ბევრი რამ, რაც ადრე განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ამ თვალსაზრისით მოგზაურობის ჟანრი თავისი ტრადიციული გაგებითა და მიზანდასახულობით თითქოს აზრსაც კი კარგავს, მით უფრო მაშინ, როცა ეს მოგზაურობა ისეთ ქვეყანაში ხდება, რომლის ნახვა ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია ყოველგვარი დაბრკოლებისა და დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე. მაგრამ ვითარების არსში ღრმად ჩახედული მკითხველი, ვფიქრობ, იმაშიც დამეთანხმება, ცოცხალ შთაბეჭდილებას მაინც რომ ვერაფერი შეცვლის და საკუთარი კარმიდამოდან გასული ადამიანი ბევრ ისეთ რაიმეს ნახავს, რომელმაც შეიძლება არსებითი ზეგავლენაც კი მოახდინოს მის ცნობიერებაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე თურქეთში წასვლა ქართველი კაცისათვის ლამის აუხდენელი ოცნების საგანს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, იმჟამად არა თუ იქ წასვლის უფლების მოპოვება იყო ურთულესი საქმე, არამედ ე. წ. სასაზღვრო ზონაში მოხვედრაც კი. საბჭოთა იდეოლოგია მიზანმიმართულად გვიბეჭდავდა თავში იმ აზრს, რომ ამ ქვეყანასთან, სადაც უამრავი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს, იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, მეგობ-

რული სიახლოვე შეუძლებელი იყო. არადა თურქეთსა და საბჭოთა იმპერიის ნაწილად ქცეულ საქართველოს შორის დაწესებულმა საზღვარმა არა მარტო ეს ქვეყნები გათიშა ერთმანეთისაგან, არამედ ოჯახებიც კი, რის შედეგადაც საზღვრის გაღმა-გამოღმა დარჩენილ ღვიძლ ახლობლებს ერთიმეორესთან დაკავშირების ყოველგვარი უფლება წაერთვათ. ამ უფლებას მაშინ მხოლოდ მოსკოვი იძლეოდა. ეს სასწაულიც რომ მომხდარიყო და ნანატრი ნებართვა მიგეღო, ხელის ერთ გაწვდენაზე, სამეზობლო მანძილით, დაშორებულ ახლობლებთან მისასვლელად მაინც მოსკოვში უნდა ჩასულიყავი, უგრძესი გზა გაგევლო და ასე მოგენახულებინა შენგან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის მოცილებით მცხოვრები მოძმეები.

ყოველივე ამის გამო საზღვრის გაღმა-გამოღმა დარჩენილმა ახლობლებმა ერთმანეთთან კავშირ-ურთიერთობის დამყარების მეტად ორიგინალური გზა მოძებნეს. ისინი ხშირად სიმღერითა და ტირილით აგებინებდნენ ხოლმე ერთმანეთს თავიანთ სიხარულსა თუ მწუხარებას და ამით ცდილობდნენ სისხლისმიერი ახლობლობის შენარჩუნებას. როგორც ცნობილია, ეს ყველაფერი ღრმად და შთამბეჭდავად არის აღწერილი ნოდარ დუმბაძის რომანში „ნუ გეშინია, დედა.“

სარფისკარის გახსნის შემდეგ თურქეთში რამდენჯერმე მომიხდა ყოფნა. ყოველ ჩასვლაზე ნათლად და აშკარად ვხედავდი, როგორი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი. ეს განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე ითქმის. საქართველოსთან დამაკავშირებელი გზის გახსნამ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ეს მხარე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებად რეგიონად აქცია, სადაც ევროპული ცხოვრების წესია დამკვიდრებული. თურქეთის დღევანდელი ზღვისპირეთი ფაქტობრივად ერთ დიდ საამშენებლო პოლიგონს წარმოადგენს, რომლის ყოველი კუთხე-კუნჭული სწრაფი ტემპით შენდება და მშვენდება.

თავისი ცხოვრების წესით, ცნობიერებით, კულტურულ-მსოფლმხედველობრივი და ყოფითი ფასეულობებით დღევანდელი თურქეთი უკვე ევროპული სივრცის ნაწილად ქცეული დიდი მომავლისა და პერსპექტივების მქონე ის ქვეყანაა, რომელიც რადიკალურად

განსხვავდება ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული ძველი თურქეთისაგან. ამ ქვეყნის ინტელექტუალურად განვითარებულ ნაწილს, რომლის როლი და გავლენა სახელმწიფოებრივი მმართველობის პროცესში, რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, სულ სხვა დამოკიდებულება აქვს როგორც თავისი ქვეყნის ისტორიისადმი, ისე იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობისა და განსხვავებული სარწმუნოებრივი აღმსარებლობებისადმი. ამ დამოკიდებულების უმთავრესი პრინციპი აშკარად გამოხატული ტოლერანტობა და პატივისცემაა. ისინი დღეს უკვე ხმამაღლა საუბრობენ იმ დიდ კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, რომელიც მათ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა შექმნეს საუკუნეთა მანძილზე და ყოველივე ამას კი არ ჩქმალავენ, არამედ დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით უვლიან და პატრონობენ.

ცხადია, ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პანთურქული ნაციონალიზმი და ექსტრემიზმი მთლიანად აღმოიფხვრა და საბოლოოდ ამოიძირკვა საზოგადოების ყველა ფენის ცნობიერებიდან. რასაკვირველია, არა. მაგრამ დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას პირველ ყოვლისა სწორედ ევროპული პროგრესული პრინციპებით მოაზროვნე ადამიანები განსაზღვრავენ და წარმართავენ.

ეს დამოკიდებულება აშკარად და თვალნათლივ ვიგრძენი პირადად მეც ანკარის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრებზე არც თუ ისე შორეულ წარსულში ლამის ტაბუდადებული ისეთი საკითხების შესახებ მსჯელობის დროს, თურქეთში ქართული ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს რომ შეეხებოდა.

ასე რომ, დღევანდელი თურქეთი დევის ნაბიჯებით წინმავალი ქვეყანაა, რომელიც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივადაც, ეკონომიკურადაც, ინტელექტუალურადაც, კულტურულადაც და საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი დონითაც მყარად იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს ევროპის მაღალგანვითარებული სახელმწიფოების თანამეგობრობაში.

თურქეთში ჩემი და ჩემი კოლეგების იმჟამინდელი გამგზავრების მიზანი ანკარისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება იყო. ჩვენი უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ამ სტრიქონების ავტორი (რექტორი), საგარეო ურთიერთობათა დარგის პრორექტორი, დოც. ვახტანგ ამაღლობელი და თურქოლოგიის კათედრის გამგე, პროფ. ცისანა აბულაძე შედიოდნენ, ანკარაში 2003 წლის 19 მაისს გაემგზავრა. ანკარის უნივერსიტეტთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებასა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს თურქეთში ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებმა: ელჩმა ტარიელ ლებანიძემ და დესპანმა ზურაბ გამეზარდაშვილმა. მათი მეშვეობით უკვე წინასწარ ვიცნობდით გასაფორმებელი ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც ორივე მხარისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების პრაქტიკულ მოგვარებას ისახავდა მიზნად. ანკარაში მიმავალთ იქაურ არქივებში სამუშაოდ ერთწლიანი სამეცნიერო მივლინებით მყოფი ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის მასწავლებელი ნათია დანგაძეც მიგველოდა მოუთმენლად.

იმის გამო, რომ 19 მაისი — ანკარაში ჩვენი გამგზავრების დღე — თურქების ეროვნული დღესასწავლია (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების დღე), ხალხი ქუჩებში იყო გამოფენილი და ყველგან სახელმწიფო დროშები ფრიალებდა. ამ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალითაც კი ნათლად ჩანდა ქვეყნისადმი სიყვარულის ის გრძნობა, რომელსაც აქაურები საკმაოდ ემოციურად და თავშეუკავებლად ავლენდნენ.

მართალია, თურქეთის კუთვნილი შავი ზღვისპირეთი იმდენად მთიანი და კლდიანია, რომ საკურორტო დანიშნულებით მისი გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, რეგიონის განვითარებისა და აღმშენებლობის პროცესი მაინც უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს. ამას სასაზღვრო ზოლის გადაკვეთისთანავე დაინახავს კაცი. უზარმაზარი ქვის ლოდებით საგულდაგულოდ გამაგრებული სანაპირო, გვირაბებით გასწორებული ავტომაგისტრალი, ფერდობებზე შეფენილი ახლადაშენებული ან მშენებარე სახლები... რელიეფის სირთულისა და პრაქტიკულად გამოსაყე-

ნებელი მიწის სიმცირის გამო საცხოვრებელი კორპუსები თითქმის ხელის ერთ გაწვდენაზე დგანან ერთმანეთის გვერდი-გვერდ.

სასაზღვრო-შემმოწმებელი პუნქტიდან გასულები ტაქსის მძღოლების ალყაში ვექცევით. ყველა თავისი მანქანისკენ გვეპატიჟება. ერთ-ერთს ვირჩევთ და ხოფაში მივეშურებით, საიდანაც ავტობუსით ანკარაში უნდა გავემგზავროთ. ავტოსადგურში მისულ ჩვენს ტაქსს უმალ მოცვიდნენ სხვადასხვა ავტოკომპანიათა მომსახურეები. ყველას უნდა თავისკენ გადაგიბიროს. როცა ვეუბნებით, რომ ჩვენ „მეტროს“ ფირმის ავტობუსზე გვქონდა ბილეთები დაჯავშნული, ჩვენთან მხოლოდ ამ ავტოკომპანიის მომსახურენი რჩებიან და ჩვენი ბარგი თავიანთ ოფისში გადააქვთ. ჯერ-ჯერობით ენობრივი პრობლემა არსად შეგვქმნია - ყველანი მშვენივრად საუბრობენ ქართულად.

კეთილმოწყობილ ოფისში დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. უფასოდ გთავაზობენ ჩაისა და ტკბილეულს, ჩართულია ტელევიზორი. ასეთივე მომსახურებაა ავტობუსშიც. მსგავსად თვითმფრინავისა, ავტობუსის გამყოლები თავაზიანად და გამუდმებით გვაწვდიან წყალს, ჩაის, ყავას, ტკბილეულს. სხვადასხვა ავტოკომპანიები ამ თვალსაზრისითაც აქტიურად ცდილობენ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ და რაც შეიძლება მეტი მუშტარი მიიზიდონ.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შორი გზა გვაქვს გასავლელი, კომფორტაბელური ავტობუსით მგზავრობა მაინც არ გვღლის. დროდადრო დიდ სადგურებში სპეციალურ ავტოსადგომებზე ვჩერდებით. ასეთი დასასვენებელი ადგილები, რომლებიც გზაში მრავლად გვხვდება, სისუფთავით, მომსახურების მაღალი კულტურითა და სავაჭრო პროდუქციის სიუხვით გამოირჩევიან.

ხოფაში ერთი ახალგაზრდა კაცი დაგვემგზავრა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში მიდიოდა ანკარაში. მრავალი ახლობელი და მეგობარი აცილებდა. ჩვენს ავტობუსს, რომელშიც იგი იჯდა, თურქული დროშებით დამშვენებული ავტომანქანა რიზემდე გამოყვა. მოყიჟინე ახალგაზრდებით სავსე ეს მანქანა ჩვენს ავტობუსს ხან წინ გადაუსწრებდა, ხანაც გვერდით მოსდევდა და მასში მსხდომნი ასეთი ემოციური აღტკინებით მიაცილებდნენ თავიანთ მეგობარს ჯარში.

მეორე დღეს, 11 საათიანი მგზავრობის შემდეგ, დილით უკვე ანკარაში ვართ. ავტოვაგზალში სიხარულით გვეგებებიან ნათია დანგაძე და ჩვენი მასპინძლები - ანკარის უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტის ორი მშვენიერი მასწავლებელი, რომელთაც დასაბინავებლად მივყავართ ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმროში - „ანკარა-ჰაკიმევი.“

ანკარა, რომლის მოსახლეობა სამ მილიონ კაცს აჭარბებს, ევროპული ტიპის ქალაქია. ქუჩებს მანქანების ნიაღვრები მილეკავენ. ფართო ტროტუარებზე ხალხის ისეთი დელგმაა, გეგონება, ეს-ესაა ფეხბურთის ხალხმრავალი სტადიონი დაიცალაო. ქალაქის ცენტრალურ უბანში - კიზილაიზე გასეირნების შემდეგ ედუარდ შევარდნაძის სახელობის თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის ფონდში მივდივართ, სადაც ამ ფონდის თანამშრომლები და საქართველოდან თურქეთში სასწავლებლად წარგზავნილი სტუდენტები (მათ შორის ჩვენი კურსდამთავრებული გიორგი ჭილვარია) გველოდებიან.

შევარდნაძის სახელით ცნობილი ეს ფონდი ქართული წარმოშობის თურქ მამულიშვილთა მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოსთან კავშირურთიერთობის განმტკიცებას ისახავს მიზნად. მისი გენერალური დირექტორი მევლუდ ართვინლი აქტიურად იღვწის იმისათვის, რომ ფონდის საქმიანობა უფრო მასშტაბური და ნაყოფიერი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ ფონდში გაერთიანებულთაგან ბევრმა ჩვენი ენა არ იცის, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ქართული წარმომავლობის მნიშვნელობა და აქტიურად ცდილობენ საქართველოსთან კავშირ-ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას. იმის გამო, რომ საცხოვრებლად სტამბოლში გადავიდა, ბატონ მევლუდთან პირადად შეხვედრა ვერ ხერხდება და ერთმანეთს მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებით. იგი ჩვენს სანახავად ანკარაში საგანგებოდ ჩამოსვლასაც აპირებდა, მაგრამ ჩვენი სამუშაო პროგრამა იმდენად გადატვირთული იყო, რომ ვთხოვეთ, ეს საქმე სხვა დროისთვის გადაგვედო.

ანკარის უნივერსიტეტი, რომელთანაც ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი

სასწავლებელია, სადაც 40 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. 1946 წელს დაარსებული ეს უნივერსიტეტი დღეს არა მარტო თურქეთში, არამედ უცხოეთშიც კარგად ცნობილი სასწავლო დაწესებულებაა, სადაც ძირითადად სწავლების ამერიკული სისტემაა დანერგილი. გერმანიაში სასწრაფო გამგზავრების გამო რექტორთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. მის ნაცვლად ჩვენი მთავარი მასპინძელი პრორექტორი პროფ. ომერ გებიზლიოღლუ იყო, რომელსაც ანკარაში ჩვენი ყოფნის პერიოდში დრო და ყურადღება არ დაუშურებია, ვიზიტი რაც შეიძლება საქმიანი და წარმატებული რომ ყოფილიყო.

უნივერსიტეტის გაცნობა ანკარაში ჩასვლის მეორე დღიდანვე დავიწყეთ. რექტორატში მიღების შემდეგ შევხვდით უნივერსიტეტის სენატის წევრებს. ბატონი ომერი ვრცლად გვესაუბრა უნივერსიტეტის წარსულსა და დღევანდელობაზე და გვიჩვენა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც უნივერსიტეტის საქმიანობაა ასახული.

საპასუხო სიტყვაში გამოსვლისას სენატის წევრთა ყურადღება მივაპყარი იმ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამყარდა ჩვენს ქვეყნებს შორის. აქვე იმ დიდ მიღწევებზეც ვისაუბრე, ქართველ თურქოლოგებს რომ აქვთ მოპოვებული. სენატის წევრთა ყურადღება საგანგებოდ მივაპყრე ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის წევრთა მიერ გაწეულ საქმიანობას და ხაზგასმით აღვნიშნე ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ჩვენს უნივერსიტეტს თურქული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით 10-15 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ამთავრებს. კმაყოფილებით აღინიშნა ისიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პირველი უცხოელი სტუდენტები სწორედ თურქი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ თურქეთშიცა და საქართველოშიც. მათგან ორი - მუზაფერ ქირი და ჰარუნ ჩიმქე ასპირანტურაშიც აგრძელებენ სწავლას ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებით.

იმ გარემოებისათვის საგანგებო ხაზგასმის შემდეგ, რომ ამ ფონზე თურქეთში, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ქართველოლოგია მეტისმეტად სუსტადაა განვითარებული, მასპინძლებს თავაზიანად ისიც შევახსენე, თურქ ქართველო-

ლოგთა აღზრდა პირველ ყოვლისა მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით რომ უნდა იყოს ნაკარნახევი. საამისო საფუძვლს არა მარტო ჩვენს ქვეყნებს შორის დღესდღეობით არსებული მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა ქმნის, არამედ ისტორიული დამოკიდებულებაც და ქართულ დოკუმენტებში თურქეთის შესახებ ბევრი ისეთი მასალაა დაცული, რომელთა გაუთვალისწინებლად მათი ქვეყნების ისტორია სრულფასოვნად შესწავლილი ვერ იქნება.

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლასთან და ერთობლივი მეცნიერული კვლევების ჩატარებასთან ერთად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასპინძლებს შევთავაზე, ჩვენი მომავალი ურთიერთობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ანკარის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის, ჩვენთან კი თურქოლოგიის განვითარებისთვის ხელშეწყობა გვექცია.

სენატში ჩემი გამოსვლის ბოლოს კი აღვნიშნე: თქვენი დედაქალაქის სახელი — ანკარა ქართულად წმინდას, სუფთასა და კამკამას ნიშნავს. დღევანდელი შეხვედრის შემდეგ ამ სიტყვამ ჩვენთვის ერთგვარად სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა. მინდა ვისურვო, ჩვენს უნივერსიტეტებს შორის დამყარებული ურთიერთობა, ისევე როგორც ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების მეგობრობა, მუდამ ანკარა და წმინდა ყოფილიყოს.

პირველი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც ჩემი წინადადებით იქვე იქნა მიღებული, 2004 წელს ქუთაისში ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება იყო თემაზე: საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების საკითხები. კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მთლიანად ჩვენი უნივერსიტეტი გაიღებდა. ქართულ და თურქულ ენებზე კი დაიბეჭდებოდა კრებული, რომელშიც კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებები იქნებოდა შეტანილი.

რექტორატისა და სენატის წარმომადგენლებმა ბევრი ისაუბრეს ჩვენი ქვეყნების დიდ ურთიერთობებზე როგორც წარსულში, ისე თანამედროვე ეტაპზე და გამოთქვეს მზადყოფნა მათ უნივერსიტეტში ქართული ენის, საერთოდ, ქართველოლოგიურ დისციპლინათა, რაიმე ფორმით სწავლების დაწყებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზ-

რისით განსაკუთრებული დაინტერესება მაინც პრორექტორმა ომერ გებიზლიოღლუმ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორანტურისა და მაგისტრატურის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფ. ჯან ხამამჯიმ გამოიჩინეს. ოფიციალური შეხვედრის შემდეგ გამართულ საზეიმო სადილზე მათთან ერთად დიდხანს ვისაუბრეთ აღნიშნულ საკითხებზე და შევთანხმდით, რომ ვიზიტის დღეებში ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მოვამზადებდით გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინებოდა უნივერსიტეტის სენატს.

ვიზიტის ბოლო დღეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მართლაც გავაცანით ჩვენი კონკრეტული მოსაზრებანი იმასთან დაკავშირებით, როგორ გვქონდა წარმოდგენილი ანკარის უნივერსიტეტში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო საქმის დაწყება. სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ვცდილობდით ეს ყველაფერი ისე ფრთხილად გაგვეკეთებინა, ჩვენს ასეთ დაინტერესებას უკუშედეგი რომ არ მოჰყოლოდა. საბედნიეროდ, სრულიად საწინააღმდეგო რამ მოხდა, რასაც ნამდვილად არ ველოდით.

როგორც ბატონმა ომერმა გაგვაფრთხილა, პროფ. ჯან ხამამჯისთან შეხვედრის დროს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხთან დაკავშირებით სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა. კერძოდ, ჩვენ მიერ შეთავაზებულ წინადადებებათაგან ბატონმა ჯანმა მხარი ჩვენთვის ყველაზე მეტად მისაღებ სურვილს დაუჭირა — ანკარის უნივერსიტეტში ქართველოლოგიაში მაგისტრატურის გახსნას. ამის სასწრაფოდ და აუცილებლად გაკეთების საჭიროება ჩვენ მიერ ერთობლივად შემუშავებული იმ დოკუმენტის პროექტში, რომელიც სენატს უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლად, ამგვარად იქნა დასაბუთებული:

განსხვავებით ქართველებისაგან, რომელთაც მრავალი ცნობილი თურქოლოგი ჰყავთ, თურქი ქართველოლოგები ფაქტობრივად არც კი არსებობენ. ეს მაშინ, როცა ქართულ წერილობით წყაროებში ძალზე ბევრი მასალაა ისეთი, რომელთა გაუთვალისწინებლად თურქეთის ისტორია სრულფასოვნად ვერ იქნება შესწავლილი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნების ისტორიული ურთიერთობის ცალკეული საკითხები ზოგიერთი მეცნიერის მიერ წლების გან-

მავლობაში არაობიექტურად შუქდებოდა. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია ზოგჯერ დღესაც გრძელდება. ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა თურქეთთან დაკავშირებული ქართული წყაროები პირველ ყოვლისა თავად თურქმა მეცნიერებმა შეისწავლონ, რაც დიდად შეუწყობს ხელს მოვლენების ობიექტურად შეფასებას.

ქართული ენის შესწავლას აქტუალურს ხდის ისიც, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ძალზე აქტიური პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები დამყარდა. სამომავლოდ ამ პროცესის გაღრმავებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ერთმანეთის ენების შესწავლა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ჩვენს უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების დამყარებასა და განმტკიცებას დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ე. წ. აბრეშუმის გზის იდეის პრაქტიკული ხორცშესხმაცა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობაც სძენს.

ბატონ ჯანის თქმით, მაგისტრატურაში სწავლის მსურველთა მოძიება არავითარი პრობლემა არ იქნებოდა, რადგანაც თურქეთში საქართველოსადმი დიდი დაინტერესების გამო ამ სპეციალობაზე შემომსვლელები საკმაოდ მოიძებნებოდა. ერთადერთი, რაშიც მან აქტიური დახმარება გვთხოვა, სათანადო დარგის სპეციალისტების მოძებნა იყო. კერძოდ, საკუთარი კადრების მომზადებამდე ჩვენი უნივერსიტეტიდან აუცილებელი იქნებოდა ანკარის უნივერსიტეტში შესაბამისი დარგის პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებით გაგზავნა, რასაც თურქული მხარე დააფინანსებდა.

ანკარის უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სწავლების ახალი ფორმების ძიებას. ერთ-ერთი სწორედ ასეთი ფორმა, რომელიც იქ ამჟამად ინერგებოდა, დისტანციური სწავლება იყო. თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უხვად აღჭურვილი დისტანციური სწავლების ცენტრი, რომელსაც სულ ახალი დაწყებული ჰქონდა ფუნქციონირება, მიზნად ისახავდა ფართოდ დაენერგა სპეციალისტთა მომზადება როგორც თურქეთში, ისე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში. ცენტრის ხელმძღვანელობა ყოველივე ამის გაკეთებას ინტერნეტით აპირებდა. კონტინგენტის

რაც შეიძლება ფართოდ მიზიდვის მიზნით სწავლება არა მარტო თურქულ, არამედ უცხო ენებზეც (თვით ჩინურადაც კი) მიმდინარეობდა. როგორც დისტანციური სწავლების ცენტრში გამართული ხანგრძლივი საუბრისა და ცენტრის უმდიდრესი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების დათვალიერების შედეგად დავრწმუნდით, ცენტრის სასწავლო სისტემა ამ თვალსაზრისით მსოფლიოში უკვე არსებულ მიღწევებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იყო შემუშავებული.

დისტანციური სწავლების უფრო იაფფასიანი სახეობაა ცოდნის დაუსწრებლად მიღების ისეთი ფორმა, როცა მსმენელს მისთვის სასურველ სპეციალობაში წინასწარ ეძლევა ჩაწერილი ლექციები. ამ შემთხვევაში დისტანციური სწავლების ცენტრის სპეციალისტებისა და სტუდენტის ურთიერთობა მხოლოდ კონსულტაციების მიღებითა და გამოცდების ჩაბარებით შემოიფარგლება, რაც ინტერნეტით ხორციელდება. კურსდამთავრებულს უნივერსიტეტის დასრულების დიპლომის მაგივრად ასეთ შემთხვევაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე სერტიფიკატი ეძლევა.

გარდა სწავლებისა, ანკარის უნივერსიტეტში ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტის ოპტიმალურ გზათა აქტიურ ძიებასაც უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული, რის შედეგადაც ფართოდაა დანერგილი საკვლევაძიებო საკითხების შერჩევისადმი პრაგმატული მიდგომა. მეცნიერული საქმიანობის ამ მიმართულებით წარმართვა უნივერსიტეტს უდიდეს ფინანსურ შემოსავალს აძლევს. აქ ფაქტობრივად პრაქტიკულად ხორციელდება თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრების უმთავრეს მოთხოვნად ქცეული პრინციპი — უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება კი არა იმავდროულად დიდი წარმოებაცაა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერების თეორიულ მიღწევათა პრაქტიკულ რეალიზებას.

ანკარის უნივერსიტეტს ამ თვალსაზრისითაც აშკარად მნიშვნელოვანი მიღწევები მოეპოვება. მაგალითად, იქაურმა მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური აპარატურა, რომლის მეშვეობითაც ზუსტად იკვლევენ წყლის დაბინძურების ხარისხს და ადგენენ ნიადაგის განა-

ყოფიერების დოზებს. მათ მიერ დამზადებული სპეციალური დანადგარით ასევე წინასწარ შეიძლება იქნეს შედგენილი მოსალოდნელ არქეოლოგიურ აღმოჩენათა რუკა და ა. შ. გარდა ასეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისა, ისინი ყოველდღიური ყოფითი საკითხების მიმართაც ძალზე დიდ ყურადღებას იჩენენ. კერძოდ, კუთვნილი მიწის ნაკვეთის დამუშავების შედეგად მოყვანილი პროდუქტით უნივერსიტეტი მნიშვნელოვანწილად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. მისი კვების ობიექტებში მოხმარებულ პროდუქტთა უმრავლესობა (ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი, ხორცეული, ღვინო, ჩაი და სხვა) სწორედ საუნივერსიტეტო ტერიტორიაზეა მოყვანილი.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ისე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, თითქოს უნივერსიტეტში წმინდა თეორიულ კვლევასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდეს. ეს რომ ასე არ არის, ამაში უნივერსიტეტის ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტზე სტუმრობამაც ნათლად დაგვარწმუნა. ეს ფაკულტეტი ერთ-ერთი უდიდესია უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებსა და სასწავლო ინსტიტუტებს შორის. ცალკე კორპუსში განთავისუფლებულ ამ ფაკულტეტს შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. ბიბლიოთეკაში არა მარტო წიგნებია დაცული, არამედ უამრავი უნიკალური ხელნაწერიც, მათ შორის უცხოენოვანიც. სამწუხაროდ, ამ ხელნაწერთა მრავალენოვან კოლექციაში ერთიც კი არ აღმოჩნდა ქართული, მაშინ, როცა სომხური მანუსკრიპტები საკმაოდ ბევრია.

ფაკულტეტზე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა უცხოურ ენათა სწავლებას. როგორც გვითხრეს, ამჟამად იქ 23 ენას ასწავლიან. თუმცა ბოლო ხანს, კონტინგენტის მეტისმეტი სიმცირის გამო, რეალურად დგას ისეთ ენათა სწავლების შეწყვეტის საკითხი, როგორებიცაა: სპარსული, უნგრული და სხვ. იმის იმედის ხმამაღალი განცხადებით, რომ უახლოეს მომავალში ფაკულტეტის 23 უცხოენოვან კათედრას 24-ედ ქართული ენის კათედრაც შეემატებოდა, ფაკულტეტის დეკანატსა და სამეცნიერო საბჭოს წევრებს საჩუქრად ჩატანილ ქართულ წიგნებს ვჩუქნით.

უნივერსიტეტში ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, სწავლება და

პრაქტიკული გამოცდილება სისიხლხორცეულად რომ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება სამედიცინო ფაკულტეტმა მოახდინა, რომელიც საუნივერსიტეტო კლინიკაშია განთავსებული. მასპინძლები საფუძვლიანად გვათვალიერებინებენ უნივერსიტეტის საავადმყოფოსა და მის კაბინეტ-ლაბორატორიებს, რომლებიც მთლიანად შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნებს. ჩვენი მეგზური — საავადმყოფოს მთავარი ექიმი მეჰმედ დემირთაში (იგი იმავდროულად უნივერსიტეტის პროფესორიცაა) — სართულ-სართულ დაგვატარებს და გვაცნობს სტუდენტთა სწავლებისა და ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობის იქაურ სისტემას, რომელიც ევროპულ-ამერიკული სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება თურქულ ენაზე მიმდინარეობს, ყოველი სტუდენტი ვალდებულია კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს პროფესიული განათლება ამ ენაზე შექმნილი უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე მიიღოს.

მთავარი ექიმი და ფაკულტეტის დეკანი გამოთქვამენ მზადყოფნას ჩვენგან წარგზავნილ სტუდენტებსაც და კურსდამთავრებულებსაც მათივე დაფინანსებით ჩაუტარონ სტაჟირება.

ყველა ფაკულტეტს ცალკე გამოყოფილი ადმინისტრაციული შენობა აქვს, სადაც დეკანატი და კათედრებია განთავსებული.

მიუხედავად იმისა, რომ ყველგან, სადაც კი ყოფნა მოგვიწია, ადამიანებს შორის მეტად თბილი და ურთიერთპატივისმცემლური დამოკიდებულება სუფევს, მაინც იგრძნობა, რომ საზოგადოება სოციალურ და სამსახურეობრივ ფენებადაა დაყოფილი. იერარქიულად ქვემდგომი ფენის წარმომადგენელი ხაზგასმული მორჩილებით იცავს სუბორდინაციას მასზე ზემდგომ პიროვნებებთან ურთიერთობაში. მაგალითად, ჩვენზე მომაგრებული მანქანის მძღოლი, მიუხედავად დიდად ცხელი ამინდისა, ყოველთვის კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი გვემსახურებოდა, მანქანაში ყოველი ჩაჯდომისა და გადმოსვლის დროს კარებს თავად გვიღებდა და ძალზე უხერხულობდა, როცა ამ საქმეს ჩვენ ვაკეთებდით. კაპადოკიაში ექსკურსიაზე მიმავლებს ამგვარად გამოწყობილი მძღოლი დიდი მორიდებით

დაგვეკითხა, ხომ არ გვეწყინებოდა, ძლიერი სიცხის გამო კოსტუმი რომ გაეხადა და ჰალსტუხი მოეხსნა.

ქვეყანაში უნივერსიტეტებისადმი განსაკუთრებულად პატივისცემელურ დამოკიდებულებას საფუძველი რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ქემალ ათათურქმა ჩაუყარა. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან ორი წლის შემდეგ, 1925 წელს, იურიდიული ფაკულტეტის შექმნის შესახებ დოკუმენტზე თავისი ხელმოწერა მან თურმე ამ სიტყვებით შეაფასა: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტზე ხელმოწერის შემდეგ ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემ მიერ გადადგმული ყველაზე დიდი ნაბიჯიაო. ამ შეფასებით ათათურქმა არა მარტო იურიდიული უმაღლესი განათლების დიდი როლი გამოკვეთა ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში, არამედ, საერთოდ, მთელი უმაღლესი განათლებისაც.

როგორც ითქვა, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ საქმიანობასთან და სტუდენტები თავიდანვე ეჩვევიან თეორიული ცოდნის რეალურ გამოყენებას. ამის მაგალითს მათ პირველ ყოვლისა თავიანთი პროფესორ-მასწავლებლები აძლევენ უნივერსიტეტში გახსნილ ლაბორატორიებსა და სხვადასხვა სახის საწარმოო დაწესებულებებში აქტიური პრაქტიკული საქმიანობით. მაგალითად, პედაგოგიურ ფაკულტეტზე წარმატებით ფუნქციონირებს შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, სადაც სათანადო გასამრჯელოს გადახდის ფასად სხვადასხვა ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვებს მთელი კვირის განმავლობაში ამეცადინებენ ჯგუფურადაც და ინდივიდუალურადაც. თან ეს ყველაფერი ისე კეთდება, რომ სპეციალურად მოწყობილი სარკმლებიდან მშობლებს პირადადაც შეუძლიათ ადევნონ თვალი მათი შვილების მეცადინეობის მთელ პროცესს ისე, რომ თავად ბავშვი ამის შესახებ ვერაფერს გებულობს.

გარდა ანკარის უნივერსიტეტისა, შესაძლებლობა გვქონდა ბილკენტის ამერიკულ უნივერსიტეტსაც გავცნობოდით. ანკარიდან რამდენიმე კილომეტრით მდებარე ამ კერძო უნივერსიტეტში, რომელიც თურქებსა და ამერიკელებს ერთობლივად აქვთ გახსნილი, ხელოვ-

ნებათმცოდნეობის სპეციალობაზე რამდენიმე წელიწადია წარმარტებით მოღვაწეობენ ქართველი რეჟისორები. თურქული ენის არცოდნის გამო მათ თარჯიმნობას უწევენ ჩვენი თურქოლოგები: ნანა კაჭარავა, გურამ აფხაზავა და ანზორ შამუგია. ბილკენტში სწორედ მათი მიწვევით მოვხვდით ერთ საღამოს.

ბილკენტის უნივერსიტეტი, სადაც 7 ათასი სტუდენტი სწავლობს, დღეს თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კერძო უმაღლესი სასწავლებელია, რომელშიც სწავლება მთლიანად ამერიკული სისტემით მიმდინარეობს. გარდა თეატრალური სპეციალობისა, იქ სწავლება მხოლოდ ინგლისურად წარმოებს. იმის გამო, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები საკმაოდ მაღალია, მათ კატეგორიულად ეკრძალებათ სხვაგან მუშაობა.

უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები და ბიბლიოთეკები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა მოწყობილი და სათანადო ტექნიკით აღჭურვილი. უნივერსიტეტის მთელი უზარმაზარი ტერიტორია საიმედოდაა დაცული და იქ შესვლა მხოლოდ სპეციალური საშვებითაა ნებადართული. ბიბლიოთეკა დილიდან გვიან ღამემდე, მათ შორის დასვენების დღეებშიც, შეუსვენებლად მუშაობს და იქ ცოდნის შეძენის ყველა პირობაა შექმნილი.

ნანა კაჭარავას კეთილმოწყობილ ბინაში ჩვენთან ერთად სტუმრად ბრძანდებოდა ცნობილი თურქი მეცნიერი, ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ფართოდ აღიარებული სპეციალისტი, მინე კადიროღლუ. ქალბატონი მინე ათ წელზე მეტია დიდი ინტერესითა და სიყვარულით სწავლობს ამ ძეგლებს და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მათი მოვლა-პატრონობისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ შემთხვევაში ხასგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მან ჩვენი კულტურის ამ უძვირფასესი ძეგლების შემსწავლელ ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი სკოლაც შექმნა. ეს ახალგაზრდები დიდ როლს ასრულებენ ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრების მეცნიერული შესწალის საქმეში, რის შედეგადაც შექმნილ ნაშრომებს სისტემატუტად აქვეყნებენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო გამოცემებში.

ბილკენტში ჩვენი ყოფნა ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენასაც დაემთხვა — სტამბოლის ფეხბურთელთა ცნობილი გუნდი „ბეშიქ-

თაში“ თურქეთის ჩემპიონი გახდა. თურქეთის ტელევიზიამ იმ ღამითვე პირდაპირი ტელეტრანსლაციით უჩვენა მაყურებელს ამ მოვლენასთან დაკავშირებით სტამბოლში, ანკარასა და ქვეყნის სხვა ქალაქებში გამართული დიდი ზეიმი. „ბეშიქთაშის“ გამარჯვების მნიშვნელობას არსებითად ზრიდდიდა ის ფაქტი, რომ „ბეშიქთაშელებმა“ თავიანთი ტრადიციული მეტოქე, ასევე ფართოდ ცნობილი საკლუბო გუნდი „გალათასარაი“ „ბეშიქთაშის“ საკლუბო გუნდის დაარსებიდან მეასე წლისთავის საზეიმო დღეებში დაამარცხეს. შინ გვიან ღამით დაბრუნებულები თავად ჩვენც გავხდით უშუალო თვითმხილველები ანკარის ქუჩებში „ბეშიქთაშის“ გულშემატკივართა მიერ გამართული დიდი ზეიმისა. გუნდისა და თურქეთის დროშებით აღჭურვილი გულშემატკივრები სიმღერით დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა და ასე გამოხატავდნენ თავიანთ სიხარულს. ამ მოვლენით კომერციული ნიჭის მქონე პიროვნებებმაც მოხერხებულად ისარგებლეს და იმ ღამით გამარჯვებული გუნდის დროშები საკმაოდ მრავლად გაყიდეს სარფიან ფასად.

გარდა საქმიანი შეხვედრებისა, ანკარაში ჩვენი ვიზიტის პროგრამა თურქეთის ღირშესანიშნაობათა გაცნობა-დათვალიერებასაც ითვალისწინებდა. პროგრამის ამ ნაწილის განხორციელება ანკარით დაიწყო. 1922 წლამდე, სტამბოლიდან ქვეყნის დედაქალაქის ანკარაში გადატანამდე, რაც ათათურქის დიდი სახელმწიფოებრივი პროგრამის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, ანკარა პატარა პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა. გადედაქალაქების შემდეგ მისი ზრდისა და განივითარების პროცესი უსწრაფესი ტემპით წარიმართა და დღეს იგი ევროპული ტიპის მეგაპოლისია, რუდუნებით მოვლილ-დამშვენებული, მწვანე ბაღნარებში ჩაფლული და ცადატყორცნილი შენობებითა და მეჩეთებით გალამაზებული ქალაქი. ანკარის ძველი ნაწილი, რომელიც კაცს რაღაცით ძველი თბილისის ისტორიულ უბნებსაც მოაგონებს, მთაგორიან ფერდობებზეა შეფენილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში არსებულ შენობა-ნაგებობათა უმეტესობა დღეს საკმაოდ ამორტიზებულია და ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანის გაზრდილ ყოფით მოთხოვნებს, მათ ანკარელები მაინც არ ანგრევენ და უფრთხილდებიან, როგორც შუასაუკუნოვანი ისტორიის ნაშთს.

ანკარაში, საერთოდ, თურქეთში ჩასული კაცი იმთავითვე იგრძნობს იმ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, რომელსაც იქაურები მათი ქვეყნის ყველაზე თვალსაჩინო შვილის — მუსტაფა ქემალ ათათურქის (1881-1938 წწ.) მიმართ იჩენენ. ფაქტობრივად, ათათურქი ერთადერთი თურქი ისტორიული მოღვაწეა, ვისი ძეგლიც თურქეთის ყოველ კუთხე-კუნჭულში დგას. ეს ამბავი იმდენად თვალში საცემია, რომ თურქეთს ერთი კაცის ძეგლის მქონე ქვეყანასაც კი უწოდებენ.

ასეთი განსაკუთრებული სიყვარული ამ დიდმა მამულიშვილმა სავსებით ბუნებრივად დაიმსახურა თავისი თავგანწირული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგად. თურქეთში მოწიწებითა და სიყვარულით იხსენებენ ათათურქის ხელმძღვანელობით განხორციელებულ იმ გარდაქმნებს, რომელთა შედეგადაც თურქეთის დამოუკიდებელი და მძლავრი სახელმწიფოს შექმნას ჩაეყარა მყარი საფუძველი. ამ უდიდესი გარდატეხის საწყის ეტაპად 1923 წლის 29 ოქტომბერი იქცა, თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების დღე. ეს გამარჯვება თურქმა ხალხმა სწორედ მათი დიდი ბელადის — ათათურქის ხელმძღვანელობით მოიპოვა. 1919 წელს დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც თითქმის ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ანტანტის ქვეყნების ქვეშევრდომობიდან განთავისუფლებითა და რესპუბლიკის გამოცხადებით დაგვირგვინდა. სულთანის მონარქიული სახელმწიფოს ნანგრევებზე შექმნილმა დამოუკიდებელმა ქვეყანამ, რომლის პირველი პრეზიდენტი ათათურქი გახდა, თავისი განვითარების მაგისტრალურ გზად ევროპულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად გახდომა აირჩია.

თურქეთის მიერ გატარებული ყველა დიდმნიშვნელოვანი რეფორმა პირველ ყოვლისა სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. მხედველობაში მაქვს 1924 წლის 3 მარტს ხალიფატის გაუქმება, ახალი კონსტიტუციის მიღება, 1928 წლიდან ლათინურ ანბანზე გადასვლა, 1934 წლიდან გვარების შემოღება და ა. შ.

ათათურქისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება ყველაზე მეტად მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად ანკარაში აგებული გრანდიოზული მემორიალით იგრძნობა. ეს მემორიალი

1944-53 წლებში შენდებოდა. იგი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს და მის სამუზეუმო დარბაზებში უხვადაა წარმოდგენილი ათათურქის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველი უმდიდრესი მასალა. მემორიალის ტერიტორიასთან მიახლოებისთანავე ერთბაშად ხვდებით ხაზგასმულად თეატრალიზებულ იმ სანახაობათა უშუალო თვითმხილველი, რომელთა უმთავრესი მიზანდასახულობა თურქი ხალხის ამ დიდი შვილისადმი უღრმესი პატივისცემისა და მოწიწების გამოხატულებაა. მემორიალის შესასვლელში კონტრასტულად შავ-თეთრ საპარადო ფორმებში გამოწყობილი კარისკაცები თავიანთ პოსტებზე ისე გაქვავებულები დგანან, ვერც კი იფიქრებ, ცოცხალი ადამიანები თუ არიან. მეტად შთამბეჭდავი სანახავია პოსტებზე მათი გამოცვლის სცენა.

მემორიალის სამუზეუმო დარბაზებში მოხვედრამდე საკმაოდ გრძელი ხეივანი უნდა გაიარო, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ წყვილ-წყვილად ჩამწკრივებული ლომების ქანდაკებებია აღმართული (სულ — 24 (12-12) ლომი). ისინი ერთ დროს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხეთების მიერ შექმნილ ლომის ქანდაკებათა ასლებს წარმოადგენენ.

როგორც ითქვა, რამდენიმე შენობაში განთავსებული მუზეუმი შთამბეჭდავად მოგვითხრობს თურქეთის უახლესი ისტორიისა და ამ ისტორიის უმთავრეს შემოქმედთა ცხოვრების ამბავს. აქ არის სანიმუშოდ მოვლილი და განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტად ქცეული საფლავი თავად ათათურქისა. ცალკეა გამოფენილი მისი პირადი ნივთები, სახელმწიფო ჯილდოები, ყველაფერი, რაც თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობას უკავშირდება. დარბაზებში წარმოდგენილი ბიუსტები და ფერწერული ტილოები გვაცნობებენ ათათურქის თანამებრძოლ სამხედრო პირებს, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებსა და ქვეყნის თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლ სხვა მამულიშვილებს.

ძალზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ათეულობით მეტრი სიგრძის მქონე ფერწერული პანორამა, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან საომარ ეპიზოდებზე გვიქმნის ვიზუალურ ეფექტურ წარმოდგენას. კერძოდ, ესენია ჩანაქალესა (1915 წ.) და საკასრიას (1921 წ.) ომების

ამსახველი ეპიზოდები. დამთვალიერებელს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს თავადაც მოხვდა ბრძოლის ველზე. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებენ საბრძოლო ყიჟინისა და თოფ-ზარბაზნების შემაძრწუნებელი ხმები და გავეშებული ცხენების ჭიხვინი, ხმამაღალი გრუხუნ-გრიალით რომ ავსებენ მთელ დარბაზს. ეს ყველაფერი ემოციურად იმდენად შთამბეჭდავია, რომ დამთვალიერებლები, რომლებიც აქ მუდამ ბევრია, ძლიერ პატრიოტულ მუხტს იღებენ.

მდიდარი შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გამოვდივართ გარეთ და უკვე აღარ გვიკვირს ის განსაკუთრებული სიყვარული, რომელსაც თურქები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ავლენენ თავიანთი ქვეყნისა და მშობლიური ენისადმი — ქუჩებში მხოლოდ თურქული წარწერები გხვდება; რადიო-ტელევიზორში იშვიათი გამონაკლისების გარდა მარტო თურქულენოვანი სიმღერები და გადაცემები გადის, საზოგადოებრივ ტრანსპორტში თუ კერძო ავტომანქანებში კი მხოლოდ თურქულ სიმღერებს გაიგონებ... ეროვნული ფაქტორის წინა პლანზე ამგვარი წამოწევა იმას არამც და არამც არ ნიშნავს, თითქოს თურქები გარესამყაროსაგან იზოლიაციისა და თავიანთ ნაციონალურ ნაჭუჭში ჩაკეტვის მომხრენი არიან. რასაკვირველია, არა. მაგრამ სხვა ხალხების ეროვნული ფასეულობებისადმი სიყვარული და პატივისცემა მათ ცნობიერებაში საკუთარის ხელყოფისა და დამცრობის ხარჯზე კი არ ხდება, არამედ ეროვნულ სულიერ საგანძურთან დაქვემდებარებულად და შეთანხმებით.

დღევანდელი თურქეთის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს კარგად აქვს გაცნობიერებული იმ ისტორიულ ფასეულობათა დიდი მნიშვნელობა, მემკვიდრეობით რომ მიიღეს შორეულ წარსულში მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისაგან. როგორი სიყვარულითა და რუდუნებით უვლიან და პატრონობენ ისინი წარსულს, ამაში ნათლად დავრწმუნდით მათი მუზეუმების დათვალიერებისა და კაპადოკიაში ყოფნის დროს.

ისტორიულ სიძველეთა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ანატოლიელ ხალხთა მუზეუმი ანკარაში. ათათურქის მიერ გახსნილი ეს მუზეუმი, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ დიდ მატერიალურ კულტურაზე,

თურქეთის ცენტრალური ნაწილის — ანატოლიის მიწაზე მცხოვრებმა ხალხებმა რომ შექმნეს აქ ქვის ხანიდან მოყოლებულ გვიანდელ შუა საუკუნეებამდე. კერძოდ, სხვადასხვა დროს ამ ადგილებში ბევრ ისეთ ხალხს უცხოვრია, რომელთა დიდი ნაწილი ჟამთასვლამ სამუდამოდ აღგავა პირისაგან მიწისა. ოდესღაც მათი ამქვეყნიური არსებობის ნაკვალევი ისტორიას ამ ხალხების მიერ შექმნილმა ყოფით-მატერიალური კულტურის იმ ძეგლებმა შემოუნახეს, რომლებიც საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი მუზეუმში. საგამოფენო დარბაზებში ერთმანეთს ცვლიან ხათების, ხეთების, ფრიგიელების, კიმერიელების, ფინიკიელების, ასურელების, ბერძნების, ბიზანტიელების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურის ნაშთები. დღეს მათ ნასახლარს ახალი დიდი პატრონი და ჭირისუფალი ჰყავს თურქების სახით.

ვიზიტით გათვალისწინებული კულტურული პროგრამის გვირგვინად კაპადოკიაში სამდღიანი მოგზაურობა იქცა. ანკარის უნივერსიტეტის ახალგაზრდა და ენაწყლიანი არქეოლოგის — აიშე ოსჯანის მეგზურობით ჩატარებულმა ამ ექსკურსიამ, რის შედეგადაც კაბადოკიის ღირშესანიშნაობათა დიდი ნაწილის ნახვა მოვახერხეთ, წარუშველი შთაბეჭდილება მოახდინა ყოველ ჩვენგანზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველთათვის განსაკუთრებით ძვირფასი ამ ადგილების დათვალიერებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამგვარი შეფასების საფუძველს ამ შემთხვევაში მხოლოდ ის კი არ გვაძლევს, კაპადოკია საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებლის — წმინდა ნინოსა და წმინდა გიორგის ისტორიული სამშობლო რომაა, არამედ სამონასტრო-საეკლესიო ცხოვრების ის გრანდიოზული საოცრებანიცა და ბუნების მიერ შექმნილ ძეგლთა სასწაულებიც, რომლებიც აქ უამრავია.

კაპადოკიაში ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იქ საღვთისმსახურებლო მისიით მყოფმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ მხარეს საოცრება უწოდა. მისი თქმით, „ეს არის ათასი ვარძია ან თუნდაც ნახევარი საქართველო, ... სადაც ასიათასობით ბერი და მონაზონი მოღვაწეობდა...

კაპადოკია ჩვენი ძარღვი და ფესვია. იგი განუყოფელი რგოლია და ნაწილია ქართული სულისა... ჩვენ ხომ ქრისტიანობის მადლს კა-

ბადოკიიდან ვეზიარეთ". ასე რომ, მსოფლიოს მერვე საოცრებად აღიარებულ ამ ზღაპრულად მისტიკურ მხარეში ჩვენს მოგზაურობას საფუძვლად ეროვნული ინტერესებიც ედო. ჩვენ ხომ ჩვენთვის განსაკუთრებით სათაყვანო წმინდანების — წმინდა ნინოსა და წმინდა გიორგის მიწიერ სამშობლოში უნდა გვემოგზაურა!

ანკარიდან კაპადოკიამდე თითქმის სამასი კილომეტრია. მიუხედავად იმასა, რომ გზები შესანიშნავია, ყველგან, სადაც ავტომაგისტრალები თანამედროვეობის სტანდარტულ მოთხოვნებს არ შეესაბამება და შუაში გამყოფი ზოლით არაა გამიჯნული, ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს. ასეა არა მარტო ანატოლიაში, არამედ მთელ თურქეთში.

გავიარეთ ერთ-ერთი ყველაზე მლაშე ტბა — თუზი (მარილის ტბა), რომელიც მარილის უდიდეს საბადოს წარმოადგენს. ტბის მთელი შემოგარენი მარილით ისეა დაფარული, გეგონება თოვლი დევსო. მზეში მოციაგე ტბას მუქი იასამნისფერი გადაკრავს, რაც საოცარ ვიზუალურ ეფექტს ქმნის.

სამსაათიანი მგზავრობის შემდეგ შევდივართ კაბადოკიის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ქალაქ ნევშეჰირში (ახალ ქალაქში). ანკარისაგან განსხვავებით, აქაც და გზადგამოვლილ სხვა დასახლებულ პუნქტებშიც უფრო და უფრო მეტად იგრძნობა აღმოსავლური ყოფის სპეციფიკა. ეს ყველაზე მეტად გრძელ კაბებსა და კოჭებთან შეკრულ შარვლებში გამოწყობილ თავსაფრიან (იშვიათად ჩადრიან) ქალებს ეტყობათ.

ნევშეჰირი პატარა, აღმოსავლური კოლორიტით გამორჩეული უძველესი ქალაქია, რომლის ისტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, ამ ადგილებში ხეთების, ფრიგიელების, კიმერიელებისა თუ აწ უკვე გადაშენებული სხვა ხალხების მძლავრობის ხანაში იწყება. მთის ფერდობებზე შეფენილი მისი ძველი ნაწილი, რომლის მთავარ ისტორიულ ღირშესანიშნაობას XVI საუკუნის მეჩეთი და მასთან არსებული მედრესე (სასულიერო სასწავლებელი) წარმოადგენს, ვარძიასავით კლდეში ნაკვეთი სენაკებით იქცევს ყურადღებას. ქალაქის ამ ნაწილში ძირითადად ურუმები (იქაური ბერძნები) ცხოვრობდნენ, რომლებიც იქიდან გასული საუკუნის პირველ ნახევარში გადასახლდნენ. იმის გამო, რომ ეს ადგილები სა-

ცხოვრებლად უვარგისია და მოუხერხებელი, დღეს იქ ცხოვრების მსურველი ცოტაა. ამიტომ ქალაქის ახალი ნაწილი მისგან მოშორებით, უფრო მოსახერხებელ ადგილზეა გაშენებული.

ვათვალიერებთ ქალაქს. შევდივართ ერთ პატარა საჩაიეში, რომელიც შუა საუკუნოვან ოსმალურ ყაიდაზეა მოწყობილი. მომსახურე კაციც, საოცრად დიდი ულვაშებით სახედამშვენებული, ძველოსმალურადაა ჩაცმული. საჩაიეში არსებული ყოფითი გარემო და მომსახურების აღმოსავლური სტილი ირგვლივ სიძველის ეგზოტიკურ კოლორიტს ქმნის.

ნევშეჰირიდან გიორემესა და ურგუფში მივემგზავრებით, საიდანაც თვალწინ უკვე მთელი თავისი დიდებულებითა და გრძნეული საოცრებებით იშლება კაბადოკიის ზღაპრული სამყარო.

როგორც ამბობენ, აქაურობის შექმნით ღმერთმა ყველაზე მეტად გამოავლინა თავისი დიდი შემოქმედებითი ფანტაზია. ამ ფანტაზიის ჯადოქრული საოცრებებით არა მარტო მიწისზემოთა სივრცეა სავსე, არამედ მიწისქვეშეთიც. კერძოდ, კაპადოკიაში უამრავი მიწისქვეშა შენობა-ნაგებობაა, რომლებიც მთელ საქალაქო სისტემას ქმნიან. ზოგიერთი მათგანი რვა სართულიანი სახლის სიღრმეზეც კი არის მიწისქვეშეთში ჩაფლული.

მათი უმეტესობა თურმე მიწისქვეშა გვირაბებითაც ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს მიწისქვეშა ქალაქები თავდაცვითი მიზნით უძველეს დროში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, აუგიათ აქ მცხოვრებ ხალხებს, რის შესახებაც სათანადო ცნობებს ძველი ისტორიკოსებიც (მაგალითად, ქსენოფონტე) ხშირად გვაწვდიან. სავარაუდოდ ეს მიწისქვეშა ქალაქები დაახლოებით 50 ათას კაცს იტევდა.

მტრისაგან თავის დასაცავად აგებული მიწისქვეშა სახლების სართულები ხშირად იმდენად ვიწრო გვირაბებით უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ მათი გავლა მხოლოდ დაოთხილ ადამიანს თუ შეუძლია. კლდეებში შეჭრილ სენაკებს ნათლად ეტყობათ, რა მიზნითაც ხდებოდა მათი გამოყენება — სამზარეულოდ, სასადილოდ, სტუმარათა მისაღებად თუ დასაძინებლად. ცალკეა გამოკვეთილი რელიგიურ-სარიტუალო დანიშნულების სენაკები. სართულიდან სართულზე ჩასასვლელები ნისქვილის დოლაბის მსგავსი უზარმაზა-

რი ლოდებითაც იკეტებოდა. პირველ სართულზე, რომელიც მიწის ზედაპირთან ყველაზე ახლოსაა, ნახირის გასაჩერებელი სენაკი არსებობდა. სახლებს დატნეული უზარმაზარი ჭისებრი მილები საჰაერო ვენტილაციის ფუნქციას ასრულებდნენ.

მიწისქვეშა შენობათა სართულები ისეთი ლაბირინთისებრი გვირაბებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ კაცი სათანადო მისანიშნებელი ფირნიშების გარეშე გზას ვერ გაიგნებ. რომ ელექტროგანათება არაა, ირგვლივ სრული წყვდიადი იქნება. ამგვარი მიწისქვეშა შენობები ხანგრძლივი დროით საცხოვრებლად რომ ყოფილა გამიზნული, ამაზე მეტყველებს იქ არსებული მარნები, საწნახლები, ქვევრები და ყოველდღიური ყოფისათვის აუცილებლად საჭირო სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

მიწისქვეშა ქალაქების დათვალიერების შემდეგ ქალაქ გიორემეში მაღალ მთაზე აგებული სამი ციხის — უჩჰისარის სანახავად მივდივართ. იგი მწვერვალის თავზე ისეა წამომართული, გეგონება ოკეანედან მოვარდნილი მღელვარე ტალღა ჰაერში გაქვავებულაო. ციხის ყველაზე მაღალ ადგილზე ამაყად ფრიალებს თურქეთის სახელმწიფო დროშა. მთელი ეს შემოგარენი ვულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილი უზარმაზარი ლოდებითაა დაფარული. ათასგვარი გამოსახულების მქონე ამ ქმნილებებში ჯადოქრული ძალით იგრძნობა ბუნების იდუმალი შემოქმედებითი გენიის გამოვლინება.

ცაში უზარმაზარი ფალოსებივით აღმართულან გრანდიოზული ქვის სვეტები, რომელთაც თავზე ნაირგვარი სკულპტურული აღნაგობის მქონე ვულკანური ლოდები ადევთ; დამშრალ მდინარეთა ხეობებსა და მთათა ფერდობებზე მისტიკურად ჩანან ათასობით ერთმანეთზე მიწოლილი კონუსისებური ფიგურები, რომლებიც პირით მიწაზე დამხობილ უზარმაზარ მუცლიან ქვევრებს გვანან... მთელი თვალსაწიერი ისეთი ზღაპრული სანახაობითაა მოფენილი და მნახველს იმგვარი გრძნობა გეუფლება, თითქოს არამიწიერ სამყაროში მოხვდი. ნახულით გაოცებულმა აღარ იცი, საით წახვიდე და რას მიაპყრო ყურადღება.

მივყვებით ციხისკენ მიმავალ ციცაბო ბილიკს. ათასი ჯურის ტურისტი ჯგროდ შეფენია მთის კალთებს. მანქანების მოსაცდელ ადგილებთანაც და გზის გაყოლებაზეც უამრავი ჯიხურია გახსნილი,

სადაც იქაური კოლორიტული სილამაზის ამსახველი ნაირნაირი სუვენირები იყიდება. აქლემებით გასეირნების მსურველებს დაჟინებით ეპატიჟებიან კლიენტების მომლოდინე მეაქლემეები.

ამასობაში ღამდება კიდეც და არამიწიერი სილამაზის მომნუსხველი ეფექტი მეტ იდუმალებას იძენს. მთის მაღალი მწვერვალიდან ნათლად ხედავ, ჯადოსნურ ხედებად განფენილი ეს ზღაპრული სამყარო როგორ ნელ-ნელა იძირება მიმწუხრის ბინდში. ბუნების ამ საოცარ ქმნილებათა უსიერ ტევრში მიმოფანტულ სასტუმროებსა და კაფე-რესტორნებში ანთებული სინათლეები კიდევ უფრო გვიმძაფრებენ იდუმალების მომნუსხველ გრძნობას. ამ გრძნეული მშვენიერების ეფექტურად აღქმის მიზნით მანქანას ხან სად ვაჩერებთ და ხან სად.

გვიან ღამით სასტუმროში დაბინავების დროც დგება. ჩვენი სასტუმრო სურბანი პატარა ქალაქ ურგუფში მდებარეობს. ჩვენს მასპინძლებს წინასწარ მიუღიათ ზომები იქ ადგილების დასაჯავშნად. მთის ტერასებიან ფერდობზე აშენებულ და ძველ სელჩუკურ ყაიდაზე მოწყობილ ამ სასტუმროში ღამის გათევა საკმაოდ ძვირი ჯდება (ჩვენი ერთი ნომერი, მაგალითად, 140 ევრო ღირდა). ნომრებში, რომელთაც მეტად რომანტიკული სახელები აქვთ (ნოსტალგიის ოთახი, სადაფის ოთახი, სარკეებიანი ოთახი, განსამარტოებელი ოთახი და ა. შ.), სიძველის ეგზოტიკური განწყობილებაა შექმნილი. ნომრის მთელი აღკაზმულობა — საწოლი, სკამები, აბაზანა, ხალიჩები — ძველ სელჩუკურ ყოფასთანაა მისადაგებული. კედლები გარეთაც და შიგნითაც შეულესავი ნატეხი ქვებითაა ნაშენები. იატაკი ფიცრისაა. სასტუმროს წინა ტერასებიანი აივანი მთელ ქალაქს გადაჰყურებს. მძლავრი პროჟექტორებით საგანგებოდ განათებული ბუნების საოცარი ქმნილებები, რომლებიც ქალაქს შემოჯარულად გადმოყურებენ ზემოდან, ზღაპრულ ეფექტს ქმნიან.

სასტუმროში ცალკეა გამოყოფილი განსაკუთრებით პრესტიჟული ნომრები. მათგან ყველაზე ეგზოტიკური და ძვირად ღირებული (ერთი ღამის გათევა 400 ევრო ღირს) სულთანის ოთახია. სასტუმროს მეპატრონეები საგანგებოდ გვათვალიერებენ ამ ნომერს, რომელიც ზუსტად ისეა მოწყობილი, როგორც შუა საუკუნეების დროინდელი სულთანის საძინებელი.

ქვის მაღალი გალავნით შემოსაზღვრულ სასტუმროს ეზოში შესვლა მხოლოდ დიდი ალაყაფის კარებით შეიძლება. ეზო რუდუნებით მოვლილი ყვავილნარითა და ხალიჩასავით გაშლილი მწვანე მოლითაა მოფენილი.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, კაბადოკიისადმი ჩვენს ინტერესს უპირველეს ყოვლისა მაინც შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით V-XIII სს.) იქ ფართოდ განვითარებული ქრისტიანული საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება განაპირობებს, რის შედეგადაც ბუნების კლდოვან საოცრებებთან უდიდესი არქიტექტურული ხელოვნებით შერწყმულ-შეხამებული ასეულობით სამონასტრო კომპლექსი შეიქმნა. მათ დათვალიერებას ქალაქ ზელვედან ვიწყებთ.

მთათა კლდოვან კალთებზე გამოკვეთილი ეკლესია-მონასტრების მნახველს უნებურად ჩვენი ვარძია და ილიას „განდეგილი" გახსენდება. მიწიერ სამყაროს მოწყვეტილ ამ სენაკებში მოსიარულეს გაოცება გიპყრობს, ვინ და როგორ შექმნა ეს ყველაფერი. მათი რაოდენობა იმდენად ბევრია, კაცს სათვალავი აგერევა. ყოველ მათგანში თითო ბერსაც კი რომ ეცხოვრა, ისინი ათასობით უნდა ყოფილიყვნენ.

რას ჭამდნენ, რას სვამდნენ, როგორ არსებობდნენ? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღეს ძალზე ძნელია. კლდეში გამოკვეთილი სენაკებისა და სამონასტრო კომპლექსების უმეტესობა მეტისმეტად მიუვალია. ისინი მერცხლების ბუდეებივით არიან კლდოვან კალთებზე სართულებად შეფენილნი. როგორც ამბობენ, სამონასტრო ცხოვრების ზეობის პერიოდში კაპადოკიაში დაახლოებით 30 ათასი ბერი ყოფილა დაყუდებული.

სხვადასხვა წმინდანთა პატივსაცემად აგებულ ბევრ ეკლესიას მოგვიანებით თურქებმა მათზე გამოსახული ჩუქურთმების მიხედვით გადაარქვეს სახელი. ასე გაჩდნენ ისეთი სახელწოდების ეკლესიები, როგორებიცაა: თევზის ეკლესია, ყურძნის, სარკისა და ა. შ. ასეულობით ეკლესია-მონასტრისაგან მოხატული მხოლოდ 50-მდე ეკლესია ყოფილა. ფრესკებზე გამოსახულ წმინდანებს სახე ხშირად წაშლილი აქვთ, რაც მაჰმადიანური რელიგიის ფანატიკოს მიმდევართა მიზანმიმართული მკრეხელობის შედეგია. როგორც ცნობილია, ეს სარწმუნოება პრინციპულად კრძალავს ღმერთ-წმინდანთა

გამოსახვას ადამიანური სახით. ეკლესიათა ერთი ნაწილი კი მეჩეთებადაა გადაკეთებული.

კაბადოკიის სამონასტრო კომპლექსები არა მარტო დაყუდებულ ბერთა სალოცავ ადგილებად იყო გამიზნული, არამედ საცხოვრებლადაც. ამაზე მეტყველებს ეკლესიების გვერდით არსებული სატრაპეზოები, სამზარეულოები, საოსტიგნოები (პროდუქტის შესანახი საწყობები) და სხვა სახის სათავსოები. იქვე ხდებოდა გარდაცვლილთა დასაფლავებაც სპეციალურად ამოჭრილ ქვის სარკოფაგებში. დღეს ეს სარკოფაგები თავღია და ერთიანად დაცარიელებულია. ზოგ ეკლესიაში მათი რაოდენობა 30-ზე მეტიცაა. კაცმა არ იცის, ვინ და როდის გაძარცვა ეს საფლავები და იქ დაკრძალულთა ნეშთებს რა ბედი ეწიათ.

კლდეში გამოკვეთილი ეს სამონასტრო კომპლექსები იმავდროულად საიმედოდ დაცულ თავშესაფრებსაც წარმოადგენდნენ. ბევრ ეკლესიას გვერდით ვიწრო გვირაბით შესაძრომი დასამალი სენაკიც აქვს. უკუნი წყვდიადით მოცულ ასეთ სამალავებში მხოლოდ ფარნით თუ შეგიძლია შესვლა. მათთან დამაკავშირებელი გვირაბი თავშიც და ბოლოშიც ქვის დიდი დოლაბებით იყო ჩაკეტილი. მათი ჰაერაცია ფარულად დატნეული მილებით ხდებოდა. ზოგან საიდუმლოდ გასაქცევი გვირაბიც იყო გაკეთებული. ერთი სიტყვით, ეს სამონასტრო კომპლექსები საკმაოდ რთულ საინჟინრო ნაგებობებსაც წარმოადგენენ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქ. გიორემეს მახლობლად კლდეში გამოკვეთილი IV საუკუნის ეკლესია, რომელიც სრულიად განმარტოებით დგას, სხვა ეკლესია-მონასტრებისაგან საკმაოდ დაშორებით. მონასტრის მცველმა საფუძვლიანად დაგვათვალიერებინა მისი ყველა კუთხე-კუნჭული. ფრესკებით მოხატული სამლოცველო დარბაზიდან, სადაც სანთლებიც ავანთეთ, ვიწრო გასასვლელით ბერების საცხოვრებელ სენაკში გავდივართ. სენაკს ერთ მხარეზე სატრაპეზო ოთახი აქვს, მეორეზე — პროდუქტის შესანახი საწყობი. ყველა მათგანი უფანჯრებოა. ასე რომ, იქ დასადგურებულ წყვდიადში მოძრაობა მხოლოდ საგანგებოდ მომარაგებული ფანრებით გვიხდება.

ბერების საცხოვრებელი სენაკიდან მეტისმეტად ვიწრო და გრძე-

ლი გვირაბით დაოთხილები გავდივართ მტრისაგან თავდასაცავად გაკეთებულ სამალავში. გვირაბის თავიცა და ბოლოც ქვის უზარმაზარი ლოდებით იკეტებოდა. სამალაეის ჰაერაცია სპეციალური სავენტილაციო მილით ხდებოდა. იქვე სიპ კლდეში ხუთი-ექვსი მეტრი სიგრძის ჭისებრი ღრმულია ამოჭრილი კედლებზე ჩასასვლელი საფეხურებით, საჭიროების შემთხვევაში სამალავში თავშეფარებულ კაცს საიდუმლოდ გაქცევა რომ შეძლებოდა.

მონასტერს, ყოველივე ზემოთქმულიდან ერთად, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებიც ქონდა — კლდეში გამოჭრილი საწნახელი, თაფლის სახდელი, ქვევრები და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქრისტიანისათვის წმინდა და სათაყვანებელი ეს ეკლესია-მონასტრები დღეს მაჰმადიანთა ხელშია, ყველგან იგრძნობა, რომ ისინი სულაც არ არიან უპატრონოდ მიტოვებულნი და სახელმწიფო დიდი პასუხისმგებლობით იცავს ყოველ მათგანს. ამ ადგილების სანახავად ყოველდღიურად ათასობით ადამიანი მიდის როგორც თურქეთის სხვადასხვა კუთხიდან, ისე უცხო ქვეყნებიდანაც, რის შედეგადაც სახელმწიფო საკამაოდ დიდ შემოსავალს იღებს. დამთვალიერებელთა შორის განსაკუთრებით ბევრია ახალგაზრდა. ექსკურსიამძღოლები საკამაოდ მაღალი პროფესიონალიზმით ხსნიან და განმარტავენ ქრისტიანული რელიგიის ამ საკულტო ნაგებობათა სარწმუნოებრივ არსსა და დანიშნულებას.

საერთოდ, სპეციალისტების მტკიცებით, თურქები, სხვა მაჰმადიანი ხალხებისაგან განსხვავებით, საკმაოდ რჯულშემწყნარებლები არიან. როგორც ჩვენი დელეგაციის წევრი, პროფ. ცისანა აბულაძე წერს ერთგან, „ჩვენში ოსმალური ხმალი ქრისტიანულ სარწმუნოებას არ დაპირისპირებია და თურქთაგან „შემოთავაზებული“ გამაჰმადიანების ოფიციალური ფორმა ნებაყოფლობითი იყო.“ ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აქ ალბათ იმის გახსენებაც იქნება საკმარისი, მსოფლიოს მართმადიდებლური ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგაც კვლავ რომ ამ ქალაქში ზის და შეზღუდვის გარეშე აღავლენს ქრისტიანულ ნირვა-ლოცვას.

კაპადოკიაში ჩვენს მოგზაურობას კიდევ უფრო მეტ პატრიოტულ მუხტს სძენდა ის ფაქტი, რომ ერთი კვირით ადრე წმინდა ნინოსა და

წმინდა გიორგის მშობელ ამ ადგილებში ქართული წირვა-ლოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა.

კაპადოკიის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობად თიხის ნაწარმის დამზადებით განთქმული პატარა ქალაქი ავანოსიც ითვლება. აქ დამზადებული კერამიკა არა მარტო თურქეთშია განთქმული, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული აქაური ოსტატები უშუალოდ მნახველის თვალწინ აკეთებენ ნაირნაირ ჭურჭელს. საგამოფენო დარბაზებში მრავლადაა გამოფენილი დახვეწილი გემოვნებით დამზადებული მათი ნაწარმი, რომელთაც საკმაოდ მაღალი ფასები ადევთ (მაგალითად, ყველაზე იაფფასიანი თიხის ფიალა 10-15 დოლარი ღირს). როგორც გვეუბნებიან, თიხის დამუშავებისა და ნივთების დამზადების საიდუმლო მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას.

კაპადოკიაში ჩვენი სამდღიანი მოგზაურობის ბოლო საღამო „ქიზილჩუქურზე“ მისვლით მთავრდება, საიდანაც ყველაზე ეფექტურად ჩანს მზის ჩასვლა. როგორც ყველგან, აქ მისვლაც ფასიანია — ბილეთი 2 დოლარამდე ღირს (სხვა ადგილების დათვალიერება გაცილებით ძვირი ჯდება — უცხოელებისათვის 7-10 დოლარამდე, ადგილობრივი მოქალაქეებისათვის კი 2-3 ჯერ ნაკლები). მიუხედავად იმისა, რომ ღრუბლიანი ამინდის გამო მზის ჩასვლა ვერ ვნახეთ, ირგვლივ მაინც თვალწარმტაცი სანახაობა იყო გადაშლილი. მთის მაღალი მწვერვალიდან მთელ თვალსაწიერზე განფენილიყო არამიწიერი სილამაზე — ნაირგვარ ბუნებრივ ძეგლებად ქცეული ქვათა უზარმაზარი ფიგურები, რომელთაგანაც ზოგი ლომს ჰგავს, ზოგი აქლემს, ზოგი ცხენსა და ათასგვარ ნამდვილ თუ წარმოსახვით არსებას. მთათა კლდოვან ფერდობებსა და ხეობებში ზღაპრული დეტებივით დამხობილ ქვის კონუსისებრ ბორცვებში უამრავი ეკლესია-მონასტერი და სენაკია გამოკვეთილი. უცქერი ყველაფერ ამას და ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს სულ სხვა პლანეტაზე მოხვდი, არამიწიერ ზღაპრულ სამყაროში.

ასე რომანტიკულად დამთავრდა კაპადოკიაში ჩვენი ყოფნის სამი დაუვიწყარი დღე. ანკარაში დაბრუნებისას გზად პატარა ქალაქი ჰაჯიბექთაშში გამოვიარეთ, რომელიც ნევშეჰირსა და ქირშეჰირს შორის მდებარეობს. იგი XIV საუკუნის დასასრულისა და XV საუ-

კუნის დასაწყისის დიდი სასულიერო მოღვაწის, მისივე სახელობის რელიგიური ორდენის დამაარსებლის — ჰაჯი ბექთაშის სახელს ატარებს. ჰაჯი ბექთაშის ხსოვნის პატივსაცემად ქალაქში მისი სახელობის დიდი მუზეუმია გახსნილი, სადაც მისი მავზოლეუმიც არსებობს. აქვე არიან დაკრძალულნი ჰაჯი ბექთაშის ცნობილი მიმდევრებიც (მაგალითად, ბალიმ სულთანი, ჰაჯის მოწაფე და რელიგიური მემკვიდრე). მათ საფლავებს ყოველდღიურად უამრავი მორწმუნე მაჰმადიანი ნახულობს როგორც თურქეთიდან, ისე უცხოეთიდანაც. ისინი ლოცვით გამოხატავენ თავიანთ დიდ პატივისცემას მათი ხსოვნისადმი.

კვირაში ორჯერ მუზეუმის დიდ მოედანზე სისტემატურად იმართება ჰაჯი ბექთაშის რელიგიური ორდენის წარმომადგენელთა რიტუალური ცეკვა, რომელიც ალაჰთან მიახლების მცდელობას წარმოადგენს. ექსტაზში შესული მოცეკვავეები, ქალებიცა და კაცებიც, რომლებიც ეროვნულ ტანსაცმელში არიან ჩაცმულები, ხალხური საკრავის ხმაზე ფეხშიშველნი უვლიან წრეს ქვის ფილებით მოგებულ მოედანს. გარს შემოჯარული მაყურებლები მუსიკოსებთან ერთად თავგანწირვით უმღერიან ალაჰსა და მუჰამედს და ამ რიტუალური ცეკვით შეთხოვენ მათ თავიანთი ცოდვილი სულების შეწყალებას. ბედმა გაგვიღიმა და ჩვენც მოგვეცა შესაძლებლობა ჩვენი თვალით გვენახა ბექთაშელების ეს რელიგიური რიტუალი, რამაც ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მუზეუმებშიცა და მავზოლეუმშიც შესვლის დროს, შესასვლელი კარებები, როგორც წესი, იმდენად დაბალზეა გამოჭრილი, შიგ შემსვლელი აუცილებლად წელში უნდა მოიხაროს. ეს განგებაა გაკეთებული. ამით მნახველი, უნდა მას ეს თუ არა, იძულებულია, თავი დახაროს იმ პირისპირ ნებათა ხსოვნის წინაშე, ვის პატივსაცემადაც ეს მუზეუმი თუ მავზოლეუმია აგებული. იქაურობის დათვალიერების წესი მნახველს იმასაც ავალდებულებს, გარეთ უკუსვლით გამოვიდეს, რათა პატივმისაგებ ადგილს ზურგი არ შეაქციოს და წინ მხოლოდ ზღურბლზე გადმობიჯების შემდეგ შებრუნდეს.

ანკარაში მიმავალნი წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსენი გავცქერით ანატოლიის დატალღულ ზეგანს. საგულდაგულოდ დახნულ-დამუშავებული თვალუწვდენელი მინდორ-ველები ძირითადად

პურის ყანებითაა დაფარული. სანთლადაც რომ ეძებო, ხეს, სოფლების გარდა, ვერსად ნახავ. არც მდინარე და წყარო შეგვხვედრია სადმე.

ეს ყველაფერი, თურქეთში ერთკვირიანი ყოფნის დროს ნახული ეს ზღაპრულად თვალწარმტაცი ადგილები, ჩვენგან ფაქტობრივად მხოლოდ ხელის ერთ გაწვდენაზე, რაღაც ერთი დღის სავალზე, მდებარეობს. ისინი მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა ვნახოთ, მათი მშვენიერებით რომ დავტკბეთ და ისტორიულ-რელიგიური ხსოვნის წიაღიდან აღმოცენებული ინტერესები დავიკმაყოფილოთ, არამედ იმის ნათელსაყოფადაც, როგორი სიყვარულით უნდა უჭირისუფლოს კაცმა წარსულის კულტურულ და რელიგიურ მემკვიდრეობას და რა ძალისხმევითა და მონდომებით აშენოს თავისი ქვეყნის მომავალი.

2004 წ.

სტამბოლის გავლით _ ეგვიპტეში

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ქალაქ ისმაილიის სუეცის არხის უნივერსიტეტთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად 2001 წლის 22 თებერვალს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორკაციანი დელეგაცია ჩემი და პრორექტორ ვახტანგ ამაღლობელის შემადგენლობით ეგვიპტეში გაემგზავრა. ვიზიტს წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი სამზადისი, რომელიც ეგვიპტეში საქართველოს საელჩომ შეასრულა. საელჩოს მთელმა შემადგენლობამ, უწინარესად კი ჩვენმა იმჟამინდელმა ელჩმა აპოლონ სილაგაძემ და დესპანმა გოჩა ჯაფარიძემ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, ისმაილიის უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება უაღრესად სასარგებლო და მნიშვნელოვანი დოკუმენტი რომ ყოფილიყო ორივე მხარისათვის.

კაიროში გამგზავრება სტამბოლის გავლით მოგვიხდა. თბილისიდან ორსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ, 22 თებერვალს, თურქეთის დროით დილის ექვს საათზე, უკვე სტამბოლში ვიყავით. იმის გამო, რომ ჩვენი თვითმფრინავი კაიროში ღამის ათ საათზე მიფრინავდა, ქალაქის დასათვალიერებლად საკმაო დრო გვქონდა.

პირველი წარუშლელი შთაბეჭდილება სტამბოლის ათათურქის აეროპორტმა მოახდინა. რამდენიმე წლის წინათ დამთავრებული ეს აეროდრომი თავისი სიდიდითაც და არქიტექტურული ხელოვნებითაც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. აქედან ჩვენი პლანეტის ნებისმიერ რეგიონში შეგიძლიათ გადაფრინდეთ ყოველგვარი შეფერხების გარეშე. მომსახურების მაღალი დონითა და უაღრესად დახვეწილი კულტურით აქ კიდევ ერთხელ რწმუნდები კაცი, როგორ სწრაფად და მყარად იმკვიდრებს თურქეთი ადგილს დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში.

უმაღლესი კატეგორიის სასტუმროში დაბინავების შემდეგ, რისი საფასურიც ბილეთის ღირებულებაში შედის, ქალაქში სასეირნოდ გავდივართ. სტამბოლში მეორედ ვარ. პირველად აქ ტურისტული

მოგზაურობით 1994 წელს ვიყავი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად. ვიდრე სტამბოლში მეორედ ყოფნის თაობაზე ვიტყოდე რამდენიმე სიტყვას, ქვემოთ ამ მოგზაურობის ზოგიერთ ეპიზოდსაც მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას.

მაშინ სტამბოლში ჩვენი ერთკვირიანი მოგზაურობა საკმაოდ ხიფათიანად დაიწყო. დილით ადრე უნივერსიტეტის ავტობუსით ბათუმში მიმავლები ქუთაისის მახლობლად, სოფელ ფარცხანაყანების ტრასის დაუსახლებელ ადგილას, ორმა ნიღბიანმა შეიარაღებულმა ყაჩაღმა გაგვაჩერა, ერთმა მათგანმა მძღოლის კარებთან მიირბინა, რათა მის ადგილზე თავად დამჯდარიყო და მანქანა გზიდან მოფარებულ ადგილზე გადაეყვანა, მეორე კი ავტობუსში ამოსასვლელ კარებს მივარდა. იმისათვის, რომ უფრო მეტად შევეშინებინეთ და პანიკაში ჩავეგდეთ, თავდამსხმელებმა რამდენჯერმე ჰაერშიც გაისროლეს. მაგრამ ავტობუსის მძღოლმა ივაჟკაცა და მანქანის კარები არ გააღო. ამ დავიდარაბაში, რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ტრასაზე მანქანებიც გამოჩნდნენ და დამფრთხალი ყაჩაღები გინებით გაიქცნენ.

ეს ის დრო იყო, როცა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფები ქვეყანაში ჯერ კიდევ თავისუფლად დათარეშობდნენ და მსგავსი დაყაჩაღების შემთხვევები ავტომაგისტრალებზე კვლავაც ხდებოდა. როგორც ჩანს, თურქეთში ჩვენი გამგზავრების ამბავი ამ ბანდიტურ ჯგუფს ვიღაცამ წინასწარ აცნობა და დაარწმუნა, რომ ჩვენი დაყაჩაღებით ისინი საკმაო ფულს იშოვიდნენ.

ამ უსიამოვნო ინციდენტით გუნებაწამხდარნი სამტრედიის პოლიციის განყოფილებაში გამოვცხადდით, ყველაფერი განვაცხადეთ, ქობულეთამდე პოლიციელ გამცილებელთა ჯგუფი დავიქირავეთ და მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძეთ გზა.

სამწუხაროდ, სამგზავრო ინციდენტი ამით არ ამოწურულა და წინ კიდევ ერთი უსიამოვნება გველოდა. ტრაპიზონში ბათუმ-ტრაპიზონის სარეისო ავტობუსით გვიან ღამით ჩასულებმა გადავწყვიტეთ არ დაგვესვენა და თუ ავტობუსს ვიშოვიდით, გზა პირდაპირ სტამბოლისაკენ გაგვეგრძელებინა. სტამბოლში მიმავალი ავტობუსის მძღოლიც იქვე გამოჩნდა და წაყვანაზე საკმაოდ ხელისაყრელ ფასად შეგვითანხმდა. ასე რომ, ტრაპიზონში აღარ დავყოვნებულვართ

და „მერსედესის“ ფირმის კეთილმოწყობილი ავტობუსით გეზი სტამბოლისკენ ავიღეთ.

დილით, სტამბოლში მისვლამდე დაახლოებით სამასიოდე კილომეტრის დაშორებით, ჩვენს ავტობუსს გზა ავტომაგისტრალზე გადმომავალმა ტრაქტორმა გადაუჭრა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მძღოლმა მანევრირება ვერ მოასწრო და ტრაქტორს გვერდი გაჰკრა, რის შედეგადაც ტრაქტორისტი საკმაოდ დაშავდა. შემთხვევის ადგილზე ერთბაშად მოიყარა ხალხმა თავი. დაშავებული ტრაქტორისტი, რომლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს, ჩვენ კი საგზაო პოლიციამ სოფლის პოლიციის განყოფილებაში წაგვიყვანა საქმის გასარკვევად.

გამოძიებისა და დაკითხვის პროცედურა ნაშუადღევამდე გაგრძელდა. სანამ ყველა არ დაგვკითხეს და სათანადო დოკუმენტაცია ბოლომდე არ გააფორმეს, არც ჩვენ და არც ჩვენს მძღოლს, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში სულაც არ იყო დამნაშავე, წასვლის უფლება არ მოგვცეს. გაჭიანურებული ბიუროკრატიული პროცედურით გაღიზიანებულები თავს ქუჩაში სეირნობით ვიქცევდით. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა და მძღოლს საბუთები დაუბრუნეს.

მაგრამ რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ახლა ავტობუსის ძრავს წარმოექმნა რაღაც პრობლემა. სამწუხაროდ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც ჩვენმა მძღოლმა და ვერც გზად შეხვედრილმა მისმა ნაცნობმა მძღოლებმა ძრავის შეკეთება ვერ შეძლეს, რის გამოც პროფილაქტიკაში წასვლა გახდა აუცილებელი. მაგრამ რადგანაც უკვე მოსაღამოვებული იყო, ახლა საჭირო ხელოსნის მოძებნაც გაჭირდა. ბოლოს და ბოლოს, ორიოდე ადგილზე უშედეგოდ მისვლის შემდეგ, როგორც იქნა, სასურველი ოსტატიც ვნახეთ. ჩვენი მძღოლი მანქანაზე მეტად ჩვენი გაწვალების გამო წუხდა და გულწრფელად გვთავაზობდა თავისი ხარჯით სხვა ავტობუსში გადასხდომას, მაგრამ ჩვენ არ ვქენით. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა და ამდენი დავიდარაბით გადაღლილ-გაწვალებულები სტამბოლშიც მივედით.

ჩვენი ეკიპაჟის ერთ-ერთი წარმომადგენლის — თემურ ლოლაძის წინადადებით (იგი ადრე უკვე იყო ნამყოფი სტამბოლში), სას-

ტუმროს აღება ქალაქის ცნობილ უბან აქსარაიში გადავწყიტეთ. ავტობუსიდან გადმოსვლისთანავე მაკლერების მთელი ჯგუფი მოგვვარდა. ზოგი ტაქსს გვთავაზობდა, ზოგი კი სასტუმროს მოძებნაში დახმარებას. ჩვენი გადაბირების მცდელობაში ერთმანეთთან ლამის ჩხუბიც კი მოუვიდათ. იმის ძახილით, რომ მათი დახმარება არ გვჭირდებოდა, აბეზარ შუამავლებს, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ და სასტუმროს მოსაძებნად ჩვენ თვითონ გავუყევით ქუჩას.

სასტუმროები კი რამდენიც გინდა და რა დონისაც, იმდენია. სასტუმროთა მეპატრონეები ენაწყლიანად გეპატიჟებიან და ყველანაირად ცდილობენ, არჩევანი მათზე რომ გააკეთო. იმ ქვეყნიდან ჩასულებს, სადაც სასტუმროში ადგილის შოვნის პრობლემა ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებული სიმწვავით იდგა, ეს ყველაფერი ძალზე გვიკვირს. ცხოვრებისა და ადამიანური ურთიერთობების ჩვენგან სრულიად განსხვავებულ გარემოში მოხვედრილები ეიფორიული მდგომარეობიდან თანდათანობით გამოვდივართ, ვითარებას ალღოს ვუღებთ და სასტუმროში დაბინავებულები მეორე დღისთვის დიდის ამბით ვემზადებით სტამბოლის კოლორიტული სილამაზით დასატკბობად.

საუკუნეთა განმავლობაში ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქად და მთელ მსოფლიოში მართლმადიდებლური რელიგიის უპირველეს ცენტრად დამკვიდრებულ ამ უმშვენიერეს ქალაქში, რომელსაც 1453 წლამდე, ვიდრე თურქები დაიპყრობდნენ, კონსტანტინეპოლი ერქვა, ძალზე ბევრი რამ არის სანახავი. სტამბოლში გატარებული ერთი კვირა, ცხადია, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა სრულყოფილად დასათვალიერებლად ძალზე ცოტა დროა, მაგრამ რაც ვნახეთ, აღსაფრთოვანებლად და წარუშლელი შთაბეჭდილების შესაქმნელად ისიც საკმარისი გამოდგა.

სტამბოლში გატარებული დღეები ერთი მნიშვნელოვანი ამბითაც შემორჩა ხსოვნას. ერთ საღამოს, ქალაქში სეირნობის დროს, სრულიად შემთხვევით იქ მცხოვრებ ქართველებს შევხვდით. ერთ-ერთი მათგანი იქვე მდებარე კაფეს პატრონი იყო, დანარჩენები კი ზაფხულის ამ მშვენიერ საღამოს მასთან სასაუბროდ და დროის გასატარებლად იყვნენ შეკრებილები.

ბუნებრივია, ერთმანეთის ნახვა ძალზე გაგვიხარდა. კაფეს პატ-

რონი ჩაითა და ტკბილეულით გაგვიმასპინძლდა. უდიდესი ინტერესით გამოგვკითხეს საქართველოს ამბები. ჩვენთან შეხვედრით გამოწვეული სიხარულის გამოხატვასთან ერთად არც ის დაგვიმალეს, რომ საქართველოდან ჩასული ზოგიერთი ქართველი თავისი უღირსი საქციელით ქართველობას სახელს უტეხდა და არცხვენდა. ნათქვამის დასტურად ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი ამბავი გაიხსენა:

— ამ ორი წლის წინათ სრულიად შემთხვევით ქუჩაში თბილისიდან სამუშაოს საძიებლად ჩამოსული ვიღაც ქართველი ქალიშვილი გავიცანი. მეგობარს დაეიმედებინა, სტამბოლში ბევრი ნაცნობი მყავს და სამუშაოს მოძებნაში დაგეხმარებიო, მაგრამ მოეტყუებინა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა აღარ იცოდა, ახლა რა გზას დადგომოდა. ძალზე შემეცოდა, შინ წავიყვანე, სამუშაოს მოძებნაში დავეხმარე და ჩემს ოჯახში ვაცხოვრებდი მთელი წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, მადლობა იმით გადამიხადა, რომ ერთ დღეს ბინა გამიქურდა და სახლიდან გაიპარა. ამის შემდეგ ჩამოსულ ქართველებთან ურთიერთობის დროს ყოველთვის განსაკუთრებულად ვფრთხილობო.

ჩვენს სტამბოლელ თანამემამულეებს მალე იმდენად დავუმეგორდით, რომ ისინი არა მარტო ქალაქში გახდნენ ჩვენი მეგზურები და მის ღირსშესანიშაობათა დასათვალიერებლად თავიანთი მანქანით დაგვატარებდნენ, არამედ ერთ-ერთმა მათგანმა შვილის ქორწილშიც კი მიგვიპატიჟა. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ქორწილი ერთი კვირის შემდეგ უნდა გამართულიყო და ამდენ ხანს სტამბოლში დარჩენის შესაძლებლობა არ გვქონდა, ამ სასიამოვნო მიწვევაზე უარის თქმა მოგვიხდა.

და აი, ექვსი წლის შემდეგ სტამბოლში ხელმეორედ მოხვედრილმა გადავწყვიტე ბედნიერი შემთხვევით მესარგებლა და განმეორებით მომენახულებინა უკვე ნაცნობი ისტორიული ადგილები.

რამდენი რამ შეცვლილა ირგვლივ, რამდენი რამ აშენებულა ახალი! ახალმშენებლობათა სუნთქვა ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. დავდივართ სტამბოლად გარდაქმნილი ისტორიული კონსტანტინეპოლის ხმაურიან და გადაჭედილ ქუჩებში და მეხსიერებაში უნებურად ცოცხლდებიან საუკუნეთა მანძილზე ამ ქვეყანასთან ჩვენი დრამატული ურთიერთობის ეპიზოდები.

სტამბოლის უდიდესი ნაწილი ევროპულ ნაწილშია გაშენებული, მცირე ნაწილი კი აზიურში. ქალაქის დასათვალიერებლად ავტობუსით მიმავალნი რამდენიმე წუთში ევროპიდან აზიაში გადავდივართ, ღამით კი, კაიროში ჩაფრენილნი, აფრიკის მიწას დავადგამთ ფეხს. ასე რომ, დროის უმცირეს მონაკვეთში სამი კონტინენტის „შემოვლას“ მოვახერხებთ!

ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და იქ განთავსებული ისტორიული ძეგლების მონახულების შემდეგ ბოსფორის სრუტის სანაპიროზე გავდივართ, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა ევროპულ და აზიურ ყოფით სინამდვილეთა ქაოსური და ეგზოტიკური შერწყმა ერთმანეთთან. მთელი სტამბოლი თითქოს უზარმაზარ სავაჭრო მოედნადაა ქცეული. ყოველ კუთხე-კუნჭულს მოდებული მოვაჭრენი გამყივანი ხმით მოუხმობენ მუშტარს და ხოტბას ასხამენ თავიანთ საქონელს. გაყიდვით კი რაღას აღარ ყიდიან ქუჩა-ქუჩა მოარული გამყიდველნი: შემწვარ წაბლსა და უბრალო კბილის ჯაგრისებს, ფეხსაცმელების საწმენდ „ღრუბელს“ თუ ქამრებს... ირგვლივ შემწვარი ხორცისა და თევზის მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებს. ათასობით ადამიანის ყაყანსა და გნიასს დროდადრო მოდიდებულ ტალღასავით გადაუვლის ალაჰის განმადიდებელი მოლას მჭექარე ხმა.

ეგვიპტეში ჩვენი გამგზავრება მაჰმადიანთა უდიდეს რელიგიურ დღესასწაულს — ჰაჯის დაემთხვა. ამ დღესასწაულის დროს ყოველი მართლმორწმუნე მუსულმანი, ვისაც საამისო შესაძლებლობა აქვს, თავს ვალდებულად თვლის სალოცავად წმინდა ქალაქ მექაში ჩავიდეს. სტამბოლის უზარმაზარი აეროპორტიც ამ მლოცველებით იყო სავსე. ერთიანად თეთრ სამოსში გახვეული ასობით ადამიანი ექსტაზით ემზადებოდა სანუკვარ ქალაქში გასამგზავრებლად. ცალ-ცალკე ჯგუფებად დანაწილებულ მორწმუნეებს ხელმძღვანელები ტრანსფარანტებით აწვდიდნენ საჭირო ინფორმაციას. დროდადრო კი ცალ-ცალკე კრებდნენ და გატაცებით ასრულებინებდნენ ლოცვის რიტუალს.

მლოცველთა შორის მრავლად იყვნენ მოხუცებიცა და ბავშვებიც; რამდენიმე ინვალიდისეტლიანი ავადმყოფიც დავინახე.

ასეთ ვითარებაში განვლო ლოდინის სამმა საათმა და ღამის თერთმეტის ნახევარზე უკვე კაიროში გავფრინდით. ორსაათიანი ფრენის

შემდეგ კაიროში ვართ. მღელვარედ ვადგამთ ფეხს აფრიკის მიწას. აეროპორტში ჩვენი საელჩოს დესპანი, ცნობილი მეცნიერ-არაბისტი გოჩა ჯაფარიძე, ისმაილიის უნივერსიტეტის პრორექტორი მაგდი განემ აბდ ელ-ფადელი და კიდევ ორი თანამშრომელი გვხვდებიან.

გვაბინავებენ სასტუმრო „მადინათ ნასში." ეს სასტუმრო ისმაილიის უნივერსიტეტის კუთვნილებაა და იქ განსაკუთრებით საპატიო სტუმრებს ათავსებენ. ღამის კაირო პირველ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. გაჩირაღდნებული ქუჩები, საოცრად ეფექტური უზარმაზარი რეკლამები... მიუხედავად იმისა, რომ ღამის ორი საათია, ცხოვრების დუღილი მაინც აშკარად იგრძნობა.

დილით ბატონმა გოჩამ და ისმაილიის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ადელ ჰასან ელბელბესმა ქალაქის დასათვალიერებლად და პირამიდების სანახავად წაგვიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ თებერვალია, მზე საამოდ ჩახჩახებს და ძალუმად იგრძნობა მოახლოებული ზაფხულის სუნთქვა.

ქუჩაში გამოსვლისთანავე ვგრძნობთ კაიროს გრანდიოზულობას. იგი დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია 17 მილიონზე მეტი მოსახლეობით. ამას ემატება ისიც, რომ ტერიტორიული შეზღუდულობის გამო, რაც უდაბნოს უმკაცრესი პირობებითაა განპირობებული, ქალაქი წარმოუდგენლად გადატვირთულია. ფაქტობრივად მთელი დღე-ღამის განმავლობაში ირგვლივ პიკის საათის დაძაბულობაა. ქუჩებს მანქანების ნიაღვრები მილეკავენ. თითქმის ვერ ნახავთ მანქანას, მიჭეჭყილ-მოჭეჭყილი რომ არ იყოს. ამ გიჟურ ქაოსში მოძრაობა დიდ ხელოვნებასთან ერთად დიდ გაბედულებასაც მოითხოვს. მით უფრო, რომ წესსა და რიგს აქ თითქმის არავინ იცავს. ქუჩებში საათობით ჩაჭედილ ტრანსპორტში გაძრომ-გამოძრომა მხოლოდღა მოტოციკლეტითა და ველოსიპედით თუა შესაძლებელი, რასაც მოხერხებულად იყენებს კიდეც ბევრი.

ტრანსპორტისაგან ქალაქის განსატვირთად ფართოდაა გამოყენებული ესტაკადები. ქუჩების ზემოთ ახალი კიდული ქუჩებია გაყვანილი, რაც მოძრაობის გასაიოლებლად თუმცა კარგია, მაგრამ მოსახლეობას ძალზე უუარესებს ყოფით პირობებს. მეოთხე-მეხუთე

სართულზე მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაც ფანჯრების წინ ქუჩა გაუდით, ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა აღარ აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ კაირო, ისევე როგორც მთელი ეგვიპტე, უდაბნოშია გაშენებული და მის ერთადერთ მაცოცხლებელ წყაროს მდინარე ნილოსი წარმოადგენს (მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დღესდღეობით საკმაოდ დიდი ტერიტორიის მქონე ამ ქვეყნის მხოლდ 4-6 პროცენტია ათვისებული), ქალაქს არც ბაღები აკლია და არც შადრევნები. თებერვლის თაკარა მზეში მებაღეები რუდუნებით რწყავენ ყოველ ხესა და ყვავილს. ქვეყანაში, სადაც ზამთარი ფაქტობრივად არ იცის და წვიმა წელაწიდში მხოლოდ ორჯერ მოდის, მორწყვის გარეშე ხომ ყველაფერი გადახმებოდა.

პირამიდები, რომელთა სანახავადაც მივდივართ, ქალაქის ბოლოსაა. გზად მიმავლებმა მკვდრების ქალაქად წოდებული პირქუში და გასუდრული უბანი გავიარეთ, საკმაოდ დიდი ნაწილი კაიროსი, სადაც უძველესი დროიდან მოყოლებული წარჩინებულთა სასაფლაოა მოწყობილი. დიდგვაროვანი და შეძლებული ადამიანები აქ საგულდაგულოდ იშენებდნენ საგვარეულო და საოჯახო აკლდამებს, აგებდნენ საგანგებო მეჩეთებს. აკლდამებითა და გრანდიოზული სამარხი ნაგებობებით გადატვირთულ ამ პირქუშ უბანში, ქალაქის სხვა ადგილებისაგან განსხვავებით, სიმწვანის ნასახიც კი არსადაა და მთელ შემოგარენი აკლდამებით არის ყვითლად გადაქვავებული. მართლც რომ მკვდრების ქალაქია. თუმცა, როგორც ბატონი გოჩა გვეუბნება, ღამით აქ უამრავი უსახლკარო ადამიანი აფარებს თავს. არაოფიციალური სტატისტიკით კაიროს ამ უბანში, ძველისძველ აკლდამებსა და სასაფლაოებზე, ნახევარ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს.

და აი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან თითქმის პირვანდელი სახით გადარჩენილი ერთ-ერთი სასწაული — პირამიდები, უკაცრიელ უდაბნოში გაქვავებულ სილამაზედ წამომართული გრანდიოზული მშვენიერება. პირამიდებთან მიახლოებულს კიდევ უფრო მძაფრად გიპყრობს არარაობის, ყოვლის წარმავლობის, უმწეობის, ამაოების დამთრგუნველი გრძნობა. 40-50 საუკუნის წინათ ძველი ეგვიპტელების მიერ აგებული ეს საოცრებანი დღეს ეგვიპტელ არაბთა მემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

30 მილიარდიანი ყოველწლიური შემოსავლის მქონე ამ ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმს 4,5 მილიარდი დოლარი შეაქვს. როგორც გვეუბნებიან, უახლოეს წლებში ეს თანხა 7-8 მილიარდამდეც გაიზრდება. ეგვიპტის მიმართ ამგვარ დიდ ტურისტულ ინტერესს უპირველეს ყოვლისა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცივილიზაციის უნიკალური საოცრებანი განსაზღვრავენ.

კაიროს შემოგარენში, შიშველ უდაბნოში, წამომართული გრანდიოზული პირამიდები დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. გარდა ფართოდ ცნობილი ხეოფსისა და ხემფრენის პირამიდებისა, აქ ათეულობით სხვა პირამიდაცაა აღმართული. როგორც გვეუბნებიან, მარტო ასი კვდრატული კილომეტრის შემოგარენში სხვადასხა ზომის 108 პირამიდაა ნაპოვნი. მათგან ზოგიერთი, ჟამთა შემუსვრას გადარჩენილი, დღესაც ამაყი გულგრილობით წამომართულა უდაბნოს ჰორიზონტზე, ნაწილი კი ნანგრევებად ქცეულა.

გაოცებულები შევყურებთ სივრცეში გაქვავებულ მშვენიერებას და მილიონობით ადამიანის მსგავსად ჩვენც ამაოდ ვცდილობთ ჩავწვდეთ ქვის ამ საოცარი ჰარმონიის სიმწყობრესა და იდუმალებას. მათგან ყველაზე დიდი ხეოფსის პირამიდა 147,5 მეტრი სიმაღლისაა. სპეციალისტთა გამოთვლით, თითო პირამიდის აგებას დაახლოებით 2-2,5 მილიონი ქვა ჭირდებოდა. თვითეული ქვის წონა კი 2 ტონაზე მეტია.

მეცნიერები დღემდე იმტვრევენ თავს იმის გასარკვევად, ამ სილიან უდაბნოში საიდან და როგორ მოიტანეს ეს ამოდენა ქვები, როგორ აზიდეს ასე მაღლა და რა გზითა და საშუალებებით მოხერხდა ამგვარი მწყობრი ჰარმონიის შექმნა. ამასთან დაკავშირებით მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებაა გამოთქმული. ერთნი თვლიან, რომ იმ დროს, როცა ამ პირამიდებს აგებდნენ, ნილოსი აქ ჩამოედინებოდა და საამშენებლო მასალა სწორედ მისი მეშვეობითაა მოტანილი. მეორენი ამტკიცებენ, რომ ქვები ჩვენთვის უცნობი ტექნოლოგიით ადგილზეა ჩამოსხმულიო და ამის დასტურად ერთ-ერთი ქვის ნატეხში ნაპოვნ ადამიანის თმას ასახელებენ...

აქაური მოსახლეობისთვის ტურიზმი ბიზნესის სარფიან წყაროდაა ქცეული. პირამიდების მიმდებარე ტერიტორიაზე გაცხოველებული ვაჭრობაა გაჩაღებული. ტურისტებს, რომლებიც აქ წელი-

ნადის ყოველ დროს უთვალავია, მოვაჭრენი მიძალებით თავაზობენ წყალს, კვების ათასგვარ პროდუქტს, არაბულ თავსაფრებსა და სხვა სპეციფიკურ სუვენირებს.

აქაურ ეგზოტიკას განსაკუთრებულ ხიბლს აქლემებიც სძენენ. სიამოვნებით ვეთანხმებით ბატონი გოჩას წინადადებას აქლემებით გასეირნების შესახებ. აქლემთა პატრონებმა, ჭრელი ხილაბანდით არაბულად თავწაკრულმა წვერმეჩხერა მეაქლემეებმა, რომლებიც მუშტრის მოლოდინში გარემოს გაფაციცებით ათვალიერებენ, დაჩოქილი აქლემებისკენ ერთმანეთის ცილობით მიგვიპატიჟეს (აქლემი იმდენად მაღალია, რომ დაუჩოქებლად მასზე ვერ შეჯდები).

მე და ვახტანგი მახლობელ აქლემებთან მივდივართ. მეაქლემეები თავზე ჭრელ თავსაფრებს გვახურავენ და არაბულად თავწაკრულებს აქლემის ტახტრევანზე გვსვამენ. აქლემი ჯერ უკანა ფეხებზე იმართება ზანტად; გგონია, სადაცაა წინ გადავვარდებიო. შემდეგ წინა ფეხებსაც გამართავს და უხალისოდ მიემართება უდაბნოს მტვრიან სილაში. გვერდით მეაქლემე მოგსდევს და რაღაცას არაბულად გესაუბრება. ჯერ საუბარს ყურადღებას არ აქცევ, არ გესმის და იმიტომ, შემდგომ კი, როცა საშველს აღარ გაძლევს, ხვდები, იმისდა მიუხედავად, სეირნობის ფული უკვე გადახდილი რომაა, დამატებითაც უნდა ფულის წაგლეჯვა. ამას ისე უტიფრად და ძალდატანებით აკეთებს, რომ უსიამოვნო გრძნობაც გიპყრობს და თავმობეზრებული უკანდაბრუნებასა და ძირს ჩამოსვლას თხოვ.

მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლის. ბატონი გოჩა და ადელ ასანი ყველაფერს ხვდებიან, მეაქლემეებს მკაცრად ტუქსავენ და ჩვენც ვთავისუფლდებით მათი უსიამოვნო ძალადობისაგან. როგორ გვეუბნებიან, ამგვარი მოქმედება აქ ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად, მოვა რომელიმე არაბი შენთან, გაგიცინებს, შენს გვერდით სურათის გადაღებას გთხოვს და მერე საშველს არ მოგცემს, ახლა ფული გადამიხადე, ასე რომ მოვიქეციო.

ადგილი, სადაც პირამიდებია აღმართული, დღეს უკვე კაიროს გარეუბანს წარმოადგენს. უდაბნოს უსიცოცხლო სილაში ახალდასახლებათა მთელი კვარტალია აგებული. სადმე ბუჩქის ნასახიც კი არსადაა. მაგრამ გაივლის სულ ცოტა დრო და ნილოსის მაცოცხლებელი წყალი და ადამიანის დალოცვილი მარჯვენა ამ გა-

დახრუკულ ადგილსაც ისეთივე ბაღნარად აქცევს, როგორებიც კაიროს ძველთაძველი უბნებია.

პირამიდების შემოგარენი იმდენად დიდ ტერიტორიას მოიცავს, რომ უტრანსპორტოდ მისი შემოვლა შეუძლებელია. ჩვენი მასპინძლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რაც შეიძლება დიდი შთაბეჭდილება რომ მივიღოთ.

უამრავ ტურისტს შორის გოჩამ მოულოდნელად ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი, ჟურნალ „არტანუჯის" მთავარი რედაქტორი ბუბა კუდავა ნახა. ბუბა თბილისის უნივერსიტეტის ოცკაციან წარმომადგენლობასთან ერთად კაიროს უნივერსიტეტში სპეციალური სამკვირიანი პროგრამით იმყოფება. რომანტიკულ ოცნებას ეს ახალგაზრდა მეცნიერი მარტოდმარტო წამოუყვანია პირამიდებისაკენ. ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა. ისიც შემოგვიერთდა და ერთად განვაგრძეთ ეგვიპტურ სიძველეთა დათვალიერება.

ირგვლივ პირამიდებისა და უდაბნოს საოცარი პანორამაა გადაშლილი. ვიღებთ სამახსოვრო სურათებს და ახლა ე. წ. მზის ნავის მუზეუმის დასათვალიერებლად მივდივართ.

50 საუკუნის წინათ ლიბანის კედარისაგან აგებული ეს ნავი, რომელიც სიგრძით 43 მეტრია, სიგანით კი 6 მეტრი, მის ამგებთ სიკვდილის შემდეგ იმიერ ქვეყანაში „სამოგზაუროდ" ჰქონდათ გამიზნული. ფარაონისა და მისი ოჯახისთვის განკუთვნილ ამ გრანდიოზულ ნავზე ყოფითი ფუფუნების ყველა პირობა იყო შექმნილი. დიდხანს ვათვალიერებთ საგანგებოდ ამ ნავისთვის აგებულ უზარმაზარ მუზეუმს და ინტერესით ვისმენთ გიდის მიერ მოწვდილ გასაოცარ ინფორმაციებს.

და აი, ჩვენი „პირამიდული ოდისეას" გვირგვინი — ფანტასტიკური სფინქსი, „ქვადაქცეული ეკლესიასტე"! კლდეში გამოკვეთილი ეს ზღაპრული ქანდაკება ადამიანის სახითა და ლომის გრანდიოზული სხეულით დღესაც თავზარდამცემი ძალით ზემოქმედებს მნახველზე. მისი ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფონი, რომელსაც მას უდაბნოს სივრცეში გაქვავებული პირამიდები უქმნიან. ირგვლივ უამრავი ტურისტი ირევა. ერთგან, დიდ ორმოსთან, გროვად შეჯარული ხალხი დავინახე. თურმე იმისთვის, კლავ რომ მოგიწიოს აქ მოსვლა, ორმოში ფული უნდა ჩააგდო. ამ საოცარ

სამყაროში განმეორებით მოხვედრის სურვილით ატაცებულები ორმოში ქართულ ლარებს ვყრით და შთაბეჭდილებებით აღგზნებულნი ვტოვებთ იქაურობას.

ვემშვიდობებით ჩვენს არაბ მასპინძლებს და გოჩას მანქანით საქართველს საელჩოში მივდივართ. საელჩოში მისვლამდე ბატონმა გოჩამ ქალაქის დათვალიერება შემოგვთავაზა. მოხიბლულები ვართ კაიროს სილამაზითა და გრანდიუზულობით. იგი დღევანდელ მსოფლიოში სილამაზით, კოლორიტითა და არქიტექტურული იერსახით მკვეთრად გამორჩეული მართლაც რომ ერთ-ერთი შესანიშნავი ქალაქია.

ასე რომ, აქაურებს არა მარტო ძველი ეგვიპტელებისაგან დანატოვარი კულტურული მემკვიდრეობა აქვთ საამაყო, არამედ თავად მათ მიერ შექმნილი თანადროული სიმდიდრეც.

მაგრამ ის, რასაც ბატონი გოჩა გვათვალიერებინებს, კაიროს მხოლოდ საუკეთესო ფასადი ყოფილა. მას კი თურმე მეორე მხარეც აქვს — ღარიბთა უბნებიც, სადაც წამროუდგენელი სიდუხჭირე და ანტისანტარიაა გამეფებული. ჩვენს თხოვნაზე, იქნებ ეს ადგილებიც ეჩვენებინა, გოჩამ პრინციპულად შეიკავა თავი, არ მინდა ეს დიდი შთაბეჭდილება გაგიფერმკრთალოთო.

დღეს ეგვიპტეში 60 მილიონ კაცზე მეტი ცხოვრობს. ქვეყნის მოსახლეობა წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება, რაც მთელი სიმწვავით აყენებს უდაბნოს ათვისების საკითხს. უცხოელ პარტნიორთა დახმარებით ასეთი პროექტები უკვე შედგენილია და დიდი მუშაობა ტარდება მკვდარი მიწების გასანაშენიანებლად. ამ თვალსაზრისით ნილოსი ქვეყნის ერთადერთი სიმდიდრეა, ერთადერთი მკვებავი და მაცოცხლებელი წყარო. მაგრამ ეს მდინარე ხომ მარტო ეგვიპტის საკუთრება არ არის და მასზე თითქმის მთელი აფრიკაა „ჩამოკიდებული.“ ამიტომაც უყვართ აქაურებს ნილოსი განსაკუთრებული სიყვარულით და ამბობენ, XXI საუკუნეში მსოფლიოში ომები წყლისთვის იქნება და არა ნავთობისთვისო.

* * *

ესეც ჩვენი საელჩო — კოპწია, მწვანეში ჩაფლული შენობა ქალაქის ცენტრალურ და პრესტიჟულ უბანში! სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაგვიარა, როცა ქართული დროშა დავინახეთ. სამ-

წუხაროდ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შენობა საელჩოს საკუთრებას კი არ წარმოადგენს, არამედ დაქირავებულია. კაიროში ამ თვალსაზრისით იმდენად დიდი სიძვირეა, რომ ჩვენი მწირი შესაძლებლობები შენობის შესყიდვის შესაძლებლობას არ იძლევა.

საელჩოს დათვალიერებისა და ქუთაისში დარეკვის შემდეგ გოჩა შინ გვეპატიჟება. ქართული გულითადობით გვეგებება მისი მეულლე, ქალბატონი ნუნუ, რომელიც ასევე საელჩოს თანამშრომელია. ცოტას ვისვენებთ და საღამოსთვის ჩვენს ელჩთან სტუმრობისთვის ვემზადებით. ბატონ აპოლონს დღეს სახლში სტუმრიანობა აქვს — თბილისიდან ქალიშვილი — დოცენტი ნინო ჰყავს სტუმრად მეულლესთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ თედო დუნდუასთან ერთად.

ბატონ აპოლონთან კაიროში მცხოვრებ რამდენიმე ქართველსაც შევხვდით. გარდა ჩვენი კონსულის — ალექსი ბაქრაძისა, ესენი კაიროს კონსერვატორიასა და ოპერაში მომუშავე ქართველი მუსიკოსები არიან. თანამედროვე ეგვიპტის მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში მათ განსაკუთრებით დიდი როლი აქვთ დაკისრებული.

24 თებერვალი გაზაფხულის ჩახჩახა მზით შემოგვეგება. ამჯერად მეგზურობას ჩვენი საელჩოს ახალგაზრდა თანამშრომელი შალვა ბალანჩივაძე გვიწევს. მან გასულ წელს დაამთავრა კაიროს უნიერსიტეტი. საელჩოს მანქანას თვითონ მართავს. მეორე მანქანით ისმაილიელი მასპინძლები მოგვყვებიან.

ჯერ XII საუკუნის ციხე-ციტადელის დასათვალიერებლად მივდივართ. აქ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეგვიპტის მმართველმა მუჰამედ ალიმ უზარმაზარი სასახლე და მეჩეთი ააგო. ეს მეჩეთი სიდიდით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. იგი ერთდროულად 5 000 მლოცველს იტევს. მუჰამედი მაკედონიელი იყო. იგი 40 წელი მართავდა ეგვიპტეს ისე, რომ ერთი სიტყვაც კი არ იცოდა არაბული; თურქულად საუბრობდა. სწორედ მან დაამხო ეგვიპტეში მამელუკთა ექვსასწლიანი მმართველობა. თურმე ამ ციხე-სიმაგრეში ყველა გავლენიანი მამელუკი საგანგებო წვეულებაზე მიიპატიჟა და მგზაკვრულად გაწყვიტა. მხოლოდ ერთადერთი — მურად ამინი გადარჩენილა. გიდმა კარგად იცოდა, რომ მამელუკები კავკასიიდან იყვნენ,

ძირითადად გურჯები. მურად ამინიც კავკასიელი ყოფილა. მუზეუმში მისი სურათიცაა გამოფენილი, მაგრამ სახის იერით ქართველს არა ჰგავს. გიდის თქმით, იგი ჩერქეზი უნდა იყოს.

მუჰამედის ციხე-ციტადელი მაღლობზეა აგებული. აქედან შესანიშნავად ჩანს კაიროს ხედი. იმის გამო, რომ წვიმა აქ წელიწადში მხოლოდ ორჯერ მოდის, ქარები კი ხშირად იცის, შენობები უდაბნოს ყვითელი სილითა დამტვერილი. უშუალოდ ქალაქში ეს ნაკლებად იგრძნობა, რადგანაც ქუჩებსა და ეზოებს სისტემატურად რეცხავენ. ზემოდან კი უდაბნოს ქარების ნაკვალევს ნათლად აჩენენ სახლების დამტვერილ-გადაყვითლებული სახურავები.

ერთიც, რასაც აქედანაც და ქუჩაში სეირნობის დროსაც იმთავითვე მიაქცევს კაცი ყურადღებას, ქალაქის თავზე ჩამოწოლილი დანისლული სივრცეა. როგორც გვიხსნიან, ეს მანქანების გამონაბოლქვი კვამლია, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველი დიდი ქალაქისთვის თანამდევი არასასურველი მოვლენაა.

მუჰამედის სასახლიდან კაიროს მუზეუმში მივდივართ. ეს მუზეუმი 1902 წელს აუგიათ და მასში ძველი ეგვიპტური ცივილიზაციის უნიკალური და უმდიდრესი მასალებია თავმოყრილი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა ვთქვა, რომ კაიროს მუზეუმმა და იქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა გამაოგნებელი და დამთრგუნველი ემოციური ზეგავლენა მოახდინეს.

მუზეუმის პირველ სართულზე ასობით უძველესი ძეგლი, სარკოფაგი, მუმია, წარწერებიანი ქვა, სხვადასხვა დანიშნულების ნივთი და სიძველე ინახება.

მათში, როგორც სარკეში, ნათლად და შთამბეჭდავად ირეკლება 40-50 საუკუნის წინანდელი დიდი ეგვიპტური კულტურის საკვირველებანი. ეს ყველაფერი ის უდიდესი სიმდიდრეა, რომელიც ადამიანური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შექმნეს და დაუტოვეს კაცობრიობას ძველმა ეგვიპტელებმა.

გიდის საუბარი მეხსიერებაში აცოცხლებს ძველი ეგვიპტის ისტორიის შთამბეჭდავ ეპიზოდებსა და ქვის უზარმაზარ ძეგლებში გამოქანდაკებულ ფარაონთა სახეებს.

ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მაინც ტუტანხამონის აკლდამი-

დან ამოღებული ენით აუწერელი სიმდიდრე ახდენს. მუზეუმის მეორე სართულის დარბაზების უდიდესი ნაწილი სწორედ მათ აქვთ დათმობილი. ტუტანხამონი 18 წლისა გარდაიცვალა რაღაც უცნობი სენით. იგი 9 წელი იყო ეგვიპტის ფარაონი. მისი სამარხი ერთადერთია, რომელიც გაუძარცვავი აღმოაჩინეს მეცნიერებმა 1922 წელს ლუქსორში. ტუტანხამონის აკლდამის საგანძურის მხილველი უნებურად ფიქრობ, სხვა მასზე ბევრად მდიდარ ფარაონთა აკლდამებში რა სიმდიდრე იქნებოდა თავმოყრილი.

იმის რწმენით, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ უკვე იმ ქვეყანაში აგრძელებდა ჩვეულებრივ ცხოვრებას, ტუტანხამონის აკლდამაში ყოფითი ფუფუნებისთვის საჭირო ყველანაირი ნივთია აღმოჩენილი: ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ტახტები, გვირგვინები, ეტლები, საწოლები, მზისგან საჩრდილობლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, უბრალო ქოშებიც კი...

ერთის სიტყვით, 18 წლის ფარაონს სიკვდილის შემდგომაც ჰქონდა ფუფუნებისათის ყველა პირობა შექმნილი.

მეცნიერებისათვის დღესაც უცნობი საიდუმლო წესით შეწამლული მუმიები, რომლებმაც აქამდე მიაღწიეს, ოქროს სარკოფაგებში იყო ჩასვენებული. ტუტანხამონის მუმია, მაგალითად, მეშვიდე სარკოფაგში ესვენა. ამ სარკოფაგთაგან პირველი 210 კგ-ს იწონიდა. ნიღაბი კი, რომელიც მიცვალებულს ჰქონდა სახეზე დაფარებული, 11 კგ იყო. როგორც მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თვითოეული ფარაონის დასაფლავებას ტონობით ოქრო ჭირდებოდა.

25 თებერვალს, დილით ადრე, უკვე ისმაილიაში მივემგზავრებით. ჩვენთან ერთად მოდიან გოჩა ჯაფარიძე მეუღლესთან ერთად, შალვა ბალანჩივაძე, რომელიც თარჯიმნობასაც გაგვიწევს და მასპინძლები. ისმაილია კაიროდან 120 კმ-ითაა დაშორებული. წითელი ზღვისა და სუეცის არხის ნაპირზე გაშენებულ ამ საკურორტო ქალაქში 700 ათასზე მეტი მოსახლეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქალაქია, იგი ფაქტობრივად ბოლო 20-25 წლის მანძილზე აშენდა და დამშვენდა განსაკუთრებით.

საუკეთესო ავტოსტრადა საშუალებას გვაძლევს საათნახევარში უკვე ისმაილიაში ვიყოთ. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ქა-

ლაქმა მოახდინა, კაიროსგან მკვეთრად განსხვავებული სიმყუდროვე და სიწყნარეა. თვალშისაცემია ზღვისპირა ქალაქის სიმწვანე და კოლორიტული სილამაზე.

თვალს გვჭრის 3-4 სართულიანი, სხვადასხვა ფერად შეღებილი, სუფთა და არქიტექტურული სილამაზით გამორჩეული სახლების სიმრავლე.

მოგვათავსეს სასტუმრო „მერკურში.“ 12 საათზე კი უნივერსიტეტში მივდივართ რექტორატთან შესახვედრად. ისმაილიის სუეცის არხის უნივერსიტეტი, რომელთანაც მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ, ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელია ეგვიპტეში. ფილიალებიანად იქ 45 ათასი სტუდენტი სწავლობს, საკუთრივ ისმაილიაში კი 25 ათასი სტუდენტია. უნივერსიტეტს ხუთ ქალაქში აქვს ფილიალი. ოცი ფაკულტეტი ყველა მნიშვნელოვან სპეციალობას მოიცავს. სწავლა ფაქტობრივად უფასოა. ის სიმბოლური გადასახადი (წელიწადში დაახლოებით ათიოდე დოლარი), რომელსაც სტუდენტები იხდიან, მხედველობაში მისაღები არც არის.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბინაც, კვებაცა და სამედიცინო მომსახურებაც სტუდენტებს თითქმის უფასოდ აქვთ. ფილიალების გარეშე, ისმაილიის უნივერსიტეტის ყოველწლიური დაფინანსება 35 მილიონი ამერიკული დოლარია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ერთმანეთისაგან განუყოფელობის პრინციპის დაცვას. სასოფლო-სამეურნეო სპეციალობის სტუდენტები თავიანთი პროფილით საქმიანობენ, მომავალი ექიმები საავადმყოფოებში არიან დასაქმებულნი და ა. შ.

საუნივერსიტეტო კამპუსი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს და ქალაქის სხვადასხა ადგილასაა განთავსებული. ყოველ ფაკულტეტსა და სპეციალობას საკუთარი სასწავლო კორპუსები აქვს გამოყოფილი. იმის გამო, რომ უნივერსიტეტი ახალი გახსნილია (დაარსდა 1976 წელს), მისი მშენებლობისა და სრულყოფის პროცესი ახლაც მიმდინარებს ინტენსიურად.

განსაკურთებული ყურადღება ექცევა უახლესი ტექნიკის შეძენას. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი შთაბეჭდილება სტომატოლოგიის ფაკულტეტმა მოახდინა, სადაც სულ თანამედროვე ამერიკული ტექნიკაა დამონტაჟებული.

ჩვენთვის უკვე ნაცნობ პრორექტორ მაგდისთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ მეტხატთან შეხვედრა-საუბრის შემდეგ ვხვდებით უნივერსიტეტის რექტორს დოქტორ აბდ-ალ-ჰამიდ შაფიკ შალაბის, რომელიც იმავდროულად აფრიკის უნივერსიტეტების ასოციაციის პრეზიდენტიცაა. ურთიერთგაცნობისა და ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების შემდეგ ვემშვიდობებით ჩვენს მასპინძლებს და ბ-ნ მეტხატთან ერთად ქალაქის დასათვალიერებლად მივდივართ.

ვნახეთ სუეცის არხი, რომელიც თანამედროვე ეგვიპტის უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ეს არხი, რომელიც 1869 წელს იქნა გათხრილი, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სანაოსნო გზაა. იგი უმოკლესი ხიდია ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის, 15 ათასი კმ-ით ნაკლები სიგრძისა აფრიკის შემოსავლელ გზასთან შედარებით. არხის გაყვანამდე აფრიკისა და აზიის კონტინენტები ერთმანეთისგან ფაქტობრივად წყლით გამიჯნული არ ყოფილა. დღეს სუეცის არხი ამ ფუნქციასაც ასრულებს.

არხს გაღმა ქართველებისთვის კარგად ცნობილი სინას ნახევარკუნძული იწყება. იქ, სინას მთაზე, შუა საუკუნეებში ქართული კულტურის ფართოდ ცნობილი ცენტრი არსებობდა, სადაც არაერთი ქართველი ღვთისმომსახური და მწიგნობარი მოღვაწეობდა.

სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, სინას მთის მონახულება ვერ მოხერხდა. ეს იყო მხოლოდ, ბორანით, რომელიც ხიდის მოვალეობას ასრულებს, არხის მეორე ნაპირზე გადავედით და სულ რაღაც ათიოდე წუთში აფრიკიდან ფეხი აზიის მიწაზე დავადგით.

მშობლიურ ქალაქზე უსაზღვროდ შეყვარებული ჩვენი მასპინძელი გატაცებით გვიამბობს საინტერესო ამბებს ისმაილიისა და ეგვიპტის ისტორიული და თანადროული ყოფიდან. ერთგან, არხის სანაპიროს შემაღლებულ ადგილზე, ქრისტიანული ეკლესია დგას, რომლის წინაც ბეთლემისაკენ სახემიმართული მარიამ ღვთისმშობლის ქანდაკებაა აღმართული. ეკლესიის გვერდით პრეზიდენტმა ანვარ სადათმა თურმე მეჩეთი ააგო და საკუთარი რეზიდენცია აიშენა. ბაღნარად ქცეული ეს რეზიდენცია სადათის საყვარელი დასასვენებელი ადგილი ყოფილა. ამის გარდა ისმაილიაში ეგვიპტის

პრეზიდენტთა კიდევ ორი რეზიდენციაა, რაც ნათლად მეტყველებს ამ ქალაქის მნიშვნელოვან როლზე დღევანდელ ეგვიპტეში.

გვიან ღამემდე ვსეირნობთ ქალაქში, რომლის ცენტრალური ნაწილი დიდი ქალაქების მსგავსად მეტად ხალხმრავალია. მეტხატმა დასასვენებლად ჩაიხანაში მიგვიწვია. ჩაიხანის პატრონი ადრე ცნობილი სპორტსმენი ყოფილა. სასწრაფოდ შემოგვთავაზეს ჩაი და წვენები (როგორც ცნობილია, ალკოჰოლიან სასმელებს რელიგია მკაცრად კრძალავს). პირდაპირ ქუჩაში გაშლილ მაგიდებს უამრავი მამაკაცი უზის და ნეტარებით ქაჩავს ისლამურ ქვეყნებში ფართოდ პოპულარულ დიდ, გუზგუზა ყალიონს.

ამის შემდეგ მასპინძლებს ქალაქის იმ ნაწილის დასათვალიერებლად მივყავართ, სადაც ელიტარულ პიროვნებათა პრესტიჟული აგარაკებია აგებული. ბაღნარად ქცეული ამ ვილების პატრონები ქალაქისა და ქვეყნის ყველაზე ცნობილი პიროვნებანი არიან. მათ შორისაა აქაური უნიერსიტეტის რექტორიც.

ორშაბათს, 26 თებერვალს, უკვე ოფიციალურად ფორმდება ხელშეკრულება ორ უნივერსიტეტს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ამ ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად კაიროდან საგანგებოდ ჩამობრძანდნენ ჩვენი ელჩი აპოლონ სილაგაძე, დესპანი გოჩა ჯაფარიძე და კონსული ალექსანდრე ბაქრაძე. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე ცნობილი ეგვიპტელი ბიზნესმენები და ჩვენი ქვეყნის მეგობარი შარეფ მადკური, რომლის ინიციატივითა და დაფინანსებით უახლოეს პერიოდში კაიროში ქართული კულტურის ცენტრი გაიხსნება, ისმაილიის უნივერსიტეტისა და ქალაქის საზოგადოებრიობის ცნობილი წარმომადგენლები. ხელმოწერის ცერემონიალი ფართოდ გააშუქა პრესამ და ტელევიზიამ.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაიმართა შეხვედრა ისმაილიის გუბერნატორთან, გენერალ ფუად საად ელ-დინთან, რომელსაც ჩვენი გუბერნატორის — თემურ შაშიაშვილის წერილი გადავეცით იმერეთისა და ისმაილიის მხარეების დაძმობილების შესახებ. ისმაილის გუბერნატორი დიდი ინტერესით გაეცნო წერილს, რომელშიც მრავალი საინტერესო მოსაზრება იყო გამოთქმული ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობის შესახებ.

შეხვედრაზე საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ იმ დიდ პერსპექტივებზე,

რაც იმერეთისა და ისმაილიის გუბერნიის დაძმობილებას შეიძლება მოყვეს შედეგად როგორც სავაჭრო-სამრეწველო თვალსაზრისით, ისე ტურიზმის მხრივ. ამ საკითხებზე სასაუბროდ ისმაილიელთა დელეგაცია ჩვენ სიამოვნებით მოვიწვიეთ ქუთაისში მათთვის სასურველ დროს. თავის მხრივ ფუად საადმაც უყოყმანოდ გამოთქვა მზადყოფნა აქტიურად ითანამშრომლოს ქართველ მეგობრებთან. მისი აზრით, ორი ქვეყნის ურთიერთობას დიდ პერსპექტივებს სძენს ფოთისა და პორტსაიდის ფართოდ ცნობილ ნავსადგურებს შორის პირდაპირი სატრანზიტო და ტურისტული სანაოსნო კავშირის დამყარება.

დღის გვირგვინად იქცა პორტსაიდში გამგზავრება. გუბერნატორთან გამომშვიდობების შემდეგ მასპინძლებმა ისმაილიიდან 80 კმ-ით დაშორებულ ქალაქ პორტსაიდში წაგვიყვანეს. პორტსაიდი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ცნობილი პორტია. სწორედ აქედან იღებს სათავეს სუეცის არხი. შესანიშნავი გზა საშუალებას გვაძლევს ეს მანძილი ერთ საათზე ნაკლებ დროში დავფაროთ.

პორტსაიდში ისმაილიის უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი ფილიალი აქვს გახსნილი. კერძოდ, აქ არის სავაჭრო, საინჟინრო და პედაგოგიური ფაკულტეტები, სადაც 15 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. იმის გამო, რომ დღის ბოლოა და სწავლა ძირითადად დამთავრებულია, პროფესორ-მასწავლებლებთა და სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილს ვხვდებით. ისინი უდიდესი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით გვეგებებიან და გვათვალიერებინებენ სასწავლო კორპუსებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებს.

ასე სწრაფად და შთამბეჭდავად განვლო ეგვიპტეში ყოფნის ხუთმა დღემ. 27 თებერვალს გულისწყვეტით გამოვემშვიდობეთ ისმაილიას და კაიროში დავბრუნდით. ჩვენი თვითმფრინავი სტამბოლში გვიან ღამით მოფრინავს. მანამდე კი ბატონმა აპოლონმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოგვიმზადა — გემ-რესტორან „ფარაონით“ ნილოსზე გასეირნება. ჩვენთან ერთად არიან კაიროში სტუმრად მყოფი ელჩის ქალიშვილი ნინო და მისი მეუღლე პროფ. თედო დუნდუა. ისინი ორივენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობენ და კაიროში ქართველ ისტორიკოსთა დელეგაციასთან ერთად იმყოფებიან არაბული მხარის მიწვევით. ეს დელეგაციაც, რომლის

შემადგენლობაში არაერთი ცნობილი მეცნიერი შედის, ჩვენთან ერთად ბრუნდება სამშობლოში.

ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში შესაძლებლობა მოგვეცა კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავით ღამის კაიროს ეგზოტიკური მშვენიერებით. გემზე გამართულმა კონცერტმა და ცეკვა-მასკარადმა კი აფრიკულ-აღმოსავლური მუსიკალური ხელოვნების სამყაროში შეგვიყვანა.

აეროპორტში ჩვენს გასაცილებლად საქართველოს საელჩოს თითქმის ყველა წარმომადგენელი მოვიდა. სამშობლოში ჩვენთან ერთად თბილისელების ოცკაციანი ჯგუფიც მოფრინავს. იმ იმედით, რომ ოდესმე კიდევ მოგვიწვს აქ სტუმრობა, ვემშვიდობებით ეგვიპტესა და მის ძველისძველ დედაქალაქს.

დილის ექვს საათზე უკვე სტამბოლში ვართ. მთელი ჯგუფი ქალაქის ცენტრში მდებარე დიდებულ სასტუმრო „კოლორში" ვბინავდებით და ხანმოკლე შესვენების შემდეგ სტამბოლის დასათვალიერებლად მივდივართ. აქ, უნივერსიტეტში, ჩვენგან წარგზავნილი ორი სტუდენტი სწავლობს: ბატონი ვახტანგის შვილი — გივი ამაღლობელი და ლაშა დუნდუა.

ტელეფონით ადვილად ვახერხებთ მათთან დაკავშირებას. ბიჭებმა არ იციან სიხარული როგორ გამოხატონ. გარეთ მშვენიერი ამინდია. დავსეირნობთ ხალხმრავალ ქუჩებში და კიდევ ერთხელ ვათვალიერებთ მის ისტორიულ სიძველეებსა და დღევანდელ ღირსშესანიშნაობებს.

ასე მიიწურა ეგვიპტესა და თურქეთში ჩვენი ყოფნის ეს უკანასკნელი დღეც და გვიან ღამით თვალწარმტაცი ლამპიონებით გაჩახჩახებული სტამბოლიდან შთაბეჭდილებებით დაყურსულნი მოუთმელნად მივემგზავრებით მთელი დედამიწის ზურგზე მაინც ყველაზე მშვენიერი და საყვარელი ჩვენი მშობლიური ქუთაისისკენ.

2001 წ.

ტაო-კლარჯეთის ქართული ფესვები

თურქეთში ტაო-კლარჯეთის ქართული ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად წასვლა ნებისმიერ მსურველს დღეს ისე თავისუფლად შეუძლია და საუკუნეთა მანძილზე ჩვენი წინაპრების აუხდენელი ოცნების საგნად ქცეული ამ მხარისაკენ მიმავალ გზას ბოლო წლებში იმდენი ქართველი გადის, რომ ისტორიული საქართველოს ამ მხარეში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებზე მკითხველთან საუბარი თავიდან ნაკლებად გამართლებულ საქმედაც კი მივიჩნიე. მაგრამ ხილულმა სინამდვილემ ისეთი წარუშლელი ემოციებით ამავსო და გამაოგნა, რომ გადაწყვეტილება შევცვალე და მიზანშეწონილად ჩავთვალე ჩემი შთაბეჭდილებები მაინც გამეზიარებინა სხვებისთვის.

ტაო-კლარჯეთისაკენ მიმავალს გონებაში გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი ლექსის სტრიქონები მიტრიალებდა:

ისე დავბერდი, ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვა მათ გაზაფხული?
ველარ ვემთხვიე მესხეთის მიწას,
სადაც გმინავენ ძველი ლოდები,
სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა
შემოგვძახიან: თქვენ გელოდებით!
შავშეთის მთებზე ნისლი გადადის,
კარჩხალის მთებზე ვხედავ არწივებს,
და მათ ანგრეულ, აშლილ ბუდეებს
ქარი უბერავს, ქარი აციებს...
მაგრამ გუგუნებს ქართულად მიწა,
და თუ გამხდარან დასანაცრები! —
ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით
მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები.

განსხვავებით მილიონობით ჩვენი წინაპრისაგან, საქართველოსა და თურქეთს შორის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში დამყარებულმა კეთილმეზობლურმა და მეგობრულმა ურთიერთობამ ქართველ კაცს იმის შესაძლებლობა მისცა, არა მარტო ტურისტულად ეწვიოს დღეს-დღეობით თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ ისტორიულ ძეგლებს, არამედ რეალურადაც დაიწყოს ზრუნვა მათ მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-კონსერვაციაზე. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებით ბოლო წლებში უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები და დაისახა სამომავლო პერსპექტივები.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებითა და დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრის ექიმებით დაკომპლექტებული ჩვენი დელეგაცია ქუთაისიდან 2008 წლის 23 მაისს ღამის სამ საათზე გაემგზავრა. ექსკურსიის ორგანიზატორმა და ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა საფუძვლიანად მცოდნე ჩვენმა მეგზურმა, უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორმა შალვა კირთაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, საექსკურსიო მარშრუტი მაღალორგანიზებულად და უხიფათოდ რომ დასრულებულიყო და შინ მშვიდობით დავბრუნებულიყავით.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, ყოველი მოგზაურობის დროს უფრო და უფრო თვალნათლივ ვხედავ იმ დიდ ეკონომიკურ წარმატებებს, რითაც ამ ქვეყნის განვითარება ხასიათდება. ამის დასტურად აქ თუნდაც გზათა ინტენსიური მშენებლობის იმ პროცესის აღნიშვნაც იქნება საკმარისი, რასაც თურქეთის მიწაზე ფეხის პირველი დადგმისთანავე დაინახავს კაცი. მოსახლეობით მეტად მეჩხრად დასახლებული მთელი ის მაღალმთიანი რეგიონი, სადაც მოგზაურობა გვიწევდა, უმაღლესი საინჟინრო ხელოვნებით აგებული გზებითა და გვირაბებითაა დასერილი.

ართვინისაკენ, მდინარე ჭოროხის აყოლებით, ჰიდროელექტროსადგურების ინტენსიური მშენებლობები მიმდინარეობს. ბეტო-

ნის ჯებირებით კლდოვანი მთების კალაპოტში ათეულობით კილომეტრის მანძილზე შეგუბებულ ჭოროხზე ორი ჰესის აგება უკვე დაუსრულებიათ, დანარჩენების მშენებლობა კი აქტიურად გრძელდება. ამ ელსადგურების აგებით თავად თურქეთი, მართალია, უდიდეს ენერგეტიკულ მოგებას კი ნახავს, მაგრამ სამაგიეროდ აჭარის შავი ზღვისპირა რეგიონი დადგება ეკოლოგიური საფრთხის (სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, კატასტროფისაც კი!) წინაშე, რადგანაც ზღვა ბეტონის ჯებირებში ჩაკეტილი მდინარისაგან მუდმივად „მკვებავ" ქვა-ღორღსა და შლამს უკვე ვეღარ მიიღებს.

საუკუნეთა წიაღისაკენ მიმავალ გზაზე პირველი ქართული ისტორიული ძეგლები ართვინთან მისვლამდე, მდინარე ბორჩხის წყალზე, შუა საუკუნეებში აგებული იმ ხიდების სახით გვხვდება, რომელთაც აქაურები თამარის ხიდებს უწოდებენ. საქართველოში ფართოდ დამკვიდრებული ეს ტრადიცია — ჩვენი ისტორიული ძეგლების დიდი ნაწილის მოხსენიება თამარ მეფის სახელით — ეტყობა, არც ამ მხარისთვის წარმოადგენს უცხო მოვლენას. როგორც საკუთარი თვალითაც ვნახეთ, მთის ბობოქარ მდინარეზე აგებული ამ შუაგულ ამობურცული ხიდებით, რომელთა ერთი ნაწილი უკვე აღდგენილ-რესტავრირებულიცაა, დღესაც წარმატებით სარგებლობენ ფეხით მოსიარულენი.

ამ ადგილებიდან დაწყებული, გზად მიმავალთ თითქმის ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ქართული ისტორიული ძეგლების ნანგრევები. ამ ნანგრევებზე მრავლად შემორჩენილ ქართულ წარწერებში ჩვენი ქვეყნის ისტორიის არაერთი შთამბეჭდავი ეპიზოდია შემონახული.

ასე იწყება ჩვენი დიდი მოგზაურობა ადრეული შუა საუკუნეების ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ისტორიის რომანტიკულად აღმაფრთოვანებელ წიაღში.

პირველი ყველაზე დიდი საოცრება, რისი თვითმხილველებიც ორიოდე საათის შემდეგ გავხდით, არტანუჯი იყო, IX საუკუნიდან XVI საუკუნემდე ჩვენი ქვეყნის მძლავრ ადმინისტრაციულ, რელიგიურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცეს-

ტრად ქცეული ციხე-ქალაქი. ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში დაარსებული და VIII საუკუნის პირველ ნახევარში არაბთა მიერ დანგრეულ-გაპარტახებული ეს ციხე-ქალაქი VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე აშოტ კურაპალატმა მძლავრ ბასტიონად და ტაო-კლარჯეთის ახლად შექმნილი სამთავროს ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის პირველ წარმომადგენელთა მოღვაწეობისთვის სათავის დამდებ იმ ადგილად, სადაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი.

როგორც საქართველოს ისტორიიდანაა ცნობილი, არტანუჯის, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მთელი ამ რეგიონის ამგვარ დაწინაურებას IX-X საუკუნეებში პირველ ყოვლისა იმ რთულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუწყვეს ხელი, რომელნიც არაბთა ბატონობის შედეგად განვითარდნენ იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ მხარის აღმშენებლობისა და მძლავრ სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა აშოტ კურაპალატმა, რომლის ღვაწლს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ცნობილი მემატიანე სუმბატ დავითის ძე (XI ს.) შემდეგ შეფასებას აძლევს:

„აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯ, და აოხრებულ იყო ბაღდადელის მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრე თვის ციხედ და წინა კერძო მისსა აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და დაემკვიდრა მას შინა ცხოვრებად.“

არტანუჯის სტრატეგიულ როლსა და მნიშვნელობას არსებითად ზრდიდა ის ფაქტიც, რომ მტრის შემოტევებისაგან საიმედოდ დაცულ და თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით ბუნებრივ ციხე-სიმაგრედ ქცეულ ამ ქალაქზე კონსტანტინეპოლთან დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო-საქარავნო გზაც გადიოდა.

აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების უდიდესი დამსახურება ტაო-კლარჯეთის აღორძინების საქმეში იმითაც გამოიხატა,

რომ მათი აქტიური თანადგომით ჩვენი ქვეყნის ეს რეგიონი IX-XII საუკუნეებში მძლავრი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრიც გახდა. სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სპეციალისტთა მტკიცებით, ტაო-კლარჯეთ-შავშეთში აღნიშნული დროისათვის 300-მდე ეკლესია-მონასტერი ყოფილა აგებული. სამწუხაროდ, იმდროინდელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს საეკლესიო, კულტურულ და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებად ქცეული ამ ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი (ხანძთა, შატბერდი, ხახული, პარხალი, იშხანი, ოშკი, დოლისყანა...), სადაც ადრინდელ შუა საუკუნეებში საქვეყნოდ ცნობილი მრავალი ქართველი ღვთისმსახური და სწავლული მოღვაწეობდა, დღეს უკვე ან ნაწილობრივაა დანგრეული, ანდა მთლიანად იავარქმნილი.

ჟამთა სვლისა და მტრის მსახვრალი ხელი, სამწუხაროდ, არტანუჯსაც შეეხო და ერთ დროს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შეუმუსვრელ ბასტიონად ქცეული ამ ციხე-ქალაქის სანახავად მისულებს დღეს იქ მის ნაცვლად უკვე მხოლოდ ძველი დიდების „ნგრეული ნაშთიღა“ ხვდება, ბუჩქნარითა და ძეძვნარით დაფარული ნანგრევები.

კლდოვან მწვერვალს შემორჩენილი ამ ნანგრევების სანახავად რომ ახვიდე, ერთ კილომეტრამდე სიგრძის ქვაღორღიანი ბილიკი თუ ნაბილიკარი მთის ციცაბო კალთებზე ფორთხვით უნდა გაიარო. დიდი წვალებით მაღლა ასულები ძეძვნარ გადავლილი ნაეკლესიარის კედელზე ჯვარსა და ხატებს ვათავსებთ და ჩვენი ქვეყნის სადიდებლად და წინაპართა სულის მოსახსენებლად სანთლებს ვანთებთ.

არტანუჯიდან ხანძთის სანახავად მივდივართ. როგორც ცნობილია, კლარჯეთში მდებარე ამ სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას VIII საუკუნის მეორე ნახევარში გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი.

როგორც ცნობილია, ხანძთის მონასტერი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა ქართული სულიერი ცხოვრების მძლავრ კერას, სადაც, გარდა გრიგოლ ხანძთელისა, ქართული კულტურის არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი ეწეოდა მეტად

ნაყოფიერ და წარმატებულ სამეცნიერო და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

ყველგან, სადაც კი კაცს თვალი მიუწვდება, შიშველი ან ალაგ-ალაგ ბუჩქნარითა და ბალახით დაფარული საღი კლდეების მთებია აღმართული. მახსენდება ამ ადგილების შესახებ გიორგი მერჩულეს მიერ ნათქვამი სიტყვები: „და არს იგი უგზო და მიუვალი... სოფლისა წესითა მცხორებელთაგან.“ ხანძთისაკენ მიმავალნი პირადადაც ვრწმუნდებით, რატომ უწოდა მწერალმა ამ მიდამოს „საშინელად ძნელოვანთა ადგილი.“ ხანძთაში მისულნი კი საკუთარი თვალითაც ვხედავთ, რომ „მონასტერსა შინა“ მართლაც „არა არს სათიბელი ქუეყანაი, არც ყანაი სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკის მისლვაი აქუს კარაულისა ზურგითა და მცირედ ვენახი ჭირით და ურვით დაუნერგვანი.“

ხანძთის მონასტერი მთავარი გზიდან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. კლდოვანი მთის კალთებზე მონასტრისაკენ მიმავალი ქვა-ღორღიანი შარა იმდენად ვიწროა, რომ გვერდს არა თუ შემხვედრი მანქანა ვერ აგიქცევს, არამედ ფეხით მოსიარულეც კი. ქვემოთ ისეთი უფსკრულებია, კაცს გადახედვისა შეგეშინდება. იმის გამო, რომ ამ მიდამოებში, გარდა სამი-ოთხი ოჯახისა (ნეტავ, ესენიც როგორ ძლებენ აქ!), არავინ ცხოვრობს, სახელმწიფო გზის კეთილმოწყობაზე არ ზრუნავს. რომ არა თურქქსელი, რომელსაც აქეთ კავშირგაბმულობის ანძები ჰქონია, ეს შარაგზაც არ იქნებოდა გაყვანილი.

თუმცა მანქანით ვერც ამჯერად მივდივართ ბოლომდე და ნახევარკილომეტრიან ბილიკს აქაც კლდე-ღრეში გავდივართ. გზიდან გადასახვევთან მცხოვრები ერთადერთი ოჯახის თურქი დიასახლისი უთქმელადაც მიხვდა, მონასტრის სანახავად რომ მივდიოდით და მანძილის შესამოკლებლად მის ეზოზე გადავლის უფლება მოგვცა. მთელ ი მ შემოგარენში მხოლოდ ეს ერთი სახლი დგას — ფარღალალა და დაფეხვილი. მაგრამ, მიუხედავად ამგვარი სიდუხჭირისა, მისი მცხოვრებლები იქაურობის დატოვებას მაინც რომ არ აპირებენ, ეს მათ მიერ სპეციალურად მოვაკებულ ადგილზე წამოწყებული ახალი სახლის მშენებლობიდანაც თვალნათლივ ჩანს.

რაც უფრო ვუახლოვდებით მონასტერს, სიმწვანეც მით უფრო მეტად მატულობს. ეს პირველ ყოვლისა მის ეზოში გამომდინარე წყაროს კეთილის მყოფელი ზეგავლენის შედეგია. გრიგოლ ხანძთელის მიერ VIII საუკუნის II ნახევარსა და IX საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ხანძთის სამონასტრო კომპლექსისგან, რომლის „სიბრძნისა მდინარეთაგან ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი ირწყვებოდეს“, ამჟამად მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. სამწუხაროდ, ნგრევის ეს პროცესი დღესაც გრძელდება და გასულ ზამთარში ტაძრის გუმბათიც ჩამოინგრა.

საბედნიეროდ, ბოლო წლებში თურქეთის ხელისუფლება აშკარა დაინტერესებას იჩენს ქართული ისტორიული ძეგლებისადმი და კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მათი შეტანით ცდილობს სახელმწიფოებრივი მზრუნველობა დააწესოს ამ ძეგლების მოვლა-პატრონობაზე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ხანძთის დანგრეული ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის საქმეც უკვე დადებითადაა გადაწყვეტილი და ამას თურქული მხარის ნებართვით ქართველი სპეციალისტები გააკეთებენ.

მონასტრისაგან 30-50 მეტრის მოშორებით ხის ხუთიოდე სახლიც დგას, რომლებშიც ზაფხულობით თურქი გლეხები მოდიან დროებით საცხოვრებლად და სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

ხანძთიდან შავშეთში მივემგზავრებით ტბეთის სანახავად. გზაში, ერთგან, გზისპირა წყაროსთან შესვენების დროს, შალვა კირთაძემ შემთხვევით მისი იქაური ქართველი ნაცნობი, მეზობელ სოფელ დიობანში (თურქული დასახელებით — მეიდანჩიკში) მცხოვრები ჯაფარიძე ნახა. ჩვენი შავშეთელი თანამოძმე ამ შეხვედრამ ისე გაახარა, რომ შინაც მოინდომა ჩვენი მიპატიჟება. როგორც მისგან შევიტყვეთ, შავშეთის რეგიონში შემავალ იმერხევში, გარდა მისი სოფლისა, კიდევ 10 ქართული სოფელი მდებარეობს, მდინარე პარხლის ხეობაში კი სამი ქართული სოფელი გვხვდება — ხევაი, ქობაი და ბალხი.

არტანუჯისა და ხანძთის ხრიოკი მიდამოებისაგან განსხვავებით, ტბეთის ტაძარი ფოთლოვანი ტყეებითა და ნაძვნარით ამწვანებულ ხეობაშია აგებული. X საუკუნეში აშენებული ამ უბრწყინვალესი ტაძრის არქიტექტურული ხელოვნება ბევრი რამით გვაგონებს ბაგრატის ტაძარს. მიუხედავად იმისა, რომ დროის მსახვრალი ხელი ჩუქურთმებით მრავლად დამშვენებულ ამ ხუროთმოძღვრულ ძეგლსაც შეხებია, იგი მაინც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ტაძრის ისტორიულ მნიშვნელობას, მის მაღალ არქიტექტურულ ხელოვნებასთან ერთად, არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ შუა საუკუნეებში იგი ქართული საეკლესიო და სულიერი კულტურის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამის დასტურად თუნდაც იმის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ სწორედ ტბეთში მოღვაწეობდნენ ქართული მწერლობის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: იოანე და სტეფანე მტბევარები და აბუსერისძე ტბელი.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ტბეთის მონასტრის გამორჩეულად მნიშვნელოვანი როლის ხაზგასასმელად მეათე საუკუნეში აქ გადაწერილი და ტბეთის სახარების სახელით ცნობილი ის ხელნაწერიც მინდა გავიხსენო, რომელიც ამჟამად პეტერბურგის ბიბლიოთეკაშია დაცული.

ასე მთავრდება ჩვენი მოგზაურობის პირველი დღე. საღამოს, პატარა ქალაქ შავშეთის სასტუმროში დაბინავებულები, დიდხანს დავსეირნობთ ქუჩებში, სადაც მრავალ იქაურ ქართველს ვხვდებით — მოლაშვილებს, ჭელიძეებს, ჯაფარიძეებს... მართალია, მათ უმეტესობას ქართულად საუბარი უჭირს, მაგრამ ყველა მათგანი სიამაყით უსვამს ხაზს თავის ქართველობას.

ნახული და განცდილი იმდენად ღრმად და სულისშემძვრელად აღმებეჭდა გონებაში, რომ ღამით აშკარად თვალხილული ჩვენებაც ვნახე: ერთ-ერთი ტაძრის შიშველ კედელზე, ანთებული სანთლების ქვემოთ, უეცრად ცხადად დავინახე, როგორ გამოისახა ღვთისმშობლის ხატი ყრმა მაცხოვართან ერთად. სანთლების შუქით გაბრწყი-

ნებულმა ხატმა მოულოდნელად ისეთი ძალით დაიწყო კრთომა-ცახცახი, რომ ერთბაშად გამოვფხიზლდი და სიზმარში განცდილი სულიერი მღელვარება დიდხანს ვერ დავიოკე.

მეორე საექსკურსიო დღე იშხანით იწყება. ტაოში, მდინარე ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მთავარი გზიდან 5 კილომეტრის დაშორებით მდებარე ამ სამონასტრო კომპლექსს საფუძველი VII საუკუნეში ჩაეყარა. პირველი ეკლესია სწორედ ამ საუკუნის 30-იან წლებში აუშენებია იქ ნერსე ეპისკოპოსს. IX საუკუნის I ნახევარში იგი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ კარგად ცნობილმა საბა იშხნელმა განაახლა. საბოლოოდ დასრულებული სახე კი ბაგრატ მესამის მეფობის დროს მიიღო, XI საუკუნის დასაწყისში.

მთის მაღალ მწვერვალზე აგებულ მონასტერში საუღელტეხილო ვიწრო გზით ავდივართ. მართალია, გზა მოასფალტებულია, მაგრამ ციცაბო მთის კალთებზე დამცავი ჯებირების არქონის გამო მგზავრობა გარკვეულ რისკთან მაინცაა დაკავშირებული. იმის გამო, რომ მონასტრის შემოგარენში წყალუხვი წყაროების სიმრავლეა, იქაურობა მწვანე წალკოტადაა ქცეული.

ფოთლოვანი ხეებით დაბურულ ეზოში, სადაც კამკამა წყარო მოჩუხჩუხებს, ამაყად დგას ქვის გრძნეული ჩუქურთმებითა და ქართული წარწერებით დამშვენებული ვეებერთელა ტაძარი, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რაც კი ამ მოგზაურობის დროს ვნახეთ.

იშხანის დათვალიერების შემდეგ, ასევე ტაოში, მდინარე თორთუმის წყლის მარცხენა ნაპირზე, მდებარე ოშკის სამონასტრო კომპლექსს ვათვალიერებთ. თავისი გრანდიოზულობით ოშკი სხვა ძეგლთაგან აშკარად გამორჩეული ტაძარია. კერძოდ, მისი შიგა სიგრძე 60 მეტრია, სიგანე — 27 მ. სიმაღლე კი 34 მ. ეს ტაძარი X საუკუნის 60-70-იან წლებში ადარნესე კურაპალატის შვილებს — დავით კურაპალატსა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს აუგიათ. ოშკის ისტორიულ მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის ფაქტი, რომ იგი ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთ უმთავრეს კერას წარმოადგენდა, სადაც

არაერთი დიდმნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი შეიქმნა (მაგალითად, 978 წელს — ოშკის სახელით ცნობილი ბიბლია).

მიუხედავად იმისა, რომ ოშკი, მსგავსად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა ძველქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, ხელისუფლებას კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში აქვს შეტანილი და მის დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობაა დაწესებული, იგი მაინც სავალალო მდგომარეობაში იმყოფება და რეალურად დგას დანგრევისა და განადგურების სააფრთხის წინაშე. კერძოდ, ტაძრის, სატრაპეზოსა და მცირე ეკლესიის ინტერიერები ნანგრევებითაა სავსე, გუმბათები ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია, სახურავები ბუჩქნარითა და ბალახებითაა დაფარული. ეკლესიის ერთ-ერთ სვეტს, ბოლომდე რომ არ ჩამოიქცეს, ხის გადაჭრილი მორი აქვს შედგმული, ვიღაც მაცხოვრებელს კი თავისი სახლი უშუალოდ ტაძრის უკანა კედლისთვის მიუშენებია, რის გამოც ტაძარს შემოსავლელი გზა აღარ აქვს.

ტაოში, ოშკიდან 20 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ხახულის წყლის მარცხენა სანაპიროზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ასევე კარგად ცნობილი ხუროთმოძღვრული ძეგლი — ხახულის მონასტერი მდებარეობს. იგი 978-1001 წლებში აუგია დავით მესამე კურაპალატს. ეს ეკლესია ფართო საზოგადოებისათვის უპირველეს ყოვლისა ხახულის ღვთისმშობლის ოქროჭედილი ხატითაა ცნობილი (ამჟამად დაცულია თბილისში, ქართული ხელოვნების მუზეუმში). ხახულის მონასტერი XVI საუკუნემდე ქართული საეკლესიო ცხოვრებისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა, სადაც არაერთი სახელოვანი ქართველი მამულიშვილი მოღვაწეობდა (მაგალითად, გიორგი მთაწმინდელი).

იმის გამო, რომ მონასტრის შენობაში მეჩეთია განთავსებული, მისი კარები დაკეტილია და შიგ შესვლა შეუძლებელია. ამიტომ სანთლებს ეკლესიის გარე კედლებზე ვანთებთ. რადგანაც მონასტერი სოფელში მდებარეობს, ტურისტების გარდა იქ ადგილობრივი მოსახლეობაც ხშირად მოდის. ისინი ცნობისმოყვარეობით გვითვალთვალებენ და კმაყოფილებით თანხმდებიან ჩვენთან სურათების

გადაღებას. ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ ერთი მოხუცი კაცი გამოდგა. მუსულმანური წესით ქუდდახურული და წვერმოშვებული ეს მოხუცი ჩვენს ყოველ ნაბიჯს ძნელად დაოკებული შინაგანი გაღიზიანებით ადევნებდა თვალს. ვითარების განმუხტვის მიზნით მასთან მივედი და ჩვენთან ერთად სურათის გადაღება ვთხოვე, მაგრამ მოხუცმა ზურგი შეგვაქცია და არა-არას ძახილით მონასტრის ეზო დატოვა.

ხახულიდან მდინარე ჭოროხის ნაპირას გაშენებულ პატარა ქალაქ იუსუფელის გავლით ოთხთა ეკლესიის დასათვალიერებლად გავეშურეთ. გზად მიმავალნი დასანაყრებლად წყაროსთან მოწყობილ დასასვენებელ ადგილზე ვჩერდებით. მოულოდნელად ჩვენთან სამი თურქი მამაკაცი მოვიდა, სადილზე დაგვეწვია და პატივისცემის ნიშნად ჩაი შემოგვთავაზა. ერთ-ერთი მათგანი საგზაო პოლიციის მაღალჩინოსანი გამოდგა, მეორე კი მოლად კურთხევისთვის გამზადებული პიროვნება.

მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, სტუმარ-მასპინძლებს შორის მაინც მყარდება გულღია დამოკიდებულება. ამ საქმეში უმთავრეს როლს უპირველეს ყოვლისა ქართული ღვინო და ვახტანგურად შესმული სადღეგრძელოები ასრულებენ. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ღვინის დალევისაგან მორიდებით იკავებს თავს, მომავალი მოლაა.

პურობის ბოლოს ჩვენი ახლად გაცნობილი მეგობრები რამდენიმე წუთით სადღაც გაიქცნენ, დიდი ცელოფანი მოიტანეს, იქვე მდგარი თუთის ქვეშ გაშალეს, ხეზე ავიდნენ, ტოტები დაარხიეს და გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ მწიფე ნაყოფით.

ოთხთა ეკლესიასთან მისვლამდე კლდოვანი მთის თვალშეუდგამ მწვერვალზე აგებულ კავკასიძეების ციხესა და მის გვერდით მდგარ პატარა სამლოცველოს ვათვალიერებთ შორიდან. შორიდან იმიტომ, რომ ადრინდელ შუა საუკუნეებში აგებულ ამ ციხე-სიმაგრემდე მისვლა, მისი მიუდგომელი ადგილ-მდებარეობის გამო, ფაქტობრივად მხოლოდ ალპინისტებს შეუძლიათ.

მთავარი გზიდან მოშორებით, მთის ბობოქარი მდინარის ხეო-

ბაში, მდებარე ოთხთა ეკლესიის შემოგარენი ისეა ამწვანებული, კაცს თავი რაჭაში გეგონება. X საუკუნეში აგებული ეს სამნავიანი ბაზილიკა გრანდიოზული ხუროთმოძღვრულ ძეგლს წარმოადგენს. მართალია, ეკლესიის მთავარი შენობა დანგრევას კი გადარჩენილა, მაგრამ კედლების მოხატულობა თითქმის მთლიანადაა განადგურებული. ეკლესიის გვერდით მდებარე, ნანგრევებად ქცეულ პატარა შენობაში ადრე სემინარია ყოფილა განთავსებული. ნაეკლესიარის ნგრევის პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს მის შიგნით გარედან შეჭრილი ნაკადული. განცდილი შთაბეჭდილებებით აღგზნებულმა ჩვენმა თანამგზავრმა, ექიმმა მერაბ კვიცარიძემ იქვე სახელდახელოდ შეთხზული ექსპრომტიც წაგვიკითხა:

არტანუჯი ცრემლებს მიშრობს, სივრცე მიპყრობს გრძნეული,
პარხალს მოლა ყურანს ფურცლავს, ველარ რჩება სნეული.
აგერ ოშკი მესალმება და მინიდან ხახული.
ოთხთა მადლით ეკლესია ჯერ არა მაქვს ნახული.
იმერხევის ხეობიდან ლოცვით უნდა გახარო:
გამარჯობა, საქართველოვ, გულე-გულე, თათარო!
(შენიშვნა: გულე-გულე — თურქულია. ქართულად ნიშნავს — მშვიდობით!).

ასე მთავრდება ჩვენი მოგზაურობის მეორე დღე და მდინარე პარხლის პირას აგებულ მშვენიერ სასტუმრო „აგარაში“ დაბინავებულები გვიან ღამემდე ვუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ჩვენთან ერთად აქ თბილისელი ტურისტებიც არიან. სასტუმროს ქართველმა მეპატრონემ — მუხო საბახტარაშვილმა, იმის გამო, რომ სასტუმროში ადგილები ყველასთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, სტუმართა ნაწილი თავის სახლში წაიყვანა დასაბინავებლად.

ექსკურსიის მესამე დღე X საუკუნეში დავით III კურაპალატის მიერ აგებული პარხლის მონასტრის ნახვით იწყება. ქალაქ იუსუფელიდან 40 კილომეტრზე, მდინარე პარხლის ნაპირზე, მდებარე ეს ეკლესიაც ბაზილიკური სტილის ნაგებობაა. ჩვენს წინაპრებს ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევიათ და ეს მონასტერიც ძნელად მი-

სასვლელ მთებშია აშენებული. XVI საუკუნიდან მოყოლებული, პარხალიც მეჩეთადაა გადაკეთებული, რის გამოც ტაძარში შესვლას ვერ ვახერხებთ.

თუმცა, როგორც ირკვევა, ეს მონასტერი დღესდღეობით არა მარტო ჩვენთვისაა დაკეტილი, არამედ თურქებისთვისაც. ამის მიზეზი ხალხში ლეგენდად გავრცელებული შემდეგი შემთხვევა გამხდარა: 2004 წელს, ერთ-ერთი რელიგიური რიტუალის ჩატარების შემდეგ, მოლა ტაძარში დარჩენილა და კედლებზე არსებული ფრესკების ფხეკა დაუწყია, მაგრამ მოულოდნელად ცუდად გამხდარა და შინ წასულა. სახლში მისულს სიზმარში თამარ მეფე გამოცხადებია და მკაცრი საყვედური უთქვამს ქრისტიანული სიწმინდეებისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულების გამო. გამოღვიძებულ მოლას ეს სიზმარი შვილისთვის უამბნია და როგორც კი ამბის თხრობა დაუსრულებია, მაშინვე მომკვდარა. ამ შემთხვევით დაშინებულმა მორწმუნე მაჰმადიანებმა თურმე მეჩეთი დაკეტეს და ამის შემდეგ შიგ შესვლას შიშით ვერავინ ბედავს.

პარხალში მისულებს იქ ქუთაისელ ტურისტთა დიდი ჯგუფიც დაგვხვდა. მათ თან სასულიერო პირებიც ჰყავდათ წამოყვანილი — ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკლესიის მოძღვარი მამა მაკარი და სორმონის ეკლესიის მღვდელი მამა საბა. ჩვენი დიდი წინაპრების სულების მოსახსენებლად ისინი ტაძრის შესასვლელთან წირვას ატარებდნენ და ჩვენც შევუერთდით.

ბოლო ქართული ისტორიული ძეგლი, რომელიც უკან დაბრუნებულებმა ვნახეთ, ქალაქ ართვინიდან ოციოდე კილომეტრზე მდებარე დოლისყანის ეკლესია იყო. ქართული წარწერებით დამშვენებული ეს ეკლესიაც, რომელიც X საუკუნეშია აგებული, მთის მაღალ მწვერვალზე, რამდენიმე თურქული ოჯახით დასახლებულ პატარა სოფელში, მდებარეობს. კლდისგან ნატეხი ქვებით აშენებული დოლისყანის ეკლესია საყურადღებო იმითაცაა, რომ მის კედელზე პირველი მზის საათი იყო გაკეთებული. სამწუხაროდ, ქვის ის ლოდი, რომელზეც საათი გახლდათ ამოკვეთილი, დღეისათვის განადგურებულია.

ასე მთავრდება ჩვენი მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში იქაური ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებისა და ქართული კულტურის დიდმნიშვნელოვანი კერების დასათვალიერებლად. საუკუნეების განმავლობაში აუხდენელი ნატვრის საგნად ქცეული ამ პატრიოტული ოცნების ხორცშესხმით აღგზნებულები ტკივილითა და სინანულით დამწუხრებულებიც ვბრუნდებით უკან, ტკივილითა და სინანულით დამწუხრებულები იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთობისა და ძლიერებისთვის საფუძვლის დამდები ეს რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ჭირისუფლის მზრუნველობას მოკლებულნი და გულსაკლავად დადუმებულნი, დღეს უკვე ნანგრევებად არიან ქცეულნი და თუ სასწრაფოდ არ მოიძებნა გზა მათი შველისა და გადარჩენისა, არაერთი მათგანი სამუდამო აღიგვება პირისაგან მიწისა.


2008 წ.




სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესია




სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის სამლოცველო დარბაზი



სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესია. მარიამ ღვთისმშობლის ხატ-ქანდაკება.



წარწერა მარიამ ღვთისმშობლის ხატის ქვემოთ




სტამბოლის კათოლიკური სასაფლაო. ქართული სავანის დამცველ-გადამრჩენლის პაელე ზაზაძის საფლავთან.



სტამბოლის ქართული სავანის დღევანდელი ჭირისუფალი და ზედამხედველი, ბიზნესმენი სიმონ პაელეს ძე ზაზაძე.

სტამბოლის ქართული სავანის დამფუძნებლის პეტრე ხარისჭირაშვილის საფლავი.



სტამბოლის ქართული სავანის მღვდელ-მთავრები.

ÜSKÜDAR KATOLİK KİLİSESİ MEZARLIKLARI

1861 — 1961

ქალწულიანელი

მ.რ.მ.პატრ ხარისჭირაშვილი	1890_1892
მ.ბეღუანე გიორგაძე	1892_1898
მ.ალფონსი ჩითარაშვილი	1898_1905
მ.ბენედიქტე ვარდიძე	1905_1912_1937_1942
მ.პიო ბალიძე	1912_1921_1942_1956
მ.შიო ბათმანაშვილი	1912_1937
მ.პატრ ბაბალაშვილი	1956_1961

LE.VENERABLE PERE FONDATEUR ET LES SUPERİCURS

T.R.P.PİERRE GARİSGİARANTİ	1890_1892
R.P.ETİENNE GHİORGİDZE	1892_1898
R.P.ALPHONSE KHİTARACHVİLİ	1898_1905
R.P. BENOİT YARDİZE	1905_1912_1937_1942
R.P. PİE BALİDZE	1912_1921_1942_1956
R.P. CHİO BATMANACHİVİLİ	1912_1937
R.P PİERRE TATALACHVİLİ	1956_1961

წელსა: 1866 შვის
პაელე ზაზაძე თასვედომარე




ასეთ მდგომარეობაშია სავანის არქივი



საქართველოს საკონსულო სტამბოლში




მწერალი და სტამბოლში გამომავალ ქართულ ურნალ „ფიროსმანის“ მთავარი რედაქტორი ფარნა ჭილაშვილი, პროფ. შუშანა ფუტკარაძე, ამ წიგნის ავტორი და ურნალ „ფიროსმანის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ელიზბარ ცივნარიძე



ამ წიგნის ავტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
პროფ. გიორგი ონიანი და პოეტი, პროფ. ომარ გვეტაძე



სტამბოლი. შეხვედრა თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან



ქალაქი ამასია




ტელეკომპანია „რიონის“ გენერალური დირექტორი, პროფ. თამარ ღვინიანიძე (შუაში)
თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან



სოფელი ქართლა. ჩვენებურების ცეკვა.




ქალაქი ხენდეკი. სტუმრად ფუტკარაძეების ოჯახში.



თურქეთში მცხოვრები ქართველების მიერ მათ ილია ჭავჭავაძედ სახელდებული ახმედ მელაშვილი (ოზგანი).



ანკარის უნივერსიტეტი. კურსდამთავრებულთა ზეიმზე




ქალაქი ნევშეჰირი. საჩაიეში




სტამბოლი. ქართული კულტურის ცენტრში



ქალაქი ინეგოლი. სტუმრად ქართველთა სათვისტომოში



ქალაქი დუზჯე. სტუმრად ქართველთა სათვისტომოში



ქალაქი ამასია. შეხვედრა მერიაში



ოლთისის ციხე-სიმაგრე




ხანძთა




ქალაქი სამსუნი. 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტის რექტორატში



ოშკი



ბანას მონასტერი



ქალაქი ტრაპიზონი. სუმელას მონასტერი

AVTANDİL NİKOLEİŞVİLİ

TÜRKİYE GÜNLÜKLERİ

ÖZET

İSTANBUL'DA BİR GÜRCÜ MEKANI

Yaklaşık bir buçuk asırlık geçmişe sahip olan İstanbul Gürcü Katolik Kilisesi bünyesinde kurulmuş olan kültür merkezi, kuruluşundan bu yana, Gürcü kültürü ve eğitiminin gelişimine büyük katkı sağlamış ve sağlamaktadır. 1861 yılında yapılan bu din hizmetleri kompleksi üç büyük müesseseden oluşmaktadır: Katolik kilisesi, babalar ve analar manastırı. İstanbul'da faaliyet göstermekte olan Gürcü Din görevlilerinin sergilemiş oldukları son derece anlamlı olan dini ve vatani hizmetleri özellikle XIX yüzyılın sonlarında (son kırk yıl) ve XX yüzyılın başlarında (ilk yirmi yıl) geniş kitlelere ulaşarak Gürcü toplumunun ilgi odağı haline gelmiştir.

Din, kültürü ve eğitimi açısından büyük önem arzeden bu din hizmetleri kompleksinin tarihi ve burada faaliyet gösteren Gürcü yurttaşlarının katkıları hakkında şimdiye kadar malesef yeterli araştırma yapılamamıştır.

Yukarıda bahsedilen eksikliğin giderilmesi için bilimsel çalışmalar, XX yüzyılın 90'lı yıllarından itibaren, yani Gürcistan'ın bağımsızlığını kazanmasından sonra faal olarak başlamıştır. Bu çalışmalara somut ve açık olarak Şota Lomsadze, Guram Şaradze ve değişik Gürcü bilim adamlarının araştırma yazılarını örnek gösterebiliriz.

İstanbul Gürcü Manastırı'nın tarihinin araştırılmasında ve burada korunan değerli kaynakların ve nüshaların kataloklaştırılmasında Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi Profesörü Şuşana Putkaradze'nin büyük katkıları sözkonusudur. Şuşana Putkaradze, Türkiye'de yaşayan soydaşlarımızın Gürcüce telaffuzlarını, folklör ve milli örf ve adetlerini araştırmakla birlikte yirmi yılı aşkın zamandan beri, İstanbul Gürcü Manastırındaki muhafaza edilen kaynakları incelemektedir. Yapılan bu çalışma oldukça zor ve emek işidir.

İstanbul Gürcü Manastırı'nın kültür-eğitim rolünün ve burada bulunan zengin kaynakların (kitap, elyazmaları, periyodik yayınlar, değişik arşiv dökümanları) tesbiti ve araştırılması amacıyla oluşturulmuş bilim heyeti; Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi Profesörü Şuşana Putkaradze, Kutaisi Devlet Üniversitesi Profesörü Tariel Putkaradze ve bu satırların yazarı, 2007 Haziran ayında İstanbul'a bir araştırma gezisi düzenledi.

Heyetimizin ağırlanması ve çalışmalarda bulunabilmesi için gerekli şartların oluşturulmasında, manastırın şu anki kollayıcısı olan ünlü iş adamı Simon Zazadze bizlere büyük yardımlarda bulunmuşlardır. İstanbul Gürcü Katolik Kilisesi'nin hizmetkar papazının vefatından sonra, (1964) adı geçen manastırın burada mevcut olan zengin tarihi değerlerin muhafazası, bakım ve gözcülüğü konusunda büyük emeği geçenler arasında başta Zazadzeler ailesi gelmektedir. Öncelikle de Simon Efendinin babası ve babasının vefatından (1989) sonra oğlu Simon bunlar arsındadır. Bugün itibariyle bu kutsal işte Simon Bey'in yanında oğlu Pavle de aktif rol üstlenmektedir.

Yukarıda da bahsini ettiğimiz, milli öneme sahip Gürcü Kültür Merkezi, tarihi zenginliğiyle XIX-XX yüzyıllarda yurt dışında bulunan en büyük din kültür ve eğitim yuvalarından birini teşkil etmekteydi. Belli açıdan diyebiliriz ki, Avrupa'da yaşayan Gürcü göçmenler için Levil (Fransa)'in kendi dönemlerindeki manevi rolüne ise, yukarıda anılan kültür merkezinin de burada yaşayan soydaşlarımız için taşıdığı manevi önemi odur.

İstanbul Gürcü Manastırı'na yönelik yapılan bu değerlendirmede abartı ve aşırılığa yer verilmediğini, burada ortaya çıkan kaynaklar tartışmasız doğrulamaktadır ve ilgilenen şahıslar da malumudur. Bu noktada, sözün gerçekliğini daha da inandırıcı kılmak için, burada bir asır boyu faaliyet göstermekte olan soydaşlarımızın çok yönlü çalışmalarına yüzeysel olarak da olsa değinmek yeterli olacaktır.

Konuya yukarıda söylenenler açısından baktığımızda rahatlıkla söyleyebiliriz ki, İstanbul Gürcü Manastırı, Orta Çağlarda yurt dışında çok sayıda Gürcü kiliselerinde görev yapan manevi ve samimi şahsiyetlerin; milli, manevi, eğitim-bilim hizmetlerinin gelenek ve göreneklerinin devamı niteliğindedir.

Bu büyük hizmetin o dönemdeki kahramanları arasından Petre Harişçiraşvili'yi baş kahraman olarak anabiliriz. Hiç tartışmasız diyebiliriz ki, yukarıda ismini andığımız kahraman zat, sergilemiş olduğu faydalı ve oldukça başarılı çalışmalarıyla ülkemiz tarihine önemli katkılarda bulunmuştur.

Roma Katolik Kilisesi önderinin ferdi gayretleri ve destekleriyle burada kurulan Gürcü Manastırı, sadece Gürcü Katolik din hizmetlerinin popüler merkezi haline gelmekle kalmayıp, yurt dışında Gürcü kültürünün ve yazım işlerinin önemli merkezi olarak da belirmiştir.

İstanbul Gürcü Mekanı olarak adlandırılan bu manastırın oynadığı milli rolde Petre Harişçiraşvili'nin yanısıra diğer gözde Gürcü şahsiyetlerin (Mikel Tarhnişvili, Miheil Tamaraşvili, Şalva Vardidze, Merab Merabişvili, İvane Gvaramadze (meshi)'nin... manevi, milli ve vatani katkıları da göz ardı edilmemelidir. Kayda değer başka bir hadise de, manastırda istihdam edilen papaz-rahiplerin çoğunun Gürcülerden teşkil edilmiş olması münasebetiyle, burada yapılan ibadet ve dualar kural gereği Gürcü dilinde gerçekleştirilmekteydi.

Dolayısıyla, İstanbul Gürcü Kilisesi, orada yaşayan Gürcüler için sadece bir ibadethane olarak kalmayıp, ana yurtlarından ayrı kalmış soydaşlarımızın ayrılık acısına derman olan tarihi bir mekan haline de dönüşmüştür.

İstanbul Konstantinepol Manastırı'nın inşa edildiği zaman bu mahalle, (Periköy) kenar mahalle konumunda olsa da; bugün burası İstanbul'un merkez semtlerinden biri haline gelmiştir.

2000 yılında İstanbul'da açılan Türk-Gürcü Kültür ve Eğitim Vakfı, diğer önemli faaliyetlerinin yanısıra mevzu-bahis manastırın bakım ve kollamacılığına dair vazife üstlenmeye başlamıştır. Vakfın daveti ve finansmanlığında, İstanbul Gürcü Manastırı'nda muhafaza edilen kaynakların incelenmesi amacıyla Profesör Şuşana Putkaradze başkanlığında bir bilim heyeti 15 aylığına İstanbul'da vazifelendirilmiştir.

Vakfın öncü üyelerinin manastırla bu denli ilgilenmelerinde kendilerinin Gürcü asıllı Türk vatandaşı olmaları etkili olmuştur. Yönetim Kurulu Başkanı Nihat Gökyiğit ve Genel Müdür Mevlüt Artvinli, Gogitidzeler soyundan olmakla birlikte; vakfın yönetici üyeleri de Gürcü asıllı kişilerdir: Simon Zazadze, Refahettin Şahin (Lortkipanidze), İsmet Dindar (Mikeladze) vs.

Ş. Putkaradze'nin yazılarından edindiğimiz bilgiye göre, manastırda araştırmalarda bulunan bilim heyetinin üstün gayretlerine rağmen, kitap bölümünde muhafaza edilen kaynakların sadece bir kısmını inceleyebilmişler. Bu konuyu biraz daha irdelemek için Ş. Putkaradze'nin kitabının bir kısmını alınyılamayı faydalı buluyorum: '5 odada bulunan kaynakları inceledik. 51 bin adet (kitap, broşür, dergi, gazete ve arşiv bilgileri) dökümanın sayımını yaptık. Burada saklanan kitapların tarihi 1523 yılından başlamaktadır. Burada 1629 yılı, Gürcüce basımlı kitap bulunmaktadır. Ayrıca, elyazmaları, yazışmalarda

kullanılan kartlar, fotoğraflar ve göçmen bilgileri... Kitaplar ve gazeteler 17 dile çevrilmiştir. Burası büyük bir kütüphaneye de sahiptir".

Buna rağmen, kaydedilen parçalarda belirtilen hususlar şimdilik hiç bilinmemekte ve ilgilenenler için ulaşılması mümkün değildir. Bu böyle dahi olsa, okuyucunun, bunların, ülkemizin tarihinin aydınlatılması için ne kadar paha biçilmez ve önemli olduğu konusunda hiç tereddüt etmeden bana katılacaklarına inanıyorum.

XIX y.y. 90'lı yılları sonlarına doğru, manastırda çalışan papazlar için, yaşam şartlarını iyileştirmek ve İstanbul'a giden Gürcü misafirlerin ağırlanması amacıyla kilisenin yanına 4 katlı ana bir bina yapılmıştır. Bu binanın birinci katı matbaaya tahsis edilmiş, ikinci ve üçüncü katları kilise görevlilerine lojman olarak; dördüncü katındaki konforlu on ada ise otel olarak dizayn edilmişti.

Zviad Gamsahurdia'nın cumhurbaşkanlığı döneminde ve bizzat onun da kabulüyle, kilisenin şu anki yetkilisiyle; buranın gözcüsü Simon Zazadze Beyefendiler, Bugünkü şekliyle tamamen harabeye dönmüş olan bu binada Gürcistan Konsolosluğu açmayı hedeflemişler fakat o zamanlar Gürcistan'da cereyan eden gergin ortamdan dolayı bu düşünce gerçekleştirilememiştir.

Adı geçen binanın üçüncü katında arşiv ve kütüphane bulunmaktaydı.

İstanbul Gürcü Manastırı, uzun zaman Gürcü göçmenlerin sığındıkları yer olarak da kullanılmıştır.

İstanbul Gürcü Kilisesindeki papaz-rahiplerin vaazlarından, buradaki Gürcü Katoliklerin yanısıra başka mezheplere mensup soydaşlarımız da istifade etmekte dirler.

Bu açıdan baktığımızda özellikle 1921 Şubat-Mart aylarında vuku bulan trajedik olayları mütakip, manastır görevlilerinin burada takındıkları önemli rol gözden kaçmamaktadır. Mesela, Demokrat Gürcistan Cumhuriyeti Hükümeti'nin aranan liderlerinin büyük bir kısmı, Hükümet başkanı Noe Jordania başkanlığında bu manastırda kendilerine sığınacak bir yer bulabilmiş ve ancak bundan sonra Avrupa'nın değişik ülkelerine göç etmişlerdir.

Kilisenin yan tarafına P. Harisçiraşvili bir Gürcü okulu açarak, Gürcü Katolik çocukların eğitimini sağlamışlardır. Öğrenci kontenjanının büyük kısmını Meshet-Cavaheti'den gönderiliren çocuklar tamamlıyordu. Eğitim dili Gürcüce olsa dahi, başka dillerin öğretilmesi ihmal edilmiyordu burada. Mesela üst sınıflarda okutulan ders müfredatına göre Latince, Yunanca, İtalyanca, Fransızca, Türkçe ve Ermenice gibi aybancı diller de okutulmaktaydı. Okulda ayrıca doktorluk hizmetleri, ilaç yapımı ve uygulamalı ve sair branşlar da itinayla verilmekteydi.

Aşağıda ismi geçen şahısların bu okuldan eğitim almış olmaları aslında buranın ne denli kaliteli bir eğitim müessesi olduğunu ispat etmektedir: Miheil Tamaraşvili, Miheil Tarhnişvili, Grigol Peradze vs.

İstanbul Katolik Kilisesi'nin Gürcü Kültürü yuvasına dönüşmesinde, burada faal olan matbaa ve yayınevinin etkisi büyüktür.

1870 yıllarından yirminci yüzyılın 30'lu yıllarının yarılarına kadar Gürcü matbaasında onlarca kitap basılmıştır. Bu kitapların çoğu dini içerikli olsa da bunların içinde ders, edebiyat, tarih ve politika içerikli kitaplar da mevcuttu. Yirminci yüzyılın onuncu ve yirminci yıllarında basılan kitaplar ayrıca dikkat çekicidir. Okuyucu bu yayınların isimlerinden de anlayacaktır ki, İstanbul Gürcü Matbaası sadece o dönemlerde Gürcistan'da meydana gelen olaylara değinmekle yetinmemiş, paralelinde basdıkları kitaplarla bütün bu olaylar üzerinde değerlendirmelerde de bulunmuştur.

İstanbul Seyahatimizde Simon Beyefendi'ye bilim heyetimizin gelecek planları hakkında bilgi verdik. Öngörülen beş yıllık planımızın uygulama sürecinde İstanbul Gürcü Kilisesi'nde muhafaza edilen kaynakları inceleme çalışmalarına Kutaysi ve Batum üniversitelerinin yanısıra Gürcistan'da faaliyet gösteren diğer yüksek okullar ve bilim-araştırma kurumlarında çalışan bilim adamları da katılacaktır. Çalışmalarımızın verimini arttırmak için bilimsel faaliyetlerimizi bundan böyle üç yönde devam ettirmeyi amaçlıyoruz. Profesör Ş. Putkaradze ve Prof. T. Putkaradze uzmanlığındaki grup, manastırın tarihini ve burada faaliyet göstermiş olan şahsiyetlerin çalışmalarını ve arşivde korunan tarihi ve dil bilimi kaynaklarını inceleyecekler. Benim başkanlığımda oluşan ikinci grubun asıl çalışma sahası ise; manastırın kitap deposunda muhafaza edilen Gürcüce göçmen yayınlarını ve manastır maatbasında basılan edebi kaynakları incelenecektir. El yazmaları bilim-araştırma merkezi direktörü B. Kudava başkanlığındaki üçüncü grup ise manastırın arşivinde saklanan el yazmalarını inceleyecek.

Çalışma planı ile öngörülen beş yıl boyunca her yıl oturumlar düzenlenecek ve bu oturumlarda manastırla ilgili tarih boyunca cereyan eden önemli olaylar ele alınacak. Mesela bu yıl düzenlenecek olan oturumda İstanbul manastırındaki Gürcü matbaasında bulunan ilk kitabın 130'uncu yıl dönümü dolayısı ile program düzenlenecektir. 2008 yılında Gürcü kütüphanesinin kuruluşunun 100. yıl dönümü, 2009 yılında Petre Harisçiraşvili'nin doğum yıldönümü, 2011 yılında ise Gürcü kilisesinin 150. kuruluş yıldönümü ile ilgili kutlamalar yapılacaktır.

Tarafımızca oluşturulan ve yukarıda değinilen bilim çalışmalarına yönelik

proje de açıkça göstermektedir ki, İstanbul Gürcü Kilisesi'nde korunan eşi bulunmaz eserlerin araştırılması ve incelenmesi sonucu Gürcü kültürünün zengin tarihine, gelecekte daha çok yenilikler ve bilinmeyen önemli sayfalar ilave edilecektir.

TÜRKİYELİ GÜRCÜLERE MİSAFİR OLMAK

Gürcistan Bağımsızlığını kazandıktan sonra Türkiye ile arasında gelişen dostluk ilişkileri Türkiye'de yaşayan Gürülerle olan tarihi bğları daha da güçlendirmek açısından da olumlu bir etken olmuştur. Bugün, isteyen herkes, hiç bir bürokratik engellerle karşılaşmadan Türkiye'deki Gürcü tarihi eserlerini gezebilir ve orada yaşayan milyonlarca soydaşıyla ilişki kurabilir.

Türkiye'nin hemen her bölgesinde yaşamakta olan soydaşlarımız bu ülkenin hızlı gelişmesinde oldukça önemli bir rol oynamaktadırlar.

İşte, son zamanlarda ülkelerimiz arasında gelişen bu tür dostluk ilişkilerinden dolayı bizler de, Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi öğretim üyeleri olarak bu ilişkilerin daha da pekiştirilmesi için elimizden gelen katkıyı yapmaya çalışıyoruz.

Böylece "Gürcistan ve Türkiye arasında: Bilimsel ve Kültürel alanlarda dostluk ve işbirliği" isimli bir proje hayata geçirildi.

Bu amaçla, 10 Haziran 2009 tarihinde 10 bilim adamından oluşan bir heyet Türkiye'de yaşayan soydaşlarımızla görüşmek ve onlar hakkında yeni bilgiler elde atmek üzere yola çıktı.

Gezimizin amacı 12 gün boyunca Türkiye'yi gezip orada yaşayan Gürcülerle görüşmekti. Aynı zamanda, resmi makamlarla görüşmeyi de planlıyorduk. İstanbul, Trabzon, Fatsa, Amasya, Düzce, Hendek, Bursa, İnegöl, Ankara, Oltu ve diğer il ve ilçelerde yaptığımız görüşmeler sırasında iki ülke arasında var olan dostluk ilişkilerinin daha da geliştirilmesi adına birtakım planlar yapıldı.

Türkiye'de faaliyet göstermiş olan ünlü soydaşımız Ahmet Özkan-Melaşvili'nin (1922-1980) hayatı ve etkinlikleri ile ilgili yeni bilgiler elde etmiş olmamızın gezi programı içinde ayrı bir yeri vardı. warmodgenil narkvevSi vrcladaa moTxrobili zemoT aRniSnul SexvedraTa Sedegad miRebul STabeWdilebebze.

Yukarıda bahsedilen görüşmeler sonucu elde edilen izlenimlere bu çalışmada geniş olarak yer verilmiştir.

TÜRK DOSTLARIMIZA MİSAFİR OLURKEN

12 Haziran 1998 tarihinde, Samsun 19 Mayıs Üniversitesi ile anlaşma imzalamak amacıyla KutaisiAkaki Tsereteli Devlet Üniversitesi Rektörü Avtandil Nikoleişvili ve Niko Muskhelişvili Teknik Üniversitesi Rektörü Arçil Kostava önderliğinde bir heyet Samsuna gitti.

Bizimle beraber Samsun ziyaretinde Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi Şark Bilimleri Fakültesinin Türk uyruklu öğrencisi olan Muzaffer Kır tercüman olarak bulundu.

Üniversitelerin yöneticileri arasında gerçekleşen görüşmelerde üniversiteler arasında geleceğe yönelik ilişkiler hususunda anlaşma imzalandı. Aynı zamanda, İmereti Valisininin talimati doğrultusunda heyetimiz, Samsun Valisi ve Belediye Başkanıyla da görüşmüş olup, Kutaisi ve Samsun arasında dostluk ilişkilerinin temelleri atılmış oldu.

Ayrıca, gerçekleşen görüşmeler arasında "Kaplan Postlu Şovalye" adlı Gürcüce eserin Türkçe çevirisini yapan (1991) ve Samsun 19 Mayıs Üniversitesi profesörü olan Bilal Dindar'la yapmış olduğumuz görüşmenin altını çizmekte fayda var.

ANKARA'DAN KAPADOKYA'YA KADAR

O dönemdeki Türkiye ziyaretimizin amacı Ankara ve Kutaisi Devlet Üniversiteleri arasında dostluk ve işbirliğini öngören anlaşmayı imzalamaktı. Heyetimiz, bendeniz - işbu çalışmanın yazarı (rector)-, rektör yardımcısı Vahtang Amaglobeli ve Türkoloji Bölümü Başkanı Tsisana Abuladze'den oluşmaktaydı. Heyetimiz 19 Mayıs 2003 tarihinde Ankaraya gitti.

Ankara Üniversitesi Türkiye'nin en prestijli üniversitelerinden biridir. 1946 yılında açılmış olan bu üniversite, günümüzde sadece Türkiye'de değil, diğer ülkerede de iyi tanınan bir eğitim kuruluşudur.

KKutaisi Üniversitesine gelince, Gürcistanın bağımsızlığını kazandıktan sonra burada Türkoloji Bölümüne özel önem verilmektedir. Örneğin, üniversitemizde Türk Dili, Edebiyatı ve Türk Tarihi Bölümünden her yıl yaklaşık 10-15 nitelikli eleman yetiştirilmektedir. Şunu da ayrıca belirtmek gerek: Üniversitemizin ilk yabancı öğrencileri Türk uyuruklu öğrenciler olmuştur. Bugün onların bir kısmı Türkiye'de; bir kısmı Gürcistan'da görev alarak, çalışmalarını başarıyla

sürdürmektedirler. Onlardan ikisi- Muzaffer Kır ve Harun Çimke, Gürcü Dili ve Edebiyatı dalında Doktora tezleri üzerinde çalışmaktadırlar.

Gürcü Dili ve Edebiyatı üzerine Türkiye'de hayli yüksek seviyede çalışmalar yapıldığının altını çizdikten sonra bizler, kurumlarımız arasında gerçekleşecek olan işbirliği çerçevesinde bu alandaki çalışmaları yoğunlaştırmaya karar verdik.

Ziyaretler esnasında Amerikan Bilkent Üniversitesini tanıma fırsatımız olmuştur. Sözkonusu üniversitede çalışmalarını başarıyla sürdüren Gürcü eğitim görevlileri mevcuttur. Bilkent Üniversitesini ziyaret edişimiz onların davetlerine icaben gerçekleşmişti.

İş görüşmelerinin yanısıra, Ankara'daki görülecek yerleri ziyaret etmeyi de programımıza almıştık. Bu sayede Ankara'daki müzeleri ve tarihi yerleri gezme fırsatı bulmuş olduk.

İleri görüşlü Çağdaş Türk insanı, kendi topraklarında yaşamış uygarlıklardan kalma tarihi eserlerin kendileri için ne kadar büyük bir önem ve değer taşıdığının farkındalar

Ziyaret programımız içerisinde gerçekleştirdiğimiz üç günlük Kapadokya gezisi ziyaretimizin son ve en etkileyici noktası olmuştu. Abartmadan söyleyebiliriz ki, oradaki yerler bizi, beklediğimizden çok daha fazlasıyla etkilemişti. Bunun sebebi sadece bu bölgenin Gürcistana Hristiyan inancını getiren Aziz Nino ve Giorgi'nin memleketi olması değil, bölgede mevcut olan muazzam manastırlar kompleksleri ve doğa harikalarıdır.

İSTANBUL'DAN MISIRA DOĞRU

22 Şubat 2001 tarihinde, Mısır Arap Cumhuriyeti İsmailya şehri Süveş Kanalı Üniversitesi ile Kutaisi Devlet Üniversitesi arasında anlaşma imzalamak için bu ülkeyi ziyaret ettik. Kahire'ye İstanbul üzerinden gittik. Uçak seferimiz bir gün sonra olacağı için İstanbulu gezmek için epeyce vaktimiz vardı.

Hafızalardan silinmeyen ilk izlenimi İstanbul Atatürk Havalimanı oluşturdu. Birkaç yıl önce inşaatı tamamlanan bu havalimanı, büyüklüğü ve mimari değeri ile dünyanın en iyi havalimanlarından biridir. Buradan, dünyanın her yerine engelsiz ulaşabilirsiniz. Yüksek kaliteli hizmeti ve ince kültürü görünce Türkiye'nin dünyanın gelişmiş topluluklarına doğru ne kadar hızlı hareket ettiğini bir daha anlıyorsunuz

Şehri gezmek için çıktık. Bu, benim ikinci İstanbul ziyaretimdi. Buraya ilk defa 1994'te gelmiştim. Ne kadar çok şey değişip yeni şeyler inşa edilmiş! Yeni yapılaşmalar her adımda görülüyör.

Mısır seyahatımız Müsülmanların en önemli ibadeti olan Hac'a denk geldi. Bu ibadet gereği, imkanı olan her Müsülman kutsal şehir Mekke'ye gitmeyi kendine bir görev sayıyor. İstanbul Havalimanı da Mekke'ye uçacak müminlerle doluydu.

İki saatlik bir hava yolculuğundan sonra Kahire'ye vardık. Afrika topraklarına ilk adımlarımızı heyecanla atıyoruz. Hava limanında bizi Gürcistan Elçiliği görevlisi, tanınmış Arapça uzmanı olan Goça Caparidze ve İsmailiya Üniversitesi rektör yardımcısı karşıladılar ve hotele yerleştirdiler.

Ertesi gün Kahire'nin turistik yerlerini gezdik. Onlardan en büyüleyici olanlar tabi ki çölde duran muazzam yapılar- piramitlerdir. Burada onlarca piramit dikilmiş ve içlerinde en çok bilinen Heops piramididir. Söylendiği gibi, 100 km kare olan bir alan içerisinde toplam 108 piramit mevcuttur.

İşte bu büyüleyici yerin en sihirli yapısı- Sfenks. Kayanın içerisinde yapılmış, insan başlı ve arslan vücütlü bu muazzam yapı, bu gün bile insana korku ve hayret saçıyor. Arkasında çöl boyu uzanmış gizemli piramitler Sfenksin büyüleyici gücünü adete ikiye katlıyor.

25 Şubatta sabahın erken saatlerinde İsmailya'ya doğru yola çıktık. Orada, Mısırın milli zenginliği olan Süveş Kanalı'nı gördük. 1869 yılında yapılmış ve Kızıldeniz ile Ak Denizi birleştiren bu kanal, çok büyük bir stratejik öneme sahiptir. Bu kanal, Atlantik ve Pasifik Okyanuslar arasındaki en kısa ve kestirme yoldur; aradaki mesafeyi onbeş bin kilometre kısaltmaktadır. Kanal yapılmadan önce Afrika ve Asya kıtaları arasında su bağlantısı yoktu. Bugün ise, Süveş Kanalı bunu mümkün kılmıştır.

26 Şubatta, iki üniversite arasında işbirliği çerçefesinde bir anlaşma imzalandı. Bu resmi törene katılmak için Kahire'den Gürcistan Büyükelçisi Apolon Silagadze ve temsilcisi Goça Caparidze geldiler. Görüşmede Mısırlı iş adamları da bulundular. Anlaşma imzalandıktan sonra İsmailya Valisi ile görüşüldü. Bundan sonra, bizi İsmailya Üniversitesinin önemli bir şubesinin bulunduğu Portsaid şehrine götürdüler.

Böylece, Mısır'daki 5 günlük ziyaret maratonumuz çok çabuk ve verimli geçti. 27 Şubatta Mısırlı arkadaşlarımızdan hüzünle ayrıldık ve İstanbul üzerinden memleketimize döndük.

TAO-KLARCETİ'NİN GÜRCÜ KÖKLERİ

Bugün, Türkiye'deki Gürcü tarihi eserlerini gezip görmek o kadar kolay ki, baştan, edindiğim izlenimlerimi okuyucu ile paylaşmanın gerek olmadığını düşündüysem de, orada gezip gördüklerim üzerimde öyle büyük izlenimler bıraktı ki, kararımı değiştirip bir kaç söz etmeye karar verdim.

Ülkemizin bağımsızlığına kavuştuktan sonra Türkiye ile olan dostluk ilişkileri o kadar üst düzeyler çıktı ki, orada bulunan Gürcü tarihi eserlerini sadece turist olarak gezebilme olanağı değil, restore etme ve bakım işlerini üstlenmek bile mümkün olmuştur. Bu doğrultuda son yıllarda atılan ilk adımlarla ileriye yönelik değerlendirmeler yapılmıştır.

İlk durağımız Sarp Sınır Kapısına yaklaşık iki saat uzaklıkta bulunan Artanuç'tu. Bu kent, IX- XVI yüzyılar arası ülkemizin en önemli idari, dini, ticari ve kültürel merkeziydi. Beşinci yüzyılda kurulan bu kent, sekizinci yüzyılda Araplar tarafından tahrip edildi. VIII-IX yüzyıllarda ise Artanuç, yeni kurulmuş Tao-Klarceti Beyliğinin idari merkezi idi. Bu beylik, Gürcü kraliyet ailesi olan Bagration'ların memleketi olmuştur. Sözkonusu olan bu beylikte, Gürcistanın birlik ve bütünlük temelleri atılmıştır.

Bir zamanlar ülkemizin sarsılmazlığını sembole eden bu kente gelen ziyaretçiler bugün burada Malesef, sadece ot ve bitkilerle kaplı bir alanla karşılaşıyorlar.

Artanuç'tan Hantsa'ya geçiyoruz burayı görmek için. Tao-Klarceti'de bulunan bu manastırın temeli sekizinci yüzyılın ikinci yarısında atılmıştır. Günümüzde, manastırın sadece kalıntıları mevcuttur.

İyi ki, Türkiye Cumhuriyeti hükümeti son yıllarda bölgede var olan tarihi Gürcü eserlerine ilgi gösterip bakımlarını üstlenmiştir.Bildiğim kadarıyla, Kültür ve Turizm Bakanlığının inisiyatifi ile Hantsta Manastırının korunma girişimi olumlu olarak sonuçlanmış ve Türk tarafının izni ile Gürcü uzmanlar çalışmalarını sürdürmektedirler.

Hantsta'dan Şavşat'a, X. yüzyılda kurulan Tbeti Kilisesi'ni ziyaret etmek için gittik. Zamanın acımasızlığına rağmen, hasar gören bu şahane sanat eseri kendi desenleri ile görenleri büyülüyör. Orta çağlarda bu Kilise, Gürcü kültürünün en önemli merkezlerinden biri idi.

Gezimizin ikinci günü İşhan ziyareti ile başlıyor. Tao'da, Oltu Nehri'nin sağ kıyısında bulunan bu manastır yapılaşmasının temeli sekizinci yüzyılda atılmıştır. Büyüleyici desenlerle ve Gürcü yazılarla süslenmiş bu şahane eser, ziyaret sırasında gördüğümüz en güzel ve etkileyici bir eser olmuştur.

İşhan'ı ziyaret ettikten sonra, yine Tao'da, Tortum Nehri'nin sol kıyısında bulunan Oşki Manastırını ziyaret ediyoruz. Kendi görkemliliği ile Oşki manastırı diğer tarihi eserlerden farklı bir eserdir. Bu manastırın tarihi önemini arttıran, onun bilim-eğitim merkezi olmasıdır. Burada, bir çok önemli elyazmaları yazılmıştır.

Tao'da, aynı zamanda, tarihimizde büyük öneme sahip olan Hahuli Manastırı bulunmaktadır. Onuncu yüzyılda kurulan bu manastır, ilk olarak Hazreti Meryem'in altın kaplamalı ikonuyla meşhurdur.(İkon, şu an Tiflis Gürcü Sanat Müzesi'nde korunmaktadır) Hahuli Manastırı XVI. yüzyıla kadar Gürcü maneviyatının ve eğitim hayatının güçlü merkezlerindendi.

Hahuli'den, Çoruh Nehri boyunca uzanmış Yusufeli şehri üzerinden Dört Kilise denilen bir tarihi eseri de görme fırsatımız oldu. Onuncu yüzyılda kurulmuş olan bu kilise, muazzam bir mimari yapıya sahiptir.

Böylece, gezimizin ikinci günü de bitmiştir. Üçüncü güne Parhali Manastırını (onuncu yüzyıl) ziyaret ederek başladık.

Geri dönerken gördüğümüz son eser, Artvin'den 20 kilometre uzaklığındaki bir kilise idi. Gürcü yazılarıyla süslenmiş bu kilise onuncu yüzyılda kurulmuştur.

Böylece, Tao-Klarceti'de bulunan önemli tarihi Gürcü eserlerini ziyaret etmeyi amaçlayan bir gezimiz sona ermişti. Eğer, ilgili Türk-Gürcü makamlar ve yetkililer bir an önce bu tarihi eserleri koruma amaçlı adımlar atmazsa, bu eserlerden bir çoğu kısa zaman içerisinde yok olacaktır.

AVTANDİL NİKOLEIŞVİLİ'NİN HAYATI

E-mail: avtandil.nikoleshvili@gmail.com Cep Tel: (+995) 55 68 98 88

Avtandil NİKOLEİŞVİLİ 1948 yılında Vani ilçesi Gora köyünde dünyaya geldi. 1966'da Gora Orta Okulundan altın madalyayla mezun oldu. 1971 yılında Kutaisi Pedagoği Enstitüsü (şimdiki Akaki Tsereteli Kutaisi Devlet Üniversitesi) Tarih ve Filoloği bölümünü başarıyla bitirdi. 1974 yılında master 1983 yılında ise doktora tezini verdi. 1980'den günümüze dek Gürcistan Yazarlar Birliği Üyeliği yapmaktadır. 1970 yılından beri Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi'nde görevini sürdürmektedir. Bu zaman zarfında yine aynı üniversitede laborant, öğretmen, dekan ve üniversite rektörü olarak görev yaptı.

Avtandil NİKOLEİŞVİLİ şu an Gürcü Edebiyat Bölümü başkanlığı yapmaktadır. Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi „Kartvelliler Mirası" Bilim Dergisinin sorumlu editörü, Kutaisi Bilim Merkezi Genel Bilim-İçşisi ve Sosyal Bilim Bölümü Başkanlığı yapmaktadır.

Avtandil NİKOLEIŞVİLİ Gürcistan-İsrael Dostluk Vakfı İmereti Şubesi başkanı ve bu şubeye ait olan NOSTALGİA dergisinin editörüdür. Aynı zamanda değişik dergi ve bilimsel yayınların Editörler Birliği üyesidir.

Avtandil NİKOLEŞİVİLİ çeşitli bilim ve edebiyat ödüllerine sahiptir.

1995'den beri Gelati Akademisi Akademisiyeni, 1999'den beri ise newyork Uluslararası Bilim Akademisyni olarak görev yapmaktadır. Şeref madalyasına sahiptir. Kutaisi ve Kolumbia (ABD) kentlerinin şeref vatandaş seçilmiştir. 40'a kadar kitabı vardır. Çeşitli dergilerde ve bilimsel yayınlarında 200 den fazla makalesi vardır.

Avtandil NİKOLEİŞVİLİ evli ve iki çocuk babsıdır.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ტელ: 855 68 98 88 E-mail: avtandil.nikoleishvili@gmail.com

ბიოგრაფიული მონაცემები

დაიბადა 1948 წლის 27 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ გორაში. 1966 წელს იქვე ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი (ახლანდელი უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით.

1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1980 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, უნივერსიტეტის რექტორი (1996-2005 წწ.). ამჟამად არის ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორი. შეთავსებით ასევე მუშაობს უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო ცენტრის (ადრე ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების უფროსად და მთავარ მეცნიერ-მუშაკად.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. არის სამეცნიერო ალმანახ „ლიტერატურული დიალოგების“ (ქუთაისი) მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის" (ქუთაისი) თანარედაქტორი, სამეცნიერო ცენტრის ჟურნალ „ნოვაციის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტის“ (თბილისი) მთავარი სამეცნიერო რედაქტორი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური პრეზიდიუმის წევრი, ამავე საზოგადოების იმერეთის საზოგადოების პრეზიდენტი და ხსენებული სა-

ზოვადოების ჟურნალ „ნოსტალგიის" (ქუთაისი) რედაქტორ-გამომცემელი.

მინიჭებული აქვს სხვადასხვა სამეცნიერო და ლიტერატურული პრემიები (აკაკი წერეთლისა, ნიკო ნიკოლაძისა და სხვ). არის სხვადასხვა აკადემიის წევრი; მათ შორის: 1995 წლიდან — გელათის მეცნიერებათა აკადემიისა, 1999 წლიდან — ნიუ-იორკის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიისა. 1998 წელს დააჯილდოეს „ღირსების ორდენით". არის ქალაქების: ქუთაისისა და კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე. გამოცემული აქვს ორმოცზე მეტი წიგნი. ავტორია ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული 200-ზე მეტი ნაშრომისა.

აქტიურადაა ჩართული ქალაქის, რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობაში. კერძოდ, არის საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილების ბიუროსა და საზოგადოება „ქუთაისელის" პრეზიდიუმის წევრი, ქუთაისის პატივგების საქალაქო კომისიის წევრი, სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების წევრი.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო ლექსებით. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული — „ლექსები" (1975 წ.) და „გამწყრალი მუზა" (2002 წ.).

შემოქმედებით შესაძლებლობათა გამომვლენ ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს წარმოადგენს ლიტერატურული კრიტიკა. მის წიგნებში: „გამოძახილი", „თვალთახედვა", „ლიტერატურული ეტიუდები", „ნაკადები", „ფიქრები თანამედროვე ქართულ ლირიკაზე" და სხვა გაანალიზებულია თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი ტენდენციები და შემოქმედებით სიახლენი.

მიუხედავად სალიტერატურო კრიტიკით ამგვარი დაინტერესებისა, სამეცნიერო და შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მაინც იმ მონოგრაფიებსა და ლიტერატურულ ნარკვევებში გამოავლინა, რომლებშიც XX საუკუნის ქართული მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედებაა გაანალიზებული. მეცნიერული კვლევის უმთავრეს მიმართულებად ქცეული სწორედ ამ მოვლენის შესწავლას მიეძღვნა 1994-2006 წლებში გამოცემული „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვე-

ვების“ შვიდი ტომი და მონოგრაფიები: „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა,“ „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „ნიკო ლორთქიფანიძე“, „გიორგი ლეონიძის ლირიკა“ და სხვები.

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის შესწავლით განსაკუთრებული დაინტერესება, რამაც სათანადო ასახვა პოვა მრავალრიცხოვან სამეცნიერო პუბლიკაციებსა და წიგნებში: „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ და „ქართველოლოგიური ეტიუდები“.

მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს აგრეთვე ქართველ ებრაელთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაც, რასაც მიეძღვნა წიგნები: „დავით და გერცელ ბააზოვები“, „ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან“ (ტ. I და II) და „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“.

ავტორის მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესები და შემოქმედებითი შესაძლებლობები გამოვლინდა ასევე მის წიგნებში: „გაბრიელ ეპისკოპოსი“, „ქართველი მწერლები და აფხაზეთი“, „ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში“, „საქართველო. ისტორია და დღევანდელობა“ (ინგლისურ ენაზე. აშშ, ქ. კოლუმბია) და სხვ.

გადაეცა ნარმოებას 1.08.2010;
ხელმონერილია დასაბეჭდად 20.08.2010;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,25;
შეკვეთა № 411

ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.